# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 16 (261) ◆ 17–23 აპრილი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „შევარდნაძე აუცილებლად შეეცდება ერთმანეთი დააჭიდაოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს“



– ჩვენ მაგივრად „არჩევანი“ გააკეთეს რწმუნებულებმა და გამგებლებმა.

– თუ ერთი მინისტრი ქურდი აღმოჩნდება, მთელმა გუნდმა უნდა აგოს პასუხი.

– გუშინდელი რეფორმატორი ბიჭები დღეს ცახცახებენ – ვაიმე, „ბაბუს“ შემდეგ რა გვეშველებაო...

– უცხოელები თავს არიდებენ პირდაპირ პასუხს და ამბობენ, – არჩევნები შეიძლება ჩაითვალოს ჩატარებულადო! ასე აწყობთ და იმიტომ.

გვ. 5

*აკაკი ყულიჯანიშვილი*

„ქვანბალა და ბოგორა“ გვ. 27

**ფოტოპალიტრა**

## ახალი მთავრობა...

სახელმწიფო მინისტრი ზოდელავა; გენერალური პროკურორი მეფარიშვილი; სოფლის მეურნეობის მინისტრი მამალაძე...

ახალი ვარიანტებია მოსალოდნელი სხვა სტრუქტურებშიც. გვ. 7

## მაინც რა მოხდა იმ დღეს ჩეჩნეთში



– უცებ, ყოველი მხრიდან აგვიტეხეს სროლა... კიდევ კარგი, ჩეჩნები ვერ ხედავდნენ, რამდენი ვიყავით, თორემ სნაიპერები ყველას დაგვხოცავდნენ... ჩვენ გაგვცეს, აბა როგორ გაიგეს, როდის გავიდოდით ცვლაზე... გვ. 18

## საკვირაო

ტელე-კინოაფიშა

17-23 აპრილი



გვ. 14-15

## ჯავახეთში „პირველი მილიონის“ პარტიას დაშნაკები ასრულებენ

დაშნაკების პარტია არ არის ის ძალა, სომხეთი რომ ატრიალოს, მაგრამ რეგიონში წყლის ამღვრევა შესანიშნავად გამოუვა...

„დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა სწორედ მათში ცოცხლობს... მდგომარეობა ჯავახეთში ჩვენი მხრიდან სიფხიზლეს ითხოვს. გვ. 4-6

## ტელეწამყვანთა პირველი ათეული

გვ. 27

მკითხველის შეფასება

## მაღლისმჭამელის დედა უნდა მერქვას მე?..

რად მინდა, რომ ცოცხალი ვარ და ამ უბედურებას მოვესწარი... მაგას დაუმიწდეს პირი...



მკვლელი გამიზრდია, აგრემც მომიკვდება...

...გურჯაანში, უბნის ბიჭებმა პონტერის ჩახოხბილით „ჩაიკოკლოზინეს“ ყელი.

გვ. 4

## „გული არ დაგწყდეს, თუ ჩემზე ცუდს დაწერენ“

– სერგო კლდიაშვილი და სიმონ ჩიქოვანი ურჩევდნენ მამას, პაოლო მკვდარია, დაწერე, რასაც ბერია გთხოვს, იქნებ ცოცხალი გადარჩეო... გვ. 8

*იხსენებს ნიტა ტაბიძე*

## თოჯინები გილოცავენ

– გილოცავთ და გისურვებთ, სულ „მალე“ 50 წლისთავიც გადაგეხადოთ.

– „კვირის პალიტრას“ რომ ვკითხულობ, სულ მაძაგძაგებს... აი, ახლაც დამეწყო...

*ზურაბ ჟვანია*



– გთხოვთ, დაუშვათ ანალიტიკოსი ჟურნალისტის შტატი და სამუშაოდ მე ამიყვანოთ.

*ირინა სარიშვილი-ჭანტურია*

გვ. 3

– მთელ კახეთს ეგ გაზეთი ძალიან უყვარს, მეგრამ მე, არა...

*მედეა მეზვრიშვილი*

## ვენასი

## გახმაურებული ქურდობა ორკესტრის თანხლებით

„ლომბარდს უკანა მხრიდან მივუახლოვდით... ავძვერით შენობის სახურავზე და იქვე გავწექით. მალე ბაღიდან ორკესტრის ხმა გავიგონეთ (კონცერტის დაწყების დრო წინდაწინ დავაზუსტეთ) და მუშაობა დავიწყეთ... ლომბარდში თითქმის 24 საათი გავატარეთ... ძვირფასეულობა შევაგროვეთ... კვირას ღამით შენობა იმავე გზით დავტოვეთ...“ გვ. 10

თადარიგის პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე ჩვენი დაჟინებული თხოვნის შედეგად კვლავ ერთ გახმაურებულ კრიმინალურ ისტორიას გვიამბობს.




**ფირმა „ბერმუხა“**

ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## კლდეებში დაჭრილი ყაჩაღი შეეფარებინათ



– სადღაც კლდეებში, გამოქვაბულში აგვიყვანეს. ყინულის ლოდები ფარავდა გამოქვაბულს... იქ დაჭრილი ყაჩაღი შეეფარებინათ მეგობრებს და მამაჩემი მის მოსარჩენად წაიყვანეს... მერე მე აღარ გამომატანეს მამას, – რომ აღარ დაბრუნდეო? არ შემშინებია, დავრჩი... მივლიდნენ, თან მყვებოდნენ, ასეთი პატივისცემა ცხოვრებაში აღარ მინახავს.

*თემურ ბაბლუანი* გვ. 20

მთავარი რედაქტორი

ლალი ბუნთაიშვილი



## ასე იწყებოდა...

პირველად იყო ფიქრი, ფიქრი ნამივით ჩაწვეთებული, მყისიერად მოვლენილი და მერე მიჩუმათებული... ფიქრი ჯერ მცირე დროსა და დიდ პაუზას ითხოვდა, თანდათან იმძლავრა... მარტოობაში აღარ მოუნდა და სხვებთან გაზიარება ითხოვა... ფიქრის ავტორს თანამოაზრენი გაუჩნდა...

ფიქრი იგი იყო – გაზეთის გამოშვება... გაზეთის გამოშვება მაშინ საქართველოში ძალიან მოდაში იყო და ჭრელი სპექტრი თავის მკითხველს ეძებდა... თავისი მკითხველი უნდა ეძებნა ახალ ნაფიქრალ გაზეთსაც... ანუ, გაზეთზე ფიქრი მკითხველზე ფიქრით დაიწყო... უნდა იცოდე, ვისთვის წერ, ვისთვის გამოსცემ, ვისთან გინდა მიიტანო შენი სათქმელი; უნდა იცოდე, რა უნდა შენს მკითხველს, რომ წაიკითხოს, რას ელის შენგან... ერთი სიტყვით, არჩევანი მკითხველს, არადანი – ჩვენ...

მერე იყო ფიქრი სახელზე – რას დავარქმევდით გაზეთს... სახელში უნდა იდოს მისი შინაარსი, პერიოდულობა... ითქვა და ითქვა ასარჩევი სახელდებები და თქვენმა გაზეთმა ბოლოს „კვირის პალიტრა“ მოიხდინა...

უბინაობა, უმისამართობა, უკომპიუტერობა, უხელფასობა – ეს ყველაფერი იყო და იყო ერთი ძალიან ლამაზი საწყისი დღე – 1995 წლის 18 აპრილი... (მაშინაც დიდი მარხვის დღეები იდგა და ერი და ბერი აღდგომის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის მოლოდინში იყო). იყო დიდი მღელვარება, დიდი მოლოდინი და შიში თქვენთან მოახლოებისა, ბატონო მკითხველო... იყო მცირე ტირაჟი, იყო უკან მობრუნებული ნაწილი გაზეთებისა, იყო პირველი სიხარული ვინმეს ქუჩაში ჩვენს ყვითელ გაზეთს რომ დავუნახავდით ხელში (პირველი ნომრიდანვე ვინც მოგვყვებით, კარგად გახსოვთ, პირველი ნომრები მშვენიერ ყვითელ ქაღალდზე იბეჭდებოდა). იყო პირველი ერთი დიდი ოთახი, შიგ რედაქტორ-სტილისტ-მთარგმნელ-ჟურნალისტ-კორექტორიანად, იყო ერთი დიდი საქმის დიდი სიყვარული, იყო პირველი ტელეფონი თავისი ერთი ნომრით და იყო პირველი ზარები... იყო პირველი მადლობა თქვენგან, იყო მორიდებული შეხმიანება, იყო პირველი სურვილი და რჩევა და ტელეფონის ზარს პირველი წერილებიც მოჰყვა...

„ვკითხულობ, მიყვარს, პატივს ვცემ თქვენს გაზეთს, ულრმესი მადლობა...“

„არ გაგიკვირდეთ, მე თქვენი გაზეთის ყველა გვერდი მომწონს“...

„სალამი საქართველოს ყველაზე რესპექტაბელურ გაზეთს...“

„მე ჯერ პატარა ვარ და როცა გავიზრდები, იმედი მაქვს თქვენს რედაქციაში ვიმუშავებ...“

„სოფიაში „კვირის პალიტრის“ რამდენიმე ნომერი მიმაქვს... ამ დონის გაზეთი თითზე ჩამოსათვლელია...“

„ძალიან გთხოვთ ბოლომდის შეინარჩუნოთ თქვენი სტილი და ენერგია“ – გვწერდით თქვენ საქართველოს ყველა კუთხიდან და ამისთვის – გმადლობთ!

პირველად წაკითხულ „გმადლობთ, „კვირის პალიტრელებოს“ ისეთივე სავსე სიხარული მოჰყვა, მხოლოდ პირველშობილის პირველ ნათქვამ სიტყვებს რომ მოაქვს ხოლმე დედისთვის...

იყო პირველი ჟურნალისტის ფრთხილი ნათქვამი, იყო პირველი „კვირის ინტერვიუ“ და ამას მოჰყვა ის რუბრიკები, ყველამ თავისი მკითხველი რომ მოინადირა... იყო პირველი რეიტინგი, სადაც ნომერ პირველ გაზეთად თქვენი გაზეთი დასახელდა...

თქვენთან ერთად ჩაიარა დიდმა დრომ, დიდმა ერთგულებამ და საქმის სიყვარულმა...

განვლილმა ხუთმა წელმა ჩვენ ერთმანეთი შეგვაყვარა...

*სიყვარულით გეძლევით!..*

## „კვირის პალიტრა“ ხუთი წლის გახდა

## ჯაბა იოსელიანი ყველას გათავისუფლებას ითხოვს

*საუბარი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბატონ ჯაბა იოსელიანთან არჩევნების თემით დავიწყეთ.*

— ხომ იცით, რაც უნდა მალო, სიმართლე მაინც სადღაც ამოყოფს თავს, — გვითხრა ბატონმა ჯაბამ, — ხომ ნახეთ, ტელევიზიით აჩვენეს, პრეზიდენტმა შეკრიბა გუბერნატორები, გამგებლები და მადლობა გადაუხადა არჩევნების და გამარჯვებისათვის! წარმოიდგინეთ, კლინტონი არჩევნების შემდეგ შტატის გუბერნატორებს ეუბნებოდეს მადლობას არჩევისათვის.

...საქართველოში არ უნდა იყოს საპრეზიდენტო მმართველობა, რადგან აქრეც ვნახეთ და ახლაც ნათლად ჩანს, რომ არ ამართლებს ეს ფორმა. ამას მოსდევს ერთპიროვნული მმართველობა, დიქტატურა, პოლიციური რეჟიმი, რომელიც ასე მძაფრად იგრძნობა დღეს.

...თუ შეწყალებაა და ამნისტია, უნდა შეიწყალო და გაათავისუფლო ყველა, რა შუაშია ნასამართლობის ჯგრაფობა. მე აქ ბევრ ადამიანს ვიცნობ, ცხრა „სროკი" აქვს მოხდილი, მაგრამ ათჯერ უკეთესი, მართალი და პატიოსანია, ვიდრე თუნდაც დღევანდელი ბევრი მინისტრი.

...რაა გასაკვირი იმაში, რომ სწორედაც მართალ და აუცილებელ გადაწყვეტილებად მიმაჩნია და მივიჩნევ ხელისუფლების ნაგვიანევ, მაგრამ ამჟამად დროულ ნაბიჯს ერის გამთლიანებისთვის. რვა წელი გავიდა იმ მოვლენების შემდეგ, რვა წელი და აღარ დააყენეს საშველი, რომ რამენაირად მოისპოს ადამიანის ურთიერთდაპირისპირება, შუღლი, მტრობა, ახალ-ახალი ბრალდებები მათ მიმართ, ვინც ხელისუფლების კონიუნქტურული მოსაზრებებით, უგულებელყოფილი და უუფლებოა.

ახლა დაიწყებენ — ვისაც იარაღი ეჭირაო, ვინც მკვლელობა ჩაიდინაო! ეს არასერიოზულობაა, უნდა გათავისუფლდეს ყველა, უპირობოდ. აბა, ომი რის ომია, თუ იარაღს არ აიღებ და თუ არავინ მოკვდება. შევარდნაძეც ხომ იყო ომში, იქნებ მანაც გაისროლა და ხომ შეიძლება ვინმე შემთხვევით მოკლა კიდეც?

...მე შეიძლება სულ არ გამოვიდე. გააჩნია, რა აქტი შედგება, როგორი ფორმით მოხდება ჩემი გათავისუფლება. თუ შერიგებაზეა ლაპარაკი, ციხე ეპიცენტრია ამ შერიგების და ამის გამოუყენებლობა დანაშაულია

— *როგორც ვიცით, თქვენ შესახებ სტრასბურგში იმსჯელებს სასამართლო...*

— დიახ, იქიდან მივიღეთ ცნობა, რომ საქმე მიღებულია და დამატებით მასალებსაც ითხოვენ. ამჟამად ამ მასალების შეგროვებასა და თარგმანზე ვმუშაობთ.

*...გამომშვიდობებისას ჩემთან მოვიდა მურთაზ ჯალაღონია, ერთ-ერთი იმ მოშიმშილეთაგანი, რომელიც 9 აპრილს თვითმკვლელობას აპირებდა. მხოლოდ ჩემ მიმართ რომ გამოეხატა ასეთი განწყობა, ალბათ საქვეყნოდ სათქმელად არც მივიჩნევდი, მაგრამ მისი მადლიერება ასევე მიმართულია ჩემი კოლეგებისადმი:*

— მინდა „კვირის პალიტრის" საშუალებით მადლობა ვუთხრა ყველა ჟურნალისტს, ვინც თავისი პოზიციით გვიძლიერდა მხარს. რომ იცოდეთ, რამდენს ნიშნავს აქ მყოფი ადამიანისთვის გარედან ასეთი თანაგრძნობა და არა მარტო იმიტომ, რომ რაღაც შედეგს მივაღწიეთ, ისეც, ადამიანურად, ეს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია. მადლობა ღმერთს და ჩვენს კოლეგებს...

*დამეთანხმებით, ჟურნალისტებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისი მკითხველის, საზოგადოების, თანამოქალაქის მადლიერება, რითაც არცთუ ხშირად გვანებივრებენ...*

## ოპოზიციას მძიმე დღეები დაუდგა

მძიმე დღეები დაუდგა ბათუმურ ალიანსს და, საერთოდ, ოპოზიციას, როგორც პარლამენტის შიგნით მყოფს, ისე გარეთ დარჩენილს. მომავალი 4 წლის მანძილზე ოპოზიციონერთა ფუნქცია მხოლოდ ისღა იქნება, რომ ჯერ გაისად, ადგილობრივი მმართველობის არჩევნების სცადონ ბედი, ძირითადად კი, მძაფრ-მძაფრი განცხადებები აკეთონ ხელისუფლების კომპრომეტირებისათვის. დარჩენილ 4-5 წელიწადში შევარდნაძე, როგორც ჩანს, როგორც არასდროს, ისე გაიმყარებს პოზიციებს და „მემკვიდრესაც" დატოვებს, რომელიც პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაში „წარუძღვება ერსა წინა"!

რაც შეეხება ბლოკ „აღორძინებას", მანაც ამოწურა თავისი ფუნქციონირების ვადა და მიზანი: ჯერ ერთი, პარლამენტში უმრავლესობით ვერ მოვიდა და მეორეც, საპრეზიდენტო არჩევნებშიც იმის ნაცვლად, რომ ერთი ძლიერი კანდიდატით გამოსულიყო, უშუალოდ არჩევნების წინ „აბაშიძის ვექტორის" თბილისისკენ გადახრამ, ხუხულასავით დაანგრია ეს ბლოკი, რომლის წევრთა უმრავლესობის ერთადერთი მიზანი იყო პარლამენტში მოხვედრა. აზრთა სხვადასხვაობა პრინციპულ საკითხებში უკვე განხეთქილებაში გადადის და სავსებით რეალურია, რომ ბათუმური ალიანსიდან მხოლოდ მოგონებაღა დარჩეს.

## ჩვენ „ორი" პრეზიდენტი გვყოლია

პატიაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი მამუკა გიორგაძე კი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ პატიაშვილმა არჩევნები მოიგო(!) და რადგან შევარდნაძე ასიათასობით გაყალბებული ბიულეტენის წყალობით დარჩა პოსტზე, საქართველოს დღეს... ორი პრეზიდენტი ჰყავს — ერთი ლეგიტიმური, ანუ პატიაშვილი, მეორე — უზურპატორი, ანუ შევარდნაძეო... არჩევნების ლეგიტიმურობასა და შევარდნაძის პრეზიდენტობაში კი ეჭვი არ ეპარება ალიანსის მეორე ლიდერს, ვახტანგ რჩეულიშვილს და ბევრ სხვასაც ასლან აბაშიძის თავკაცობით, რომლის ძალისხმევის წყალობითაც „ახალმა" პრეზიდენტმა აჭარიდან ხმების უმრავლესობა წამოიღო, რომელიც წესით და კანონით პატიაშვილს უნდა დარჩენოდა...

## მე-9-10 ბლოკებს სქოული მოუვლის

დიდი ხნის ენერგობაირამობის შემდეგ თბილისს სომხეთიდან ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყდა. არმენენერგოსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და სომხებთან ახალი ხელშეკრულება აღარ გაფორმდებაო, აცხადებენ ჩვენი ენერგომამები. ეს იმიტომ, რომ მათი მტკიცებით, „საქართველოში ენერგიის ადგილობრივი რესურსები გაჩენილა..." არადა, ეს ადგილობრივი რესურსი სხვა არაფერია, თუ არა „ეი-ეს-თელასი", რომელმაც შეისყიდა თბილსრესი და უკვე შევიდა კიდეც ობიექტში...

დიახ, 7 თვიანი დავის შემდეგ, გარდაბნის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები „ეი-ეს-თელასის" მფლობელობაში გადავიდა და მაიქლ სქოულმაც საკუთარ თავზე იკისრა თბილსრესის 80 მლნ ლარის დავალიანების გასტუმრება. სარემონტო სამუშაოები (უკვე მერამდენედ) ზაფხულში დაიწყება და საკუთარი ენერგომამების მიერ შექმული-გამოხრული „ლეგენდარული" მე-9 ბლოკი... ოქტომბერში ამუშავდება. მაგრამ სქოული რა ამერიკელი იქნებოდა, წმინდა ამერიკული პრაგმატიზმით არ მისდგომოდა ამ „ახალ საქმეს". მან თბილსრესის მხოლოდ 165 თანამშრომელი დაიქირავა, დანარჩენებს კი კომპენსაცია მისცა და კარისაკენ მიუთითა, ანუ უმუშევრად დატოვა, თუმცა 5 თვის ხელფასები მაინც გადაუხადა გათავისუფლებულთ!

## გამძაფრდა კოოპერატიული ვნებათაღელვანი

კოოპერატიული ბინათმშენებლობის მეთაურთაგან მოტყუებულმა და გაძარცულმა მოქალაქეების დიდმა ჯგუფმა, რომელმაც ბიუჯეტით გათვალისწინებული კუთვნილი თანხები ვერა და ვერ მიიღო, შეძახილით — „დაგვიბრუნეთ ჩვენი ფული ან მოგვეცით ბინა!" — შტურმი მიიტანა მინერალების კვლევითი ინსტიტუტის შენობაზე და ადგილობრივ პერსონალთან გამართული წეწვა-გლეჯის შემდეგ შენობის დროებითი ოკუპაციაც მოახდინა. მაგრამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ თავგანწირული წინააღმდეგობით შეძლო თავდამსხმელთა ფოიეში ჩამორეკვა და ძირითადი შესასვლელის დადუღაბება. თავდამსხმელები, რომელთა უმრავლესობა ქალბატონია, სწორედ ფოიეში აგრძელებდა საპროტესტო აქციას, თანამშრომლები კი უკანა კარით სარგებლობდნენ, რა თქმა უნდა, მალულად.

## გაქცევა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან

ფოთში მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაიქცა ოთხი ავადმყოფი, რომლებიც მძიმე დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი. ფეხზე დადგა ყველა — დაწყებული ძალოვნებითა და დამთავრებული მედპერსონალით, რათა დროულად მოეხდინათ გია ტყემალაძის, გელა სურმავას, ზურაბ ცუცქირიძისა და დავით შოშიაშვილის დაკავება-იზოლაცია, რათა „ფსიქიკური აშლილობის" ნიადაგზე კიდევ რაიმე უბედურება არ დაეტრიალებინათ. გაქცევამდე მათ იძულებითი მკურნალობის კურსს უტარებდნენ... საავადმყოფოს ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ „პაციენტებმა" ისარგებლეს უშუქობითა და თავსხმა წვიმით და სანამ გენერატორი ჩაირთვებოდა, მცველი სკამის ჩარტყმით გათიშეს და გაიქცნენ... გია ტყემალაძე რამდენიმე საათში გაქაჩეს და დააბრუნეს სამკურნალოდ... დანარჩენებს ეძებენ.

## „იტერამ" შესაძლოა გაზის მოწოდება შეწყვიტოს

საფასურის გადაუხდელობის გამო რუსეთმა უკვე მერამდენედ მკვეთრად შეამცირა ბუნებრივი გაზის მოწოდება საქართველოში. ჩუბაისსა და ვიახირევს შორის ამტყდარი სკანდალი საქართველოსაც შეეხო და საკმაოდ მძაფრადაც. „იტერა" საქართველოსაგან კატეგორიულად მოითხოვს დავალიანების დაფარვას, შესაბამისად, გაზის ინკასატორებმა დაიწყეს მორიგი ეგზეკუცია მოსახლეობაში და ურჩ გადამხდელთათვის გაზის მილების გადაჭრა. ბუნებრივია, უხელფასო ადამიანები ვერაფრით დაფარავენ დავალიანებას, მაგრამ ეს არ აღელვებთ არც თბილგაზის წარმომადგენლებს და არც, მით უმეტეს, ჩუბაისს. პირველი დარტყმა სპეციალურმა ბრიგადებმა ნაძალადევისა და გლდანის მოსახლეობის მიმართულებით განახორციელეს! „იტერას" განცხადებით, საქართველოს მთავრობას მისი 70 მლნ დოლარი მართებს! საქართველოს მთავრობა გაიძახის, რომ გრაფიკის შესაბამისად ისტუმრებს ამ დავალიანებას, „იტერა" კი ირწმუნება, რომ ჯერ ეს გრაფიკიც არ არის შედგენილი და გაზის მოწოდებაც შეიძლება დღე-დღეზე შეწყვიტონ.

## შიმშილობის კიდევ ერთი ახალი ფაქტი

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის შენობაში საშიმშილოდ დაჯდა ფირმა „უშბას" გენერალური დირექტორი გოჩა ფიფია. იქვე მდებარეობს მისი ფირმაც. საგულისხმოა, რომ ჯერჯერობით ფიფია არ ასახელებს კონკრეტულ მიზეზებს, რამაც აიძულა მიემართა შიმშილისათვის(!), თუმცა ზოგადად იმას მაინც ამბობს, რომ აქციით სურს პროტესტი გამოხატოს ეკონომიკურ სფეროში არსებული განუკითხაობის გამო.

## დაზარალებულები ბრძოლას იწყებენ

ახლად არჩეული პრეზიდენტის და, შესაბამისად, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას აპირებენ ირაკლი წერეთელი და შალვა ნათელაშვილი. წერეთელი დღემდე ირწმუნება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხულიგნობის მუხლით არ უნდა აღეძრა საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც წერეთელი სცემეს — ეს იყო არა ხულიგნობა, არამედ აშკარად ტერორისტული თავდასხმაო. წერეთელი ძიების ამგვარ განვითარებას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევს და პასუხს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისაგან ითხოვს.

რაც შეეხება ნათელაშვილს, მან უკვე მერამდენედ ჩააყენა საქმის კურსში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები 31 ოქტომბრისა და 9 აპრილის არჩევნების შესახებ. მისი თქმით, წარდგენილ დოკუმენტაციას და არგუმენტებს ორივე არჩევნების ტოტალური გაყალბების თაობაზე, უცხოელი ექსპერტები გაგებით შეხვდნენ. ნათელაშვილი მოუწოდებს შევარდნაძეს არალეგიტიმურად გამოაცხადოს 9 აპრილის არჩევნების შედეგები და ხელახლა დანიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზე!

## კონტრაბანდამ არნახული მასშტაბები მიიღო

**(გაზეთი „მონდი")** „კონტრაბანდამ საქართველოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია — „იმპორტის" 80%. ეს უკანასკნელი წამლავს ურთიერთობას ცენტრსა და ავტონომიებს შორის, ხელს უწყობს კორუფციას და ხელ-ფეხს უკრავს ინვესტორებს. „კონტრაბანდა ყვავის, სახელმწიფო განიცდის სახსრების უქონლობას და ეს ყველაფერი ხდება საქართველოს ოფიციალურ პირთა მონაწილეობით, რომლებიც იცავენ კონტრაბანდისტებს", — აღშფოთებულია საქართველოში ამერიკის ვაჭრობის პალატის ხელმძღვანელი ფრედ ესლი.

## ოპოზიციას მთავრობაში არაფერი ესაქმება

**(გეა)** აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსალოდნელ სტრუქტურულ თუ საკადრო ცვლილებებზე ბოლო დროს პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ ხშირად საუბრობენ. ედუარდ შევარდნაძე არ გამორიცხავს, რომ მთავრობის ახალ შემადგენლობაში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ვიხილოთ.

საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების" წევრი ვახტანგ რაზმაძე მიიჩნევს, რომ ასეთ შემოთავაზებაზე უმჯობესი იქნება, თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები უარს იტყვიან. მისი აზრით, დღევანდელ ხელისუფლებას ძალიან ცოტა შანსი აქვს, სიტუაცია უკეთესობისაკენ შეცვალოს და ასეთ მთავრობაში საქმიანობა სახარბიელო არ უნდა იყოს.

„ერთი შეხედვით ამ ინიციატივაში ცუდი არაფერია, მაგრამ მე ვიცი ოპოზიციის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მათ არანაირი სურვილი არ აქვთ, იყვნენ მთავრობაში. უბრალო ჩინოვნიკად მუშაობა ყველას შეუძლია, ხოლო დიდ თანამდებობაზე ოპოზიციის წევრებს არავინ გაუშვებს", — განაცხადა ვახტანგ რაზმაძემ.

## საფეხბურთო ინციდენტი

**(ბლეძ სი პრესი)** თბილისის საფეხბურთო კლუბ „ვით-ჯორჯიას" ხელმძღვანელობა 14 აპრილს ბათუმის დინამოს ფანატების მიერ მიყენებულ ზარალს 4 ათას დოლარად აფასებს.

„ვით-ჯორჯია" არ გამორიცხავს, რომ თავდასხმა ორგანიზებული იყო, თუმცა ინციდენტს პოლიტიკას არ მიაწერს.

## აჭარის კონსტიტუციას ხუთ ენაზე გამოსცემენ

**(ბლეძ სი პრესი)** ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ მუშაობა დაასრულა აჭარის კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე. საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარემ გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია გამოცემული იქნება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულსა და გერმანულ ენებზე. 18 აპრილს პლენარულ სხდომაზე განხილული იქნება საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრის საკითხი.

## დააკავეს ჰეროინის რეალიზატორები

**(კავკას-პრესი)** 55,6 გრამი ჰეროინის რეალიზაციის ფაქტზე შიდა ქართლის პოლიციამ გორის რაიონის სოფელ კარალეთში დააკავა თბილისელი ზურაბ თედეევი და ვლადიკავკაზელი აღსარბეგ ელბაქიძე.

თედეევსა და ელბაქიძეს ხელზე 11,85 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდათ. დანარჩენი მათ სარეალიზაციოდ ჰქონდათ გამზადებული.

მიმდინარეობს დამატებითი ღონისძიებები ნარკოტიკების პირველწყაროს დასადგენად. სისხლის სამართლის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი იძიებს.



## ალიევმა ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას

პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქვეყანაში არსებულ კორუფციას. ამის მიზეზი შეიქნა ბოლო დროს მომხდარი სკანდალი, როცა ოთხმა უცხოურმა ავიაკომპანიამ შეწყვიტა რეისები ბაქოში და ბაქოდან. უცხოელთა განცხადებით, აეროპორტში მებაჟეები და მესაზღვრეები ქრთამს სძალავენ მგზავრებს, აყენებენ შეურაცხყოფას.

ალიევმა აღშფოთება გამოთქვა აღნიშნული ფაქტის გამო და მოუწოდა გენპროკურატურას, დააკავოს კორუფციაში ეჭვმიტანილი ყველა მოხელე.

## ლომმა ბავშვი დაგლიჯა

საზარელი ტრაგედია დატრიალდა ბრაზილიაში. ცირკში ლომების ატრაქციონის დროს, უამრავი მაყურებლის თვალწინ, ერთ-ერთმა ლომმა ექვსი წლის ბიჭუნა გალიაში შეათრია და სანამ ვინმე გონზე მოვიდოდა, დაგლიჯა. ბავშვს შესაჭმელად კიდევ ორი ლომი დასტრიალებდა. დაცვამ სამივე ლომი ადგილზე მოკლა, მაგრამ ბიჭუნას გადარჩენა ვერ შეძლეს. ტრაგედიის მიზეზად მაყურებელთა უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევას ასახელებენ, კერძოდ, გალიასა და მაყურებელს შორის დამცავი ღობე არ ყოფილა, თანაც ცირკის უსახსრობის გამო ლომები ოთხი დღის მშივრები ყოფილან.

## ჩეჩნები დევნილ ხელისუფლებას შექმნიან

**(კავკას-პრესი)** ჩეჩენ ბოევიკთა ლიდერები განაგრძობენ ურთიერთობას №1 ტერორისტთან უსამა ბენ ლადენთან, რომელიც ავღანეთში იმალება. ამ ქვეყანაში გადასაბარგებლად ემზადებიან ჩეჩენი ბოევიკები, რომელთაც მოძრაობა „თალიბანის" მხარდაჭერის იმედი აქვთ.

„ურთიერთობა დამყარდა ზოგიერთ ჩეჩენ ამბოხებულსა და რიგ ორგანიზაციებს შორის, რომელთაც მხარს უჭერს და აფინანსებს ბენ ლადენი", — განაცხადა გაზეთ „ვაშინგტონ თაიმსისადმი" მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა. დასავლელ ექსპერტთა განცხადებით, რომლებიც ახლახან ქაბულში იმყოფებოდნენ, ქალაქში დადის ხმები, რომ ჩეჩენ სეპარატისტებს ავღანეთში თალიბთა ნებართვით „დევნილი ხელისუფლების" შექმნა სურთ.

იმავე ექსპერტების მტკიცებით, ჩეჩენ ბოევიკებსა და ბენ ლადენს „აერთიანებთ დასავლეთისადმი სიძულვილი და ისლამურ სახელმწიფოთა გაერთიანების ოცნება".

## რუსეთმა რატიფიცირება მოახდინა

რუსეთის დუმამ რატიფიცირება გაუკეთა აშშ-სთან დადებულ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი ბირთვული იარაღის შემცირების თაობაზე. ეს ხელშეკრულება 1992 წელს დადეს ელცინმა და ბუშმა, რაც მსოფლიომ უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიქვა. ხელშეკრულების რატიფიცირებას ეწინააღმდეგებოდა კომუნისტთა ფრაქცია, თუმცა ამაოდ. 288 ხმით 131-ის წინააღმდეგ დუმამ დოკუმენტი მიიღო, რაშიც არცთუ უკანასკნელი როლი შეასრულა ვლადიმირ პუტინმა, რომელიც საგანგებოდ დაესწრო სხდომას და შთამბეჭდავი სიტყვითაც მოუწოდა დეპუტატებს, ხმა მიეცათ რატიფიცირებისათვის (ვრცლად იხ. გვ. 9).

## დააპატიმრეს სიცილიური მაფიის ლიდერი

**(რუსული პრესის მიხედვით)** მექსიკაში დააპატიმრეს სიცილიური მაფიის ლიდერი ჯუზეპე მონტანტი, რომელიც მართლმსაჯულებას 6 წლის მანძილზე ემალებოდა საკურორტო ქალაქ აკაპულკოში. დანაშაულებრივი ორგანიზაცია „სტიდას" 44 წლის ლიდერს რამდენიმე წელია ეძებდა ინტერპოლი. მას უამრავი დანაშაული ედება ბრალად, მათ შორის ყველაზე სკანდალური მოსამართლე როზარიო ლივანტინოს მკვლელობაა. 1996 წელს მონტანტის დაუსწრებლად მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა. დანაშაულებრივი ორგანიზაცია „სტიდა" „კოზა ნოსტრას" მეტოქეა და გავლენის სფეროსათვის მათ ბრძოლას უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება მსხვერპლად.

მონტანტი დაპატიმრებისთანავე გადააგზავნეს იტალიაში.

## ამოღებულია ძვირფასი თვლების დიდი პარტია

**(რუსული პრესის მიხედვით)** რფ ფედერალური უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომლის ძირითადი საქმიანობა ძვირფასი თვლების კონტრაბანდა იყო. დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი ისრაელის მოქალაქეა, სწორედ მისი მეშვეობით გადიოდა ალმასების მსხვილი პარტიები უცხოეთში. ისრაელის მოქალაქესთან დაკავშირებული რამდენიმე ფირმის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ალმასები, ბრილიანტები, ლალი და უდამლო იუველირული ნაკეთობანი.

# ჩვენ ვაკეთებთ თქვენს გაზეთს...



„კვირის პალიტრა" თითქმის სრული შემადგენლობით...

## პოლიტიკოსთა საპირველ... უჰ, უკაცრავად, საჩვიდმეტაპრილო სახუმარო მილოცვები „დიდების ზღაპრის" მოტივებზე



მოამზადა
მამუკა ხუციშვილმა

**ედუარდ შევარდნაძე** — მე მთელი სულით და გულით გილოცავთ ხუთი წლის იუბილეს და ვისურვებდი, რომ 50 წლისთავიც სულ „მალე" გადაგეხადოთ. ისე, არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ხანდახან ნამეტანი მწარედ იკბინებით და ამის გამო ხშირად მოგხვედრიათ კიდეც, მხედველობაში მაქვს თქვენი ფოტოკორესპონდენტის ცემის ფაქტი, თუ არ ვცდები გვარად აბდალაძეა, ნეტა გურული ხომ არ არის საწყალი... მაგრამ არა უშავს, უნდა აიტანოთ, ჯერჯერობით ასეთია ქართული დემოკრატია და რას ვიზამთ. ძალიან მინდა, რომ თქვენ იყოთ თქვენ, როგორც ახლა ხართ და არავის მიბაძოთ, პირიქით, როგორც იტყვიან ხოლმე, აქეთ მოგბაძონ სხვებმა. გისურვებთ, არასოდეს დაგეკარგოთ ობიექტურობა და ერთად მოვესწროთ იმ დღეს, როდესაც სალანძღავ-საგინებელი აღარავინ დაგვრჩება...

**ზურაბ ჟვანია** — ბატოო ედუარდ, ბატოო ედუარდ, შეილება მეც მივულოცო „კვირის პალიტრას" იუბილე?

**ე. შევარდნაძე** — მაცალე, ზურიკო, ცოტა ხანს... მე ჯერ არ დამიმთავრებია...

**ზ. ჟვანია** — არა, ბატოო ედუარდ, რა არი იცით, „კვირის პალიტრას" რომ ვკითხულობ, აი, სულ მაძაგძაგებს რა და აი, აი, ეხლაც დამეწყო და უკვე ველარ ვითმენ რა, ერთი სული მაქ, როდის მიულოცავ...

**ე. შევარდნაძე** — მაცალე, ზურიკო, და მერე იძაგძაგე რამდენიც გინდა... მე უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ რასაც დავპირდით ამ გაზეთის მკითხველებს, იმას აუცილებლად ავუსრულებთ... ვერ გეტყვით, რომ ეს მოხდება წელს, ან მომავალ წელს, ან თუნდაც ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ...



**ზ. ჟვანია** — უკაცრავად, ბატოო ედუარდ, თქვენ შელება გავიწყდებათ, მაგრამ ამ ხუთი წლის გამავლობაში მოგიგვარებთ ყველა პრობლემასო, ასე არ დაპირდით?

**ე. შევარდნაძე** — კი დავპირდით, ზურიკო, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ რომ ახალი პრეზიდენტი აირჩევა, შენ იქნები თუ სააკაშვილი, არა აქვს მნიშვნელობა, რაღაც ხომ უნდა დავუტოვო გასაკეთებელი? მომავალ პრეზიდენტსაც ხომ უნდა მივცეთ შანსი, რომ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს?

**ზ. ჟვანია** — მართაი ბძადებით, ბატოო ედუარდ, მაგრამ უმთავრესი საკითხები ხომ „კვირის პალიტრის" ათი წლისთავზე მოგვარებული იქნება? აი, მაგალითად, საბუჯეტო კრიზისი, პესიონერთა პრობლემა, ზამთრის დროზე და შემდეგ ისევ ზაფხულის დროზე გადასვლები ანუ საათის ისრების წინ და უკან გადაწევები...

**ე. შევარდნაძე** — კი ზურიკო, ეგენიც და კიდევ სხვებიც. ამ ხუთ წელიწადში მოგვარდება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მტერი ჯერ კიდევ ბევრი გვყავს და რაც მალე შემცირდება მათი რიცხვი, მით უფრო მეტ პრობლემას მოვაგვარებთ.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია** — კი მაგრამ, აქ რა ამბავია? რა ხდება?

**ზ. ჟვანია** — ეგ კოკა ყადიაშვილს ჰკითხე... რა ხდება და „კვირის პალიტრის" იუბილეა და ვულოცავთ...

**ი. სარიშვილი-ჭანტურია** — შეიძლება მეც მივულოცო?

**ზ. ჟვანია** — რიგში ჩადექი, ჯერ ჩემი ჯერია...

**ელენე თევდორაძე** — მეც რიგებში ჩავჯდე, ზურიკო?

**ზ. ჟვანია** — ქაბატოო ელენე, თქვენ ურიგოდ გაგიშვებთ, ოღონდ ჯერ მე ვიტყვი და მერე.

**ი. სარიშვილი-ჭანტურია** — კი მაგრამ, მე რომ მაგაზე ადრე მოვედი?

**ვახტანგ რჩეულიშვილი** — მეც ადრე მოვედი...

**ზ. ჟვანია** — ეხლა იძულებულს ნუ გამხდით, რომ მივიღო გააწყვეტილება და ჩავატარო კეჭისყრები... არ გააწყალეს გულები მართლა და მართლა... მოკლედ, „კვირის პალიტრას" ვულოცავ დაბადების დღეს და ვისურვებდი, რომ იგი მართლაც ქვეყნის პალიტრა ყოფილიყოს და ხალხის გულისტკივილი, როგორც ყოველთვის, ყველაზე დროულად და ოპერატიულად მოეტანოს ჩვენს ყურებამდე. მე ყოველ ორშაბათ დილას მოუთმენლად ველოდები და ერთი სული მაქ, როდის წავიკითხავ ახალ ნომერს... ზემოთაც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ როდესაც ამ გაზეთს ვკითხულობ ხან მაძაგძაგებს, ხან მაჟრიალებს და ხანაც მაცახცახებს, ზოგჯერ სასიამოვნოდ, ზოგჯერაც მტკივნეულად, მოკლედ ძაან მაგარი გაზეთია, რა და ვისურვებდი, რომ მუდამ ქართული პრესის ავანგარდში მდგარიყოს... ქაბატოო ელენე, ეხლა თქვენი ჯერია.

**ე. თევდორაძე** — მე ზურიკოს დიდ მადლობებს მოვუხდი, რომ გადმომეცა საშუალება ჩემი ყველაზე ლუბიმი გაზეთისთვის იუბილარობა მიმელოცა...

**ზ. ჟვანია** — პირიქით, ქაბატოო ელენე, მე თვითონ მალობთ...

**ე. თევდორაძე** — მოკლედ, ჩემო ზურიკო, „კვირის პალიტრას" მხოლოდ ერთს ვეტყოდი, რომ პრადალჟაიტე ვ ტომ ჟე დუხე და აგრეთვე მოვისურვებდი, რომ სულ მალე გამოეაშკარავებინოს ჩვენი კორუმპირებული ჩინოვნიკები და ჩვენ კი ისინი დაგვეჩიროს ციხეებში, ხოლო ვინც იქ არიან, ნახევრად უდანაშაულოები, ყველა გამოგვეშვას...

**ზ. ჟვანია** — მაგას ხომ უკვე აკეთებს „კვირის პალიტრა", ქაბატოო ელენე, და ძაან პირდაპირაც გვეუბნებიან, მაგრამ მე ურჩევ მათ, რომ ცოტა ირიბად შეგვაპარონ ხოლმე, თორე ხო ნახეთ აბდალაძე როგორ ცემეს, არა...

**ი. სარიშვილი-ჭანტურია** — ბოლოს და ბოლოს, ჩემი რიგი აღარ მოვიდა?

**ზ. ჟვანია** — ვაიმე, რა მოუთმენლობა შეეყარა ამ ქალს, ვერ გავიგე რა, უჰ... კარგი, თქვი აბა ერთი რა გინდა...

**ი. სარიშვილი-ჭანტურია** — მე მინდა ვთხოვო „კვირის პალიტრის" რედაქციას, რომ ანალიტიკოსი ჟურნალისტის ახალი შტატი დაუშვას და მე ამიყვანოს სამუშაოდ, მომწყინდა უმუშევრად ყოფნა... პარლამენტის ტრიბუნიდან ვერაფერი დავაკელი თარგამაძეს და იმედი მაქვს, რომ ამ გაზეთის საშუალებით მიზანს მივაღწევ. რაც შეეხება მილოცვას, ალბათ ამით უნდა დამეწყო, მაგრამ იმედი მაქვს მომიტევებენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო, ნათქვამია და ამიტომ ვულოცავ იუბილეს, ვუსურვებ მუდამ ოპოზიციაში ყოფნას...

**ზ. ჟვანია** — თქვენ არ მიულოცავდით ბატოო დავით? (დავით თევზაძეს).

**დავით თევზაძე** — კი.

**ზ. ჟვანია** — სულ ეს არის, ბატოო დავით?

**დ. თევზაძე** — კი.

**ზ. ჟვანია** — გასაგებია, ბატოო დავით, მალობთ.

**ვ. რჩეულიშვილი** — ჩემი ჯერი როდის მოვა?

**ზ. ჟვანია** — ბძანეთ, ბატოო ვახტანგ.

**ვ. რჩეულიშვილი** — მე რა მინდა გითხრათ, იცით, „კვირის პალიტრას" როგორც კი დავხედავ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ალკოჰოლის დიდი მოყვარული არ გახლავართ, რატომღაც სულ პოლიტრა მახსენდება, შემდეგ ბასეინები და გული ბაგაბუგს მიწყებს ხოლმე, თქვენც ასე მოგდით, არა, ბატონო ზურაბ?

**ლუიზა შაკიაშვილი** — მაიცა, კაცო, ერთი, რა ბაგაბუგი აგიტყდათ ამ გაგანია გაჭირვებაში. ხალხსა პურის ფული არა აქ და თქვენ კიდენა პოლიტრებზე ლაპარაკობთ...

**ზ. ჟვანია** — ქაბატოო ლუიზა, გთხოვთ დაიოკოთ ნერვები... რა შუაშია პოლიტრა, დღეს გაზეთ „კვირის პალიტრის" იუბილეა.

**ლ. შაკიაშვილი** — ხოო, ეგრე გეთქვათ, კაცო, მე რა ვიცი, „კვირის პალიტრა" ძალიან მიყვარს, მაგრამ იცით რა მიკვირს? რა საჭიროა ორი სათაური, მომკალი და მაინც ვერ გავიგე, რა...

**ზ. ჟვანია** — ეხლა ამას აუხსენი კიდე, რა... თქვენ არ მიულოცავთ, მისტერ ბილ?

**ბილ კლინტონი** — ოუ, იეს... მე ხშირად მიკითხავს თქვენს გაზეთს ჩემი მეგობარი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი და მინდა გითხრათ, რომ ით იზ ვერი, ვერი გუუდ ნიუზფეიფერ...

**მედეა მეზვრიშვილი** — კაცო, ეს ამერიკელები როგორ ზრდილობიანად იტყუებიან ხოლმე, სად ჯანდაბაში იციან როგორია „კვირის პალიტრა", ჯონ-მალხაზამ ქართული თავისთვინ არ იცის და ამას როგორ უთარგმნის ნეტა... მთელ კახეთსა ეს გაზეთი ძაან უყვარს, მაგრამ მე არა. იმიტო რომა ჩემზე და სხვა კახელ გამგებლებზე ცუდ რაღაცებსა სწერენ ხოლმე...

**ე. შევარდნაძე** — მედიკო, როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი, „კვირის პალიტრას" ყველგან კითხულობენ, ამერიკაშიც და კახეთშიც. რაც შეეხება სიყვარულს, არც მე მომწონს ხოლმე რაღაც-რაღაცები, მაგრამ ჩვენ ხომ დემოკრატიას ვაშენებთ და ამიტომ განსხვავებული აზრის, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს, მოსმენა უნდა შეგვეძლოს. სხვაგვარად წინ ვერ წავალთ, ასე რომ, გაზეთი მიუხედავად თავისი მწვავე და რადიკალური პუბლიკაციებისა, მაინც დადებითად უნდა დავახასიათოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იუბილეზე მოსაწვევებს აღარ გამოგვიგზავნიან...

**ზ. ჟვანია** — ბატოო ედუარდ, აი, ხომ გეუბნებოდით, ასეთი ადამიანები ბევრ უბედურებას გადაგვყრიან და მოვიშოროთ-მეთქი, მაგრამ თქვენ არ მიჯერებდით. ეხლა „კვირის პალიტრამ" რომ იუბილეზე არ დაგვპატიჟოს ეს ხომ ქაბატონ მედეას ბრალი იქნება, არა?

**ე. შევარდნაძე** — არა უშავს, ზურიკო, ეხლა თუ არა, ათ წლისთავზე მაინც დაგვპატიჟებენ. მანამდე ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედოთ და ისე აგვეყვავებინოს საქართველო, რომ „კვირის პალიტრა" ოპოზიციაში აღარ მდგარიყოს.

**მიხეილ სააკაშვილი** — მე მინდა, რომ „კვირის პალიტრა" ყოველ ნომერში წერდეს ჩემთან ინტერვიუს...

**ზ. ჟვანია** — მეც მინდა, რომ ყველა ნომერი ჩემი ფოტოებით იყოს აჭრელებული.

**ნიკო ლეკიშვილი** — მე მინდა მქონდეს ბევრი ფული და ყოველთვის ვყიდულებდე „კვირის პალიტრას".

**ვ. რჩეულიშვილი** — მე მინდა, რომ ჩემი სურათები ფოტოპალიტრაში მაინც იბეჭდებოდეს.

**(ყველა ერთად)** — ჩვენ უბრალოდ გვინდა, „კვირის პალიტრა".



# კონცერტი „ოლიმპიაში“ ქართულმა სიმღერამ და უხუცესმა ქართველმა ლოტბარმა გახსნა
## — 60 ლარით ჯიბეში შემოვიარე პარიზი...



მოამზადა
რუსუდან მიქენაიამ

დღეს ჩვენს ყოფაში შემოჭრილი ნაკლებესთეტიკური „ახალი მუსიკა“ ხშირად არაფრის მომცემია და ვხვდებით, რომ არსებობს მარადიული ღირებულება — ხალხური სიმღერა. მას, მადლობა ღმერთს, თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული მსოფლიოში. ჩვენი მონათხრობიც ამის დასტური გახლავთ.

ახლახან საფრანგეთიდან დაბრუნდა ცნობილი ლოტბარი, 76 წლის პოლიკარპე ხუბულავა. მხცოვანი ხელოვანი პარიზში ერთი თვით მიიწვიეს ქართული ანსამბლის, „მარანის“ წევრებმა და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, „მარანი“, პოლიკარპე ხუბულავას ხელმძღვანელობით, წარუდგა ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზ „ოლიმპიას“ 6.000 მსმენელს. ამას ქართული ხალხური სიმღერის ჭეშმარიტი აღიარება ჰქვია.

— ერთ მშვენიერ დღეს რეპეტიციიდან შინ დაბრუნებულს ამბავი დამახვედრეს, — საფრანგეთის საელჩოდან გაუწყეს, პარიზში ხართ მიწვეულიო. ჩემთვის ხომ მოულოდნელი იყო, მაგრამ საფრანგეთის საელჩოც დაეჭვებულა, რაღა ამ ხანდაზმულს იწვევენო. პარიზს დაუკავშირდნენ თურმე. დაუდასტურებიათ, — სწორედ მოხუცი პოლიკარპე ხუბულავა გვჭირდება და გამომგზავრება თუ შეუძლიაო... ამ საქმის ინიციატორი ასოციაცია „მარანი“ გახლდათ... მოკლედ, სასწრაფოდ გავამზადე საბუთები. ბილეთი პარიზიდან გამომიგზავნეს — ყვება ბატონი პოლიკარპე.

პარიზთან შეხვედრა საკმაოდ კურიოზულად დაიწყო. ბუნებრივია, უნდა დამხვედროდნენ, მაგრამ აეროდრომზე ერთმანეთს ავცდით და ეს ფრანგულის უცოდინარი კაცი უცხო ქვეყანაში აღმოვჩნდი, ვფიქრობ, რა უნდა ვქნა-მეთქი. ამასობაში ჩემი დაკარგვის გამო განგაში ატეხილა თბილისსა და პარიზში. ის იყო, პოლიციელს მივმართე და მოწვევის საბუთი ვაჩვენე, რომ მაღალმა ახალგაზრდა კაცმა მომმართა, პოლიკარპე ხომ არ ხარო... კი, ბატონო-მეთქი, — გამეხარდა. იმანაც შვებით ამოისუნთქა: ო, პოლილარფ, პოლილარფო — და მთავარი მასპინძლის, „მარანის“ ხელმძღვანელის ფრენკ კეინის ოჯახში წავედით.

გაირკვა, რომ ფრენკს 12 წლის წინ, საქართველოში ყოფნის დროს, სხვებთან ერთად ჩემი სიმღერაც ჩაუწერია. იქვე მომასმენინა „შენ ხარ ვენახის“ უძველესი ვარიანტი, რომელიც მამაჩემისგან (ისიც ლოტბარი იყო) ვიცოდი. ფრენკ კეინს ანსამბლი ჩამოუყალიბებია და ქართული სახელი „მარანი“ დაურქმევია. ჩემამდე პარიზში მიწვეული ჰყოლიათ სვანური სიმღერების შესასწავლად ისაკ ფილფანი, გურულისა — ტრისტან სიხარულიძე.

პირველ რიგში რესტორანში დამპატიჟეს, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად ის მაინტერესებდა, რისთვის მიმიწვიეს, ან თავად რა შეეძლოთ. არ დაგიმალავთ და, ამაყად მეჭირა თავი. მიმღერეთ-მეთქი, ვთხოვე... ერთმანეთს გადაუჩურჩულეს და „ხასანბეგურა“ წამოიწყეს. ეს ურთულესი სიმღერა, რომლის შესრულება გურულებსაც უჭირთ, მშვენივრად ჩააკრიმანჭულეს. ამას „ალიფაშა“ მიაყოლეს, შემდეგ გამართულად „მა დო ჩქიმი არაბა“ იმღერეს, „ოჩეშხვეიც“ არ დავიწყებიათ და ამან, ცოტა არ იყოს, დამაბნია. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რა უნდა ვასწავლო-მეთქი. გადავწყვიტე, ისინი „დამეჭირა“ 12 წლის წინ ჩაწერილი სიმღერებით, ეს იყო „შენ ხარ ვენახის“ უძველესი ვარიანტი, გურული სიმღერების ახალი ვარიანტებიც ვაჩვენე, ვგრძნობდი, აშკარად მოინუსხნენ. „მარანი“ პარიზის გრანდიოზულ „ოლიმპიაში“ კონცერტისთვის ემზადებოდა, და მითხრეს, თუკი მოვხვდით, ეს შენი დამსახურება იქნებაო.

„ოლიმპია“ წელიწადში ორჯერ იხსნება და 6.000 მსმენელის წინაშე გამოსვლა ისედაც სენსაციაა. რეპეტიციებს ყოველდღე გავდიოდით, ახალ სიმღერებს ვსწავლობდით. თურმე აქ ასეთი წესი ყოფილა — გუნდს კონცერტზე ის ხელმძღვანელობს, ვინც სიმღერებს ასწავლის.

„ოლიმპიაში“ კონცერტი „მარანმა“ გახსნა და 12 მომღერალს მეცამეტედ მე ვახლდი ჩემი ჩონგურით ხელში... ევროპის მრავალ საკონცერტო დარბაზში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი სცენა არსად მინახავს. ერთი პირობა, სუნთქვა შემეკრა, მაგრამ, „ჩემი ბიჭების“ იმედი მქონდა, „ჩელას“ სიმღერისას 6.000 მსმენელის ტაშმა იქუხა... ჩემ სამშობლოსა და იმ ერთიორ ქართველზე ვფიქრობდი, ვინც იმ წუთს ქართული ჰანგებით მონუსხულ „ოლიმპიას“ დარბაზში იჯდა. ერთი ასეთი ქართველი ჩვენი რეჟისორი რეზო გაბრიაძე იყო. წინა დღეს ქუჩაში ქართულ საუბარს მოვკარი ყური... რომ ვუთხარი, ხვალ „ოლიმპიაში“ კონცერტი მაქვს-მეთქი, მანამ არ დამიჯერეს, სანამ „მარანის“ მომღერლებმა არ დაუდასტურეს...

„ოლიმპიაში“ 7 სიმღერა შევასრულეთ: 15-20 წუთი სცენა „დაპყრობილი“ გვქონდა, დარბაზი კი ტაშს უხვად გვიძლვნიდა, სცენიდან არ გვიშვებდნენ. კულისებში რეზო გაბრიაძე გადამეხვია, აცრემლებული იყო, ლამის მეც ამატირა... ფინალში ისევ „მარანი“ იყო სცენაზე.

შენ რომ ქართველი იყავი, იმიტომ გაგვახსნევინეს კონცერტიო, — მადლობას მიხდიდნენ მომღერლები. კონცერტის 120 მონაწილე რესტორანში წაგვიყვანეს, სადაც მთელი საღამო თითქმის ქართულ სიმღერას ითხოვდნენ...

მაგრამ წესი წესია და ფრანგებმაც არ დაარღვიეს იგი. მათ კიდევ ერთხელ, კომისიასთან ერთად უნდა ენახათ, ვინ იყო მასწავლებლად მოწვეული მოხუცი პოლიკარპე, მით უმეტეს, რომ ვინც „ოლიმპიაში“ გამოდის, ყველა პროფესიონალად და სახალხო არტისტად არის მიჩნეული.

კომისიის 15 წევრს, მათ შორის ინგლისელ კომპოზიტორს, წინასწარ გადაწერილი ტექსტებით საათ-ნახევარში 3 სიმღერა ვასწავლე. სასწაულებრივად შეითვისეს „მახარია, ნანა“, „მაგნოლია“...

ფრიადი „მივიღე“!

ასე დამთავრდა ჩემი ვიზიტი და მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ 60 ლარით გავემგზავრე საქართველოდან. იქ ერთი ცენტიც არ დამხარჯვია, „მარანმა“ მთელი პარიზი მომატარა... წინასწარ კი ვიყავი გაფრთხილებული, მაგრამ ბაყაყის ხორცი მაინც „გამეპარა“... ერთხელ, მანქანებით გაჭედილ ქუჩებს მოტოციკლეტითაც შემოვუარე. გულში ვფიქრობდი: პოლი, რამე რომ დაგემართოს, როგორ უნდა თქვან, ბებერი პოლიკარპე ორბორბლიანი მოტოციკლით პარიზში სეირნობისას დაშავდაო...

გამომგზავრების წინ, რეგისტრაციამდე ფრენკმა კონვერტი გადმომცა, რომელშიც 900 დოლარი იდო. აქედან ნაწილი თვალის ოპერაციისთვის მაქვს გადანახული. პარიზის შთაბეჭდილებები დიდხანს გამყვება, თავს ქართულ გარემოცვაში ვგრძნობდი. ფრენკი მშვენივრად საუბრობს და წერს ქართულად, სხვანაირად ის ვერც ქართულ ხალხურ სიმღერას ჩასწვდებოდა.



ჯერ მარტო ანსამბლის სახელწოდება „მარანი“ ნახეთ. თითქოს ქართველებს გამოგვრჩა და გამოგვეპარა მისი დატვირთვა. თურმე ერთი მოხუცი გურულისგან გაუგია — ქვევრი, ღვინო, მარანი. შემდეგ მეგრულ სიმღერაში დააფიქსირა: „გეფშვათ ღვინო მარანიში“... (დავლიოთ მარნის ღვინო). მარანი ზოგადქართულია, კრავს კახეთს, გურიას, სამეგრელოს და ყველა ქართველს. პირველად რომ გავიგე, პარიზში არსებობს ანსამბლი სახელწოდებით „მარანი“ და უძველესი ქართული სიმღერების პოპულარიზებას ეწევაო, თითქოს მეორედ დავიბადე ამ ასაკის კაცი...



მოამზადა
ფირუზ ფურცელაძემ

შარშან, ჩვენი გაზეთის საშუალებით მკითხველი ძაღლის ხორცის მჭამელთა თელავურ თავგადასავლებს როცა ეცნობოდა, ალბათ ფიქრობდა, რომ ეს ჩვენი ყოფის პათოლოგიური გამონაკლისი გახლდათ. ასე გვეგონა ჩვენც, მაგრამ...

გასულ კვირას, გურჯაანში, გიორგი ქ-ს ოჯახიდან წმინდა სისხლის პოინტერი დაიკარგა. 4-5 დღის შემდეგ კი, როცა ოჯახის წევრებმა ძაღლის დაკარგვის თაობაზე განაცხადეს და მპოვნელს დასაჩუქრებას დაჰპირდნენ, ერთ-ერთი უბნის ბიჭები იმ პოინტერის ჩახოხბილით ყელს იკოკლოზინებდნენ.

როგორც ამ „საქმის“ მოთავე, 33 წლის სოსო სიმონიშვილი ამბობს, ეს ნაბიჯი მას გაჭირვებამ გადაადგმევინა (თუმცა ამ დროს თავისი ოჯახის წევრებსა და მცირეწლოვან ვაჟზე სულაც არ უფიქრია). სოსომ ძაღლი ნაჯახით დაკლა, გაატყავა და მეზობლის ოჯახში კერძი საგულდაგულოდ მოამზადა. შემდეგ მეგობრებიც მოიპატიჟა და კულინარიის შედევრი პირველად თვითონ დააჭაშნიკა. მოწვეულთაგან ზოგმა იცოდა, ზოგმაც შემდეგლა გაიგო, რას მიირთმევდა, თუმცა საქციელი არავის უნანია.

თანამეინახენი, როგორც მეგობრები ამბობენ, ყოველდღე „ბირჟაზე“ იღებენ განრიგს და ყოველცისმარე დასალევისა და „ზაკუსკის“ ძებნაში არიან. ამდენად, იმ რომანტიკული დღის „დელიკატესი“ სადილი უდავოდ გამორჩეული აღმოჩნდა. მანამდე კი, თვითმხილველთა თქმით, პოინტერი რამდენიმე დღის დამწყვდეული ჰყავდათ (ალბათ ასუქებდნენ!), რომელიც, სოსო სიმონიშვილს თუ ვერწმუნებით, ქუჩაში იპოვეს.




სხვათა შორის, ამ ამბის მთავარ გმირს, პირველად ჯარში გაუსინჯავს ძაღლის ხორცი და მას შემდეგ, ჩანს, მისი ნატვრა არ ასვენებდა. ერთმა მეზობელმა ეჭვიც კი გამოთქვა, რომ ეს შემთხვევა ამ უბანში პირველი არ უნდა ყოფილიყო. მეორემ მოწმეც მოიყვანა, რომელმაც დაინახა, ღობესთან მიგდებულ მკვდარ ძაღლს ამ ამბის ერთ-ერთი მონაწილე ბეჭს როგორ აჭრიდა.

ლეშის ნარჩენები კი დღესაც იქ ყრია... პოლიციამ სოსო სიმონიშვილი დააკავა. თუმცა სამართალდამცავნი ამბობენ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით ამდაგვარი ქმედება დანაშაულად არ კვალიფიცირდება და „ძაღლისმჭამელმა“ შეიძლება მხოლოდ მისი ქურდობისთვის აგოს პასუხი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ცხოველი მართლაც მოპარულია. მანამდე კი სხვა (და, ალბათ უფრო დიდი) საშიშროებაც ელით ადამიანის მეგობრის კერძის ორგანიზებულ მჭამელებს. ცნობილია, რომ ძაღლი, სხვადასხვა სახის სპეციფიკური დაავადებით სნეულდება, რომელთაგან ბევრი ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია. არავინ იცის, რით იყო დაავადებული ძაღლი და როდის შეიძლება გამოაჩნდეთ იგი ქართული ეროვნული რაციონის რეფორმატორებს. ახლა კი, მთელი ქალაქი, როგორც კეთროვანებისკენ, ისე იშვერს თითს მათკენ და აღშფოთებას ვერ მალავს აქამდე გაუგონარი სადიზმისა და ზნედაცემულობის გამო. მაგრამ სულ სხვა გრძნობამ დაზაფრა და გააოგნა ისინი, დაკავებული შვილის სანახავად პოლიციაში მიმავალი თვალცრემლიანი დედის გოდებას რომ ისმენდა:

„რად მინდა, რომ ცოცხალი ვარ და ამ უბედურებას მოვესწარი... ძაღლისმჭამელის დედა უნდა მერქვას მე?

აკი მიგრძნო გულმა, გუშინ ნაჯახით ხელში რომ დავინახე...

ნასვამი იყო. სად მიხვალ, ბიჭო. რად გინდა ცული-მეთქი... არაფერი მიპასუხა, დაუმიწდეს მაგას პირი...

რა წვალებით და შავი დღით გავზარდე. უკან ვდევდი, ჭკუა მაინც ვერ ვასწავლე. დაალევინებენ ორ ჭიქას და ყველა თავის დაკრულზე ათამაშებს.

...პირველად რომ დაიჭირეს, მაშინაც ეგრე იყო.

აბა, როგორ გავამართლებ, ჭკუა მაგას არ უჭრის...

ლოთობამ უარესი უყო... თურმე მკვლელი გამიზრდია, აგრემც მოვკვდები! რა მნიშვნელობა აქვს, ვის მოკლავს, ძაღლსა თუ კაცსა?!

...იმ უენო ცხოველმა რა დაუშავა განა ისეთი, ამხელა ბოროტება რომ ჩაადენინა...

როგორ მივიდე იმათთან, როგორ მოვუხადო ბოდიში, როგორ მივუსამძიმრო, აგრემც ეს მომკვდომია“...

P.S. ძაღლისმჭამელის დედა მოსთქვამს საკუთარი შვილის დალაჩრებისა და ზნეობრივი გადაგვარების გამო. დღევანდელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გადაგვარების მიზეზი, გვინდა თუ არა, ამის აღიარება, მაინც ობიექტური რეალობაა, რომელშიც ყოფიერების უამრავი მავნე ბაცილაა გავრცელებული. ეს ბაცილები კი უფრო იოლად საზოგადოების სნეულ ორგანიზმში აღწევს. შემთხვევითი არ არის, რომ ზემოთ მოთხრობილი ამბის „გმირებიდან“ თითქმის ყველა საბჭოთა ჯართან, ციხესთან და, ცხადია, დღევანდელ სოციალურ სილატაკესთან არიან წილნაყარნი. ეს „სამება“ ყველაზე შესაფერის გარემოს ქმნიდა და ქმნის საზოგადოებრივ სნეულებათა გასავრცელებლად და ყველაზე სამწუხაროა, რომ ჩვენც უნდა ველოდეთ ამ სენით დაინფიცირებულთა მემკვიდრეებს. ისე, როგორც დღესაც, ნახევარი საუკუნის შემდეგაც, ჩნდებიან „ჰიროსიმისა და ნაგასაკის ატომის“ მსხვერპლნი.

ეს ერთეული შემთხვევები კი სერიოზული ჩაფიქრებისთვის უნდა გამოვიყენოთ, რათა ყველამ ერთად შევძლოთ ამ „რადიაციულ“ დაავადებათა გავრცელების შეჩერება.

# ჯავახეთში ჩასულ შევარდნაძეს ხელფასებთან ერთად... ავტონომიაც მოსთხოვეს...

თბილისსა და ბათუმს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დაფიქსირების შესახებ, რომლის მოდელმაც, შევარდნაძის თქმით, შეიძლება დააინტერესოს სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი და ამით ხელი შეუწყოს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს, ჩვენს ისთებლიშმენტში დაბადა ერთგვარი ეჭვი: ხომ არ მისცემს საბაბს ეს ფაქტი საქართველოს გარკვეული რეგიონების დაინტერესებულ ძალებს, ანალოგიური მოთხოვნა და პრეტენზია წამოუყენონ ცენტრს?! რა თქმა უნდა, ამ რეგიონებში, კახეთი და რაჭა არ იგულისხმება, არამედ, ლაპარაკია უწინარესად, ჯავახეთზე (სხვათა შორის, ახლახან ჩვენი ოპერის თეატრში პრეზიდენტმა ალიევმაც საქართველოში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელები მოიხსენია, როგორც „საკუთარ მიწა-წყალზე მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობა(!)“), რასაც დამსწრე საზოგადოების მხრიდან ტაში მოჰყვა! ბაქო-ჯეიჰანის პროექტით და ტარიფების თაობაზე ალიევის მიერ საქართველოს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებით აღტკინებულმა და აცუნდრუკებულმა ჩვენმა ისთებლიშმენტმა ყურებში გაატარა „საკითხი“ აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელთა „აბორიგენობის“ შესახებ (ეს სხვა თემაა და „კვირის პალიტრა“ საჭიროებისამებრ მას მომავალში დაუბრუნდება....), ახლა კი არსებითის შესახებ:

დიახ, გვინდა თუ არ გვინდა, ჯავახეთი და იქაური პრობლემები, უწინარესად, ადგილობრივ სომხურ ორგანიზაციათა ე.წ. პრეტენზიები კვლავ და კვლავ გვახსენებს თავს და მიუხედავად ოფიციალური ერევნის არაერთგზისი განცხადებისა, რომ ჯავახეთის პრობლემები საქართველოს საშინაო საქმეა და მისი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, სამწუხაროდ, ჯავახეთში დღემდე მოქმედებენ ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა პრობლემის სპეკულირებით სულ უფრო ხშირად აყენებენ საკითხს ჯავახეთის, როგორც ავტონომიური სუბიექტის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. საგულისხმოა, რომ ახლახან წინასაარჩევნო აგიტაციის მისიით იქ ჩასულ შევარდნაძეს, სომხური, ორგანიზაცია „ვირქის“ აქტივისტებმა ლოზუნგები და ტრანსპარანტები შეაგებეს ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნით, თანაც ისეთი ავტონომიისა, როგორიც... აჭარას აქვს(!). ანალოგიური ლოზუნგები ახალქალაქის ქუჩებში გამოიტანეს ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ შევარდნაძე-ლევონ ტერ-პეტროსიანის ჩასვლა-შეხვედრებისას. მართალია, ამ საკითხს თბილისი და ერევანი, ერთი შეხედვით, სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მაგრამ, საუბედუროდ, არც იმის სრული გარანტია არსებობს, რომ გარეშე დაინტერესებული ძალები არ შეეცადონ იქ რაიმე პროვოკაციების აგორებას. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ამ დღეებში სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გიგლა ბარამიძემ უპრეცედენტო განცხადება გააკეთა, რომელშიც ფაქტობრივად, დაემუქრა ზემოთ აღნიშნული სომხური ორგანიზაციების აქტივისტებს, გონს მოეგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ბარამიძის თქმითვე, მათ იგივე ბედი მოელით, რაც წინამორბედ სომხურ ორგანიზაციებს, რომლებიც ანალოგიური ანტიქართული ლოზუნგებით გამოდიოდნენ თავის დროზე...

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ნათქვამი და ქვემოთ თქმულიც სულაც არ ისახავს მიზნად, იოტისოდენა ჩრდილი მიადგეს საქართველო-სომხეთის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას. საქმე ის არის, რომ თავად სომხეთში მიმდინარე პროცესები იძლევა გარკვეული ანალიზისა და დასკვნების გამოტანის საბაბს, ხოლო ეს პროცესები რომ მართლაც რთული და არაპროგნოზირებადია, ამას შემდგომი ფაქტებიც ადასტურებს:

დავიწყოთ იმით, რომ დღეს პრეზიდენტი ქოჩარიანი და მისი ხელისუფლება ძირითადად ეყრდნობა პარტია დაშნაკ-ციუტუნს, რომლის მხარდაჭერამაც განაპირობა საპრეზიდენტო არჩევნებში ქოჩარიანის გამარჯვება.

(გაგრძელება გვ. იხ. 6)



*რუბრიკას უძღვება*

**ზურაბ მჭედლიშვილი**

*როგორც წესი, ნებისმიერ იუბილეზე მიღებულია, რომ მხოლოდ კარგსა და სასიამოვნოზე იყოს საუბარი; მაგრამ, სამწუხაროდ, თვით ჩვენი გაზეთის არსებობის ხუთი წლისთავის მოკრძალებული იუბილეს დღეებშიც კი, მკითხველს სასიამოვნოს ვერაფერს მოვახსენებ...*

*მაშ, ასე. საქართველოში დამთავრდა საარჩევნო „მარათონი" და ახლა საქმე საჩივრების განხილვაზეა მიმდგარი, თუმცა საეჭვოა, ამით რაიმეს მიაღწიონ დაშლილ-გაუბედურებულმა ოპოზიციურმა ძალებმა... მაგრამ ვერც გამარჯვებულნი დაიტრაბახებენ რაიმე არსებითი მიღწევით (გამონაკლისს თბილისსა და ბათუმს შორის დაზავების ფაქტი წარმოადგენს...). ხელისუფლებამ და შევარდნაძის მხარდამჭერებმა უკვე მიულოცეს პრეზიდენტს გამარჯვება და საგანგებო თავყრილობაზე სულ პროცენტ-პროცენტ ჩააბარეს ანგარიში წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების შედეგების შესახებ, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ჩემი დაკვირვებით, ბატონ პრეზიდენტზე ამ „ანგარიშს" არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და გავრცელებული ინფორმაციის — პრეზიდენტი კარგ გუნებაზეაო — საწინააღმდეგოდ, საამისო არაფერი ეტყობოდა. პირიქით: ასეთი ჩაფიქრებული და მოღუშული პრეზიდენტი კარგა ხანია აღარ მინახავს. დიახ, ვის-ვის და, მას ხომ შესანიშნავად მოეხსენება, თუ როგორი „აქტიურობა" იყო არჩევნებზე, ან ელექტორატის რამდენმა პროცენტმა ჩაუშვა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში! სახელდება სხვადასხვა ციფრები — 40-47-57%; მაგრამ ის, რომ თითქოს 77-80%-მა მიიღო მონაწილეობა, მგონი, თვით „შევარდნაძის მხარდამჭერებსაც" აღარ სჯერათ. ამიტომ, ვფიქრობ, ნამდვილად არ სჭირდებოდა ნამდვილად უალტერნატივო ყოფილ კანდიდატს და უკვე პრეზიდენტს ისეთი შოუს გამართვა, როგორიც „შევარდნაძის მხარდამჭერთა" თავყრილობა იყო. ეფექტი სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა და კმაყოფილნი მხოლოდ ამ არჩევნების შედეგების უშუალო „შემოქმედნი" დარჩნენ... სხვათა შორის, ბევრი ფაქტიც გაცხადდა, კერძოდ ის, რომ თურმე შევარდნაძის საარჩევნო კამპანიაში 80 ათასზე მეტი ადამიანი ყოფილა ჩაბმული(!), რომ 4.500 დარბაისელი მანდილოსანი თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ფოთში კარდაკარ დადიოდა და მათი აგიტაციის შედეგად პრეზიდენტზე განაწყენებულ ბევრ ოჯახს „შეუცვლია" პოზიცია, რა თქმა უნდა, შევარდნაძის სასარგებლოდ და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილებაც დამრჩა, რომ ეს ხალხი ერთგვარად ამადლიდა კიდეც პრეზიდენტს მისი გამარჯვებისთვის „დაღვრილ ოფლს" და სამომავლოდ რაღაც სამაგიეროსაც მოითხოვდა მისგან... ეს სამაგიეროც უმალ გაცხადდა: მალე დიდი წმენდა უნდა დაიწყოს ხელისუფლებაში და განსაკუთრებით აქტიური „მხარდამჭერნი", ბუნებრივია, ადგილებზე უნდა დარჩნენ, ყოველ შემთხვევაში, ისინი საამისო გარანტიას ელიან პრეზიდენტისგან. ასე რომ, პრეზიდენტის უგუნებობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ესეც იყოს. ამასთან, პრეზიდენტის დაპირებისამებრ, უნდა დაიწყოს ბრძოლა კორუფციასთან, მაგრამ საქმეც ის არის, თუ ვინ და როგორ უნდა აღმოფხვრას კორუფცია, როცა იმავე თავყრილობაზე დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა სწორედ ამ სახელისუფლებო რვაფეხას თუ რვაფეხათა ბოსები წარმოადგენდნენ?! ამიტომ, ვფიქრობ, სიმართლესთან უფრო ახლოს დგას ჩემი დღევანდელი რესპონდენტის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, პოლიტოლოგ* ***აკაკი ყულიჯანიშვილის*** *მიერ „კვირის პალიტრაში" ადრე გამოთქმული პროგნოზი, რომ მომავალი ხუთი წელი საქართველოსთვის სტაგნაციის პერიოდი იქნებაო:*

— ჯერ გავშიფროთ, რას ნიშნავს სტაგნაცია: ეს არის ჭაობში ყოფნა, ხოლო ჭაობში ყოფნა უხარია და მოსწონს... ბაყაყს! დიახ, საკმარისია ამოიყვანო ჭაობიდან და ჩასვა სუფთა წყალში, რომ აუცილებლად მოკვდება! საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოებაც ასეთ ვითარებაში იმყოფება. ამის თქმა ჩემთვის იოლი არ არის, რადგან მეც ამ საზოგადოების წევრი ვარ და გული მტკივა, რომ სწორედ ამ სტაგნაცია-ჭაობში ვეფლობი დღითი დღე. თავი და თავი ამ უბედურებისა არიან ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, რომლებსაც ხელს აძლევთ ყოფნა ამ ჭაობში, სადაც ყველაზე „ნოყიერი" ადგილი მათია, ხოლო ხელისუფლების მოქმედების შემყურე შედარებით დაბალ ფენებსაც კი ველარ წარმოუდგენიათ ამ ჭაობის გარეშე ცხოვრება. ზემოთქმულის უფლებას კი, როგორც ანალიტიკოსს, მაძლევს შემდეგი ფაქტები: ის, რაც 9 აპრილის არჩევნებზე მოხდა, სხვა არაფერია, თუ არა მთელი ერის აბუჩად აგდება. გულუბრყვილო არა ვარ და არც მეგულება ვინმე საქართველოში ისეთი, რომ ვერ დაენახა — რასა და რას შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი. ერთი ჩვენი უბედურება ისიც არის, რომ სირცხვილი იყო სერიოზულად რაიმე „არჩევანზე" გვეფიქრა წარმოდგენილი კანდიდატურების ფონზე. და მაინც, მიაქციეთ ყურადღება, თუ ვინ შეასრულა გადამწყვეტი როლი ამ არჩევნების ჩატარებაში. ეს გახლავთ უკანონო სტრუქტურები: ჯერ ერთი, არაკონსტიტუციურია პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი და მეორეც, უკანონოა გამგებლის ინსტიტუტი, რადგან ის არჩეული არ არის! ამიტომ, დღეს ლაპარაკიც კი ზედმეტია საქართველოს დემოკრატიულობაზე. მეტიც, დაიწყო დედემოკრატიზაცია, ანუ დაშლა იმ მცირე მიღწევებისაც კი, რაც გაგვაჩნდა. აბა, სხვა რისი იმედილა უნდა გვქონდეს, როცა ეს უკანონო სტრუქტურები ისეთ გავლენას ახდენენ ჩვენს არჩევნებზე, რომ აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, ვის მისცემ ხმას. ეს არის ჩემი და თქვენი, როგორც მოქალაქეების დაცინვა და შეურაცხყოფა, რადგან ჩვენს მაგივრად რწმუნებულები და გამგებლები „ირჩევენ" სასურველ კანდიდატურას მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტითა და მექანიზმით, გაყალბებებით, ზეწოლით და ა.შ. დიახ, ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, უალტერნატივო, მაგრამ დიდად სამწუხაროდ, ჩვენ გადავდგით უზარმაზარი ნაბიჯი დემოკრატიის საწინააღმდეგოდ.

**— დიახ, პრეზიდენტი უალტერნატივოა დღეს და მით უფრო აღმაშფოთებელი იყო ჩემთვის ახლახან, კანცელარიაში გამართულ „პრეზიდენტის მხარდამჭერი საზოგადოებრიობის" თავყრილობაზე იმის მოსმენა და ყურება, როგორ აბარებდა პატაკს პრეზიდენტს — აი, ასეთ ვითარებაში, როცა პრეზიდენტი, ფაქტობრივად, „დავალებულია" ხელქვეითებისგან, ვფიქრობ, სახელისუფლებო სტრუქტურებში კორუფციის აღმოფხვრაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი უნდა იყოს. თქვენი კომენტარი:**

— თუ შევარდნაძე არ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას და არ აგვაცილებს სტაგნაციას, ხელისუფლებიდან მისი წასვლის შემდეგ ქვეყანას და ხალხს ყველაფერი ხელახლა ექნება დასაწყები. დღეს თუ სტაბილურობაა ქვეყანაში, ეს მხოლოდ პრეზიდენტის დამსახურებაა. ისტორიაში არის პერიოდები, როცა ერი გადაღლილია და ითხოვს სიმშვიდეს. შესაძლოა, ამგვარ სტაბილიზაციასთანაც გვაქვს ამჟამად საქმე და არა მოქკავშირის მიერ მიღწეულ მდგრადობასთან. შევარდნაძეს უდიდესი მხარდაჭერა აქვს დასავლეთიდან და მას სურს, ისევე შევიდეს საქართველოს ისტორიაში, როგორც შევიდა მსოფლიო ისტორიაში და ამ ფაქტს ვერავინ ვერსად გავექცევით. ამიტომ, მან უნდა მოახდინოს გარღვევა. მხედველობაში მაქვს შემდეგი: როგორც მოქალაქე, შეიძლება ემოციურად გაცხარებული ვიყო, რომ ქვეყნის ქონება და კაპიტალი კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ როგორც ანალიტიკოსისთვის, ჩემთვის ცნობილი და გასაგებია, რომ პრივატიზაციისას ყველა ქვეყანაში ასე ყოფილა და დღესაც არის, რომ ხდება უკანონო გზით კაპიტალის დაგროვება ძირითადად უცხოეთის ბანკებში, მაგრამ შემდეგ ამ კაპიტალს აბრუნებენ უკან და დებენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების სახით. როგორც წესი, ამას აკეთებენ პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული წრეები — კლანები, ნათესავები, მეგობრები და ა.შ. ეს „საქმე" უკვე გაკეთებულია საქართველოში და შევარდნაძეს ვინც ახვევია გარშემო, ყველას დაგროვილი აქვს ასეთი კაპიტალი. მიუხედავად ამისა, მჯერა, ჩვენი საზოგადოება ყველას შეუნდობს და აპატიებს უკანონოდ ფულის მოხვეჭას, თუკი ეს მომხვეჭელები ამ დიდძალი კაპიტალის ინვესტირებას მოახდენენ ქართულ ეკონომიკაში. მართალია, საშუალო ქართველი შეიძლება აღშფოთდეს და თქვას — როგორ თუ შევუნდოთო და მეც რომელიმე კლანის წარმომადგენლად მიმიჩნიოს, მაგრამ გავიმეორებ, რომ ყველა ქვეყანაში ასე იყო და, საბოლოოდ, დაგროვილი კაპიტალი საკუთარ ქვეყანაში აამუშავეს. მართალია, ტენეტის ვიზიტი გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ უკვე ჟონავს ინფორმაცია, თუ ვის, რამდენი, მათ შორის დასავლური ფულიდან „მოტეხილი" მილიონები რომელი ქვეყნის ბანკებში აქვს ჩადებული. ამიტომ, მოდით ვაპატიოთ ყველას, ოღონდ ეს ფანტასტიკური რაოდენობის კაპიტალი შემოიტანონ საქართველოში. თუმცა შევარდნაძეც აცხადებს, რომ მისი გარემოცვა კანონიერი ბიზნესითაა დაკავებული, მაგრამ საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ამ განცხადებით ვერ დაფარავ სინამდვილეს. შევარდნაძე არა მარტო დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, არამედ ოჯახის შესანიშნავი პატრონიცაა და ბუნებრივია, სურს, რომ მისი წასვლის შემდეგ ოჯახი კარგად და უხიფათოდ დატოვოს... ამიტომ, არ მსურს, რომ საქართველო მომავალი 5 წლის მანძილზე იყოს სტაგნაციაში, რადგან ჩვენ ვიქნებით ქვეყანა, რომელიც აღარასოდეს დალაგდება და გველის გაცილებით დიდი უბედურებები. შევარდნაძეს კი, ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია, თუ საამისოდ გამოიჩენს დიდ პოლიტიკურ ნებას.

**— ვთქვათ და, ვაპატიეთ მომხვეჭელებს ნაქურდალი ფული და მათაც დააბრუნეს საქართველოში დაგროვილი კაპიტალი. რა გარანტია გვაქვს, რომ მათ მიმბაძველები არ გამოუჩნდებიან, მით უმეტეს, რომ როცა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზეა ლაპარაკი, ყველა ერთხმად გაიძახის, რომ ამ ბრძოლამ არ უნდა მიიღოს სადამსჯელო, რეპრესიების ხასიათი და იგი ცივილიზებული ფორმებით უნდა წარიმართოს. თქვენ გჯერათ, რომ კორუფციას ცივილიზებული გზებით გადავუკეტავთ გასაქანს?**

— რა თქმა უნდა, ვერ გადავუკეტავთ. როცა კორუფციის ე.წ. ცივილიზებული გზით აღმოფხვრაზე ლაპარაკობენ, გამოდიან „რომის პაპზე უფრო კათოლიკენი", ანუ დემოკრატებზე უფრო დემოკრატები. ჩვენი ცნობიერება ისეა დამახინჯებული, რომ სამართლის აღსრულებას ვთვლით რეპრესიად. მაგალითად, თუ სამართალში იმ მინისტრებს მივცემთ, რომლებიც გაიძახიან, 8 მილიონი თუ 300.000 ათასი ლარი რა ფულია და რა კორუფციაზე გაქვთ ლაპარაკიო, გამოდის, რომ რეპრესიებს მივმართავთ? რეპრესია ნიშნავს იმას, როცა ადამიანს უკანონოდ სჯი, მაგრამ როცა ქურდობისთვის კანონიერად სჯი, ამას ჰქვია სამართლის აღსრულება! რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფალნი შეგნებულად ამკვიდრებენ საზოგადოებაში აზრს, — თუკი მავანთ ციხეში უკრავენ თავს, ეს იქნება რეპრესია(!). არადა დიახაც ყველა უნდა დაიჭირო, ვინც კანონს არღვევს. აბა, რა თავში ვიხლით ამდენ კანონს და ამდენ სამართალდამცავ ორგანოს? რაც მთავარია, კორუფციას უნდა ებრძოლო არა ადამიანების, არამედ სტრუქტურებისა და სისტემის შეცვლით. მთავრობა უნდა მუშაობდეს გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპით. თუ ერთი მინისტრი ქურდი აღმოჩნდება, მთელმა მთავრობამ უნდა აგოს პასუხი და გადადგეს სრული შემადგენლობით! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ხელისუფლებაში ვერ მოძებნი ვერავის, თავისი პასუხისმგებლობის შეგნებით რომ გადადგეს.

## „ძალიან მალე შევარდნაძე შეეცდება ერთმანეთი დააჭმევინოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს!"



**— მაგრამ ლეკიშვილი გადადგა, ოღონდ, ფრიად ორიგინალურად — „გადადგა იმიტომ, რომ ერთი კარიდან გასული, მეორეთი დაბრუნებული იყო უკან..."**

— რა თქმა უნდა, ეს არ იყო გადადგომა. შეიქნა სიტუაცია, როცა პრეზიდენტმა სთხოვა, — „აქედან" წადი და „იქიდან" შემოდიო". გახსოვთ, მძიმე საზოგადოებრივი აზრი იყო შექმნილი და ლექსიც დადიოდა: „ქალაქს ერქვა თბილისიო, ახლა ჰქვია ნიკოსიო..." და ხანდახან საზოგადოებრივი აზრი პრეზიდენტზეც ახდენს გავლენას. მაგრამ არც ეს არის მთავარი. მთავარია, საერთოდ, უკანონობის სინდრომის თარეში ქვეყანაში. თუნდაც ის ფაქტი, რომ თქვენი კოლეგის, აკაკი გოგიჩაიშვილის შრომას არანაირი შედეგი არ მოსდევს ხელისუფლების მხრიდან, არის ჩვენი საზოგადოებრიობის აბუჩად აგდება და ხალხის სულში ჩაფურთხება. არადა მაშინ ან გოგიჩაიშვილი უნდა დააპატიმრო ცილისწამებისთვის, ან აღძრა სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული თანამდებობის პირთა მიმართ. ამ მხრივ ხელისუფლება არაფერს აკეთებს და შედეგად — ითესება ისეთი საზარელი ტენდენცია, რომელსაც ერთი საუკუნის მანძილზეც კი ვერ გამოვასწორებთ, ანუ სახეზე გვაქვს ამაზრზენი ნიჰილიზმის დანერგვა ქვეყანაში... იშრომა ჟურნალისტმა, საზოგადოების თვალწინ დააწყო დოკუმენტები და რა მოჰყვა შედეგად ამას?

დააკვირდით, თვით ამ ე.წ. ოპოზიციური პარტიების თავზე რა უბედურება ტრიალებს. იმის მაგივრად, რომ საერთო ძალისხმევით უპრეცედენტოდ აქტიურად ემოქმედათ საარჩევნო პროცესში, ზოგმა ბოიკოტი გამოაცხადა, ზოგი დაიქსაქსა და არჩევნების დემოკრატიულობისგან სახელიღა დარჩა. შედეგად კი იმას მივიღებთ, რომ რწმუნებულების, გამგებლების და პოლიციის „საქმენი სგამირონი" გაგრძელებას ჰპოვებს გაცილებით მძლავრად და ორგანიზებულად. მეტიც, მე თვითონ გავხდი მოწმე, რომ პოლიციაც და „შავებიც" კოორდინირებულად მოქმედებდნენ, რათა არჩევნების დღეს გავლენა მოეხდინათ ადამიანებზე. აი, ყოველივე ზემოთქმულის ფონზე უკვე ყალიბდება საშინელი ანტიდემოკრატიული მონსტრი, რომლის დანგრევისთვისაც შეიძლება მოხდეს რაღაც სოციალური აფეთქებები, რევოლუცია და ა.შ. შევარდნაძეს აქვს შანსი, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ იგი ამას ვერ ან არ გააკეთებს...

**— არადა, თითქოს საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ პრეზიდენტს უკან დასახევი გზა მართლაც აღარა აქვს, მაგრამ მისთვის პრობლემა ალბათ ისიც არის, რომ საკმარისია რამდენიმე მაღალჩინოსანს ციხეში უკრას თავი, რომ ასეთივე პერსპექტივით დაშინებულმა სხვა ჩინოვნიკებმა გააკეთონ ის, რის გაკეთებასაც რამდენჯერმე შეეცადნენ უცხოეთის სპეცსამსახურები...**

— რასაკვირველია. შევარდნაძემ აქამდე რომ არ გადადგა რადიკალური ნაბიჯი კორუფციის წინააღმდეგ, ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რაც თქვენ ბრძანეთ. ეშინოდა, რომ საკუთარსავე გარემოცვას არ შეესუსტებინა მისი ძალაუფლება და იქნებ უარესიც ჩაედინა. დღესაც, ფაქტობრივად, იგივე მდგომარეობაა. უფრო მეტიც: ეს ე.წ. რეფორმატორი ბიჭები, რომლებიც პირველ ეტაპზე გულანთებულნი იყვნენ და მართლა საქმის კეთება უნდოდათ, დღეს მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებისთვის იბრძვიან. ისე ჩაეფლო ჟვანია-სააკაშვილის კლანი ამ ბრძოლაში, რომ სულ დაავიწყდა რეფორმები. ამასთან, ყოველი ხუთი წლის გავლისას ცახცახებენ და ძალიან ადვილია მათი აზრების წაკითხვა — არიქა, „ბაბუს" შემდეგ რა გვეშველება?! ეტყობა, ისეთი ხიბლი აქვს ამ „მამაძაღლ" ძალაუფლებას, რომ, როგორც ჩანს, მიწიერ სიამოვნებათაგან მას ვერაფერი შეედრება.

**— მოკლედ, არის საპარლამენტო გუნდი რეფორმატორების სახით და არის ხელისუფლება, მისი სტრუქტურები და, თქვენი აზრით, ამათგან პრეზიდენტი რომელს უნდა დაეყრდნოს, თუ მართლა აპირებს კორუფციის აღმოფხვრას?**

— ძალიან მალე და მომავალ 5 წელიწადში შევარდნაძე აუცილებლად შეეცდება ერთმანეთი დააჭმევინოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს და შემდეგ მათგან გამოიყვანოს ხელისუფალთა ისეთი „ჰიბრიდული ჯიში", რომელიც შევარდნაძის პოლიტიკურ, ოჯახურ და მატერიალურ დანატოვარს სულ მცირე, 10 წელიწადი არაფერს ავნებს...

**— ანუ ჩვენთანაც განმეორდება ის, რაც რუსეთში ელცინის შემთხვევაში მოხდა... ამასთან, სულ უფრო აშკარად იკვეთება ქართველ ოლიგარქთა „ნაპატივები" ფიზიონომიებიც...**

— სხვათა შორის, დსთ-ის ევროპულ ნაწილში მსგავსი მოვლენები წესად იქცა. მჯერა, რომ საქართველოში ჭკვიანი, პატიოსანი და საქმის მკეთებელი ბიჭებიც მოიძებნებიან, მაგრამ ისინი ისე არ უნდა ჩაითრიო ჭაობში, რომ მხოლოდ ძალაუფლებისთვისღა იბრძოდნენ. ამიტომ, კეთილი ინებეთ და კონსტიტუცია გაიხადეთ ერთადერთ დასაყრდენად, ბატონო პრეზიდენტო, და ამ დასაყრდენიდან შექმენით ისეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებიც თქვენი წასვლის შემდეგაც იმუშავებს და სადაც ადამიანს ექნება ნომინალური მნიშვნელობა...

რაც შეეხება ჩვენს ოლიგარქებს, ერთ საგულისხმო გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებას: ერთადერთი, რითაც დღეს ვამაყობ, არის ქართული ლუდი და აღფრთოვანებული ვარ არა თოფაძის პოლიტიკოსობით, არამედ მისი მეწარმეობით; მაგრამ, დააკვირდით, რა უნდათ ჩვენს მრეწველებსაც: ფაქტია, რომ პოლიტიკურ და საბანკო-საფინანსო ელიტებს შორის ჩამოყალიბდა ქართული ოლიგარქია, ვთქვათ, ჩხარტიშვილი-სიორიძის გუნდის სახით. მრეწველები აფსაიდში დარჩნენ; არადა ძალიან სურთ, რომ რაღაც „ღრიჭო" მაინც მონახონ ამ საბანკო-ფინანსურ-პოლიტიკურ ოლიგარქიაში გასაძვრომად. მათი პოლიტიკაში მოსვლის უპირველესი მიზანი ის კი არ არის, რომ მრეწველობის განვითარებით მოაგვარონ პრობლემები, არა, მათი ძალისხმევა მიმართულია ოლიგარქიაში მოსახვედრად და იქ მფარველების გასაჩენად. სანამ ასეთი აზროვნება იქნება გნებავთ მრეწველებში თუ სხვა სფეროს წარმომადგენლებში, წინსვლა არ იქნება... ერთმა ჩემმა მეგობარმა მოსწრებულად იხუმრა: „ჩვენ უნდა გამოვიდეთ ლოზუნგით — სამართლიანი კორუფციისთვის! ანუ, თუ კორუმპირებულია მთელი ხელისუფლება და საზოგადოება, ჩვენთვისაც მოვითხოვოთ კაპიტალის მცირე ნაწილიო...

გახსოვთ, შევარდნაძემ მაფიასთან ბრძოლა ჯაბა იოსელიანს დაავალა. ანალოგიური ვითარებაა დღესაც. კორუფციას „ებრძვიან" კორუმპირებულები და შეიქმნა სიტუაცია, თითქოს კორუფცია არის რაღაც იდეალური, ზეცაში მოფარფატე სინდრომი და არა ჩვენ გვერდით, მთავრობაში მძვინვარე სენი, რომელიც გვჭამს და გვხრავს.

ერთი ფაქტიც: სამწუხაროდ, დასავლეთი აქცენტს აკეთებს უფრო სტაბილურობის შენარჩუნებაზე საქართველოში და ნაკლებად — დემოკრატიულობაზე. ამიტომაც ხუჭავენ თვალს ბევრ უმსგავსობაზე, რაც ძალიან ცუდია ჩვენთვის. ოღონდ დასავლეთმა და აშშ-მა სტაბილურობა შეინარჩუნონ საქართველოში და, შესაბამისად, რეგიონში და თუ ჩათვლიან, რომ კორუფცია ამ ეტაპზე ხელს უწყობს სტაბილურობას, თავში ქვა გიხლიათო, იტყვიან და ხელსაც კი შეუწყობენ აქ კორუფციას. დიახ, არასტაბილურობა დაანგრევს ამერიკის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში, რისი განვითარების გარანტადაც მხოლოდ შევარდნაძე ეგულებათ. ამიტომ არის, რომ კითხვაზე — იყო თუ არა საქართველოში დემოკრატიული არჩევნები — უცხოელები კონკრეტულ პასუხს არ იძლევიან და მხოლოდ აცხადებენ — არჩევნები შეიძლება ჩაითვალოს ჩატარებულად! ამას იმიტომაც ამბობენ, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მთავრობებისა და ორგანიზაციების წინაშე, რომლებისთვისაც სწორედაც რომ სტაბილურობაა მნიშვნელოვანი და არა ქაოსი. ჩვენი, რიგითი ადამიანების პოზიცია კი, ამიერიდან მაინც უნდა იყოს კატეგორიულად მომთხოვნი ხელისუფლებისადმი. ჩვენ ყოველ თვე ანგარიში უნდა მოვთხოვოთ პრეზიდენტს, თუ რა გააკეთა, ან რის გაკეთებას აპირებს. ხელისუფლებას კი მოსვენება არ უნდა მივცეთ და გამუდმებით შევახსენოთ: თქვენ ხართ ჩვენ მიერ დაქირავებულნი, გიხდით ფულს და კეთილი ინებეთ და გვემსახურეთ, როგორც ამას კონსტიტუცია და კანონი მოითხოვს. ეს პროცესი შეუქცევადი უნდა გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისედაც ჭაობში მყოფი ხელისუფლება კიდევ უფრო ღრმად ჩაიძირება და თან მთელ ერსაც ჩაიყოლებს!

**— გმადლობთ.**

# „წესით პროკურატურას სასამართლოში უნდა ვუჩიოდე“



*მოამზადა*

***ხათუნა ყვირალაშვილმა***

ყველაზე თვალშისაცემი, რაც არჩევნების მეორე დღესვე მოხდა, ის იყო, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში სიტყვისა და აზრის თავისუფლების მიუხედავად, მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეები პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს(!). წესრიგის ქომაგები „გამოძახების“ მიზეზად ასახელებენ დემოკრატიისა და თავისუფლების ეროვნული ცენტრის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ შემუშავებულ პროკლამაციას, რომელსაც ხელს ათზე მეტი პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური ფიგურა აწერს. პროკლამაციაში არჩევნების ბოიკოტის მოწოდება და შემდეგი შინაარსის ტექსტია დაფიქსირებული: „შევარდნაძის ხელმეორედ გაპრეზიდენტების შემთხვევაში საქართველოს ელის სრული სახელმწიფოებრივი და ეროვნული კატასტროფა. ტერიტორიების უფრო მეტად დაქუცმაცება და ამ დაქუცმაცების იურიდიული დაკანონება, უმუშევრობა, შიმშილი, სასოწარკვეთა — საქართველოს გადაქცევა თვითმკვლელთა სასაკლაოდ“. პროკურატურა სწორედ ამ სიტყვებში ხედავს მთელ უბედურებას და მიიჩნევს, რომ პროკლამაცია შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ კანონდარღვევას (მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელების ხელის შეშლა). ხელისმომწერნი პროკურატურაში შესაბამისი განმარტებების და ჩვენებების მისაცემად რიგრიგობით გამოიძახეს, თუმცა კანონს ჯერჯერობით მხოლოდ ბესო ჯუღელი დამორჩილდა და დაკითხვაზე მეორე დღესვე უპრობლემოდ გამოცხადდა. დანარჩენი „ბოიკოტისტები“ კი იმდენად ჯიუტები აღმოჩნდნენ, რომ პროკურატურაში მისვლას საერთოდაც არ აპირებენ. აქვე ერთი საინტერესო დეტალის შესახებაც შევიტყვეთ. თურმე ე.წ. უწყება ყველა „დამნაშავეს“ როდი მისვლია. პროკურატურაში დაბარების თვალსაზრისითაც გარკვეულ „შერჩევას“ ჰქონდა ადგილი. ეტყობა, ყველაფერი დამსახურებაზეა. „კვირის პალიტრა“ პროკლამაციაზე ხელისმომწერ „კანონდამრღვევთაგან“ რამდენიმეს გაესაუბრა. თავდაპირველად, ლიბერალურ-ეკონომიკური პარტიის თავმჯდომარეს **ბესო ჯუღელს** ვესტუმრეთ.



**— ბატონო ბესო, როგორც ეტყობა, თქვენ ყველაზე გულადი აღმოჩნდით, რადგან პროკურატურაში დაბარებისთანავე გამოცხადდით.**

— არა, აქ გულადობა არაფერ შუაშია. უბრალოდ კანონმორჩილი კაცი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ არასწორი იყო პროკურატურაში ჩემი გამოძახება, მაინც გამოვცხადდი. მოვიდა ჩემთან უშიშროების თანამშრომელი, მომიტანა უწყება და მითხრა, პროკურატურაში გიბარებენო. უწყებაში მითითებული იყო იმ პროკურორის ვინაობა, ვინც მიბარებდა. ეს გახლდათ გურამ სვანიძე. მაშინვე დავრეკე და ვუთხარი, ბატონო პროკურორო, როგორ მოვიქცე, „ტელეგრეიკით“ მოვიდე თუ ჩვეულებრივ, როგორც დავდივარ ხოლმე-მეთქი. გაეცინა, არა, ჩვეულებრივ მოდიო. როცა მივედი, სვანიძე არ იყო და გამომძიებელმა დათო ჩხარტიშვილმა დამკითხა. სხვათა შორის, იქ ერთი საინტერესო ინციდენტი მოხდა: ოთახს რომ ვეძებდი, უცნობი „მალიარები“ გამომელაპარაკნენ (შენობაში რემონტი მიმდინარეობდა), ბატონო ბესო, თქვენ აქ რა გინდათ, ამათი ასე და ისეო. ეტყობა, იცოდნენ, დაბარებული რომ ვიყავი. ამ ხმაურზე გამომძიებელიც გამოვიდა და დაინახა, რომ „საზოგადოება“ ჩემ მხარეს იდგა.

**— რაო, რა გითხრათ დათო ჩხარტიშვილმა?**

— ძალიან უხერხულ მდგომარეობაში იყო. მკითხა, ვღებულობდი თუ არა მონაწილეობას დემოკრატიის და თავისუფლების ეროვნული ცენტრის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ შემუშავებული პროკლამაციების გავრცელებაში და არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადების მოწოდებაში. მე ავუხსენი, რომ არჩევნებს ვუცხადებდი არა ბოიკოტს, არამედ უნდობლობას. ჯერ ერთი, ბოიკოტსა და უნდობლობას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მეორეც, ბოიკოტიც რომ გამომეცხადებინა, რას დავაშავებდი? საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი თავისუფალია თავის პოლიტიკურ არჩევანში. ასე რომ, პროკურატურის ასეთი გაავება და გაკაპასება სავსებით არამართალზომიერი და ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელიც კია. ვიკითხე, არიან თუ არა საქმის კურსში გენერალური პროკურორი და ქალაქის პროკურორი-მეთქი, დადებითი პასუხი მივიღე. ჩემი აუდიენცია დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა. დამაწერინეს ნახევარგვერდიანი ახსნა-განმარტება, ხელი მოვაწერე. ეგ იყო და ეგ.

**— როგორ ფიქრობთ, შევარდნაძე იყო საქმის კურსში?**

— არა მგონია, რომ ცოდნოდა. ფაქტობრივად, მას დათვური სამსახური გაუწიეს, მონური ფსიქოლოგია ისე ღრმად არის გამჯდარი ჩვენს საზოგადოებაში, რომ ჰგონიათ, ასეთი ნაბიჯებით პრეზიდენტს ასიამოვნებენ. არადა, პირიქით ხდება — საქართველოს იმიჯი და სახელი ილახება. მე, ჩემი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ხშირი ურთიერთობა მაქვს უცხოელებთან. ამ დღეებში ინგლისის ელჩთან ვარ ვახშამზე დაპატიჟებული, სადაც უამრავი ბიზნესმენი იქნება. ყველა საქმის კურსშია. ყველამ ყველაფერი იცის. შესაძლოა ზრდილობის გამო ხმამაღლა და ნიშნის მოგებით არ თქვან, მაგრამ გულში ხომ მაინც იფიქრებენ? ეს ხომ ქვეყნის ავტორიტეტზე უარყოფითად მოქმედებს?

**— როგორ გგონიათ, კიდევ დაგიბარებენ?**

— რა ვიცი, არა მგონია, რიღასთვის უნდა დამიბარონ? კაცს რომ თავისუფალი პოლიტიკური ნება გააჩნდეს, ეს დანაშაულია? ისე, სხვათა შორის, ამის დრო რომ მქონდეს და სახელმწიფოც უფრო დემოკრატიული იყოს, წესით, ახლა პროკურატურას სასამართლოში უნდა ვუჩიოდე, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, არ ღირს საქმის ასე გართულება. მე გაცილებით მეტად ვუფრთხილდები ჩემი სახელმწიფოს იმიჯს, ვიდრე ზოგიერთი ვაიგულშემატკივარი. ისე, დღეს საქართველოში იმდენი დარღვევა და დანაშაული ხდება, იმდენად კორუმპირებულია მთელი სისტემა, რომ ბესო ჯუღელს კი არ უნდა დასდევდნენ მისი პოლიტიკური შეხედულების გამო, არამედ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს უნდა სთხოვდნენ პასუხს.

**— ხომ არ გგონიათ, რომ პროკურატურაში თქვენს დაბარებას რამე სხვა სარჩული ჰქონდა?**

— რასაკვირველია, ეს გარკვეული დაშინების მცდელობაც არის. მოგეხსენებათ, ბიზნესში ძალიან ადვილია ადამიანის დადანაშაულება. ამდენად შესაძლოა, ჩემი პროკურატურაში გამოძახების ქვეტექსტი ასე ჟღერდეს — ფრთხილად იყავი, თორემ შეგვიძლია სხვანაირად მოგკითხოთო. მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მე არა ვარ ის კაცი, ვისთანაც კორუფციის რაიმე ნიშნები უნდა ეძებონ. მაინც ვერ მოძებნიან. რომც მოინდომონ, აბსოლუტურად ვერაფერს ნახავენ. ბიზნესში კორუფცია არის ე.წ. „მარცხენა“ საქონელზე მუშაობა. მე კი „მარცხენა“ პროდუქციაზე არც მიმუშავია, არც ვმუშაობ და არც მომავალში ვაპირებ. პირიქით, მთელი ჩემი მოღვაწეობა ამის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები ყოველთვის. პროკურატურის ეს ქმედება არის ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი სახეობა, ფორმებია უბრალოდ სხვადასხვა. აიღეთ ირაკლი წერეთლის ცემის ფაქტი, იქ ლეილა ცომაიას და ლუიზა შაკიაშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, თავისუფლების და დემოკრატიის ცენტრის ორი სუბიექტი უშიშროების კომიტეტში დაიბარეს. ეს არის არადემოკრატიული სახელმწიფოს კლასიკური ხელწერა.

**— ასე რომ, დაპატიმრებას გადარჩით?**

— გადავრჩი, გადავრჩი (იცინის), მაგრამ შალვა ნათელაშვილის ოცნებაა, მე და ის ერთად ჩაგვსვან ციხეში. შალვამ თვითონ მითხრა, ნეტავ ერთად დაგვიბარონ, ერთად დაგვაკავონ და შემდეგ ერთ საკანში ჩაგვსვან, რამდენ საქმეს გავაკეთებდითო.

## რისთვის უნდა დამიბარონ, კაცო?

**შალვა ნათელაშვილი — ლეიბორისტული პარტიის ლიდერი.**

**— ბატონო შალვა, პროკურატურა არჩევნების ბოიკოტისკენ მოწოდებასა და პროცესის ხელის შეშლაში გდებთ ბრალს.**

— ხელის შეშლა იცით, რა არის? კაცს რომ ძალით დააკავებ და არჩევნებზე არ გაუშვებ. მე კი მსგავსი არაფერი ჩამიდენია. მხოლოდ ჩემი პოლიტიკური ნება დავაფიქსირე.

**— იმ „ავადსახსენებელ“ პროკლამაციაზე თქვენი ხელმოწერაც იყო?**

— დიახ, იყო. მე ვეთანხმებოდი იქ ჩამოყალიბებულ აზრს და ჩემი თანხმობა ხელმოწერით დავადასტურე.

**— ზოგიერთი ხელისმომწერი პროკურატურაში დაიბარეს. როგორც ვიცი, თქვენ არ მიგიღიათ უწყება. აქაც შერჩევის პრინციპი მოქმედებს?**

— უწყება ნამდვილად არ მომსვლია, მაგრამ სამაგიეროდ, ტელეფონით მესაუბრნენ პროკურატურიდან.

**— როგორ ფიქრობთ, გადარჩებით პროკურატურაში ვიზიტს?**

— რისთვის უნდა დამიბარონ, კაცო, რა დაკითხვებზეა საუბარი, რა დავაშავე? კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება. როდის იყო არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადება დანაშაულად ითვლებოდა?!

## არ გამოვცხადდი და არც გამოვცხადდები. უწყება 7-ში მომივიდა და ეწერა, 6-ში მოდიო

**ნოდარ ნათაძე — დემოკრატიის და თავისუფლების ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი ლიდერი.**

**— ბატონო ნოდარ, პროკურატურიდან უწყება რომ მიიღეთ, დაკითხვაზე გამოცხადდით?**

— არ გამოვცხადდი და არც გამოვცხადდები. უწყება 7-ში მომივიდა და ეწერა, 6-ში მოდიო.

**— ამის გამო განაწყენდით?**

— გავნაწყენდი? სულაც არა, უბრალოდ კომედიაში მონაწილეობას არ ვღებულობ.

**— არ დაინტერესდით მაინც, რისთვის გიბარებდნენ?**

— ამას რა მიხვედრა უნდოდა. არ ესიამოვნათ ჩემი გამოსვლები და მოწოდებები არჩევნების ბოიკოტისაკენ.

**— როგორ გგონიათ, კიდევ დაგიბარებენ?**

— არ ვიცი, ეგ ჩემი პრობლემა არ არის, იმათი პრობლემაა. გავიგე, რომ სხვებისთვისაც გაუგზავნიათ უწყებები. ვისი მისვლაც უნდოდათ, თავის დროზე გაუგზავნეს. ვისი მისვლაც არ უნდოდათ, დაუგვიანეს.

**— ეი. თქვენი მისვლა არ უნდოდათ?**

— ასე გამოდის.

**— აბა, რიღასთვის დაგიბარებდნენ?**

— რა ვიცი, რა გითხრათ, ვიღაცის დავალება შეასრულეს. მოკლედ, ვალი მოიხადეს.

**— ბატონო ნოდარ, არჩევნები დამთავრდა და ახლა რას საქმიანობთ?**

— ახლა ხელმოწერებს ვაგროვებთ იმის დასტურად, რომ ბოიკოტი შედგა.

## ეს დაბარებები ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდება...

**აკაკი ასათიანი — ტრადიციონალისტთა პარტიის ლიდერი.**

**— ბატონო აკაკი, მართალია პროკლამაციაზე ხელი არ მოგიწერიათ, მაგრამ თქვენც ბოიკოტის მომხრე პოლიტიკოსთა სიაში გადიხართ. პროკურატურიდან თქვენთვისაც ხომ არ შემოუთვლიათ რაიმე?**

— არა, პროკურატურა იმ დროს მაშინებდა თავის ჭკუაში, როცა პრეზიდენტის გადადგომას და გამგებლების არჩევითობას ვითხოვდით. მაშინაც სასაცილო სახე ჰქონდა ყველაფერ ამას და დღესაც. ეს უმსგავსობა და უბედურებაა. ერთი რაღაც მაოცებს. გასაგებია, რომ ავალებენ, მაგრამ პროკურორები, რომლებიც ქვეყანაში სამართალს უნდა იცავდნენ, სრული სერიოზულობით იბარებენ კაცს დაკითხვაზე, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი მოქალაქეობრივი და სხვათა შორის, კონსტიტუციური უფლებების გამოყენებას ცდილობს. ძალიან ცუდ დღეში ჩაიგდეს თავი და თუ გაგრძელდება ეს დაბარებები, ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდება პროკურატურისა და ხელისუფლებისთვისაც.

## როგორც გავიგე, თქვენი ფოტოკორესპონდენტიც უცემიათ...

რაც შეეხება პროკურატურას, ცხადია, მათთანაც ვცადეთ დაკავშირება, მაგრამ... ჩემსა და **ქალაქის პროკურორ თენგიზ მახარაძეს** შორის დაახლოებით ასეთი შინაარსის სატელეფონო საუბარი შედგა.

**— ბატონო თენგიზ, რამდენი უწყება დააგზავნა ქალაქის პროკურატურამ პოლიტიკურ დაკითხვაზე დაბარების მიზნით?**

— იცით რა, ინტერვიუს ტელეფონით ვერ მოგცემთ.

**— ინტერვიუს ხომ არ გთხოვთ. მხოლოდ რამდენიმე დეტალის დაზუსტება მჭირდება.**

— არანაირი კომენტარი! რამდენჯერაც ტელეფონით მივეცი ინტერვიუ, იმდენჯერ დაამახინჯეს. ამიტომ გადავწყვიტე, ყოველი ინტერვიუს ჩაწერის დროს ჟურნალისტს თვალებში ვუყურო. უნდა გავიგო, რა პიროვნებას ველაპარაკები. და საერთოდ, რად გინდათ ამ თემაზე რომ წერთ, რაღა საჭიროა! ბატონი ბესო ჯუღელი მოვიდა და გვითხრა, იმ პროკლამაციაზე ხელი მე არ მომიწერიაო და გაბრაზდა კიდეც, ჩემს მაგივრად ვინ მოაწერაო. სულ ეგ იყო. რა მოხდა აქ საგანგაშო?

**— როგორც ვიცი, ნოდარ ნათაძე და სხვებიც დაიბარეთ.**

— ძალიან გთხოვთ, ნუ ცდილობთ, რომ რაიმე მათქმევინოთ. მაინც ვერ „შემაბამთ“. თქვენ პრინციპული ჩანხართ, მაგრამ მეც მაქვს ჩემი პრინციპები... ჰო, მართლა, თქვენი გაზეთის კორესპონდენტი უცემიათ 8 აპრილს სპორტის სასახლესთან. მგონი გვარად აბდალაძე, არა?

**— დიახ, ფოტოკორესპონდენტი.**

— ისე, ისეთი სიტუაცია იყო, იქ რომ ვყოფილიყავი, მეც დამარტყამდნენ. ამ ფაქტსაც ვიძიებთ და მალე დავადგენთ, რა იყო და როგორ იყო. რაც შეეხება ჩვენს ინტერვიუს, დღეს არ მცალია, ხვალ მობრძანდით პროკურატურაში და იქ ვისაუბროთ.

**— ხვალ უკვე გვიანი იქნება. ნომერი გამოდის და ფიზიკურად ველარ მოესწრება, მხოლოდ ის მითხარით, რამდენი უწყება გააგზავნეთ. ციფრსაც ხომ არ დაამახინჯებ?**

— არა, არა, არაფერი გამოვა. მიუხედავად მანდილოსნების მიმართ ჩემი ულრმესი პატივისცემისა, ტყუილად მელაპარაკებით.

***ერთი სიტყვით, ქალაქის პროკურორმა ჟურნალისტებისა და რესპონდენტების ურთიერთობის ანუ ინტერვიუს ტელეფონით ჩაწერის აპრობირებული მეთოდი დაგვიწუნა და, ზემოხსენებულ პოლიტიკოსებზე არანაკლები „ბოიკოტი“ გამოუცხადა. ეს ცხადია, მისი პირადი უფლება და ნება გახლავთ. თუმცა, ისიც საკითხავია, საერთოდ ჰქონდა თუ არა ბატონ პროკურორს ჩვენთვის რაიმე სათქმელი.***

# ჯავახეთში ჩასულ შევარდნაძეს ხელფასებთან ერთად... ავტონომიაც მოსთხოვეს...

*დასაწყისი იხ. გვ. 4*

საგულისხმოა, რომ ახლახან თბილისში ქოჩარიანის ვიზიტისას სომხეთის დელეგაციის 70%-ს (მინისტრები, პარლამენტარები...) დაშნაკები შეადგენდნენ... აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ერევანში დაშნაკ-ციუტუნის პარტია, ისევე როგორც სხვა ულტრამემარჯვენე პარტიები, არ არის პოპულარული და შექმნილია პარადოქსული ვითარება — ერევანი, სომხური ისთებლიშმენტი და საზოგადოების ფართო ფენა არ იღებს და ვერ ეგუება პრეზიდენტს და მის დასაყრდენ პოლიტიკურ ძალას, ანუ შეიძლება თამამად ითქვას, რომ დაშნაკთა პარტია არ არის ის ძალა, ვისაც სომეხი ერი მიჰყვება, ვგულისხმობ, უწინარესად, სომხეთის მოსახლეობას... ამასთან ეს ის პარტია არ არის, რომ სომხეთი აატრიალოს და ხალხიც თოფქვეშ დააყენოს... მაგრამ ეს ძალა შესანიშნავი ბერკეტია იმათ ხელში, ვისაც სურს და იქნებ გეგმაშიც აქვს რეგიონში წყლის ამღვრევა!



ცნობილია, რომ დაშნაკთა პარტია რუსეთის იმპერიის ხელდასხმით შეიქმნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში და იმთავითვე გაცხადებული იდეა „დიდი სომხეთის“ შექმნის შესახებ — ცოცხლობს დღემდე! სწორედ დაშნაკები არიან დღეს რუსეთის ყველაზე საიმედო დასაყდენი რეგიონში და ჩვენ, ქართველებს „დასამშვიდებელი“ ის მაინც გვაქვს, რომ „დიდი სომხეთის“ იდეის სარეალიზაციოდ, დაშნაკთა პარტია რუსეთს, უწინარესად, თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდება გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ეს ე.წ. „დიდი სომხეთი“ სწორედ დღევანდელი თურქეთის ვანის, არზრუმის, ყარსისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების ხარჯზე უნდა შეიქმნას! მაგრამ, ჩვენთვის საყურადღებო უნდა იყოს შემდეგი გარემოებები: მიუხედავად იმისა, რომ პარტია დაშნაკ-ციუტუნი არ სარგებლობს პოპულარობით სომხეთში, იგი მძლავრი მხარდაჭერით სარგებლობს უცხოეთის ქვეყნებში არსებული სომხური დიასპორებისგან. ამ ფონზე, სომხეთის მთავრობაში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც უცხოეთში არსებულ სომხურ დიასპორებთან ურთიერთობებს კურირებს და მის ხელმძღვანელად დაინიშნა დაშნაკი მკრტიჩიანი. ამ სტრუქტურას გარკვეული ურთიერთობა და კონსულტაციები აქვს ჯავახეთში მოქმედ პარტიებთანაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დაშნაკთა პოლიტიკურ საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება არის სომხურ დიასპორებზე აქცენტის აღება და ამ დიასპორების გავლენის გამოყენებითა და საშუალებით ქვეყნის შინაპროცესებისა და ორმხრივი სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების წარმართვა. ასე რომ, ამ კონტექსტით, საქართველო-სომხეთს შორის ურთიერთობების წარმართვა ერთგვარად გადადის დაშნაკების კომპეტენციაში. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ დაშნაკ-ციუტუნი ქოჩარიანის დასაყრდენი პარტიაა და სოლიდური რაოდენობითაა წარმოდგენილი ხელისუფლებაში, ადგილობრივ მმართველობაში, ხოლო უშუალოდ საქართველოს მოსაზღვრე სომხეთის ოთხი რაიონიდან სამში გუბერნატორებად დაშნაკები სხედან (ერთადერთი გიუმრის რაიონშია დაშნაკი გუბერნატორის მოადგილე, მაგრამ, მაინც ფაქტობრივად, ის წყვეტს ყველაფერს...), ვფიქრობ, საჭიროებს ჩვენის მხრიდან ფხიზლად ყოფნას. ამ მხრივ, ჩვენი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ ჯავახეთში არ გაჩნდეს გარედან მართვადი კონფლიქტის კერა, მით უმეტეს, რომ მიმდინარე გლობალური პოლიტიკური პროცესების წყალობით ჩვენს ხელისუფლებას აქვს (ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს) ბერკეტები, რომლითაც შესაძლებელია სტაბილურობის შენარჩუნება. ამასთან, ქოჩარიანს სერიოზული ოპოზიცია ჰყავს და საგულისხმოა, რომ 12 აგვისტოს ჯავახეთში მომხდარ გახმაურებულ ინციდენტში მას პირდაპირ დასდეს ბრალი, რომ ქოჩარიანსაც გარკვეული წვლილი მიუძღოდა მომხდარში. ვიმეორებ ეს განცხადება ქოჩარიანის ოპოზიციას ეკუთვნის... საერთოდ, მომავალში ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად და რა ხარისხით დარჩება სომხეთი რუსეთის პოლიტიკის ორბიტაში. თავად რუსეთისთვის კი, რეგიონში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად, ერთ-ერთ ძლიერ ბერკეტს, ჯერჯერობით, კვლავ წარმოადგენს სომხეთის გარკვეული ძალების მხრიდან საქართველოზე ზემოქმედების ფაქტორი, კონკრეტულად ჯავახეთში, რაშიც „პირველი ვიოლინოს“ ფუნქცია დაშნაკებს ექნებათ...

და კიდევ: 12 აგვისტოს ინციდენტის შემდეგ, როცა ჯავახეთში 25-მა შეიარაღებულმა სომეხმა შეაკავა წვრთნაზე მიმავალი ქართული საჯარისო ქვედანაყოფი, რასაც კინაღამ სისხლის ღვრა მოჰყვა აქედან გამომდინარე განუსაზღვრელი შედეგებით, კაციშვილს არ უკითხავს და არ მოუძიებია, თუ ვინ შეეცადა ვითარების პროვოცირებას, ვინ იყვნენ ამ პროვოკაციის შემსრულებელნი და ა.შ. საუბედუროდ, არც სისხლის სამართლის საქმე აღძრულა და არც მომხდარი გამოძიებულა ბოლომდე...

ვფიქრობ, დადგა დრო, ყველა ამ კითხვას გაეცეს ამომწურავი პასუხი...

***ზურაბ მჭედლიშვილი***

## სახელმწიფო მინისტრი ზოდელავა, გენერალური პროკურორი მეფარიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისიტრი მამალაძე...



მოამზადა
ქეთი ბერეკაშვილმა

ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ შევარდნაძის მესამე კურთხევით ის დრო დადგება, როცა მინისტრობა (ან მისი მოადგილეობა) ის თანამდებობა აღარ იქნება, კაცს რომ კანფეტივით შეერგება. თუმცაღა, ტიტულებს კანფეტის სიტკბოება ალბათ, დიდხანს შერჩებათ და არც მსუსნავ-მსუნაგები გამოელევათ. არჩევნებმა ჩაიარა და პრეზიდენტის „კანფეტების" მოლოდინის რიგში ალბათ ბევრი (გუნებაში მაინც) უკვე ჩაეწერა. გარეგნულად კი ჩვენი პოლიტიკოსები არაფერს იმჩნევენ, ხანდახან კი — მინისტრის პორტფელს უარობენ კიდეც. ამის შემყურემ შეიძლება გაიფიქრო, ნეტა შევარდნაძემ საიდუმლო ბრძანება ხომ არ გამოსცა, ვინც მეტს იუარებს, იმას მეტი შანსი ექნებაო... ან კიდევ შეიძლება ერთი ანდაზაც გავიხსენოთ „მელა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო" — ეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ჩუმად მეოცნების იმედები არ გამართლდა. ძალიან თეორეტიკოსებიც რომ არ ვიყოთ, ერთ პრაქტიკასაც მოვიშველიებ. თავის დროზე სახალხოელი მამუკა გიორგაძე დაბეჯითებით გაიძახოდა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიშა ჯიბუტს არ გავუშვებო, სხვების ცოდვებზე პასუხი ჩვენ რატომ უნდა ვაგოთო. თუ ძალიან უნდათ მთელ ხელისუფლებაში ჩვენ მოვალთ და მაშინ ვანახვებთო... ტრაბახობდა გიორგაძე, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა, საქმე კი სხვაგვარი აღმოჩნდა: მიხეილ ჯიბუტი დღეს ეკონომიკის, მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროები სოცუზრუნველყოფისა და და ჯანდაცვის სამინისტროების ბედს გაიზიარებენ. ზემოხსენებული სამი უწყება ერთ უწყებად ჩამოყალიბდება და მის სათავეში ახალი ხელმძღვანელი მოვა. ე.ი. ჯერჯერობით მოქმედი მინისტრები, ბერუჩაშვილი, პაპავა და შოშიტაიშვილი რიგის გარეთ აღმოჩნდებიან. სავარაუდოდ, ამ სამი სამინისტროს ბედს ერთ-ერთი პარლამენტარი ჩაიბარებს, ამბობენ, რომ იგი ოპოზიციის წარმომადგენელია, კერძოდ კი — სოციალისტი. უფრო კონკრეტული პასუხისთვის ვახტანგ რჩეულიშვილს მივმართეთ. მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თქვა, ჯერ არაფერი გამიგიაო. პასუხის ლოგიკას თუ მივყვებით, ესე იგი რჩეულიშვილს ჯერ არ გაუგია, მაგრამ როგორც ჩანს, ელის.

ასევე გაერთიანდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროები. სერგო ესაკიაზე ამ რამდენიმე თვის წინ სახელისუფლებო კულუარებში დიდი მითქმა-მოთქმა იყო. ჩვენთვის სანდო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ ამ ორი სამინისტროს თავკაცად პირველი ქართული რეფლექტორის შემქმნელი ელგუჯა მეძმარიაშვილი მოიაზრება. ეტყობა, ხელისუფლება ამ სფეროშიც ისეთივე გადატრიალებას ელის ბატონი ელგუჯასაგან, როგორც ქართულ ტექნიკაში. ისე, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ პოლიტიკას ქართული მეცნიერება ხშირად ეწირება — რეფლექტორის ავტორს მინისტრად უშვებენ, მსოფლიო მნიშვნელობის აკადემიკოს ლომინაძეს კი საარჩევნო ბუკლეტებით უტკივებენ თავს. ბარემ, სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენთ, რომ ლომინაძეს უახლოეს კვირებში შეიწყალებს ხელისუფლება და დამსახურებულ პენსიაზე გაუშვებს. ხალხისა და მთავრობის წინაშე ვალმოხდილი აკადემიკოსი „იმელის" შენობიდან თავის სტიქიას — ფიზიკის ინსტიტუტს დაუბრუნდება.

მთლად კარგად ვერ აქვს საქმე კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანსაც. ამ რამდენიმე თვის წინ კონტროლის პალატამ სამინისტროში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. მართალია, მაშინ არავის უთქვამს სამინისტრო კორუმპირებულიაო, მაგრამ მინისტრის ერთი მოადგილე თანამდებობიდან გათავისუფლდა, საქმეს კი სკანდალური ელფერი აღარ მიეცა. ასათიანის შემცვლელად კანცელარიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სახელდება. სხვა ვერსიით კი ახალი კადრი მერიაში მუშაობს და გამოძახებას დღე-დღეზე ელის.

რაც შეეხება ბოლო წლების ყველაზე საინტერესო მინისტრს, კახა თარგამაძეს. გასული წლის ბოლოს მან თავისი მინისტრობის მე-5 წლის დასაწყისი იზეიმა და იმითაც იტრაბახა, რომ გერმანელ კოლეგებს მსხვილ დანაშაულთან ბრძოლას მე ვასწავლიო... მაგრამ სულ ტყუილად, ის მაინც მოსახსნელთა სიაში სახელდება. სად გაუშვებენ თარგამაძეს? პრეზიდენტის კანცელარიასთან დაახლოებული წყაროები ამბობენ, რომ იგი შევარდნაძეს თავისთან ახლოს ეყოლება. ვინ შეცვლის თარგამაძეს? ამაზე ორი ვერსია არსებობს: თბილისის პოლიციის შეფი სოსო ალავიძე ან პარლამენტის უშიშროების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე. სხვათა შორის, საუბარი ოსაძის საკანონმდებლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაყვანაზე ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების დროს იყო. ცნობილია, რომ შევარდნაძის სიმპათიას ამ ორიდან ეს უკანასკნელი უფრო იმსახურებს.

და კიდევ, ისევ ძალაში რჩება ხმები ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის შესახებ, რომლის ერთპიროვნულ ხელმძღვანელად ირინა სარიშვილი-ჭანტურია სახელდება.

ეს რაც შეეხება მინისტრებს... შეიცვლება მათი მოადგილეებიც, დეპარტამენტებისა და სხვა სამსახურების ხელმძღვანელებიც. ვარაუდობენ, რომ ცვლილება მთელი აღმასრულებელი სტრუქტურის 40%-ს მაინც მოიცავს. ხელისუფლება კი მხოლოდ თავისიანებს როდი ჰპირდება ახალ სამსახურებს. ოპოზიცია კი ჯერ ისევ იპრანჭება... მრეწველებმა უკვე განაცხადეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების სადავეები მათ არ სჭირდებათ, იმავეს ამბობენ „აღორძინება", სოციალისტები და ტრადიციონალისტები. მეტიც, ეს უკანასკნელნი იმასაც კი ამბობენ, თუ რომელიმე ოპოზიციური პარტია შემოთავაზებას დათანხმდება, ეს მოქკავშირთან ალიანსის გამოაშკარავების ტოლფასი იქნება.

მოკლედ, დიდი წმენდა მაისიდან დაიწყება. პრეზიდენტი კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს, მაგრამ ვარაუდი ასეთია. ხალხს კი სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ დარჩეს მაყურებლის როლში, მოქმედებას თვალი ადევნოს და საყვარელი გმირები დროდადრო აპლოდისმენტებითაც დააჯილდოოს. თუმცა, ძვირფასო მკითხველო, ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ სცენა სცენაა და ნამდვილი ცხოვრება მის მიღმა რჩება.

ავანსცენაზე კი, მალე გამოჩნდებიან ახალი მინისტრები.

სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეა და ავად თუ კარგად, საქმეს ჯორბენაძესთან ერთად უძღვება.

მაგრამ დავუბრუნდეთ „კანფეტების რიგს". ამ რიგს, როგორც ჩვენმა ინფორმაციის წყარომ, საქმეში კარგად ჩახედულმა პირებმა გვითხრეს, ლამის ყოველ საათს ცვლიან და ავსებენ მსურველებიო. ერთ-ერთი ასეთი წყაროს ცნობით, რიგიდან ამოსაგდებ ერთ-ერთ პირველ კაცად მოიაზრება გენპროკურატურის ხელმძღვანელი. მეტიც, ბაბილაშვილის შემცვლელი მოძებნილიც კი არის. ასეთად პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გია მეფარიშვილი მოიაზრება. თუმცა, მეფარიშვილის კანდიდატურას მოწინააღმდეგეები თავისსავე გუნდში ჰყავს. მასზე თურმე მიშა სააკაშვილია შემომწყრალი. ამ უკანასკნელმა არ მოიწონა ის კანონპროექტი, რომელიც მეფარიშვილმა პროკურატურის რეფორმებს მიუძღვნა. სააკაშვილი ამ ვარიანტზე დიდხანს ბობოქრობდა, პროკურატურას უფლებები გაეზრდებაო, „ამ პროექტის მიხედვით მეწარმეებს პროკურორებისათვის ახალი წილის გამზადება მოუწევთო" — შიშობდა სააკაშვილი. ელენე თევდორაძემ კი, წარმოდგენილ ვარიანტს კოშმარული უწოდა. მოკლედ, ამ პროექტის გამო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პარტიაში ბევრი მოიმდურა. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, მეფარიშვილმა იმიტომ მოამზადა ასეთი კანონპროექტი, სათავისოდ რომ სურდაო. ამჟამად მიშა სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მათ შორის წინააღმდეგობა აღარ არის, რადგან ერთობლივი ვარიანტი შეიმუშავეს. რაც შეეხება მეფარიშვილს, იგი საერთოდ სიტყვაძუნწია და ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით. მისი ამგვარი პოზიციით, უფრო სწორად, უპოზიციობით, დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება, რომ საქმე უფრო კონფლიქტურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ასეა თუ ისე, ბაბილაშვილი რომ მალე „უკანფეტოდ" დარჩება, აღარავისთვის არის დასამალი.

კანცელარიის კულუარებში საუბრობენ ვაჟა ლორთქიფანიძის ადგილმონაცვლეობაზეც. მის ადგილს თბილისის მერი ვანო ზოდელავა დაიჭერს, ლორთქიფანიძე კი შესაძლოა ელჩად გაამწესონ. ასევე გამოიცვლება სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუაც. მართალია, პრეზიდენტმა მასზე განაცხადა — არ არის ბაკურ გულუა მაგის კაციო (პრეზიდენტმა ამ ფრაზაში სოიას ზეთთან დაკავშირებით გულუას უდანაშაულობა იგულისხმა), მაგრამ მას მაინც მოუწევს თანაგუნდელებისთვის ანგარიშის გაწევა. უახლოეს დღეებში პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი გულუას თემას მიუბრუნდება (უკვე მერამდენედ!) არ გამორიცხავენ, რომ ბატონი ბაკური შეიძლება პირველივე სხდომაზე დაითხოვონ მინისტრობიდან. ამბობენ, ამ „უღელს" ქვემო ქართლის რწმუნებული ლევან მამალაძე დაიდგამსო. რამდენად ოცნებობს მამალაძე ამ პოსტზე?! პრეტენდენტი კომენტარს არ აკეთებს, თუმცა არა გვგონია მორცხვობის გამო დუმდეს. ფაქტი ერთია — მამალაძე შევარდნაძის ერთგულთა ამალაში მოიაზრება და სხვათა შორის, არც პრეზიდენტი ჩაგრავს უყურადღებობით. რაც შეეხება გულუას, წინასწარი პროგნოზით, მას სამინისტროს ერთ რომელიმე სამსახურს ჩააბარებენ და სოიას ზეთისა და ბაღლინჯოიანი ფქვილის სკანდალს ალბათ სამუდამოდ ჩამოშორდება.

## როგორ აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტი მარნეულში...

საპრეზიდენტო არჩევნები გადავაგორეთ. გადავაგორეთ ყოველგვარი ექსცესის გარეშეც (თუ პატიაშვილისთვის მარნეულში ნასროლ კვერცხებსა და შევარდნაძისათვის ახალციხეში მოწყობილ „სეპარატისტულად განწყობილი ელემენტების" მიტინგს არ ჩავთვლით). საერთო წინათგრძნობა გამართლდა და შევარდნაძემ გაიმარჯვა.

სამეგრელოში პრეზიდენტის რწმუნებულმა ბონდო ჯიქიამ არჩევნების დასრულება მთავრობის სხდომაზე დამსწრე უმრავლესობისათვის ახლობელი ეპოქის სულისკვეთებით უპატაკა ქვეყნის უკვე პირველ პირს.

„მოსახლეობის აქტივობა — მაღალი!

პრეზიდენტისათვის მიცემული ხმების რაოდენობა — მაღალი!

პრეზიდენტის კონკურენტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა — დაბალი"

სხვათა შორის, ეს ყველაზე მარტივი და გასაგები ახსნა იყო, თუ რა მოხდა არჩევნებზე და რასაც ელოდა ყველა, მაგრამ „მოსახლეობის აქტივობა — მაღალი" იმდენად მაღალი აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას მისი დაჯერება ფრიად გაუჭირდა, უფრო მეტიც, ამ მაჩვენებლის გადახარშვა ეუთოსა და ევროსაბჭოს „მარად კეთილ და ლოიალურ" დამკვირვებლებსაც გაუჭირდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხოელ და ადგილობრივ ჟურნალისტებზე.

9 აპრილს, საღამოს 5 საათისათვის არჩევნებზე მისული მოსახლეობის რაოდენობა ცსკ-ოს მონაცემებითაც კი 37%-ს არ აღემატებოდა. რვა საათისთვის კი არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი 70%-მდე გაიზარდა(?!)

ასეთმა შედეგმა პრეზიდენტის ყველაზე ოპტიმისტი მომხრეებიც კი განაცვიფრა. საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებს აკვირდებოდნენ, მას სამარცხვინო უწოდეს.

მთავრობამ ახალი ხუთწლედი ზუსტად ისე დაიწყო, როგორც ხუთწლედებს ეკადრებოდა — გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ზოგიერთ უბანზე 120-125% აქტივობა დაფიქსირდა ანუ არჩევნებში მონაწილეობა მოსახლეობის 100%-ზე მეტმა მიიღო.



საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები – 2000 წელი — ფორმა N 10/2000

# 22 მარნეულის საარჩევნო ოლქი

საოლქო

საოლქო საარჩევნო კომისიაში ხმის დათვლის შედეგების

ოქმი

ხმების დათვლის შედეგად საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

2. გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ............ 4036
3. გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა ............
4. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამომრჩეველთა ძირითად და დამატებით სიებში — × 8 6 4 0 2
5. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა (სიებში ხელმომწერთა რაოდენობა) — × 8 4 6 6 4
6. საარჩევნო ყუთში არსებული დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობა
7. ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა
8. პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| 1 | ედუარდ შევარდნაძე | 8 3 8 7 4 |
| 2 | ავთანდილ ჯოგლიძე | × × × 6 8 |
| 3 | ვაჟა ჟღენტი | × × × 5 0 |
| 4 | თენგიზ ასანიძე | × × 1 3 1 |
| 5 | ქართლოს ღარიბაშვილი | × × × 6 2 |
| 6 | ასლან აბაშიძე | × × × × × |
| 7 | ჯუმბერ პატიაშვილი | × × 1 3 7 |

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

თავმჯდომარის მოადგილე ______ მდივანი

კომისიის წევრები:

4. 8. 12.
5. 9. 13.
6. 10.
7. 11.

შევსების თარიღი – 2000 წლის „10" 04

შენიშვნა: 1. ოქმების რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ კანდიდატთა რაოდენობას: ერთი გადაეცემა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას; ერთი რჩება საოლქო საარჩევნო კომისიაში; თითო გადაეცემა პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებს.
2. ოქმს თან ერთვის საოლქო საარჩევნო კომისიის მოსაზრება საარჩევნო უბანში "საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის უხეშად დარღვევის შემთხვევაში, არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

ასეთი ოქმების დანახვაზე თვით მრავლის მნახველი ცსკ-ის იურისტებიც კი აღშფოთდნენ. ინფორმირებული წყაროს ცნობით, გია ზესაშვილს კაბინეტთან კინაღამ დაცვის დაყენება მოუხდა, რომ მათი მაჩვენებლების პროცენტის დაწევით აღშფოთებული გამგებლები მოეგერიებინა. ალბათ მათ ბეჯითად აუხსნეს რომ ასეთი შედეგების დაფიქსირება არ იქნებოდა სახარბიელო პრეზიდენტისათვის და, აქედან გამომდინარე, ფრიად ავნებდა მათ კარიერასაც.

ამრიგად, ასეთი ოქმები ცსკ-ში აღარ არსებობს. სამაგიეროდ, ასეთი ოქმები ოპოზიციის საარჩევნო შტაბში ჯერ კიდევ აქვთ შემონახული — რა იცი, რა დროს დაგვჭირდებაო.

გლდანის საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა რეალურად ხმების მიმცემთა რაოდენობაზე 120%-ით ნაკლები აღმოჩნდა — (?!) ამბობს მამუკა გიორგაძე. ამ ფაქტთან დაკავშირებით გია ზესაშვილმა მოკლე კომენტარი გააკეთა: „მე ამ ინფორმაციას არ ვფლობ. ჯერ საოლქო განყოფილებას მუშაობა არ დაუმთავრებია. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ოქმს ისინი არ მიიღებდნენ".

ამომრჩევლების რაოდენობაში დომხალი მარნეულის საარჩევნო უბანზეც დაფიქსირდა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ოქმის მონაცემებით, ჩანს სერიოზული არითმეტიკული შეუსაბამობა. ამ ოქმის მონაცემებით, მარნეულში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 86.402-ია. როგორც დოკუმენტში ჩანს აქედან არჩევნებში რეალურად მონაწილეობა 84.664-მა მიიღო. ოქმში კი გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა 4.036-ია დაფიქსირებული (გაცნობებთ, რომ გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა იმ ადამიანების რაოდენობის ტოლი უნდა იყოს, რომლებიც არჩევნებზე არ მივიდნენ). თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 86.402-ია და მონაწილეობა 84.664-მა მიიღო, როგორ დარჩა გამოუყენებელი 4.036 ბიულეტენი. რა, ზედმეტი ხომ არ დავბეჭდეთ?!

როგორც პოლიტოლოგები მიიჩნევენ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხელისუფლების პოლიტიკამ 50%-იანი „ინფლაცია" განიცადა (შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მათ 5-10%-იანი გაყალბება დააფიქსირეს და „ინფლაციაც" შესაბამისად განსაზღვრეს. 5-10% ინფლაციას საზოგადოება იტანს, 50% ინფლაციისას კი ძალიან სერიოზული პროცესები იწყება).

შეიძლება სწორედ ასეთი დიდი გაყალბების გამო იყო ეუთოსა და ევროსაბჭოს დამკვირვებელთა შეფასებები მკაცრი. ამიტომ გააკეთა საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ოპერატიული და ჭკუის დამრიგებლური დასკვნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა. ალბათ ამიტომაც არ ჩანს თავად პრეზიდენტიც ისეთი გამარჯვებული, როგორც წინასწარმა მონაცემებმა გვიჩვენა.

პოლიტიკოსები ვარაუდობენ, რომ არჩევნების შემდეგ არსებობს ქვეყნის განვითარების ორი ალტერნატივა. ერთი — შევარდნაძემ თავისი გაინაღდა და ამ ეტაპზე მას საკუთარი ხელისუფლების სიმტკიცისთვის აღარ დასჭირდება ორმაგი სტანდარტი ანუ ბალანსი და აღარ იქნება საკუთარი გარემოცვის მძევალი და მეორე — ამ არჩევნებმა საქართველო აზარბაიჯანისა და შუა აზიის რესპუბლიკებს გაუთანაბრა (არადა შევარდნაძე სწორედ ამ ქვეყნებისგან განსხვავებული ქვეყნის პრეზიდენტობით ამაყობდა დასავლელ კოლეგებთან ანუ დემოკრატიისა და სამართლებრივი საფუძვლების მაღალი ხარისხით). არ არის გამორიცხული, რომ ამ ქვეყნების შინა პოლიტიკის მსგავსი გახდეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაც. აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებში კი, მოგეხსენებათ დემოკრატია და სამართლებრივი საფუძვლები პირველი პირების უზენაესი ნებაა.

არჩევნების შემდეგ შევარდნაძემ ერთადერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა — ის მთავრობის შეცვლას აპირებს. 30 აპრილს პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართება. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომელ ალტერნატივას ირჩევს უალტერნატივო პრეზიდენტი. თუმცა გამორიცხული არაა, რომ მას თავად გააჩნდეს მესამე ალტერნატივაც. არადა, შევარდნაძის პოლიტიკა საქართველოში სწორედ იმას ადასტურებს, რომ ჭკვიანი და მოხერხებული კაცი მდინარეს ყოველთვის უპოვის მესამე ნაპირს.

ეკა ჯანაშია



მოამზადა
იზო რიკაძემ

**ღილკილოში ჩაბნეული წითელი მიხაკით დინჯად მიუყვება რუსთაველის გამზირს. ბავშვივით მორცხვობს, სახე ელანძება „მის“ დანახვაზე... მაგიდას მიუჯდება, უსიტყვოდ უცქერის ფეხმოკვეთილ ქალღმერთს... შემდეგ ისევ ქუჩაში გაიჭრება მონუსხული და აღფრთოვანებული...**

„ქუჩაში მოდის ტიციანი ზანტი, მსუქანი,
როგორც სოველი მოლაღური და
მორიალი“...

გარეგნულად ოდნავ ტლანქია, ხშირად ხუმრობს, — ას კილოზე ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდე... იქნებ „ჭარბწონიანთა კლუბიც“ შევქმნაო. სული კი საოცრად ფაქიზი აქვს.

ვალერიან გაფრინდაშვილი: „ორსული ქალივით ჭირვეულია და ნაზი. მე არ ვიცი, როდის წერს ის თავის ლექსებს. ლამაზი ხელი აქვს და ძვირფას ქაღალდზე უყვარს წერა. მის მაგიდაზე წიგნებია — წიგნებში დაუმთავრებელი ლექსები...“

ალბათ გაზაფხულმა და აპრილმა დაანათლეს ასეთი მგრძნობიარე სული...

„მე დავიბადე აპრილის თვეში,
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან,
მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან“.

წელს ისევ მოვიდა გაზაფხული და აპრილი... წითელმიხაკიანი პოეტი „უაილდის პროფილითა და ცისფერი თვალებით“ კარგა ხანია აკლია თბილისს. გრიბოედოვის ქ. №18-დან წაიყვანეს იმ ავადსახსენებელ 1937 წელს... ამ სახლში ტიციანის ხელშენავლებ ნივთებთან და ნაწერებთან ამჟამად მისი ერთადერთი ქალიშვილი ნიტა ტაბიძე ფუსფუსებს.

## ბავშვობიდან...

**ნიტა ტაბიძე:** მამას ყოველ ზაფხულს ჩავყავდი სოფელ ჭყვიშში და ერთი თვით მაინც მტოვებდა. თვითონ 2-3 დღე რჩებოდა. ბებო მაშინვე დატრიალდებოდა და მამას საყვარელ საჭმელს უმზადებდა — საცივს და კეცზე შემწვარ ერბოკვერცხს. ბავშვობაში კაპიტნობაზე ვოცნებობდი, ამიტომ მამას სოფლიდან ხშირად მივყავდი ბათუმში. ზღვა თვითონაც ძალზე უყვარდა, ბათუმიდან ფოთამდე გემით ვსეირნობდით. ეს იყო ჩემთვის უბედნიერესი წუთები...

თბილისში, ჩვენს ოჯახში, ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. არ მახსოვს ისეთი დღე, რომ წყნარად ვმსხდარიყავით მარტონი შინ. თუ სტუმარი ეწვეოდა საქართველოს, მამა უთუოდ ეპატიჟებოდა. ერთ სტუმარს მთელი „ცისფერყანწელები“ მოჰყვებოდნენ ხოლმე. ჩვენი დიდი მაგიდა მთელი ოთახის სიგრძეზე იშლებოდა, მიუსხდებოდნენ და იწყებოდა საუბარი საქართველოზე, მის წარსულზე... მამა ძალზე ლამაზად ჰყვებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ძია პაოლო არაჩვეულებრივი თამადა იყო, საოცრად მხიარული, ენამოსწრებული, ექსპრომტების დიდოსტატი. ხშირად იყვნენ ჩვენს ოჯახში ბორის პასტერნაკი (რუსი პოეტის მიერ ქ-ნ ნიტასთვის ნაჩუქარი პიანინო დღესაც დგას ტიციან ტაბიძის მუზეუმში), ალექსეი ტოლსტოი, მიკოლა ბაჟანი, ოვანეს თუმანიანი. „ცისფერყანწელებს“ უყვარდათ ერთმანეთის ლექსების კითხვა. სტუმარსაც უთუოდ ზეპირად უკითხავდნენ მის ლექსებს. თბილისის ქუჩებს მოატარებდნენ. აქედან ყველანი საქართველოზე შეყვარებულნი მიდიოდნენ.

მამას ნაამბობიდან მახსოვს: თურმე პოეტი ოსიპ მანდელშტამი სწვევია ბათუმს. იმ დროს ქალაქში შავი ჭირის ეპიდემიის გამო კარანტინი ყოფილა გამოცხადებული. პოეტი პორტში გაუჩერებიათ სხვა მგზავრებთან ერთად და ბათუმში არ შეუშვიათ. მანდელშტამი გაცოფებულა, — როგორ მიბედავთ, რომ კარანტინის გამო პორტში მაყურყუტებთო. იმდენი უყვირია, შეურაცხადად მიუჩნევიათ... იმ დროს მამაც ბათუმში ყოფილა, ქალაქის ერთ-ერთ ხელმძღვანელს უთქვამს, — აქ ვიღაც ავადმყოფია, გაიძახის, — პოეტი მანდელშტამი ვარო. იქნებ ნახო და დაელაპარაკოო. მამა პორტში მისულა, უცვნია პოეტი და ზეპირად წაუკითხავს მისი ლექსები. თურმე მამა რომ დაიწყებდა კითხვას, მანდელშტამი აგრძელებდა... ბოლოს უთქვამს, — არ მეგონა, თუ ვინმეს აქ ჩემი შემოქმედება ეცოდინებოდაო. მამამ „ტყვეობიდან“ დაიხსნა მანდელშტამი და თბილისში ჩამოიყვანა, ქალაქი შემოატარა, მიიყვანა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში, ლექსები დააბეჭდვინა, რომ ჯიბის ფული ჰქონოდა. მანდელშტამი კარგა ხანს ცხოვრობდა ჩვენთან... ერთხელაც მამა შინ დაბრუნდა და სტუმარი მოიკითხა, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი არ ვიცოდით. მეგობრებსაც დაურეკა, მანდელშტამის ადგილსამყოფელი არავინ უწყოდა; შეფიქრიანებულან ჩემი მშობლები. მამას კარადა გამოუხსნია და ველარსად უნახავს თავისი პალტო... პალტოს ნაცვლად საკიდზე წერილი ყოფილა Это мне нужно — წაუღია მანდელშტამს პალტო და წასულა...

ერთხელ თურმე მარიამ ორახელაშვილს რუსი მწერლები: გორკი, პასტერნაკი და სხვები ჩამოუყვანია საქართველოში, ვითომ ჩვენს „გასაკულტურულებლად“. მათ როცა ქართველი პოეტები გაუცვნიათ, გაოცებულან, — როგორ უნდა შევიტანოთ კულტურა იმ ხალხში, რომელთაც ჩვენზე უკეთ იციან რუსული ხელოვნებაო. მაშინ მამას პუშკინის უცნობი ლექსები წაუკითხავს, რომელთა არსებობაც თვით რუსმა პოეტებმაც არ იცოდნენ.

## „ტყვილა ვცდილობდი, დამევიწყა: მაინც ის მიყვარს“

დედა (ნინო მაყაშვილი) ყვარელში დაიბადა. გიმნაზიაში სწავლის დროს თელავში ცხოვრობდა. ერთხელ კბილი ასტკივებია და ექიმთან წაუყვანიათ. იქ უნახავს დედას ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. ექიმისთვის უთხოვია ჟურნალი. მთელი ღამე თეთრად გაუთენებია ლექსების კითხვაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დედა თბილისში გადმოსულა და ერთხელ მეგობრებთან ერთად „ცისფერყანწელთა“ ყრილობაზე მოხვედრილა. მამა მაშინ მოსკოვში ყოფილა. დედას ძია პაოლო გაუცვნია და ძალიან მოსწონებია მისი ლექსები. მალე საქართველოს ბალმონტი და გოროდეცკი სწვევიან. დედა ქუჩაში შეხვედრია ბალმონტს ერთ მამაკაცთან ერთად და გამოლაპარაკებია (უცნობი გოროდეცკი ჰგონებია). ბალმონტს ქალიშვილი სახლამდე მიუცილებია. დედას შინ მიუწვევია რუსთაველის მთარგმნელი პოეტი და უცნობი. ბალმონტს თავის ლექსებით მოუხიბლავს ქართველი მასპინძლები. უცნობი მამაკაცი, რომელსაც თავისი ვინაობა არ გაუმხელია, მამა ყოფილა.

# „გული არ დაგწყდეს, თუ ჩემზე ცუდს დაწერენ“



მაქსიმ გორკის სტუმრობა ქართველ მწერლებთან

1918 წელს რუსეთის მთელი ინტელიგენცია თბილისს მოაწყდა (რევოლუციას გამოექცნენ). მათთვის აქ საჩაიე გახსნილა, სადაც თურმე განათლებული, მაღალი წრის საზოგადოება იკრიბებოდა. მამას ერთხელ ბაზარში უნახავს კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც თეთრ მიხაკებს ყიდულობდა. უკითხავს მწერლისთვის, — ვის უნდა უძღვნა თაიგულიო. წითელკაბიან ქალიშვილსო, — უთქვამს ბატონ კონსტანტინეს (დედა მაშინ წითელ კაბას იცვამდა). შეხვედრა საჩაიეში ჰქონდათ დანიშნული: თურმე როდესაც გამსახურდიამ დედას თაიგული გადასცა, მამამ ღილკილოდან ამოიძრო წითელი მიხაკი და გაუწოდა საოცნებო ქალიშვილს. დედამ გამოართვა მიხაკი. ეს იყო სიყვარულის გამხელა და ნიშნობა... მამა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, როდესაც ქუჩაში შეხვედრია დედას ბატო-



თამუნია წერეთელი

ნი კონსტანტინე. არ სჯობდა, მე გამომყოლოდიო, — უთქვამს მაშინ. ჩემს ტიციანს არავინ მირჩევნია, არ ვნანობ, რომ მას გავყევიო, — უპასუხია დედას.

მამა ძალიან მორცხვი ყოფილა. პირველ ხანებში თურმე ვერ ელაპარაკებოდა; ისევ ძია პაოლოს უთქვამს დედასთვის, — ვერ ხედავ, შენზე როგორ გიჟდება, მიაქციე ყურადღებაო. 1919 წელს ჩემმა მშობლებმა ხელი მოაწერეს. ბინა არ ჰქონდათ... ლელი ჯაფარიძემ შესთავაზა თავისი სახლი. ქორწინების დღესვე ცუდად გამხდარა მამა, თურმე 40 გრადუსი ჰქონდა სიცხე. ფილტვების ანთებით იმავე საღამოს საავადმყოფოში მოუთავსებიათ. 40 დღე, სანამ იქ იწვა, დედა თავზე ადგა. როდესაც საავადმყოფოდან გამოუწერიათ, მამა ფაეტონით გაუსეირნებიათ მეგობრებს ქუჩაში. ამ დროს შეხვედრია ახალდაქორწინებულებს ქალაქისთავი ბენია ჩხიკვიშვილი და უთქვამს, — სარაჯიშვილის სახლი დავკეტეთ, პირველ სართულზე



ტიციანი და ნიტა

კომენდანტის ოთახია თავისუფალი და იქ იცხოვრეთო.

დედაზე ადრე მამა მელიტა ჩოლოყაშვილს ეტრფოდა, მაგრამ მათი სიყვარული უიღბლო აღმოჩნდა. მელიტა პარიზში წავიდა საცხოვრებლად და იქ გათხოვდა. მამამ არაერთი ლექსი უძღვნა მას. მელიტა ჩოლოყაშვილი იყო მამას პოეტური გატაცება და მუზა...

დიდი მონატრება, შორეული სატრფოს ხილვის სურვილი დიდხანს ტანჯავდა პოეტს.

„ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი,
სიშორის ორმოს ავავსებ სევდით,
მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორი,
ქვეყნის დასასრულს ორი შევხვდებით“.

გავიდა წლები და ტიციან ტაბიძე თამუნია წერეთელმა მოხიბლა.

**ნინო მაყაშვილის დღიურიდან:** „ბორჯომში ვისვენებდი. ტიციანის წერილი მივიღე — თბილისში ვიღაც მომხიბვლელი ქალი გამოჩნდა და ძალიან მინდა, შენც შეხედოო... მეორე დღეს იმ ქალის სანახავად წამიყვანა პავილიონში, სადაც მინერალურ წყალს ჰყიდდნენ (თამუნია წერეთელი „ბორჯომის“ წყლის გამყიდველი იყო)“.

ნიტა ტაბიძე: „ხომ ღმერთივით ქალია, მაგრამ ვერ ველაპარაკებიო, — დაუჩივლია მამას. მაშინ შენს მაგივრად მე გავუგზავნი ყვავილებსო, — უთქვამს დედას და მართლაც ასე გაუკეთებია. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე დიდი ვიყავი, მეგობარს მივაკითხე საავადმყოფოში. თურმე თამუნია წერეთელი იქ მკურნალობდა, შვილი ადგა თავს. როცა შეუტყვია, ნიტა ტაბიძეა მოსულიო, თამუნიამ მიხმო. მართლაც ძალზე ლამაზი ქალი იყო. განგრენის გამო ფეხი მოეჭრათ მისთვის (მამას ეს ცალფეხა ქალღმერთი მოსწონდა). თამუნიამ მითხრა: ტიციანი ყოველდღე მოდიოდა პავილიონში, მაგრამ ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამსო.

თამუნია გათხოვილი იყო, როდესაც მამას შეხვდა. მამა შორიდან ეტრფოდა მას, ძალიან მოსწონდა, ვერ მალავდა აღფრთოვანებას. მამას სიკვდილის შემდეგ დედამ წიგნში ნახა მისი ბოლო ლექსი... იგი თამუნია წერეთლისადმი იყო მიძღვნილი.

დედა ხშირად ამბობდა, — ძნელია პოეტის ცოლობა. უნდა აიტანო მისი მოწონებაც და აღფრთოვანებაც. პოეტს არ უნდა წაართვა ის, რაც აღმაფრენას აძლევსო.

## „მაპატიე, შვილო, ძალიან გაგწირე...“

როდესაც მშობლები მეკითხებოდნენ, — ყველაზე ძალიან ვინ გიყვარსო. ვპასუხობდი, — ძია პაოლო-მეთქი. მამა მეუბნებოდა, — ჯერ სამშობლო უნდა გიყვარდეს, მერე დანარჩენიო. არ შეიძლებოდა, ძია პაოლო არ გყვარებოდათ, ის საოცრად მოსიყვარულე, თბილი და მხიარული იყო. 1937 წელს მოსკოვში ქართული მწერლობის დეკადა მოეწყო. საზეიმო ბანკეტზე სტალინიც მისულა. სუფრას თურმე ძია პაოლო თამადობდა. ძალიან მოსწონებია იგი სტალინს და ბერიასთვის დაურეკავს, — პაოლო იაშვილი მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეთო. მაშინ ისეთი დრო იყო, ასეთ თანამდებობაზე დამსმენი სჭირდებოდათ. პაოლოს უარი უთქვამს ბერიასთვის, — მასეთ საქმეს ვერ ვიკადრებო. მალე მწერალთა ყრილობა გაიმართა თბილისში. ყრილობის დღეს ძია პაოლომ ჩვენთან დარეკა, — ტიციანი არ წავიდეს მწერალთა კავშირშიო, მაგრამ მამა უკვე შინიდან გასული იყო. მერე მე მითხრა, — ხომ გიყვარვარ... მიმიხედე ჩემს მედეასო (ქალიშვილს) და ყურმილი დამიკიდა. იმ დღეს ძია პაოლოს მეუღლე და ქალიშვილი მშობლებთან გაუგზავნია. მერე თოფი აუღია და მწერალთა კავშირისკენ წასულა. ეტყობა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა. მეორე სართულზე თოფი შეუნახავს და დარბაზში ჩასულა. ვერავის შეუტყვია მისთვის ვერაფერი. რამდენიმე წუთში ისევ ზემოთ ასულა და თავი მოუკლავს.

მამა ყრილობიდან მარტო მოვიდა გაუბედურებული, ადამიანის სახე აღარ ჰქონდა. ის საშინელი ღამე ტირილში გავათენეთ. მამა კედლებს აწყდებოდა...

როგორც კი გავარდა ხმა, — პაოლო იაშვილმა თავი მოიკლაო, ჩეკამ მთელი არქივი წაიღო. მედეას მამის წერილი გადასცეს: ძალიან მენანები. რომ გაიზრდები, მერე გამიგებ... მაპატიეო.

ძია პაოლოს სიკვდილის მერე ბერიამ დაიბარა მამა. დაწერე, რომ პაოლო ამერიკის ჯაშუში იყოო. მამას უარი უთქვამს. ბერია დამუქრებია, — ხომ იცი, შენისთანებს მეუღლეებთან ერთად ვასახლებთ, ნიტას ვის უტოვებო. ამის შემდეგ ბერია მამას გადაემტერა, მაგრამ 2 თვე მაინც მისცა მოსაფიქრებლად. მამასთან მოდიოდნენ მეგობრები — სერგო კლდიაშვილი და სიმონ ჩიქოვანი ურჩევდნენ, — პაოლო მკვდარია, არაფერი ეშველება. დაწერე, იქნებ ცოცხალი გადარჩეო. მამა, კონსტანტინე გამსახურდია და მიხეილ ჯავახიშვილი მაშინ მწერალთა კავშირიდან გარიცხულები იყვნენ. ლავრენტი ბერია დაჰპირდა მამას, — თუ პაოლოზე დაწერ ჩვენებას, მწერალთა კავშირში დაგაბრუნებო. მამა უარობდა, — სიამის ტყუპებივით ვიყავით, მასზე აუგს რა მათქმევინებსო. იმ ორი თვის მანძილზე მამა ძალიან აფორიაქებული იყო. მისი ოთახიდან მთელი ღამის მანძილზე ფეხის ხმა მესმოდა. ბოლოს, გავიდა დათქმული დრო. მამა ისევ იხმო ბერიამ, მაგრამ სასურველი ჩვენება ვერ მიიღო. ჩეკადან რომ დაბრუნდა, მითხრა, — შვილო, ძალიან გაგწირე, მაპატიე... სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი... ჩემი მეგობრები არ მიგატოვებენ, მოგხედავენ. არავისზე გული არ დაგწყდეს. თუ ჩემზე ცუდს დაწერენ, იცოდე, რომ სხვანაირად არ შეეძლოთო. მამამ წინასწარ გააფრთხილა მეგობრები, თავის გადარჩენაზე ეფიქრათ. გოგლა ლეონიძეს უთხრა, — შენი ორი ძმა დაჭერილია, ფეფიკო არ გაამწაროო. ეტყობა, იცოდა მამამ, რომ გოგლასაც ცალი თვალით უყურებდნენ.

8 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე მანქანის ხმა მომესმა. დედას და მამას არაფერი გაუგიათ, მკვდრებივით ეძინათ. კარი გავაღე. ოთხნი იყვნენ, ტიციან ტაბიძე აქ ცხოვრობსო, — მკითხეს და ქაღალდი მაჩვენეს, — დაკითხვაზე უნდა წავიყვანოთო. მამა გავაღვიძე. მახსოვს, აქ, ამ სავარძელში იჯდა. ხელები ისე უთრთოდა, სიგარეტს ვერაფრით მოუკიდა. ისინი სახლს ჩხრეკდნენ. წაიღეს ფიროსმანის მიერ დახატული რუსთაველი, მამას პორტრეტი და ანდრეი ბელის ნაჩუქარი „დრევა ჟიზნი“, რომელიც მე დამიტოვა პოეტმა. ბელის საჩუქარს არ ვატანდი. ერთმა მითხრა, — შვილო, მამა მიგვყავს და ამას ჩივიო? უნდა ითქვას, რომ ჩეკისტები მკაცრები არ ყოფილან ჩვენს მიმართ, ნივთებიც არ დაულუქავთ.

3 საათზე სახლის ჩხრეკას მორჩნენ.

ნინო მაყაშვილი და ტიციან ტაბიძე



## „ტიციანი 15 დეკემბერს დავხვრიტეთ“...

მამამ წასვლისას გვითხრა, — არ იტიროთ, დამკითხავენ და გამოვალ, დანაშაული არაფერი მაქვსო. მამას გაცილების შემდეგ დედას შევხედე და გავოგნდი, — თმა მთლიანად გასთეთრებოდა. ის მაშინვე მაგიდას მიუჯდა და კარტის გაშლა დაიწყო. კარგი კარტი ამოვიდა. დედას იმედი მიეცა, — ტიციანს გამოუშვებენო. მეორე დღეს ერთი კაცი მოვიდა, — ტიციანს თავისი საწერი ქაღალდი უნდაო. მამა ორთაჭალის ციხეში ჰყავდათ. ჩვენ ხშირად დავდიოდით იქ. საჭმელი და ტანსაცმელი მიგვქონდა. ერთხელ ჩეკისტი მოვიდა, ჩვენთან. მამა თურმე ჩემს ამბავს კითხულობდა. სანამ მამას დაიჭერდნენ, ცუდად ვსწავლობდი. მისი დაპატიმრების მერე მოვუმატე მეცადინეობას და იმ ჩეკისტს ჩემი ნიშნების ფურცელი გავატანე, — მამას გაუხარდება-მეთქი. დეკემბერში გვაცნობეს, — ტიციანს ასახლებენ და თბილი ტანსაცმელი გამოუგზავნეთო. დედამ ყველაფერი გაამზადა... მერე რა არ ითქვა... ზოგი ამბობდა, ტიციანი მანქანიდან გადააგდესო. ზოგს ციმბირიდან მოჰქონდა რაღაც წერილები... თურმე ეს ყველაფერი სიცრუე ყოფილა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაასამართლეს ის ოთხი პიროვნება, რომელთაც მამა წაიყვანეს (შემდეგ ისინიც დახვრიტეს). პროცესზე მათ უთქვამთ, ტიციან ტაბიძე 15 დეკემბერს დავხვრიტეთო.

მამას დაპატიმრების შემდეგ უსახსროდ დავრჩით. დედას მუშაობის უფლება არ ჰქონდა. ჩვენს მეზობელს, შალიკო ძიას მოჰქონდა სამუშაო ჩვენთვის, ქუდებისთვის პომპონებს ვაკეთებდით, ცალში 3 კაპიკს ვიღებდით. მალე საცხოვრებელი ფართიც შეგვიმცირეს, ერთი ოთახი დაგვიტოვეს. რადგან ავეჯი ვერსად დავტიეთ, დედამ მეზობლებს დაურიგა უძვირფასესი ნივთები.

1940-41 წლებში ისე გაგვიჭირდა, რომ მენატურედ დავიწყე მუშაობა ჩემს ბავშვობის მეგობართან თეიმურაზ ყუბანეიშვილთან... დედა 1965 წელს გარდაიცვალა.

იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ელოდა მამას...



*რუბრიკას უძღვება*

*ირაკლი ალადაშვილი*

# ზესახელმწიფოები „ბირთვულ ხელკეტებს“ ამოკლებენ

14 აპრილს, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო კიდევ ერთი ნაბიჯით დასცილდა საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას — რუსეთის სახელმწიფო დუმამ, ბოლოს და ბოლოს, რატიფიცირება გაუკეთა შეთანხმებას შემტევითი შეიარაღების (**შშშ-2**) შემცირების შესახებ.

ეს შეთანხმება, რომელსაც რუსები CHB-2-ით, ხოლო ამერიკელები კი START-2-ით მოიხსენიებენ, ჯერ კიდევ 1993 წლის 3 იანვარს იქნა მიღწეული ბუშსა და ელცინს შორის, მაგრამ მას შემდეგ 7 წელი გავიდა და რუსეთის დუმა არ ჩქარობდა მის რატიფიცირებას.

თავად ვაშინგტონმა 1996 წელს განახორციელა START-2-ის რატიფიცირება და ამგვარ ნაბიჯს მოსკოვიდანაც ელოდებოდა. არადა რუსეთში პირველ რიგში მემარცხენეები (ძირითადად კომუნისტები) დღემდე თვლიან, რომ CHB-2-ის ამოქმედება მთლიანად რუსეთს მის ძირითად დამაშინებელ ბერკეტს — ბირთვულ რაკეტებს დააკარგვინებს.

მკითხველისთვის გასაგები რომ გახდეს, მაინც რაზეა საუბარი, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ წარსული.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვაშინგტონმა და მოსკოვმა ერთმანეთის ჯიბრით უზარმაზარი ბირთვული არსენალი დააგროვეს. 80-იანი წლების ბოლოს კი ორივეგან მიხვდნენ, ამ რაოდენობის ბირთვული ქობინები არა მარტო ერთმანეთის, არამედ მთლიანად ჩვენი პლანეტის რამდენჯერმე სრულ განადგურებას ეყოფოდა. ამიტომაც 1991 წელს აშშ-სა და მაშინდელ საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას — CHB-1-ს (ამერიკულად START-1), რომელიც ითვალისწინებდა თითოეული ამ ქვეყნისთვის ბირთვული არსენალის — 12.000-მდე ქობინის ნახევრამდე — 6.000-მდე შემცირებას.

90-იანი წლების შუა ხანებში ეს პროცესი განხორციელდა და ბუნებრივია, დაისვა საკითხი ბირთვული ქობინების შემდგომი — 3.000-3.500-მდე შემცირების შესახებ. სწორედ ამიტომაც მოეწერა ხელი CHB-2-ს, მაგრამ იმის გამო, რომ ყველა მოწვევის რუსეთის დუმაში აბსოლუტურ უმრავლესობას სწორედ კომუნისტები შეადგენდნენ, ამ ხელშეკრულებამ დღემდე რატიფიცირების „მზე ვერ იხილა“.

ძაღლის თავი კი სწორედ იქ არის ჩამარხული, რომ დღევანდელ რუსეთს უთუოდ უნდა აძლევდეს ხელს **შშშ-2**-ის ხელმოწერა, რადგან 5-7 წელში მოსკოვმა თავისი ბალისტიკური რაკეტების ლომის წილი ისედაც უნდა გაანადგუროს მათი საბოლოო მოძველების გამო.

**შშშ-2** ითვალისწინებს, რომ თითოეულ მხარეს დარჩეს მხოლოდ 3.500-მდე ბირთვული ქობინი. ამასთან განადგურდეს ყველა ის საკონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტა, რომლებსაც ერთზე მეტი ბირთვული ქობინის გადატანა შეუძლიათ.



არადა მოსკოვი ათწლეულების განმავლობაში ძირითად აქცენტს სწორედ მძიმე, მრავალქობინიან რაკეტებზე, პირველ რიგში კი PC-20-ზე (NATO-ს კლასიფიკაციით SS-18 "Satan") ამყარებდა. „სატანების“ გარეშე რუსეთის „ბირთვული ხელკეტი“ მართლაც რომ თავის გამანადგურებელ ძალას კარგავს. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი მოსკოვი არ გაუკეთებდა **შშშ-2**-ს რატიფიცირებას, მაშინ რამდენიმე წელიწადში მოძველებული „სატანები“ მაინც გადასაყრელი გახდებოდა, ხოლო ამერიკელები, ბუნებრივია, არ შეამცირებდნენ თავის ამგვარივე კლასის რაკეტებს. „სატანები“ საბჭოთა პერიოდში უკრაინაში მზადდებოდა, ამიტომაც მოსკოვს დღეს მათი განახლება აღარ შეუძლია.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა დღეს რუსეთს საშუალებას აღარ აძლევს სათანადო კონკურენცია გაუწიოს ვაშინგტონს. ამის ნათელსაყოფად უბრალო შედარებაც კმარა — თუკი რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი 5 მლრდ დოლარს ძლივს აღწევს, პენტაგონი ყოველწლიურად თითქმის 290 მლრდ დოლარს ხარჯავს! რომელ პარიტეტზე შეიძლება იყოს საუბარი?

ეს კი არა, კრემლს **შშშ-2**-ის შესრულებაც ძალიან გაუჭირდება, რადგან ბირთვული ქობინებისა და რაკეტების სალიკვიდაციო თანხებიც კი არა აქვს. სპეციალისტების გამოთვლით ერთი ბირთვული ქობინის დემონტაჟი 15 ათას აშშ დოლარამდე ჯდება, ხოლო შემცირების მიზნით უტილიზაციას ექვემდებარება არანაკლებ 12-15 ათასამდე სტრატეგიული და ტაქტიკური ბირთვული ქობინი. თვითონ ბალისტიკური რაკეტის განადგურებაც (პირველ რიგში კი მისი მაღალტოქსიკური თხევადი სარაკეტო საწვავის გაუვნებელყოფა) დაახლოებით 100 ათას დოლარამდე მოითხოვს. რუსებს, გარდა ამისა, არანაკლებ 150 მოძველებული ატომური წყალქვეშა ნავის დაშლაც მოუწევთ, თითოეულისთვის კი ეს ოპერაცია 3 მლნ დოლარს მოითხოვს. ეტყობა, **შშშ-2**-ის რატიფიცირების შემდეგ მოსკოვი ყველა ზემოხსნებული სამუშაოსთვის თანხების დაცინცვლას ვაშინგტონისგან მოინდომებს და, ალბათ, მიიღებს კიდეც, რადგან ამერიკელებს ურჩევნიათ, რუსული რაკეტები და ქობინები თავისი ფულით შეამცირონ, ვიდრე ძვირადღირებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა მოაწყონ. მით უმეტეს, რომ ამ სისტემის შექმნა ბოლო დროს ტექნიკური პრობლემების წინაშე დადგა და თანაც მოსკოვი მისი შექმნის კატეგორიული წინააღმდეგია. რუსები იმითაც კი დაემუქრნენ ვაშინგტონს, რომ გამოვლენ ყველა ხელშეკრულებიდან, თუკი პენტაგონი მაინც აამუშავებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ის გარემოება, თუკი კრემლი ვაშინგტონისადმი პროტესტის ნიშნად ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებიდან გამოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსები საქართველოში თავის სამხედრო ბაზებში საბრძოლო ტექნიკის რაოდენობას თავიანთი შეხედულებისამებრ შეცვლიან და იქ არც ერთ საერთაშორისო ინსპექციას არ დაუშვებენ.

# მოსკოვს ჩეჩნეთი უკვე თავისი ჰგონია...

## თუმცა ჯერ მთლიანად გროზნოსაც ვერ აკონტროლებს

ჩეჩნეთის ომი თავის მორიგ, ამჯერად გაჭიანურებულ ფაზაში გადავიდა.

ერთი შეხედვით, ფართომასშტაბიან ბრძოლებს ბოლო მოეღო, საფრონტო ავიაციამაც გაფრენები მკვეთრად — დღეში 150-200-დან 15-20-მდე შეამცირა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერალური ძალები რეალურად მთლიანად ვერ აკონტროლებენ ჩეჩნეთს.

მიუხედავად ამისა, კრემლი განუწყვეტლივ ცდილობს მთელ მსოფლიოს დაანახვოს, თითქოს ჩეჩნეთში ომი დამთავრდა, თანაც მოსკოვის გამარჯვებით!.

არადა ჩეჩენი მებრძოლები მარტო მთიან რაიონებში როდი უსაფრდებიან და ესხმიან თავის მოწინააღმდეგეს. დღე არ გაივლის, რომ ღამით, გროზნოში, რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება არ მოხდეს.

ბრძოლის ასეთი პარტიზანული მეთოდების საწინააღმდეგო პანაცეა ჯერ არ გამოუგონიათ. თვით სტალინსაც კი 10-15 წელი დასჭირდა, რომ უკრაინის ტყეებში გაფანტული ბენდერელები საბოლოოდ გაენადგურებინა.

მოსკოვმა ჩეჩნეთში თავისი ჯარების გადაჯგუფება და კონცენტრირება დაიწყო. ჩეჩნეთის ტერიტორია პირობითად მოქმედების სამ ზონად დაიყო.

პირველ რაიონში პასუხისმგებლობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაეკისრება, რისთვისაც ეს უკანასკნელი უშუალოდ ჩეჩნეთში ახალ, 42-ე მოტომსროლელ დივიზიას აყალიბებს. დივიზიაში 15-16 ათასი სამხედრო გაერთიანდება და იგი აქ მუდმივად იდგება. ცოტა ხნის წინ დაიწყო ამ დივიზიის ერთ-ერთი პოლკის ჩაყენება საქართველოს საზღვრების სიახლოვეს, ითუმ-ყალიდან 7 კმ-ში. დანარჩენი პოლკები განლაგდებიან კალინოვსკაიაში, ხანკალასა და შალიში.

არმიას ჩეჩნეთში ძირითადად საძიებო-სადაზვერვო ოპერაციების განხორციელება დაეკისრება, ანუ ჩეჩენთა რაზმების აღმოჩენა და მათი განადგურება არტილერიითა და ავიაციით.

რუსეთის შინაგანი ჯარები მეორე ზონის გაკონტროლებას კისრულობენ. ამისთვის აჩხოი-მარტანში, შალიში, ცენტოროიში, ჰატუნში, ენგენოსა და ურუს-მარტანში შინაგანი ჯარების სარდლობამ განსაკუთრებული დანიშნულების ცხრა ბატალიონი განათავსა. მათი მოვალეობაა, მილიციასთან ერთად განახორციელონ ე.წ. „წმენდა“ — აღმოაჩინონ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ჩეჩნები, რომლებიც ღამღამობით მებრძოლებად „იქცევიან“.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო ჯარებიც არ დარჩენილან უფუნქციოდ — მათ კრემლი საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრის გადაკეტვას ავალებს, რისთვისაც უკვე დაიწყო მისი ინტენსიური დანაღმვა. ამასთან, რუსმა მესაზღვრეებმა თვალყური უნდა ადევნონ ჩეჩნეთის მოსაზღვრე დაღესტნისა და ინგუშეთის რაიონებს.

რუსეთის სპეცსამსახურებს მიღებული აქვთ დირექტივა ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურების ადგილსამყოფლის დასადგენად, მათ დასატყვევებლად ან სულაც დასახოცად.

მკითხველი თავად მიხვდება, რომ მოსკოვი ცდილობს, აღარ გაიმეოროს ჩეჩნეთის პირველი ომის დროს დაშვებული შეცდომები და ყველა მისმა საბრძოლო დანაყოფმა კონკრეტული საბრძოლო დავალება განახორციელოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლი ვერც ამჯერად აუვლის გვერდს დიდ პრობლემებს.

პირველ რიგში, დასავლეთმა მკვეთრად გააძლიერა ზეწოლა ოფიციალურ მოსკოვზე ჩეჩნეთში ომის შესაწყვეტად. ევროსაბჭოდან საერთოდ



გარიცხვის შიშით რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ადრე თუ გვიან იძულებული გახდება, თავის სამხედროებს მკვეთრად შეამცირებინოს საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა.

ამით კი, რა თქმა უნდა, მაშინვე ისარგებლებენ ჩეჩენი მებრძოლებიც (სწორედ ასე ვითარდებოდა სიტუაცია 1996 წლის გაზაფხულ-ზაფხულშიც) და გადამწყვეტ დარტყმებს მიაყენებენ ფედერალებს — ყოველდღე მოულოდნელად დაესხმებიან თავს რუს სამხედროთა საგუშაგოებს.

თვით უზარმაზარი რუსეთიც კი ვერ გაუძლებს გაჭიანურებულ პარტიზანულ ომს ჩეჩნეთში.

თუმცა, არის მეორე და, ეტყობა, მთავარი მიზეზიც, რომელიც მალე ჩეჩნეთის ომში სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას დააჩქარებს.

საქმე ის გახლავთ, რომ პუტინმა ოთხი წლით უკვე გაინაღდა რუსეთის პრეზიდენტობა, ხოლო ჩეჩნეთის მეორე ომი რომ სწორედ პუტინის ავტორიტეტის ასამაღლებლად იყო წამოწყებული, დღეს აღარავის ეეჭვება. ელცინის ოჯახს ბორის ნიკოლაევიჩის შემცვლელად ისეთი კაცი სჭირდება, რომელიც მათ გარკვეული ხელშეუხებლობის გარანტიებს მისცემდა. ასეთი კაცი პუტინი გამოდგა — 26 მარტის რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების მეორე დღესვე, უკვე გამარჯვებულმა პუტინმა ელცინისა და მისი ოჯახის ხელშეუხებლობა და შეღავათები ოფიციალურად დააკანონა.

სხვათა შორის, ჩვენმა გვერდმა, „სამხედრო თემაზე“, ეჭვი, იმის შესახებ, რომ პუტინის ავტორიტეტის ასამაღლებლად შეიჭრნენ დაღესტანში ხატაბი და ბასაევი, გამოთქვა აწ. „კვირის პალიტრის“ 24-30 იანვრის ნომერში, სტატიაში „ბასაევი და პუტინი ერთ საქმეს აკეთებენ?! მას ჩეჩნეთის სრული განადგურება ჰქვია“.

გასულ კვირას კი უშუალოდ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა თითქმის ამგვარი რამ განაცხადა — ბასაევმა და ხატაბმა დაღესტანში შეჭრით რუსებს საბაბი მისცეს, ჩეჩნეთში მეორედ გაეჩაღებინათ ომიო. ბასაევი შეიძლება შეკრული იყოს ოდიოზურ ბერეზოვსკისთანაც, რომელსაც სურდა პუტინის გაპრეზიდენტება, რადგან თუკი კომუნისტი ზიუგანოვი გაიმარჯვებდა (არადა ჩეჩნებისთვის ჭკუის სასწავლებლად წამოწყებული მეორე ომის წინა პერიოდს რომ არ აემაღლებინა პუტინის ავტორიტეტი, „ველიკოდერჟავულ“ რუსებში ზიუგანოვი ნამდვილად გაიმარჯვებდა), მაშინ ბერეზოვსკის დღეები კი არა, საათები იყო დათვლილი.

ასე იყო თუ ისე, პუტინი პრეზიდენტი გახდა. აქედან გამომდინარე, კრემლისთვის ჩეჩნეთის მეორე ომის გაგრძელება აზრს კარგავს (მასში რუსები პირწმინდად ვერ გაიმარჯვებენ, ყველა მებრძოლი ჩეჩენის ფიზიკურ განადგურებას კი არაერთი წელი სჭირდება). ადრე თუ გვიან პუტინი სამშვიდობო მოლაპარაკებებს დაიწყებს ჩეჩნებთან, მით უმეტეს, რომ ამისთვის უკვე მზად არის ასლან მასხადოვი.

თუკი მოვლენები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა, მაშინ არ გაგიკვირდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფიზიკურად გაანადგურებენ ბასაევს, ხატაბს თუ უდუგოვს. ისინი, უბრალოდ, ზედმეტნი გახდებიან არა მარტო ჩეჩნებისთვის, არამედ თვით რუსული სპეცსამსახურებისთვის.

P.S. უკანასკნელ ხანს გროზნოში მოქმედმა პრომოსკოვურმა საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს საველე მეთაურს ხატაბს და ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტს ვახა არსანოვს უბრძანებიათ თავიანთი მებრძოლებისათვის ასლან მასხადოვის ფიზიკური განადგურება. ის, რომ ხატაბს და მასხადოვს (რომ არაფერი ვთქვათ ბასაევზე) ერთმანეთთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, ცნობილია. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ პრომოსკოვურმა საინფორმაციო ცენტრმა რუსეთის სპეცსამსახურების პირდაპირი დავალებით მორიგი დეზინფორმაცია გაავრცელა, რათა გარკვეული უთანხმოება ჩამოეგდო ჩეჩენ მებრძოლთა რიგებში.

# მკითხველის სვეტი

**გთხოვთ დაგვიხასიათოთ ამერიკული M60A1 ტიპის ტანკი და გამოიყენა თუ არა იგი ამერიკამ ვიეტნამის ომში?**

***გიორგი ნიპარიშვილი***

## M60-ის ლულები საქართველოს უმიზნებდა

M60 ამერიკელებისათვის დაახლოებით იგივე იყო, რაც T-55 რუსებისთვის. ორივე ტანკი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მძიმე საბრძოლო ტექნიკა გახდა. ისინი თავიანთი შეჯავშნული „შუბლებით“ ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა კუთხეში მიმდინარე ბრძოლებში იჭრებოდნენ. მაგრამ პატივცემული გიორგისთვის რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, M60-ს ვიეტნამში არ უომია.

ვიეტნამის ჯუნგლებში თავდაპირველად პენტაგონი მძიმე ტექნიკის გაგზავნას საერთოდ არ აპირებდა, — რა საჭიროა გაუვალ ჯუნგლებში მიმდინარე ანტიპარტიზანულ ომში ტანკები? — დაახლოებით ასე ფიქრობდნენ 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი გენერლები. მაგრამ როგორც კი ვიეტნამელმა პარტიზანებმა ჩინეთიდან და საბჭოთა კავშირიდან საშუალო T-54, T-55 და ПТ-76 მსუბუქი მცურავი ტანკების მიღება დაიწყეს, პენტაგონმა ვიეტნამში მძიმე ტექნიკა გადაისროლა. მათ შორის ძირითადად იყო საშუალო M48 და მსუბუქი M551 „შერიდანი“ ტანკები, აგრეთვე M113 მუხლუხოიანი ჯავშანტრანსპორტიორები.

ასე რომ, ვიეტნამის ჯუნგლებში ჯავშანი ერთმანეთს მხოლოდ ამერიკულმა M48-მ და საბჭოთა T-55-ებმა მოუსინჯეს.

რაც შეეხება M60-ს, იგი 1959 წელს სწორედ ზემოთ ხსენებული M48-ის ბაზაზე შეიქმნა და 25 წლის(!) განმავლობაში იწარმოებოდა. ამ, მართლაც რომ დიდი ხნის მანძილზე 14 ათასი M60 დამზადდა.

1962 წელს გამოუშვეს უკვე მოდერნიზებული M60A1. 1972 წელს მას მოჰყვა M60A2, ხოლო 1978 წელს კი M60A3.

ახალი ამერიკული ტანკი ძალიან წააგავდა M48-ს, მაგრამ მისგან განსხვავებით 105 მმ კალიბრის ქვემეხი ეყენა. თავის დროზე, 90 მმ კალიბრის ქვემეხის მქონე M48-ს რუსებმა 100 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი T-55 დაუპირისპირეს. ცოტა ხანში კი ვაშინგტონმა მოსკოვს 5 მმ-ით „გაუსწრო“. თუმცა M60A2 მოდიფიკაციის ტანკს სულაც 152 მმ-იანი ქვემეხები ეყენა, რომელსაც ჭურვის გარდა მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის „შილეილას“ გასროლაც შეეძლო. თუმცა ამერიკელებს M60A2-მა ნამდვილად არ გაუმართლა. 1972-74 წლებში სულ 540 ცალი M60A2 იქნა გამოშვებული და ისინიც მალე ამოიღეს შეიარაღებიდან.

ამერიკული M60A3 საშუალო ტანკი 51ტ-ს იწონის (თითქმის 14 ტ-ითაა მძიმე იმავე კლასის რუსულ T-55-თან შედარებით). მისი ეკიპაჟი 4 კაცისგან შედგება, ხოლო ქვემეხის ჭურვების რაოდენობა 63-ს აღწევს (T-55-ისა მხოლოდ 43-ს). ამასთან, ჭურვის ჰილზა გასროლისას მთლიანად იწვის,

**დინამიკური დაცვის ელემენტებით აღჭურვილი აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ტანკი M60A3**



რაც ძალზე დიდი შეღავათია. მოასფალტებულ გზაზე M60A3 ტანკი მაქსიმალურ 48 კმ/სთ ანვითარებს, რის საშუალებასაც 750ც.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავა იძლევა.

1.200-ზე მეტი M60A3 ტიპის ტანკი ამერიკელებმა 15-ზე მეტ საზღვარგარეთის ქვეყანას მიაწოდეს. მათ შორის კი ალბათ პირველ რიგში თურქეთი უნდა აღვნიშნოთ, რადგან ბოლო ათწლეულების მანძილზე სწორედ ამ ქვეყნიდან ემუქრებოდნენ M60-ები საქართველოს.

NATO-ს წევრი თურქეთის მე-3 საველე არმიასთან შეიარაღებაში მყოფ ასობით M60-ს ომის დაწყების შემთხვევაში მასირებული სატანკო შეტევა უნდა დაეწყო ძირითადად ორი მიმართულებით — ბათუმისა და ახალციხისკენ. შემდგომში თუკი თურქები (იგულისხმება NATO) წარმატებას მიაღწევდნენ, შეტევის განვითარება მოხდებოდა ქუთაისისა და თბილისის ბლოკირებისათვის.

ასე რომ, ქართველებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ, ახლოდან ენახათ „მოქმედებაში“ ამერიკული M60-ები. იმედია, დღეს ეს საშიშროება აღარ გვემუქრება, პირიქით, თურქებმა ტენდერი გამოაცხადეს M60-ების შესაცვლელად და შეიძლება უკვე მოძველებული M60-ები სხვა მესამე სამყაროს ქვეყნებს იაფად შესთავაზონ, ხოლო მთლად გაჭირვებულს, მაგალითად, საქართველოს, აჩუქონ კიდეც.



რუბრიკას უძღვება
მიხეილ ჩერქეზია

# გახმაურებული ქურდობა ორკესტრის თანხლებით...

**„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში რუბრიკა „ვერსიამ“ გაგაცნოთ ცნობილი ქართველი ჩეკისტი ვახტანგ ჯაფარიძე, რომელიც თანამედროვე აბრაგის ევგენი აფრასიძის შესახებ მოგვითხრობდა. წერილმა მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია და ამან გვაიძულა კვლავაც ვწვეოდით პოლკოვნიკ ჯაფარიძეს. ჩვენი დაჟინებული თხოვნის შედეგად გორგასლის ორდენის კავალერი დაგვთანხმდა მოეთხრო იმ მეტად გახმაურებული კრიმინალური ისტორიის შესახებ, რომლის ერთ-ერთი გმირიც თავადვე ბრმანდებოდა.**

— 1958 წლის 8 სექტემბერს ყოფილ საბჭოთა კავშირში ქვემეხის გასროლის ხმასავით გაისმა ინფორმაცია ქუთაისის ლომბარდის გაქურდვის შესახებ. სახელმწიფო საზღვრებზე კონტროლი გაძლიერდა, რათა ძვირფასეულობა საზღვარგარეთ არ გასულიყო — საქმე ეხებოდა ქუთაისის მოსახლეობის კუთვნილ 9 კგ ოქროსგან დამზადებულ უნიკალურ ნაკეთობებს, გაწყობილს ბრილიანტის თვლებით და გარდა ამისა, მეფე ნიკოლოზ -ის დროინდელ 550 ცალ ანტიკვარულ ჯიბის საათს.

ჩემი თაობის ხალხს ემახსოვრება, ქუთაისში ლომბარდი ცენტრალურ მოედანზე, სკვერის პირდაპირ მდებარეობდა. იქვე, პარკში საზაფხულო თეატრი ფუნქციონირებდა. ბოროტმოქმედებმა ლომბარდის გაქურდვა შაბათ-კვირას დაამთხვიეს და სწორედ ის დღეები აირჩიეს, როდესაც თეატრში საგასტროლოდ სომხური ჯაზ-ორკესტრი იყო ჩამოსული. კონცერტის მსვლელობისას, ქურდებმა ისარგებლეს ხმაურით, აძვრნენ ლომბარდის სახურავზე, ლომებით ჩაამტვრიეს შენობის ჭერი და რკინის არმატურის საშუალებით დაეშვნენ შენობაში.

შემდგომში თავად სემიონოვმა (ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა) ჩვენებაში აღიარა, რომ ლომბარდის გაქურდვამდე, რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი ზვერავდნენ შენობას და აკვირდებოდნენ თუ სად ინახებოდა ოქროულობა. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ოქრო სეიფებში ინახებოდა, სეიფები კი მომსახურე პერსონალის დაუდევრობითა თუ უდარდელობით (ალბათ, ფიქრობდნენ, ლომბარდს მაინც ვერავინ გაქურდავსო) არ იკეტებოდა, ბოროტმოქმედებმა მიიჩნიეს, რომ შენობაში შეღწევა და იქიდან ოქროულობის გამოტანა სრულიად შესაძლებელი იყო.

მომხდარის გამო ქუთაისის შინაგან საქმეთა მთელი საქალაქო სამმართველო უმალ ფეხზე დადგა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ ჩეკისტებმა აღმოაჩინეს „ნაბელლავის“ ერთლიტრიანი ბოთლი, რომელზეც ადამიანის თითის ანაბეჭდი ჩანდა.

საინტერესო დეტალი — ქურდები ლომბარდში ორი დღის განმავლობაში მუშაობდნენ და წყალიც კი ჰქონდათ მომარაგებული და კიდევ ერთი: დამნაშავეები საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ საიუველირო ნაწარმში — წაღებული იყო მხოლოდ ძვირადღირებული და უნიკალური ნაკეთობანი.

ბოროტმოქმედთა კვალიფიკაცია და მაღალი პროფესიონალიზმი საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ქურდობა ტექნიკურად ისე უზადოდ იყო შესრულებული, წუნს ვერ შეიტანდით. ასეთი „უნაკლო“ საქმის გამოძიება კი დიდი პრესტიჟი იყო.

შეიქმნა ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფი. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო პოლკოვნიკმა აბელ ოსეფაიშვილმა. იმ პერიოდში ქუთაისის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსად ვმუშაობდი და ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. ოპერჯგუფში შედიოდნენ: ჩემი მოადგილე კუკური დარსაძე, სამძებროდან მოვლინებული ვახტანგ მეგრელიშვილი, გამომძიებელი ირაკლი იაშვილი და შს სამმართველოს უფროსის მოადგილე ვალერიან შავგულიძე.



„წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როდესაც ოქროს ბრჭყვიალი შევნიშნეთ“

დაისახა გამოძიების გეგმა, სავარაუდო სამოქმედო ვერსიები. პირველ რიგში, მთელი რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით დაიგზავნა გატაცებული ნაკეთობების ჩამონათვალი, თითოეული საათის ნომრის მითითებით.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული სამი ვერსია ასე გამოიყურებოდა: პირველი — ქურდობა ჩადენილი იყო ლომბარდის თანამშრომლების მიერ; მეორე — სადარაჯო დაცვის მუშაკთა დახმარებით. მესამე ვერსია კი, პირველი ორის გამოურიცხაობით, ითვალისწინებდა ტექნიკურად შესანიშნავად მომზადებულ, წინასწარ დეტალურად შესწავლის შედეგად ჩადენილ ქურდობას, ასეთ საქმეებში კარგად გაწაფულ ბოროტმოქმედთა მიერ.

ქუთაისის მილიციის მთელი ძალები განაწილდა სამივე ვერსიის ფორსირებული შემოწმებისთვის, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი იმედი „შავი ბაზარი“ იყო — შეუძლებელია, ლომბარდიდან წაღებული ამდენი ნივთიდან, ერთი მაინც არ გამოჩენილიყო იქ.

რამდენიმე დღის შემდეგ ზუგდიდის მილიციის განყოფილების უფროსმა არსენ გაგუამ დაგვირეკა და გვაუწყა, დაკავებულია პიროვნება, რომელმაც სამი ანტიკვარული საათი გაყიდაო და იქვე დაგვისახელა გაყიდული საათების ნომრებიც. ეს იყო პირველი წარმატება — ნომრები დაემთხვა ჩვენ მიერ გავრცელებულ მონაცემებს. ინფორმაციის მიღებისთანავე ზუგდიდს გავემგზავრეთ და ეს კაცი, თავის საათებიანად, ქუთაისში ჩამოვიყვანეთ.



მაშინ სიამაყისა და ბედნიერების გრძნობას განვიცდიდით...

დაკავებული, ქურდობაზე ადრე ნასამართლევი, ბორის სემიონოვი აღმოჩნდა, თუმცა მას რამდენიმე გვარი ჰქონდა და „სემიონოვი“ ერთ-ერთი მათგანი იყო.

მთელი 10 დღის განმავლობაში არც ჩვენ დაგვიძინია და არც ის კაცი დაგვისვენებია. დაკითხვას დაკითხვაზე ვაწარმოებდით და ერთი წუთითაც არ ვანებებდით თავს. გვინდოდა, რომ მისი ნებისყოფა ფსიქოლოგიური ზემოქმედებით გაგვეტეხა.

სემიონოვი ირწმუნებოდა, ეს საათები სხვისგან ვიყიდეო, მაგრამ ჩვენ არ ვუჯერებდით. რაც შეეხება „ნაბელლავის“ ბოთლიდან აღებულ თითის ანაბეჭდს, სემიონოვის თითის ანაბეჭდებს იგი არ დაემთხვა. დაკავებული აცხადებდა, მინერალური სასმელი მაღაზიაში შევიძინე და რა ვიცი, ვისი თითებია მასზე აღბეჭდილიო. აი, უკვე მერამდენე ღამეს ვათევდით, მაგრამ ამაოდ...

ღამის ოთხი საათი იქნებოდა. ქალაქს ეძინა. რკინიგზის ბუფეტის გარდა არც ერთი მაღაზია არ მუშაობდა. ჩემს მოადგილეს გადავულაპარაკე, წავიდეთ, არაყი მოვიტანოთ, დავალევინოთ, იქნებ აჭიკჭიკდეს-მეთქი ეს ჩიტი. გაიქცა კუკური, მოარბენინა სასმელი, ძეხვი, შავი „ბუხანკა“ პური, გავშალეთ სუფრა და სემიონოვს ჩაის ჭიქით დავუდგით არაყი. თქვენ წარმოიდგინეთ, წვეთიც არ მოუსვამს. დადგა ჭიქა, თითებით შემოატრიალა, შემოგვხედა და გვითხრა: „Бог вам помог, дайте бумагу и я вам все напишу“-ო. ათი დღის უძილობას „პლუს“ ქართული სტუმართმასპინძლობა და სემიონოვმა ყველაფერი „დაფქვა“.

ამ დროს აბელ ოსეფაიშვილი თავის კაბინეტში იჯდა, გრიპით იყო ავად და ყელი ჰქონდა შეხვეული. აღარც მახსოვს, როგორ ავვარდი მეორე სართულზე და სიხარულით როგორ შევფრინდი მასთან. გვეშველა, ალაპარაკდა და სათაფლიის ტყეში გვთხოვს წაყვანას-თქო, ვახარე. აბელ ხარლამპოვიჩი (ასე ვეძახდით განყოფილებაში) გადამეხვია, გადამკოცნა, არიქა, გვეღირსა და წავიდეთო.

უკვე 5 საათი იქნებოდა, სათაფლიის ტყეს რომ მივუახლოვდით. ეს სემიონოვი იმდენად ჭკვიანი კაცი იყო, რომ ხეებზე საორიენტაციო ნიშნები ჰქონდა გაკეთებული. იმ სიბნელეში სულ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით გვატარა, კლდის ნაპრალთან მიგვაყენა და გვითხრა, იქ უნდა ჩავიდეთო.

ერთმანეთს გადავხედეთ. როგორი ჩასასვლელი იყო ამ ბოროტმოქმედთან ერთად... მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. ერთმანეთს გადავებით. შუაში სემიონოვი ჩავიყენეთ და ნელ-ნელა დავეშვით დაბლა. ნაპრალის ძირში ლოდი იდო. დაკავებულმა მიგვანიშნა, ამ ლოდის ქვეშ ამოთხარეთო.

სასწრაფოდ მოვიმარჯვეთ მესანგრეთა ნიჩბები და თხრას შევუდექით. დაახლოებით ნახევარი მეტრის სიღრმეზე ნიჩაბი რაღაც ნაჭერს მოედო. გულის ფანცქალით შევნიშნეთ, რომ ეს მუქი ფერის ტომარა იყო. როგორც იქნა, ამოვთხარეთ, გავხსენით და წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როდესაც ფარნის შუქზე ოქროს ბრჭყვიალი შევნიშნეთ!

ქუთაისისკენ რომ დავეშვით, წყალტუბოს გადასახვევიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით გამოჩნდა. ვერ წარმოიდგენთ, ამ მძინარე ქალაქის შემყურე რამხელა სიამაყისა და ბედნიერების გრძნობას განიცდიდა თითოეული ჩვენთაგანი... გასავათებულებს უკან მოგვქონდა მთელი ქუთაისის ქონება და ამის შეგრძნება პირზე ღიმილს არ გვაშორებდა.

ოქრო მთლიანად ვიპოვეთ, მაგრამ ჯერჯერობით არსად ჩანდა 550 საათი. მოსვენებას არ გვაძლევდა „ნაბელლავის“ ბოთლზე აღბეჭდილი თითის ანაბეჭდიც, რაც ადასტურებდა ვერსიას იმის თაობაზე, რომ სემიონოვი მარტო არ მოქმედებდა. მეორე მხრივ, დაკავებული საპირისპიროს ამტკიცებდა და ჩატარებულ ექსპერიმენტს, მარტო აეზიდა ლომბარდის სახურავზე ამსიმძიმე ტვირთი, მან თავი ადვილად გაართვა.

ანტიკვარული საათების პოვნას კიდევ სამი დღის განუწყვეტელი დაკითხვები დასჭირდა. სემიონოვს ისიც სათაფლიის ტყეში ჰქონია გადამალული, ოღონდ უკვე სხვა ადგილას, გამოქვაბულში. დავთვალეთ ძვირფასი ნივთები და აღმოჩნდა, რომ განძს 35 ოქროს საათი აკლდა...

ქალაქში ჩემი საიდუმლო საინფორმაციო ქსელი გამაჩნდა. აგენტურის საშუალებით შევიტყვე, რომ სემიონოვთან ერთად ლომბარდის გაქურდვაში კიდევ ერთი კაცი მონაწილეობდა და ეს ადამიანი თურმე ქუთაისში იმყოფებოდა. ინფორმაციის წყარო ზუსტად ასახელებდა აღნიშნული პიროვნების ადგილსამყოფელს, სახელსა და გვარს. ეს იყო ვინმე კოსტია კოსტენკო. განყოფილებაში მოსაყვანად იგი წვრილმანი ხულიგნობის ფაქტში გავხვიეთ და დავაკავეთ. ჩვენდა სასიხარულოდ, კოსტენკოს თითის ანაბეჭდი, ნაბელლავის „ბოთლზე“ აღებულ ანაბეჭდს დაემთხვა, ჩხრეკისას კი ის 35 საათიც ვუპოვეთ. მისი დაკითხვისას გაირკვა, რომ ლომბარდის ძარცვის შემდეგ შუა აზიაში წასულა, მაგრამ მალევე დაბრუნებულა უკან. სასამართლო პროცესზე მას სემიონოვი უნდა მოეკლა, რადგან ამ უკანასკნელმა განძეული დააბრუნა...

გამოძიების პროცესში, ერთ-ერთი მორიგი დაკითხვის დროს, სემიონოვმა გვითხრა, უწინ, როდესაც რუსეთში ვიხდიდი სასჯელს, პატიმრობის პერიოდში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში, როგორმე ბანკი ან ლომბარდი გამექურდაო. „ვფიქრობდი, რომ ნადავლს რუსეთის რომელიმე მიყრუებულ ქალაქში წავიღებდი, ნელ-ნელა გავყიდდი და მთელ ცხოვრებას უზრუნველად გავატარებდი. ლომბარდის ოთახების განლაგების შესწავლას ორი თვე მოვანდომე. ზოგჯერ შიგ შევდიოდი კიდეც და სალაროსთან, რიგში მდგომი შეუმჩნევლად ვაკვირდებოდი, სად მიჰქონდათ ხალხის მიერ ჩაბარებული ძვირფასეულობა. ვფიქრობდი, როგორ უნდა შემეღწია შენობაში და შემდეგ როგორ გამომეტანა ოქროს ნივთები.



ბორის სემიონოვი

7 სექტემბერს, სამუშაო საათების დამთავრებისთანავე, მე და კოსტენკო ლომბარდს უკანა მხრიდან მივუახლოვდით. პატარა ტომარაში სქელი მავთული, პატარა ლომები, ერთი ცალი პური და „ნაბელლავი“ მქონდა. ავძვერით შენობის სახურავზე და იქვე გავწექით. მალე ბაღიდან ორკესტრის ხმა გავიგონეთ (კონცერტის დაწყების დრო წინასწარვე ვიცოდით) და მუშაობას შევუდექით. ამოვყარეთ აგურები, მავთულის საშუალებით ოთახში ჩავძვერით და ძვირფასეულობის შეგროვება დავიწყეთ. ლომბარდში თითქმის 24 საათი გავატარეთ, ორჯერ დავნაყრდით კიდეც და კვირას ღამით შენობა იმავე გზით დავტოვეთ.“



აღმოჩენილი განძის დათვლა-დახარისხება დიდხანს გაგრძელდა... მარცხნიდან მესამე — ვახტანგ ჯაფარიძე.

აღმოჩნდა, რომ სემიონოვს ქუთაისის ბანკიც დაზვერილი ჰქონია — შენობის უკან, ნაძვზე ასულა და იქიდან დაუთვალიერებია, მაგრამ ბანკში შეღწევა შეუძლებლად მიუჩნევია. უკვე შემდგომ თანამშრომლებმა დავათვალიერეთ ბანკის მიმდებარე ტერიტორია და ეს ნაძვი მართლაც დავაფიქსირეთ შენობის უკან.

ასე დასრულდა ეს გახმაურებული საქმე. სასამართლომ ორივე ბოროტმოქმედს 15-15 წელი მიუსაჯა.

***მინი-დოსიე:***

***თადარიგის პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე. დაბადებული 1923 წელს, ონის რაიონის სოფელ შარდომეთში. წლების მანძილზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე.***

***თბილისის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. ფრონტის წინა ხაზზე მზვერავად იბრძოდა. ჯაფარიძის შეუპოვარ ხასიათზე კარგად მეტყველებს ომისდროინდელი ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან: ერთ-ერთი ოპერაციის დროს ახალგაზრდა ჯარისკაცი ფეხში დაიჭრა. ჭრილობა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ექიმებმა ფეხის ამპუტაცია გადაწყვიტეს. ამ აზრს ვერაფრით შეეგუა ბუნებით მებრძოლი კაცი — ახლოს არავის იკარებდა, საკვებსაც არ იღებდა იმის შიშით, რომ შიგ ძილის წამალი არ ჩაეყარათ და ამპუტაცია მისი ნების გარეშე არ ჩაეტარებინათ. სწორედ სიჯიუტემ იხსნა. ექიმებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ — თან ფეხი შეუნარჩუნეს და მომავალში მრავალი დანაშაულის გახსნასაც შეუწყვეს ხელი.***

***შემდეგ, უკვე მილიციაში მუშაობის დროს, სისხლის სამართლის სამმართველოში შემოსული ინფორმაციის 50% ვახტანგ ჯაფარიძის პირადი აგენტურული ქსელის ანგარიშზე იყო.***

***თავისი საქმის აღიარებულ პროფესიონალს არაერთი ურთულესი ოპერაცია აქვს ჩატარებული.***

***დღეს იგი სრულიად დინჯად, აუღელვებლად მოგვითხრობს ისეთ ამბებს, მძაფრსიუჟეტიან ფილმებში რომ გვინახავს.***

**უახლოეს ნომრებში „კვირის პალიტრა“ შემოგთავაზებთ ვახტანგ ჯაფარიძის მოგონებებს საქართველოში კარგად ცნობილი ყაჩაღების შესახებ.**

***მიხეილ ჩერქეზია***
***ეკა ესებუა***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გამომიჭირეს!!!

1978 წელს აზერბაიჯანიდან მანქანით თბილისში ვბრუნდებოდი. ქ. ევლახს გამოვცდი თუ არა, წინ მიმავალ მანქანას უადგილო ადგილას გადავასწარი და ჩასაფრებულ ავტოინსპექტორებს შევრჩი ხელში. ერთ-ერთი მომიახლოვდა და რადგანაც ყველა რესპუბლიკაში რუსული ითვლებოდა ყველასათვის საურთიერთობო ენად, აზერბაიჯანული აქცენტით ამიხსნა, მოძრაობის წესი დაარღვიეო. ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, სტუმარი ვარ და მაპატიეთ-მეთქი. გაეცინა და მითხრა, სტუმარს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ახსნა-განმარტების დაწერა მოგიწევს, თანაც აზერბაიჯანულ ენაზეო. ავუხსენი, რომ მათი ენა არ ვიცოდი, ამიტომ არ შემეძლო დამეწერა. არაფერი გამივიდა. შემპირდა, საბუთებს ჩამოგართმევ და თბილისში გადავგზავნიო. მივხვდი, რაზედაც მიმანიშნებდა, თანაც მოვერიდე გართულებებს. საბუთებში მისდა შეუმჩნევლად ჩავდე ათმანეთიანი, გავუწოდე და ვუთხარი, ახსნა-განმარტება საბუთებშია-მეთქი. გადაშალა მართვის მოწმობა, შეხედა შიგ ჩადებულ წითელ თუმნიანს და ნიშნის მოგებით მითხრა: „ა თი გავარილ, ფა აზერბაიჯანსკი ფისაც ნე უმეიშ, ვიდიშ, ქაქ ხარაშო ნაფისალ ფერვი ფალავინა აბისნითელნი“-ო. მივხვდი, ყოველმხრივ გამოჭერილი ვყავდი... მეტი რა გზა მქონდა, მივაწოდე მეორე „ფალავინა აბისნითელნი“.



***ა. მირიანაშვილი***

## % [illegible]

ჩვენი რაიონის მილიციის ეზოში იმ უძრაობის წლებში დადგეს მაღალი ყურებიანი ანტენა, მილიციის სამორიგეოში დადგმულ რაციაში ყველაფერი ისმოდა, რასაც შს სამინისტროს მორიგე სხვა რაიონებისა და საავტომობილო ტრასის სამორიგეოს აცნობებდა.



მილიციაში ქვემორიგედ მუშაობდა ერთი კარგი კაცი (სინამდვილეში არკაშა ახალაძე, ვთქვათ, ტრიფონ ცინცაძე). სამორიგეოს რაციაში (გორის ტრასის მორიგე ატყობინებს შს სამინისტროს მორიგეს) ისმის: „ორი ტრაილერი კომბოსტო გვაქვს დაკავებული და რა ვუყოთ?“ სამინისტროს მორიგე ეუბნება, საქმის კურსში ჩავაყენებ უფროსობას და გეტყვი პასუხსო. გავიდა ერთი საათი, ტრასის მორიგე კიდევ ეძახის იმავე საკითხზე. დამელოდე და გეტყვი პასუხსო, — ესმის კვლავ. ერთი და იგივე რამდენჯერმე მეორდება, საკითხის გადაწყვეტას საშველი არ დაადგა, მოსწყინდა არკაშას (ტრიფონს) ამდენი ერთი და იმავეს მოსმენა, აიღო თავისი სამორიგეოს რაციის ყურმილი და ვითომ სამინისტროს მორიგე იყო, ტრასის მორიგეს უპასუხა: მიღებულია გადაწყვეტილება, კომბოსტო უნდა ჩაამჟავოთ ადგილზეო. დაგექცათ ოჯახი, ამდენ კომბოსტოს ვინ ჩაამჟავებსო — აყვირდა ტრასის მორიგე.

***იმერეთის ნიავი***

## ყავაზე



ელდარ გოდერძიშვილს თუ დავუჯერებთ, ასეთი ამბავი გადახდენია მოსკოვში: თურმე, თავის ბოდბელ ძმაკაცთან ერთად სტუმრად ყოფილა საკმაოდ მაღალი წრის წარმომადგენლებთან. იმათ თავი მოუქაჩლებიათ და დიდებული სუფრა გაუშლიათ. თამადად, როგორც ქართველი და კარგი მოქეიფე, ელდარი დაუნიშნავთ.

მისი ბოდბელი ძმაკაცი კი პირველად ყოფილა ჩასული მოსკოვში და არც ასეთ ელიტურ სუფრაზე მჯდარა არასოდეს. ჰოდა, საკმაოდ უხერხულად და შებოჭილად გრძნობდა თავს. ის კი არა, ყოველ მეორე წუთს გადაუჩურჩულებდა ხოლმე ელდარს, — ვერან, ესა თუ ის ნაჭერი რით ან როგორ გადავიღოო.

მოკლედ, კარგა გვარიანად შეზარხოშებულთათვის მასპინძლებს ცალკე მაგიდაზე ყავა და პატარა მრგვალი ფუნთუშები მიურთმევიათ. უყურა ყავას და „ბულკებს“ სასმლით გათამამებულმა ელდარის ბოდბელმა მეგობარმა და... პატარა „ბულკი“ პირდაპირ სავსე ფინჯანში ჩააყურყუმელავა. თანაც, ისე გვარიანად, რომ „ბულკს“ მთელი სითხე შეუწოვია.

უბწკენია ელდარს მისთვის, — რა შვრები, შე ოხერ-მუდრეგო, ეგ როგორ შეიძლებაო?! როგორ თუ არ შეიძლებაო და... იმასაც სასწრაფოდ მოუჭერია გაჟღენთილი „ბულკისთვის“ ხელი ისეთი ძალით, რომ შეწოვილი სითხე ფინჯანშივე ჩაუბრუნებია.

ეგ სულ არ შეიძლება, შენი ასე და ისეო!.. — მთლად გადარეულა ელდარი.

მკვდრისფერი დასდებია ბოდბელ რაინდს, დალეულა სირცხვილისაგან. მერე, ქურდული მზერით შეუთვალიერებია მაგიდის წევრები, რომელნიც შეგნებულად არიდებდნენ თვალს ამგვარ უხერხულ სცენას, უტაცია ხელი ფინჯნისთვის და სულმოუთქმელად გადაუყლურწია დარჩენილი ყავა.

***თემურ ჟღენტი***

## „მალაქო, მალაქოო“



ბაბუაჩემს, ალექსანდრე თალაკვაძეს, ახალგაზრდობაში ზედმეტსახელად მალაქიას (მალაქოს) ეძახდნენ, რაზედაც საშინლად ბრაზდებოდა. ერთხელ თბილისშია სტუმრად ძმასთან ჩამოსული, დილით ადრე ესმის ქუჩიდან:

— მალაქო, მალაქოო!

გამოვარდა ბაბუაჩემი ნიფხავ-პერანგისამარა ქუჩაში... და ეცა, შიშისაგან თვალებგადმოცვენილ ქურთის ქალს, რომელიც რძეს ყიდდა თურმე.

***თენგიზ თალაკვაძე, ოზურგეთი, ნაგომარი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხოს ეკითხებიან:

— შენი სიდედრი სად წავიდა? დიდი ხანია არ დამინახავს.

მიხო პასუხობს:

— უცხოპლანეტელებმა წაიყვანეს, ხეხილის შესაწამლად, ჯოო!!!

***სალომე სტურუა, ოზურგეთი***

მიტო მიხოს ეკითხება:

— ყველაზე უბედური ვინ არის ამ ქვეყანაზე?

— ვინა და ჩემი ვირის ჩოჩორი.

— რატო?

— იმიტო, რო დედაც ვირი ჰყავს, მამაც, თვითონაც ვირი უნდა გახდეს და თანაც ვირიშვილია.

***თამაზ ლორთქიფანიძე, კარდენახი***



კახელი და ქართლელი ქეიფობენ, კახელი ამბობს:

— მოდი, ამ ჭიქით ჩვენ ფეხბურთს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — დაუმატა ქართლელმა.

ქართლელი ადგა და წასასვლელად გაემზადა, კახელმა მიაძახა:

— მაიცა, ჯო! მკვდარზე გაჩერება არ შეიძლება.

რაღას იზამდა ქართლელი, დარჩა და გააგრძელა ქეიფი.

***ბასტი, საგარეჯო***





სეროჟამ სერჟანტს უთხრა:

— უფროსო, ვერ გადავხტები პარაშუტით.

— რატომ?

— დედაჩემმა სიზმარი ნახა, პარაშუტი არ გაიშლებაო.

გაცვალეს პარაშუტები. გადმოხტნენ, მიწას რომ მიაღწიეს, მიიხედ-მოიხედეს. სერჟანტი აკლიათ, ძებნეს და ვერსად იპოვეს. ბოლოს სეროჟამ თქვა.

— ალბათ ის იყო, ჰაერში რომ ჩამიქროლა და მომაძახა, შენი დედაც და მისი სიზმარიცო.

***თელავი, გიორგი***



მიხო ქალაქში ჩავიდა ექიმთან. ექიმი ანკეტას ავსებს, ანკეტაში წერია: „ბიჭი თუ კაცი“. ექიმმა განუმარტა, თუ ქალთან გძინებია, კაცი ხარ, თუ არა — ბიჭიო.

— მაგათი დედა, მაგათი, — ეგენი დაგაძინებენ რო? ჩაწერე — ბიჭი!

***ფრიდონ თათრიშვილი***

სეროჟა ძმაკაცებმა ფეხბურთის საყურებლად წაიყვანეს სტადიონზე. სეროჟას ფეხბურთი არ აინტერესებდა და ჩუმად იჯდა. ძმაკაცმა ჰკითხა:

— შენ რა, ტემპერამენტიანი არა ხარ?

— არა, ტო, თოქმაჯიანი ვარ! — იყვირა სეროჟამ.

***მიშიკო კვანტალიანი, თბილისი***



**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# სალი აზიის გამარჯვება

ოფიციალურად არჩევნებზე, ისევე როგორც ხუთი წლის წინ, დამაჯერებლად გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მაგრამ არსებობს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ ეს არა მხოლოდ შევარდნაძის, არამედ იმ ძალების გამარჯვებაცაა, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და აგრეთვე იმათიც, ვინც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მომხრეა.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური რუკა უნიკალურია პოსტსაბჭოური სივრცისათვის. გარდა საკუთრივ ქართული რეგიონებისა, რომელშიც დსთ-ის საზომით, საკმაოდ დემოკრატიული პრინციპები მოქმედებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამკვიდრდა აგრეთვე ბიზანტიური რეჟიმი — აჭარაში, სამხედრო დიქტატურა — აფხაზეთში და ანარქიის მსგავსი რაღაც — სამხრეთ ოსეთში. ამგვარი სიჭრელე დიდ სირთულეებს უქმნიდა პატარა სახელმწიფოს ხელმძღვანელობას. აჯანყებული რეგიონების ძალისმიერი მეთოდებით მორჯულებამ შედეგი არ გამოიღო, მოლაპარაკებებს კი ამ ტერიტორიების სტატუსის შესახებ ბოლო არ უჩანდა.

განსაკუთრებით გამომწვევად იქცეოდა აჭარა. მისმა ლიდერმა ასლან აბაშიძემ „საგანგებო" ურთიერთობა დაამყარა ბათუმში განლაგებულ რუსეთის მოტომსროლელთა დივიზიის მეთაურობასთან, რამაც საშუალება მისცა, მეტროპოლიასთან მიმართებაში საკმაოდ დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს აჭარის უმაღლესმა საბჭომ დემონსტრატიული იგნორირება გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას თენგიზ ასანიძის შეწყალების თაობაზე. ასანიძე რეგისტრაციაში გატარდა პრეზიდენტობის კანდიდატად, მაგრამ ციხიდან არ გამოუშვეს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდშიც კი. თავად ასლან აბაშიძემაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში. იგი ალიანსში იმყოფებოდა საარჩევნო მარათონის ერთ-ერთ ფავორიტ ჯუმბერ პატიაშვილთან, რომელიც აგრეთვე, პრეზიდენტობის კანდიდატი გახლდათ, მაგრამ გარეგნულად პერსპექტიული ამ ტანდემის ზარი ჯერ კიდევ გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩამოირეკა, როცა ოპოზიციონერებმა წარუმატებლობა განიცადეს, მიიღეს რა აშკარა უმცირესობა. რევანშის იმედი მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჰქონდათ. ოპოზიციონერთა დუეტის გათვლა მარტივი იყო. ისინი აპირებდნენ ხმათა დაქსაქსვის ხარჯზე მისულიყვნენ მეორე ტურამდე და მაშინ უკვე ტანდემის ლიდერის სასარგებლოდ გაეერთიანებინათ მომხრეები.

მაგრამ აქ ბედმა უმტყუნათ. საპარლამენტო არჩევნებზე წარუმატებლობის შემდეგ აბაშიძის რეიტინგმა 7%-ზე მაღლა ვერ აიწია. პატიაშვილის თავგამოდებულმა დამცველებმა კი მოქმედი პრეზიდენტი 1989 წლის 9 აპრილის სისხლის ღვრაში დაადანაშაულეს და მაშინვე მიიღეს საპასუხო დარტყმა. საქართველოში ჩაიტანეს და გამოაქვეყნეს 9 აპრილის მოვლენათა გამოძიების მასალები, რომლითაც ტრაგედიის მთავარი დამნაშავე გამოდიოდა ჯუმბერ პატიაშვილი, რომელმაც თავის დროზე ბრალი მოხერხებულად დასდო მოსკოვს და საბჭოთა ჯარს. მასალების გამოქვეყნების შემდეგ არჩევნების ბედი გადაწყვეტილი იყო — ეროვნულ ტრაგედიაში დამნაშავისათვის, რომელიც ამავე დროს შეეცადა ტრაგედიით სპეკულაციას, ხმის მიცემაზე უარი თქვა მთავრობის მოწინააღმდეგე ელექტორატმა, რომელიც პატიაშვილის ძირითად საყრდენად იყო მიჩნეული. შევარდნაძის დანარჩენი მეტოქეები პრაქტიკულად არ აწარმოებდნენ აგიტაციას და უცნობნი იყვნენ ამომრჩეველთათვის. ამდენად არჩევნების შედეგები სრულიად გასაგებია: წინასწარი მონაცემებით პატიაშვილს ხმა მისცა 18,7%-მა. სხვა კანდიდატებმა ხმათა 1%-ზე ნაკლები შეაგროვეს.

იგრძნო თუ არა ამგვარი დასასრული, აბაშიძე გატყდა და არჩევნების წინა დღეს მოხსნა თავისი კანდიდატურა და თან არ მოუწოდა თავის მხარდამჭერებს, ხმა მიეცათ პატიაშვილისათვის. ყოველივე ამის გამო ჟურნალისტებმა გააკეთეს დასკვნა, რომ ოპოზიციური ტანდემი საბოლოოდ დაირღვა. საინტერესოა, რომ თავისი კანდიდატურის მოხსნა ბოლო მომენტში დააპირა აბაშიძის „დაუძინებელმა მეგობარმა" თენგიზ ასანიძემაც, მაგრამ ციხის ბიუროკრატიზმის გამო 10 წუთით დაგვიანდა მისი განცხადება და ცსკ-მ მისი კანდიდატურა არ მოხსნა.

რაც შეეხება აბაშიძეს, მან ღირსეულად მიიღო მარცხი და დათანხმდა თბილისთან მოლაპარაკებას უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე. ანუ აჭარა უბრუნდება საქართველოს კონსტიტუციურ ველს. ეს გახდება პირველი პრეცედენტი და არაორაზროვანი სიგნალი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის. მით უმეტეს, რომ უფრო შთამბეჭდავი სიგნალი უკვე მოვიდა კავკასიონის ქედიდან. რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა, რომელმაც იკისრა პასუხისმგებლობა ჩეჩნეთში ჩატარებულ ოპერაციაზე, გასაგებად განაცხადა, რომ არ აპირებს სეპარატიზმთან შერიგებას. ეს კი ნიშნავს, რომ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არ უნდა ჰქონდეთ მოსკოვის სამხედრო მხარდაჭერის იმედი თბილისთან კონფლიქტის შემთხვევაში.

გარდა ამისა, აპრილის ტრაგედიის მასალათა გამოქვეყნებამ აშკარად შეუწყო ხელი მოსკოვის რეაბილიტაციას ქართველთა თვალში. ასე რომ, არჩევნებმა, თუ პოლიტიკოსები დროულად ისარგებლებენ მისი შედეგებით, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოსა და რუსეთის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა და შესაძლოა სტრატეგიული პარტნიორობაც.

***ნეზავისიმაია გაზეტა №65***

## რას გვეტყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა სიწმინდეები (არტოსი, სეფისკვერი, ნაკურთხი წყალი) შევინახოთ სამზარეულოს კარადაში შაქართან, მარცვლეულთან, ბალახებთან (ანუ, არასაკვები პროდუქტებთან) ერთად მათი მოხერხებულად ხმარებისათვის?**

— სიწმინდეები უმჯობესია შევინახოთ კარადაში განცალკევებით, ან მათ ხატების სიახლოვეს მივუჩინოთ ადგილი.

**— დღეისთვის გამოდის მრავალგვარი მკრეხელობით აღბეჭდილი ტანისამოსი: მაისურები ბანქოს ან სიგარეტის რეკლამის გამოსახულებით, ალკოჰოლის რეკლამიანი ქურთუკები და მისთ. არის თუ არა მსგავსი სამოსის ტარება ცოდვა?**

— გამოსახულებანი, რომლებიც იწვევენ ცოდვიან გრძნობებსა და უკეთურ აზრებს, არ უნდა იყოს ქრისტიანის ტანსაცმელზე, რადგან ეს საცდურია გარშემომყოფთათვის და უცილობლად ცოდვაა. კიდევ მეტი, დღეს, სამწუხაროდ, ჩანთებიც კი არსებობს მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებით, რაც არანაკლები ცოდვაა, ისევე, როგორც მუსიკის ფირფიტაზე დაკრული ხატები, კალენდარზე დაკრული — აბა, გვიბრძანეთ, როგორ შეიძლება კალენდარზე ლოცვა?

**— რით შეიძლება ვანუგეშოთ ადამიანი, რომელიც გაქურდეს?**

— საუნჯის დაკარგვის მოთმინებით გადატანა მოწყალების ნებაყოფლობითი გაცემის ტოლფასია.

**— სალვთისმეტყველო წიგნებში ხაზგასმით არის მითითებული, რომ ადამიანი ვერ ცხონდება სიმდაბლის გარეშე. გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორ მიიღწევა თვით ეს „სიმდაბლე"?**

— სქიილუმენი საბა ასე პასუხობს ამ კითხვაზე: „იმისთვის, რათა შევიძინოთ სიმდაბლე, ყოველ გზით უნდა ავიცილოთ ქება, ვერიდოთ და გვეშინოდეს იმ ადამიანებისა, ვინც გვაქებს, პატივს გვდებს და გვეპირმოთნეება... ხოლო ვინც გვამხელს ან ავად გვახსენებს, გულით უნდა შევიყვაროთ, როგორც ჩვენი კეთილისმყოფნი, რადგანაც ისინი გვეხმარებიან სიმდაბლის შეძენაში და ჩვენი ხსნის საქმეში.

**— როდესაც გავცემთ წყალობასა და შესაწირავს, არსებობს თუ არა საზომი ჩვენი მოქმედების აღსარიცხავად?**

— იგივე სქიილუმენი საბა შეგვაგონებს: „...ვინც მცირედს შესწირავს, ის მცირედსავე იძენს სულიერად. „თუკი ჩვენ ვიმოქმედებთ პრინციპით: „იოლად გავაჩუქოთ ის, რაც ჩვენ თვითონ არ გვჭირდება", მაშინ როგორღა უნდა გვქონდეს უფლის უსაზღვრო მოწყალების იმედი ჩვენდამი?

**— როდესაც მათხოვრებს ჩავუვლი, გონებისა და გრძნობის ორგვარი მოძრაობა ხდება ჩემში, — დახმარების სურვილს რაღაც უხილავი წინააღმდეგობაც დაჰყვება. მე მეგონა, მხოლოდ მე მქონდა ასეთი ნაკლი, გავიკითხე და ჩემს ახლობლებშიც აღმოვაჩინე. რა მიზეზით ხდება ეს?**

— ამის თაობაზე არსებობს მღვდელმონაზონი იოანეს გაფრთხილება: „ყურადღებით იყავი საკუთარი თავის მიმართ, როდესაც გაჭირვებული კაცი მოგმართავს დახმარებისათვის: ფარული მტრები ამ დროს გაშმაგებით გებრძვიან: გულს გაგიქვავებთ, გაგიცივებთ და უგრძნობელს გაგხდით სხვისი გაჭირვების მიმართ. უნდა სძლიოთ თავს და გადალახოთ ეს ქრისტეს საწინააღმდეგო განწყობილებანი. გაალღვეთ თქვენს გულში თანალმობიერი სიყვარული თქვენივე მსგავსი ადამიანის მიმართ — რათა ქრისტე მაცხოვარმაც შეგიყვაროთ თქვენ და რასაც გთხოვენ, შეძლებისდაგვარად აასრულეთ იგი".

**— მონათლული ვარ პატარაობაშივე, ეკლესიაში კი სულ ორი წელია, რაც დავიწყე სიარული. მაგრამ, ეტყობა, ჯერ ვერ გავხდი ღირსეული ქრისტიანი — მიჭირს ტაძარში ლოცვა, თუმცა შინ ვლოცულობ ხოლმე, თანაც, საკმარისია დავიწყო ლოცვა და უნებურად მომდის ცრემლები. რას მივაწერო, არის თუ არა ეს განწმენდის ცრემლები?**

— თუ ტაძარში მლოცველს ცრემლი სდის, ეს მართლაც შეიძლება იყოს განწმენდის ნიშანი, მაგრამ შეიძლება იმის მაუწყებელიც იყოს, რომ სულს სწყურია სინანული, აღსარება და ზიარება, ხოლო ცრუ სირცხვილის გრძნობა (ტაძარში ლოცვის შიში) ეწინააღმდეგება მას ამ საქმეში.

**— შეიძლება თუ არა ქალი მივიდეს ტაძრად, როდესაც მას დედათა წესი აქვს, ამასთან, კიდევ რა ეკრძალება მას?**

— დედათა წესის დროს ქალს არა აქვს ტაძარში შესვლის უფლება. მაგრამ შეუძლია ტაძრის მიღმა დადგეს კედელთან ან იმ სარკმლის სიახლოვეს, სადაც მგალობლები გალობენ. შეუძლია შეიძინოს სანთელი, მაგრამ თავად მან არ უნდა დაანთოს. ამ პერიოდში არ უნდა ესტუმროს მონასტერს. სახლში შეუძლია იკითხოს ლოცვანი, ფსალმუნნი და სახარება. ხატებს, ჯვრებს არ უნდა შეეხოს, მით უფრო არ უნდა ეზიაროს.

**— შეიძლება თუ არა მკითხაობა ბედის ამოსაცნობად?**

— ეკლესია კატეგორიულად კრძალავს ამის გაკეთებას, იმიტომ, რომ ამ დროს ადამიანი კონტაქტში შედის ბნელ ძალებთან. უფალს რომ სურდეს, ყოველ ჩვენგანს გაუმჟღავნებდა მის მომავალ ბედისწერას, მაგრამ სახარებაში ნათქვამია, რომ გამუდმებით უნდა ვფხიზლობდეთ და ვლოცულობდეთ, რადგან არ ვიცით, რა ჟამს დაგვიდგება განსასჯელის დრო.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

# შევარდნაძე მანამ აკაკუნებს ნატოს კარზე, სანამ არ გაუღებენ?

## „შევის" ეპოქა საქართველოში კიდევ ხუთ წელს გაგრძელდება

კიდევ ერთმა პოსტსაბჭოურმა პრეზიდენტმა გააგრძელა წარმატებულად თავისი უფლებამოსილება — საქართველომ კვლავ აირჩია ედუარდ შევარდნაძე ქვეყნის ხელმძღვანელად ხუთი წლის ვადით. ახლა უკვე ედუარდ ამბროსის ძეს მიეცა შესაძლებლობა, პირადად განახორციელოს თავისი დაპირება, 2005 წლისათვის ნატოს კარებზე მიუკაკუნოს. რუსეთის დიპლომატია (ამ სიტყვის ფართო გაგებით, საუბარია არა მხოლოდ რფ საგარეო საქმეთა სამინისტროზე) არათუ გულგრილად ადევნებდა თვალს „№1 კანდიდატის" წინასაარჩევნო ტრიუმფალურ მსვლელობას მოსკოვისთვის პრობლემად ქცეულ მეზობელ ქვეყანაში, არამედ აქტიურადაც ეხმარებოდა მას არჩევნების პროცესში. ასე, მაგალითად, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე „ეეს რუსეთმა" საქართველოს მისცა ელექტროენერგია და სითბო. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე აღარაფერი ისმოდა საქართველოში ჩეჩენთა ბაზების შესახებ, მოსკოვში თავი ანებეს ყბადაღებულ იგორ გიორგაძეზე დარდს და სასწრაფოდ დაუსვეს ჯვარი აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის წინასაარჩევნო ამბიციებს.

ასე რომ, შევარდნაძემ მიიღო 80%-ზე მეტი საქართველოს მოსახლეობის იმ 70%-დან, რომელთაც ჰქონდათ ხმის უფლება და ვინც მივიდა არჩევნებზე. გარდა ამისა, მან მიიღო მხარდაჭერა ევროკავშირისგან, კლინტონისგან, შრედერისგან და აგრეთვე... ძალზე წონიანად გაჟღერებული მხარდამჭერი დუმილი ვლადიმირ პუტინისგან. რუსეთს უცებ დაავიწყდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება (თუმცა, მოლაპარაკებები ამის შესახებ ჯერ კიდევ 1 მარტს უნდა დასრულებულიყო), დაავიწყდა ასევე საქართველოს ტერიტორიიდან თავისი სამხედრო ბაზების გაყვანის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობა (თუმცა ახლა რაღას უნდა აღუდგნენ წინ — კრემლის მიერ რფ-სთვის წარმატებულად გამოცხადებული სტამბულის სამიტმა პრინციპში უკვე გადაწყვიტა საკითხი — ბაზები გაყვანილ იქნება მომავალი წლის 1 იანვრამდე!), რუსეთის ხელმძღვანელობას დაავიწყდა საქართველოს მოთხოვნა, გადაიხედოს დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა მანდატები აფხაზეთ-საქართველოს დაპირისპირების ზონაში და შეიცვალოს იგი სხვა სახელმწიფოს ქვედანაყოფებით.

გარდა ამისა, დავიწყებას მიეცა ასპროცენტიანად პრორუსულად განწყობილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, რომლის პარლამენტმა არჩევნების წინ ოფიციალურად განაცხადა, რომ შეუძლებელია მის ტერიტორიაზე არჩევნები ჩატარდეს. სიტყვამ მოიტანა და ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდი ახლა ვენაში გაიმართება, თუმცა მშვიდობიანი პროცესი, მოსკოვის უზარმაზარი დადებითი გავლენით, იწყებოდა 1992 წელს რუსეთისავე ქალაქ სოჭში...



მიუხედავად ამისა, ვლადიმირ პუტინს საქმე ექნება ედუარდ შევარდნაძესთან, რომლის ხელთაა საკმაოდ წონიანი „კოზირი" რუსეთთან პოლიტიკური თამაშისას. შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძემ, რომელიც წარმატებით ეწევა ამ დაუსრულებელ თამაშს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სტატუსით, შესანიშნავი პოლიტიკური მომზადების დემონსტრირება მოახდინა — უკვე 45 წელია, რაც იგი დიდ პოლიტიკაში მონაწილეობს. ძალიან დიდ პოლიტიკაში — 27 წელია, მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ-ის მეთაური გახდა. გეოპოლიტიკაში — 13 წელი. ედუარდ შევარდნაძემ გაუძლო ყველა გენერალური ხაზის რყევას და მოგებული გამოვიდა ყველა სიტუაციიდან, რაც, ცხადია, დიდ პატივისცემას იმსახურებს. მაგრამ მისი მოღვაწეობის შუალედური ჯამი მაინც სევდიანი შეფერილობისაა — მის დროს დაიშალა საბჭოთა კავშირი, მის დროს გადაიტანა საქართველომ სამხედრო გადატრიალება და ორი სისხლისმღვრელი ომი, მისი მმართველობისას მიიღო რუსეთმა თბილისში პრონატოული და ზოგადად ანტირუსული განწყობილების მქონე ხელმძღვანელობა.

რა თქმა უნდა, არსებობს საქართველოს არჩევნების სხვა, უფრო ოპტიმალური შეფასებაც, მათ შორის, რუსეთშიც. რედაქციას გააჩნია ერთ-ერთი ამგვარი შეფასება — ახლო მომავალი გვიჩვენებს, რომელი პროგნოზი იქნება უფრო ზუსტი.

***ნეზავისიმაია გაზეტა №65***

## იქნებ უნდა – რუსეთის კარი გამოიჯახუნოს?

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სახელმწიფოს ახლანდელმა მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც უკვე პირველ ტურში, ხმათა 80% შეაგროვა. 72 წლის პატრიარქი კიდევ 5 წლის მანძილზე მართავს ქვეყანას.

რას უქადის რუსეთს შევარდნაძის კვლავ არჩევა?

თუკი ქართველი ლიდერი არ შეცვლის თავის ახლანდელ პოლიტიკას მოსკოვთან მიმართებაში, მაშინ ორმხრივ ურთიერთობაში შესაძლოა პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდეს.

საუბარია, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებზე ჩრდილოეთ კავკასიაში. თბილისი ჯიუტად ცდილობს შეზღუდოს ჩვენი სამხედროების ყოფნა რესპუბლიკაში და „გააგდოს" თავისი ტერიტორიიდან რუსეთის ბაზები, საწყობები და არსენალი. ხშირად ეს კეთდება ნატოს წარმომადგენელთა კარნახით, რომლებიც დიდი ხანია კონსულტანტებისა და ექსპერტების ხარისხით ჩასხდნენ ქართულ შტაბებში (შევარდნაძის პირადი დაცვაც კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეცსამსახურების ოფიცრებისაგან შედგება). უკანასკნელ წლებში აშშ და თურქეთი წარმოუდგენლად გულუხვ ფინანსურ და სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას უწევენ საქართველოს „ქართული ჯარის ნატოს სტანდარტებამდე აყვანის მიზნით". შევარდნაძე კი მუდმივად იმეორებს, რომ „უკვე მალე რესპუბლიკა ნატოს კარს მიუკაკუნებს". როგორც ჩანს, დასავლეთის მოსკოვზე ზეწოლის დახმარებით ქართველი ლიდერი აპირებს მოაგვაროს მეორე პრობლემაც — ბოლო მოუღოს ჭირვეული აფხაზეთის დამოუკიდებლობას და, ამასთან ერთად, გაუშვას იქიდან რუსი მშვიდობისმყოფელები, რომლებიც, თითქოს „კვერს უკრავენ არძინბას რეჟიმს".

დაბოლოს, როგორც არ უნდა უარყოფდნენ თბილისში ბრალდებას, რომ ზოგიერთი ქართული ორგანიზაცია ხელს უწყობს ჩეჩენ ბოევიკებს, არსებობს უცილობელი ფაქტები, რომელიც ადასტურებს დაჭრილი ბანდიტების მკურნალობას თბილისის საავადმყოფოებში და მათთვის საზღვარგარეთული პასპორტებისა და ქართული ვიზების მიცემას. არსებობს დატყვევებულ დაქირავებულთა აღიარებებიც (ჩეჩნეთში შეპყრობილთა) იმის შესახებ, რომ სწორედ საქართველოს გავლით იღებდნენ ბასაევისა და ხატაბის რაზმები სამხედრო დახმარებას. ყოველივე ეს მოსკოვში, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს. რუსეთი ხომ საქართველოსთვის ძველებურად მთავარი ეკონომიკური „დონორია".

მთელ რუსეთის ტერიტორიაზე მომუშავე ქართველი „გასტროლიორი არბაიტერების" მიერ სამშობლოში ჩარიცხული თანხები აჭარბებს ამიერკავკასიის რესპუბლიკის ეკონომიკაში ჩადებულ დასავლურ ინვესტიციებს.

ქართველებისა და რუსების ტრადიციულად თბილი დამოკიდებულება უკანასკნელ ხანს ოდნავ „გააცივეს" პოლიტიკოსებმა. სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მეორე ვადით დარჩენილი შევარდნაძე ალბათ მალე გაამხელს, რა უნდა: ნატოს „კარზე" კაკუნის გაგრძელება თუ ის, რომ რუსეთის „კარი" არ გამოიჯახუნოს?

***კომსომოლსკაია პრავდა №66***

***საქართველოში კონტრაბანდამ ფანტასტიკურ დონეს მიაღწია: იგი „იმპორტის" 80%-ს შეადგენს. ეს მოვლენა ძაბავს ურთიერთობას ცენტრსა და „ავტონომიებს" შორის, ხელს უწყობს კორუფციას და განაცვიფრებს ინვესტორებს.***

***კონტრაბანდა ყვავის, სახელმწიფო უსახსროდაა და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხდება ქართველ ოფიციალურ პირთა მონაწილეობით, რომლებიც იცავენ კონტრაბანდისტებს, — აცხადებს აღშფოთებული ფედი ესლი — ამერიკული სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი საქართველოში.***

***მონდი***



რუბრიკას უძღვება
რამაზ ალანია

## თარაზულად:

7


მოქმედების ადგილის გაფორმება სცენაზე

8

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება დეპრესიის წინააღმდეგ

10

ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე

11

ნაწარმი, რომელიც ხელს უწყობს სეროტონინის გამოყოფას, რაც თავის მხრივ იცავს ადამიანს სტრესებისაგან

12


სასუნთქი მილის განშტოება, რომლითაც ჰაერი ჩადის ფილტვში

16

მრავალწახნაგად თლილი ალმასი

18
უმანკო, უმწიკვლო

19

მტაცებელი

20

კრუნჩხვითი, ხრინწიანი სუნთქვა

21

ტკბილეული, რომელსაც სადილის ბოლოს შეექცევიან

25

ქია, მწერი და მისთ. თავისი განვითარების ერთ-ერთ პირველ სტადიაში

26
წვრილი ნაწილაკების ნალექი, რომელიც გამოიყოფა სითხის დაწდომის ან ფილტრაციის დროს

27

უძრავი, ცალკე მდგომი ხე, რომელიც გამოიყენება ადგილმდებარეობაში გასარკვევად

30

პალმის უწვნო, ტკბილი, ყუათიანი ნაყოფი, ინდის ხურმა

33


სამართავი მოწყობილობა

34

ქიმიური ელემენტი, რომელიც მრავლად მოიპოვება მიწის თხილში და რომელიც ცენტრალურ ნერვული სისტემის მუშაობას აძლევს სტიმულს

35

არაკეთილგანწყობა ვისმეს მიმართ

36

სივრცე, სადაც მზადდება და მიმდინარეობს საომარი ოპერაცია

## შვეულად:

1

ცხოველთა მოშენების ერთ-ერთი მეთოდი

2

არქიმედეს მიერ გამოგონილი წყალსაქაჩი მოწყობილობის მთავარი ნაწილი

3

კვების რეჟიმი, რომლის დაცვაც მიჩნეულია პროფილაქტიკურ საშუალებად ალცჰაიმერის დაავადების წინააღმდეგ

4

ფეხის სამოსი



5
ვერაგი, მზაკვარი, გაიძვერა

6

საგნისაკენ მიმართული ლინზების სისტემა

9

ამფიბიების კვერცხები

13

ექიმის მიერ დანიშნული სამკურნალო ღონისძიება

14

ვითარება, გარემომცველი პირობები

15

ადამიანი, რომელიც 8 წლით ნაკლებს ცხოვრობს, ვიდრე ის, ვისაც ეს მავნე ჩვევა არ აქვს

17

სპორტული იარაღი, რომლითაც ვარჯიში (კვირაში ორჯერ 20-20 წუთი) ხელს უწყობს გულის კუნთის გამაგრებას

22

ბოსტნეული, რომელსაც ავიცენა აუგათ იხსენიებდა

23

სასიამოვნო პროცედურა

24
ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ცდას აღიარებს ცოდნის ერთადერთ, ჭეშმარიტ წყაროდ

28

თავის კანი თმიანად, რომელსაც აძრობდნენ დამარცხებულ მტრებს ინდიელები

29

ცოდნისა და ყოფაქცევის ჩვევები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაეცეს ბავშვს

31

კურდღლის ნაშიერი, ბაცაცა

32

მწვანედ მოსილი მინდორი

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ
*რამაზ ალანიამ*

**„კვირის პალიტრა“ №15 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. რაფინადი; 8. ბარნარდი; 10. ფერდობი; 11. პოკერი; 12. პიჯაკი; 16. შვებულება; 18. ჟანრი; 19. ფალია; 20. წყურვილი; 21. პლანშეტი; 23. ხტომა; 25. ნემსი; 27. აბსურდული; 30. ნიკაპი; 33. ბოლოკი; 34. კეტჩუპი; 35. პროტეინი; 36. კონსერვი.

**შვეულად:** 1. ვალტორნა; 2. ანთარი; 3. გინეა; 4. ობობა; 5. ანიმეა; 6. ადვოკატი; 8. კუდუსუნი; 13. ყვავილობა; 14. თბომავალი; 15. ართურმა; 17. გალერეა; 22. კვრინჩხი; 24. ტრაილერი; 26. სამკლავე; 28. ეპოპეა; 29. პოლისი; 31. სესია; 32. სპოკი.

## იყიდება ბინები

დიდუბეში 2-ოთახიანი ბინა მიშენებით, აივნებით, გისოსებით, ავტომანქანის სადგომი ადგილით, ცივი და ცხელი წყლით. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. 1 სართ. ტ: 34-52-34

წერეთლის გამზირზე, პანთეონთან (თაღიან სახლში) 2 ოთახიანი, არსტანდარტული, იზოლირებული, აგურის ბინა, 4(5). რკინის კარით, ტელეფონით, კონდიცონერით, ბუნებრივი აირით, მუდმივი დენით, სარდაფით, (ჭერი – 3,5 მ). ფასი 23.000$. ტელ: 35-10-96

სასწრაფოდ! ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობილი, არასტანდარტული, 3-ოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა (ს/ფ 80 კვმ) 100 კვმ ბარით („გეა"). ფასი 55.000$. მის: საბურთალოს ქ. №37/4. ტელ: 38-45-69

4 ოთახიანი, არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ლოჯიით, ორი სარდაფით, ტელეფონით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. საწყისი ფასი 43.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

ვერაზე 2 სართულიანი, კერძო, სარემონტო სახლი, დიდი მზიანი ოთახებით, დიდი შუშაბანდით, ტელეფონით. ტელ: 23-21-68 (13-15 სთ); 52-66-41 (11-19 სთ)

თავისუფლების მოედანზე №4-ში, მე-2 სართულზე იზოლირებული საოფისე ფართი – 150 კვმ. ტელ: 95-61-10

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

ან იცვლება თბილისის ნებისმიერ უბანში ბინაზე აგარაკი საგურამოსთან ახლოს, სოფელ ბურიანში, დაწყებული სახლის მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 1000$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

საგურამოში მიწის 1.000 კვმ ნაკვეთი პრესტიჟულ ადგილას, სასმელი წყლითა და ბუნებრივი აირით. ტელ: 95-56-21; 95-02-40

სოფ. იგოეთის ჰესთან საცხოვრებელი სახლი 190 კვმ, დამხმარე სათავსოებით, ბაღ-ხეხილით, მუდმივი დენით, სარწყავი და სასმელი ჭით, ვაზით ხეივნით. ტელ: 99-59-11. ანგელინა

## ქირავდება

25 კვმ ფართის ავტოფარეხი ორმოებით, რომელიც გამოდგება ავტოგასამართ სადგურად და სხვა სარემონტო საქმიანობისთვის. მის: ფანასკერტელის ქ. №17. ტელ: 22-44-91; 33-12-76. ნუკრი

## ვიქირავებ

ბინას საბურთალოზე 1000$-ის ფარგლებში. ტელ: 33-11-48. დოდო

## მილოცვა

**ნაზი კუჭაიძეს!**

საყვარელო დედიკო, დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს – 16 აპრილს. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. ჯანმრთელობა, ბედნიერება, ულევი სიხარული და უსაზღვრო სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი.

*შენი სათაყვანებელი შვილები ირმა და გურანდა ქურხულიშვილები*

**ბუთხუზა (კუკუნია) ნუცუბიძეს**

დაბადების დღეს ულოცავენ უახლოესი მეგობრები. უსურვებენ ჯანმრთელობას, წარმატებებს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

## გთავაზობთ სამუშაოს

წარმოების გაფართოებისა და საექსპორტო პროდუქციის გამოშვების დაწყებასთან დაკავშირებით ს.ს **„ბაგრატიონი-1882"**-ის სამეთვალყურეო საბჭო აგრძელებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1) წარმოების დირექტორი;
2) ფინანსური დირექტორი (მთავარი ბუღალტერი);
3) დირექტორი ხარისხის მართვისა და ნორმირების დარგში;
4) დირექტორი საკადრო და საერთო საკითხებში;
5) დირექტორი კომერციის დარგში;
6) გენერალური დირექტორის ასისტენტი;
7) საწარმოო და დამხმარე უბნების მენეჯერები;
8) უმაღლესი კვალიფიკაციის ზეინკალი;
9) უმაღლესი კვალიფიკაციის შემდუღებელი.

კანდიდატებისადმი მოთხოვნებს შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ტელეფონზე: 62-20-39.

საბუთების მიღების ვადა 2000 წლის 1 ივნისამდე.

*ინგლისური და რუსული ენების ცოდნა მისასალმებელია, ისევე, როგორც რეკომენდაციებისა*

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-P AIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული 1.700 ფრანკი (400 მარკა თვეში). ტელ: 96-07-81; 95-64-18

სამუშაო საერთაშორისო კომპანიაში. ანაზღაურება – შემოსავლის 25-50%, ზრდის პერსპექტივით. შერჩევა კონკურსით. ტელ: 73-37-03 (ნებისმიერ დროს); 79-42-47 (18-21 სთ). პავლე

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკრეფა-დაკაბადონებაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ციფრობრივი კვადრატით გამოგითვლით თქვენს შესაძლებლობებსა და მომავალს. ვისაუბრებთ პრობლემებზე. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარემონტო-კოსმეტიკურ სამუშაოს უმაღლესი ხარისხის გარანტიით, ხელსაყრელ ფასში და უმოკლეს ვადაში დამკვეთის გემოვნების გათვალისწინებით. ტელ: 60-08-05 (20 სთ-დან)

გერმანულ-ქართული ფირმა **DAWIT** გთავაზობთ მრავალფეროვან მომსახურებას: ელექტრომონტაჟი; მხატვრული განათების დამონტაჟება, გაფორმება; ავტომატური გადამრთველი სისტემების, ბენზინგასამართი სადგურების მონტაჟი; ყველა ტიპის ელექტროსამუშაოს ჩატარება. ტელ: 98-78-26

Computer Company „pulsar" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კეტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ტ: 33-08-71

უძრავი ქონების სააგენტო „ვიქტორია" ქ. ფოთში გაგიწევთ კომპეტენტურ დახმარებას, ბინების, ოფისებისა და სახლების ყიდვა-გაყიდვასა და გაქირავებაში. მის: ფოთი, დავით აღმაშენებლის გამზირი (ყოფ. ლენინის ქ.) №33. ტელ: 96-72-08

სარეალიზაციოდ ხელსაყრელ ფასში ვამზადებთ ნებისმიერი სიმაღლის და სხვადასხვა უჯრედის მქონე შემოსაღობ მავთულბადეს. გაგვაჩია მის გასაბმელად ლითონის საყრდენები. მის: ქ. თელავი. ტელ: 3-21-76. ჯემალი

შპს „Coucasus computer system". უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამები, კომპიუტერული ქსელები, უმაღლესი სერვისი. გარანტია 2 წელი. მის: ბარნოვის ქ. №1. ტელ: 98-44-20

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშვილდოსანი"

ვაკეთებ ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, აგრეთვე, რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას სამეულებზე, შალითების შეცვლას, სკამების, მატრასების გარემონტებას. ტელ: 95-50-57. ვალერი

სპეციალისტი მუშები გადაგიტანენ ავეჯს, როიალს, პიანინოს, ნებისმიერ ტვირთს. მანქანით მომსახურება – 1 სთ – 8 ლარი (ქალაქში). ტელ: 68-90-16. ვაჟა; 64-73-15. გურამი

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას სამუდამოდ, უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არა რომელიმე აპარატი ან მალამო. იცოდეთ, არ არსებობს მოურჩენელი თმა. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

ვაკეთებ ეპილაციას ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66, მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

სილამაზის სალონი „სტილი 2"! თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე (თმა მცირდება და ქრება), ეპილაცია უტკივნეულოდ (ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით), ინდივიდუალური ანესთეზიის შერჩევით; სახის გაწმენდა. ასევე წარმოებს კოსმეტიკისა და მაკიაჟის კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). სილამაზის სალონი „სტილი-2". ტელ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა)

სილამაზის სალონი „სტილი 1" გთავაზობთ: 1. სახის კორექცია – შეჭრა-ვარცხნილობების მიხედვით; 2. დეკორატიული მელირება, ტონირება, მზის ლაქები; 3. თმის შეღებვა საუკეთესო საღებავით – KOLESTON-2000; 4. აფრიკული ნაწნავი, საბანკეტო ვარცხნილობები. 5. ეპილაცია უმტკივნეულოდ (ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით), სახის გაწმენდა. აგრეთვე წარმოებს საპარიკმახერო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნინო. მის: რუსთაველის გამზ. №14 (ბესიკის ქ. №2). ტელ: 98-78-11.

## მკურნალობა

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

წინაპართა მეთოდებით, მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, ხსნარებსა და საფენებს. მკურნალობს: ჰაიმორიტს 4-5 დღეში, სრული გარანტიით, რევმატიზმს, სახსრების, ნალვლის ბუშტის, სამწვერა ნერვის ანთებას, თავის ტკივილს, ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს. ლიცენზირებულია ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის: გორის ქ. №3, I სად, I სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება 13-16 სთ (შაბათის გარდა). ტელ: 34-05-69

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 35-20-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების მკურნალობა ოპერაციული ჩარევისა და მასაჟების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ტელ: 96-62-58

გახდომა ეფექტურად, კომფორტით, შიმშილისა და დიეტის გარეშე, სწრაფად, გემრიელად! ჩაწერა ტელეფონზე: 61-77-74; 95-31-90; 899 58-25-44. მარი

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ კომპიუტერთან სწრაფად და ხარისხიანად მუშაობას. შეგასწავლით საოფისე პროგრამებს. მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები ყოველდღიური, ინდივიდუალური მეცადინეობით. **DAWIT**-ი – თქვენი მეგზური XXI საუკუნეში. ტელ: 98-78-26

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER. ტელ: 34-32-79

ფირმა **DAWIT**-ი საფუძვლიანად და ხარისხიანად შეგასწავლით ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. ყოველდღიური მეცადინეობით, ინდივიდუალურად მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები. გააკეთეთ არჩევანი ჩვენზე! ტელ: 98-78-26

კომპიუტერული კურსები: ოფისი (WINDOWS-98, OFFICE-2000); კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია (ADOBE PHOTOSHOP; ADOBE PREMIER 3D STUDIO MAX); საგამომცემლო საქმე (PAGE MAKER; COREL DRAW 9). მის: წერეთლის გამზ. №142, „ინტელექტუალური სისტემები) („სამთო ქიმიის" შენობა, მ. „დიდუბე"). ტელ: 34-08-46; 94-10-74

დაწყებითი კლასების მასწავლებელი მოვამზადებ ბავშვებს დაწყებითი კლასის ნებისმიერ საგანში. ტელ: 67-69-59. მაია

გრძელდება მიღება კოსმეტიკის შემსწავლელი კურსებზე. შეისწავლება: კანის ამოცნობა, მკურნალობა, კოსმეტიკური რძეები, ლოსიონები, საპნები, მალამოები (მკვებავი, სამკურნალო, დეკორატიული), ეპილაცია, მასაჟები და სხვ. მის: ნაძალადევი, დადიანის ქ. №26 (მ. „ვაგზლის მოედანთან"). ტელ: 66-53-56

შევასწავლი ტორტების ცხობა-გაფორმებას ჩემი მასალით, 1 თვეში. ტელ: 77-86-68. მაია

## იყიდება

ა/მ „მერსედეს ბენცი-190", 5-სიჩქარიანი, 2,3 ძრავით, მუქი ლურჯი, 1985 წლის გამოშვება, ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 2.800$. ტელ: 31-67-44

1) მე-19 საუკუნის ბოლოს შესრულებული ფერწერული ტილო, რუსული სკოლა – 150$; 2) ბალზაკის 15 ტომი – 60 ლარი; 3) ა. დიუმას 20 წიგნი – 60 ლარი; 4) „სტარაია რიგის" ბუფეტი – 1.500$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №27. სადღეღამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75; ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

## სხვადასხვა

**„კათარზისის"** – სათნოების სახლში გაიხსნა მიუსაფარ მამაკაცთა უფასო თავშესაფარი. ტელ: 95-17-67

2000 წლის 21 აპრილს, 14 საათზე ს/საზოგადოება ოზურგეთის პ/პროდუქტების კომბინატი აწყობს აქციონერთა შეკრებას. გთხოვთ, დაესწროთ!

*მეთვალყურეთა საბჭო*

## ხსოვნა

**ბესო დავლიანიძის გახსენება**



18 აპრილს 18 წლის გახდებოდი, ბესო. სიცოცხლით სავსე, თვალნათელი, კეთილი ბიჭი მოულოდნელად წახვედი ამ ქვეყნიდან და უდიდესი სევდა დაგვიტოვე ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს. ავბედითი გამოდგა შენთვის შარშანდელი ივნისი ურეკში...

ღმერთმა აცხონოს შენი სული და დაგამკვიდროს ადგილსა მწვანილოვანსა, სადაც მართალნი განისვენებენ...

*როლანდ, დარეჯან, თამუნა და ლაშა გოგსაძეები*

**ანზორ კაკუბავას გახსენება**



ატმისა და ნუშის ყვავილობის თვეში ხარ დაბადებული. ბუნებამ აპრილივით უხვად დაგაბერტყა სილამაზეც და სიკეთეც. ყოველმხრივ საუცხოო და გამორჩეული იყავი, სიცოცხლეც გამორჩეულად გიყვარდა, მაგრამ არ დაგცალდა. ამიტომაც უშენოდ უნდა შევხვდეთ პირველად 20 აპრილს. რა გულმა უნდა გაუძლოს, ბიჭო, უშენობას? რა ვქნათ? როგორ ჩაგეხუტოთ? როგორ მოგეფეროთ?

ჩვენ – შენით გაუბედურებული შენი ოჯახი, დები და ძმები მაინც მოვალთ, ბევრ ყვავილს მოგიტანთ და 47-ე გაზაფხულს მოგიძღვნით. შენ კი იძინე ტკბილად და მშვიდად მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი, დები და ძმები*




# „ოჰო-ჰო-ჰო, რას ტრიალებს, ბიჭო!“

— „რა გადაიხდის ამდენ ფულს, გავიყიდებით, ალბათ“ — ჩაილაპარაკა შუახნის კაცმა და სადარბაზოში შესულს გვერდი ჩამიარა. დიღმის მასიველ მეგობართან სტუმრად მისულს მასპინძლების ოჯახიც შეფიქრიანებული დამიხვდა. ამ უბანში ელექტრომრიცხველები მარტის დასაწყისში გაიტანეს ბინებიდან, მაგრამ მათი სწრაფი ტრიალი, განსაკუთრებით, ამ კორპუსის მაცხოვრებლებს აწუხებთ და არც არის გასაკვირი, რადგან ეს სახლი სოციალიზმის „გაფურჩქვნის ხანაში“ (80-იანი წლების დასაწყისი) აიგო. კომუნიზმში ნახევრად ფეხშედგმულმა საბჭოთა ხელისუფლებამ მოსახლეობას გაზქურების ნაცვლად, გაცილებით თანამედროვე — ელექტროქურები დაუმონტაჟა. დიღმის მასივში ასეთი სულ ექვსიოდე კორპუსია, მაგრამ თბილისის სხვა რაიონებში მთელი დასახლებანი ანალოგიურ მდგომარეობაშია. ვარკეთილის ნაწილი, ვაზისუბანი, მუხიანი, ნუცუბიძის პლატო, გლდანის მე-6 კვარტალი და დიდი დიღომი — ყველა ელექტროქურების მომხმარებელია.

მრავალჯერ ნაგინებმა და შეჩვენებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ, ქალაქის ამ რაიონების მოსახლეობას დიდი ხარჯის გამო ელექტროენერგიის ტარიფი გაუნახევრა. მაშინ, როცა კილოვატი 4 კაპიკი ღირდა, ელექტროქურიანი მოსახლეობა 2 კაპიკს იხდიდა.

ეს წესი, ისევე, როგორც მთლიანად ენერგოსისტემა, კარგა ხანია, მოიშალა. თუმცა ამას მოსახლეობისთვის დიდი მატერიალური ზარალი არ მიუყენებია. წლების განმავლობაში შუქი ორიოდე საათით თუ აკიაფდებოდა ბინებში და შესაბამისად, მრიცხველსაც რა უნდა დაეწერა. ამას გარდა, თითო „ხელმარჯვე ოსტატი“, ასე თუ ისე, ყველას ჰყავდა გამონახული ნათესავ-ახლობლობაში და მაინცდამაინც არც მრიცხველის წაღმა-უკუღმა ტრიალი აწუხებდა.

მდგომარეობა თელასში ამერიკული კომპანია AES-ის შესვლამ შეცვალა. მას წელიწადი დასჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ თბილისის ქსელის აღდგენასა და მოწესრიგებაში ჩაყრილი მილიონების ამოღების ერთადერთი გზა მრიცხველების ბინებიდან გამოტანა, ანუ საკუთარ კონტროლს დაქვემდებარება იყო. ამ სამუშაოს შესრულებას იგი საკმაოდ მაღალი ტემპით შეუდგა და დღეს უკვე 25 ათასამდე ახალი მრიცხველი უთვლის მოსახლეობას თელასისთვის გადასახდელ ფულს. წლის ბოლოსთვის ასეთ აბონენტთა რიცხვი, დაახლოებით, 200 ათასამდე გაიზრდება. ამის სანაცვლოდ „AES თელასი“ მოსახლეობას 24-საათიან გრაფიკს ჰპირდება და როგორც ჩანს, ეს საანეკდოტო დაპირება უკვე აღარ იქნება. მომხმარებელს ელექტროენერგიის საფასურის გადახდა სრულად და დროულად მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უშუქოდ დარჩება.

ასეთ პირობებში ელექტროქურიან უბნებზე და მათი მოსახლეობის გაზრდილ ხარჯებზე „AES თელასი“ ნამდვილად არ იდარდებს. ეს უფრო ხელისუფლების კონკრეტულად კი, თბილისის მერიის კომპეტენციაა. თუმცა, თავის შეწუხებას არც ის აპირებს. მერიის ენერგოკომისიის ხელმძღვანელი თემურ ჭინჭარაული აცხადებს, რომ ასეთი კატეგორიის მომხმარებლისთვის რაიმე შეღავათის დაწესებაზე საუბარიც კი ზედმეტია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ის, ვინც ვინმესთვის შეღავათს ითხოვს, თავად ხდება ვალდებული კერძო კომპანიას (ამ შემთხვევაში „AES თელასს“) დანაკლისი აუნაზღაუროს. ზედმეტი ტვირთის აკიდება კი, მერიას ხელს ნამდვილად არ აძლევს. უფრო მეტიც, შარშან მან საკმაოდ ბევრი ამგვარი „ტვირთი“ ჩამოიშორა. კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 19 სახის შეღავათი, რომელიც ელექტროენერგიის სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელზე (ინვალიდები, ომის მონაწილეები, პერსონალური პენსიონერები და სხვა) ვრცელდებოდა, 9-მდე შემცირდა. ამჟამად, მაქსიმალური შეღავათი, რომელიც თვეში 50 კილოვატის „ჩუქებას“ ითვალისწინებს, ომის მონაწილეებსა და ინვალიდებზე, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებზე ვრცელდება. ასე რომ, მერიას ამ საქმეზე „ხელი დაუბანია“ და გამოსავალს თბილისის გაზიფიკაციას უკავშირებს.

საქმეში ჩარევას და ელექტროქურიანი მოსახლეობისთვის შეღავათიანი ტარიფის დაწესებაზე ფიქრს არც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკა) აპირებს. სემეკასა და მერიას იმ ინვესტორის იმედი აქვთ, რომელიც „თბილგაზს“ შეიძენს.

ამაზე კი, აგერ უკვე რამდენი ხანია, პრეტენზიას რუსული კომპანია „იტერა“ აცხადებს. იმის გამო, რომ „თბილგაზის“ ყველაზე რეალურ მყიდველად მიიჩნევა, კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას იგი არ ჩქარობს. საქართველოსა და „იტერას“ შორის ჩახლართული ფინანსური ურთიერთობების გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს უკანასკნელი „თბილგაზის“ შესაძენად მაქსიმალურად ხელსაყრელ მომენტს ელის. როდის გადაწყვეტს „იტერა“, რომ ასეთი მომენტი დაუდგა, ძნელი სათქმელია. ასე რომ, „თბილგაზში“ ინვესტორის მოსვლამდე ხალხს შეიძლება ტყავიც გაძვრეს.

მდგომარეობის გამოსწორება სხვა გზითაცაა შესაძლებელი. განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი კანონის თანახმად, ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლები სტანდარტულზე დაბალი ტარიფით სარგებლობენ. ამის მსგავსი მექანიზმი საქართველოშიც არსებობს, მაგრამ მოსახლეობას ის არ ეხება. აშშ-ში, კილოვატი საშუალოდ 6-7ცენტი ღირს. ის ოჯახი, რომელიც თვეში, პირობითად, 500 კილოვატს მოიხმარს, მსხვილ მომხმარებლად მიიჩნევა და ამიტომ, მისთვის ტარიფი შეღავათიანია. საბაზრო ეკონომიკის წყალობით, ეს პრინციპი ქართველებისთვისაც აღარ უნდა იყოს ძნელად გასაგები. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ლილოს ბაზრობაზე, მისთვის ცნობილია, რომ „ოპტავშიკს“ საცალო მყიდველზე გაცილებით იაფად სთავაზობენ საქონელს.

ასეა თუ ისე, პრობლემა პრობლემად რჩება და მის მოგვარებაზე არავინ ზრუნავს. თბილი გაზაფხული და ცხელი ზაფხული, პასუხისმგებელ უწყებებს უზრუნველობის საშუალებას ჯერჯერობით აძლევს. მაგრამ, როგორც კი აცივდება და ელექტროენერგიის ხარჯი გაორმაგდება, საკითხი გამწვავდება. ის 300-400 კილოვატი, რასაც არაგაზიფიცირებული ოჯახი თვეში საშუალოდ ხარჯავს, 800 კილოვატად გადაიქცევა, ეს კი, ამჟამად მოქმედი ტარიფით 72 ლარის ტოლფასია. რატომღაც არ მახსენდება ისეთი საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლის რიგით თანამშრომელს სახელმწიფო ამ ოდენობის ხელფასს უხდიდეს. არადა, როცა ამდენი ყინვიანი ზამთრის გადატანის შემდეგ ამერიკელი დენს გალირსებს, შვილს რეფლექტორის ჩართვაზე უარს ვერ ეტყვი და თვის ბოლოს სწორედ ეს ჩაგაგდებს ვალებში.

P.S. ავტობუსში შემთხვევით ორი ნაცნობის საუბარს მოვკარი ყური. „მთელი თვე არაყს ვხდიდი გაზზე და 27 ლარზე მეტი არ დაწერა მრიცხველმა“ — ორმაგ კმაყოფილებას ვერ ფარავდა კაცი. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ „სამაგონკის“ ელექტროქურაზე გამოხდა ცეცხლის ფასი დაუჯდებოდა პატრონს. მაგრამ რაღა შორს წავიდეთ, ელექტროქურაზე ლობიოს მოხარშვა ხომ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გათვალისწინებით, ხორცის ფასად უჯდება ხალხს.

*გვანცა კვინიკაძე*



# DRESDNER BANK-ის თავმჯდომარე გადადგა

ერთ-ერთი დიდი გერმანული ბანკის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ მისი თავმჯდომარე ბერნჰარდ ვალტერი გადადგა და თავის უფლებამოსილებას აპრილის დამლევს გადასცემს დრეზდნერ ბანკის საერთაშორისო ფინანსთა განყოფილების გამგეს, საბანკო ინვესტიციების დარგში წამყვან ექსპერტს ბერნარდ ფარჰოლცს.

მეთვალყურეები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის მიზეზი გახდა „დრეზდნერ ბანკისა“ და „დოიჩე ბანკის“ შეერთების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებათა ჩაშლა. გარიგების ჩაშლას ბერჰარდ ვალტერი „დოიჩე ბანკს“ აბრალებს და ამბობს, — მან „ისტორიული შანსი დაკარგაო“.

გერმანიის საინფორმაციო საშუალებები ამტკიცებენ, რომ გაერთიანების თაობაზე მოლაპარაკების ჩაშლამ რეპუტაცია შეულახა არა მარტო გარიგების მონაწილეებს, არამედ მთელ გერმანიას. შესაერთებლად გამზადებული ბანკები ვერ შეთანხმდნენ „დრეზდნერ ბანკის“ საინვესტიციო ქვეგანაყოფის „დრეზდნერ კლაინუორტ ბენსონთან“ დაკავშირებით. „დოიჩე ბანკი“ მის გაყიდვას ან საკუთარ შესაბამის სტრუქტურაში ჩართვას ითხოვდა, ეს კი ხელს არ აძლევდა „დრეზდნერ ბანკს“.

*ნოვიე იზვესტია №64*



*რუბრიკას უძღვება*

*მანანა ნოზაძე*



# კითხვა-პასუხი

***გთხოვთ განგვიმარტოთ, მართლა ძვირდება თუ არა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საფასური და რომელი კატეგორიის ხალხზე ვრცელდება შეღავათი?***

***მოქალაქე***

ქალაქის მერიის საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საფასური 25 თეთრია, თუმცა არც ეს იქნება სტაბილური, რადგან ახლანდელი გადაწყვეტილებით, იგი 40 თეთრამდე გაიზარდა და ალბათ 1 მაისიდან შევა ძალაში.

ამ სახის კომუნალური გადასახადისაგან ამჟამად თავისუფლდებიან სამამულო ომის ინვალიდები, მათი ქვრივები, თუ მეორედ არ გათხოვილან, მათთან მცხოვრები ინვალიდები, შრომისუუნარო პენსიონერები, ასევე, — სამამულო ომის მონაწილენი 70 წელს ზემოთ და მათთან მცხოვრები პენსიონერები.

*დავით ტურაშვილი, ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი*

***რაზე არის დამოკიდებული თვალის ფერი და რით აიხსნება, რომ ბავშვს შეიძლება არ ჰქონდეს დედის ან მამის თვალის ფერი?***

***ნოზაძე***

თვალის ფერი დამოკიდებულია პიგმენტ მელანინის რაოდენობაზე ფერად გარსში და მერყეობს ღია ცისფრიდან (მელანინის მცირე რაოდენობა) მუქ ყავისფრამდე. თვალის ფერად გარსში პიგმენტის ნაკლებობა შერწყმულია კანისა და თმების სუსტ პიგმენტაციასთან. ასეთ ადამიანებს ხშირად მკვეთრად დაქვეითებული მხედველობა აქვთ. ადრე შეუძლებელი იყო ამ პაციენტთა მკურნალობა, ამჟამად კი საქართველოში დანერგილია ამ სახის ავადმყოფთა მკურნალობის მეთოდი.

*მაკა გოგიაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, კლინიკა „ელექსირის“ წამყვანი სპეციალისტი*

***ერთი წელია ყოველ საღამოს მაქვს სიცხე 37,2°, გთხოვთ მიმითითოთ, რით ვუმკურნალო თავს, ექიმმა მითხრა, რომ მაქვს „ჯირკვლები“, ბრონქებზე ე.წ. ბრონქოადენიტი. არ მიშველა არაფერმა. ნუთუ ხალხურ მედიცინაშიც არ არის არაფერი, რომ თავს მივხედო.***

***დ. დიდებაშვილი***

ბრონქოადენიტი — გულმკერდშიდა ჯირკვლების ტუბერკულოზია. თუ თქვენ ეს დიაგნოზი დაგიდასტურდათ, აუცილებელია სპეციალისტის (ფთიზიატრის) კონსულტაცია. ტუბერკულოზის მკურნალობა ქიმიური პრეპარატებით უნდა წარიმართოს. ხალხური მედიცინა არ წარმოადგენს ძირითად სამკურნალო საშუალებას. პრეპარატები ექიმის მიერ უნდა იქნეს დანიშნული, დაუშვებელია თვითმკურნალობის ჩატარება.

*ფთიზიო-პულმონოლოგიური საავადმყოფოს განყოფილბის გამგე მარინე ჯანელიძე*

***არარეგისტრირებული ქორწინებიდან მყავს 11 წლის ვაჟი. ბავშვს აქვს მამის გვარი, მაგრამ მისგან არავითარ დახმარებას არ ღებულობს. მაინტერესებს, როგორ გადავწერო ბავშვი ჩემს გვარზე?***

***ე. ქუთათელაძე***

რაკი მამა მეურვეობას არ უწევს შვილს, გვარის გამოცვლის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოთ მოქალაქეთა რეგისტრაციის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ მამის თანხმობაც, რადგან მამობა დადგენილი ყოფილა.

*ა. პარკაძე, სამგორის რ-ნის სამოქალაქო აქტების განყოფილების გამგე*

***მიმდინარე წელს ელექტროენერგიის ძლიერი მომატების გამო აგვიფეთქდა ტელევიზორი, მაცივარი და მრიცხველი. ამ მდგომარეობაში არის ჩვენი რამდენიმე მეზობელიც. გვაინტერესებს, აგვინაზღაურებს თუ არა ეი-ი-ეს თელათის დირექცია ზარალს?***

***თბილისი, პასტერის ქუჩა №2-ის მცხოვრებნი***

თუ საოჯახო ნივთების აფეთქება ნამდვილად მხოლოდ და მხოლოდ თელასის ბრალია, ეი-ი-ეს თელასი აგინაზღაურებთ მიყენებულ ზარალს. თუმცა ეს ყველაფერი შემოწმდება, რადგან არ არის გამორიცხული, რომ აფეთქება თვით აბონენტის მიზეზით მოხდა. ზარალის ასანაზღაურებლად შეგიძლიათ წერილობით მიმართოთ ეი-ი-ეს თელასის კანცელარიას.

*ეი-ი-ეს თელასის საბუღალტრო აღრიცხვის მენეჯერი*

***ვცხოვრობ მდინარის პირას. წყალდიდობის შედეგად ჩემი ეზო დაიმეწყრა და სახლი დამენგრა. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფოსაგან რაიმე დახმარება?***

***მ. გრძელიძე***

წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიმართეთ ადგილობრივი რაიონის გამგეობას, სადაც თქვენივე რაიონის რომელიმე უბანზე გამოგიყოფენ სხვა მიწის ნაკვეთს, ხოლო დანგრეული სახლის შესახებ აცნობეთ ურბანიზაციის სამინისტროს.

*თემურ ბექაური, მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე*

***40 წელია ვსარგებლობ საერთო ავტოფარეხით. ვიხდი სათანადო თანხას. მეზობელი აღარ მაძლევს მანქანის დაყენების უფლებას. როგორ მოვიქცე?***

***ზ. ჯინჯიხაძე, თბილისი***

თუ გამგეობიდან აღებული გაქვთ ნებართვა-გადაწყვეტილება საერთო ავტოფარეხით სარგებლობის თაობაზე და რეგულარულად იხდით პარკირებისთვის დადგენილ თანხას, მაშინ სრული უფლება გაქვთ, ისარგებლოთ ავტოფარეხით და სათანადო საბუთებით მიმართოთ სასამართლოს.

*საბურთალოს რ-ნის სახლმმართველობა*




# სომხური კონიაკი ფრანგული კონიაკია

ერევნის კონიაკის ქარხნის ფრანგულმა ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება სომხური კონიაკების — „ნაირი“, „ვასპურაკანი“, „ახტამარი“ და „დვინი“ — გაურკვეველი ვადით რუსეთში ექსპორტირების შეწყვეტის შესახებ. თავისი უკმაყოფილება „პერნო რიკარმა“ იმის გამო გამოხატა, რომ რუსეთის კონიაკის ქარხნებში განახლდა სასმლის მარკების ჩამოსხმა, რაც ერევნის კონიაკის ქარხნის მონოპოლია იყო. „პერნო რიკარმა“ ამაში ერთ „ფიქტიურ სომხურ ფირმას“ დასდო ბრალი და აღნიშნა, რომ სომხურმა მხარემ გარიგების პირობები დაარღვია. ფრანგებმა გააფრთხილეს სომხური მხარე მოსალოდნელი „სერიოზული ფინანსური შედეგების შესახებ, რასაც შესაძლოა კონტრაქტის დარღვევა მოჰყვეს“. ფრანგული მხარის პრეტენზიების საპასუხოდ სომხეთის მთავრობამ შექმნა საგანგებო კომისია, რომელიც იმ ვალდებულებათა დაცვას გააკონტროლებს, რომლებიც კონიაკის ქარხნის პრივატიზებისას აიღო თავის თავზე სომხურმა მხარემ.

*ეხო პლანეტი №13*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 15 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,000 |
| გერმანული მარკა | | 0,974 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,170 |
| ევრო | | 1,906 |
| რუსული რუბლი | | 0,070 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,033 |

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.



# ისევ ჩეჩნეთზე...

***ამის შემდეგ საკმარისი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც ყველას აინტერესებს, მაინც რა და როგორ მოხდა?***

**2 მარტი. 2000 წელი. გროზნოს სტარო-პრომისლოვოს რ-ნი.** დილით მოზდოკიდან გროზნოს მიმართულებით გაემართა ომონელებით სავსე მანქანების კოლონა. 98 მებრძოლს თავისი პოდოლსკელი კოლეგები უნდა შეეცვალა. დილის 10 საათზე სტაროპრომისლოვოს შესასვლელთან, სოფ. პერვომაისკოეს მხარეს, კოლონას შეხვდნენ პოდოლსკელი მილიციელები. სწორედ მათ მიიღეს პირველი დარტყმა. ბოევიკებმა გზის ორივე მხრიდან ერთბაშად დაიწყეს სროლა. მათ ხელმძღვანელობდა ვინმე ბაუდი ბაკუევი, ხატაბის თანამებრძოლი. ცეცხლსატყორცნიდან პირველივე გასროლის შედეგად დაიწვა მეთაური მანქანა. მაშინვე აფეთქდა ბოლო მანქანაც. ამის შემდეგ ბოევიკებმა ალყაში მოაქციეს ომონელები და დაიწყეს მათი ჟლეტა. დამხმარე ძალა მხოლოდ სამი საათის შემდეგ მოვიდა. დანაკარგებმა 20 მოკლული და 31 დაჭრილი შეადგინა.

„ჩვენს კოლონაში 9 მანქანა იყო, — ყვება ამ ბრძოლაში დაჭრილი ერთ-ერთი ომონელი იგორ სუხოვი, — ბლოკპოსტამდე 300 მეტრიღა გვრჩებოდა. უცებ ყოველი მხრიდან დაიწყო სროლა. მანქანებიდან გადმოვხტით და გავწექით. კიდევ კარგი, დახურულ მანქანებში ვისხედით და ჩეჩნები ვერ ხედავდნენ, რამდენი ვიყავით, თორემ სნაიპერები ყველას დაგვხოცავდნენ. სამი „ურალი“ ყუმბარმტყორცნით გაანადგურეს. როცა გონს მოვეგეთ და ბრძოლაში ჩავერთეთ, გავარკვიეთ, რომ ჩეჩნებს პოზიციები გზის ორივე მხარეს ეჭირათ. მათ უკან ერთი მხრიდან პოდოლსკის ომონის ბლოკპოსტი იდგა, მეორე მხრიდან — გადამღლობი რაზმი. აღმოჩნდა, რომ ისინი პირდაპირ ჩვენ გვესროდნენ, ჩვენ კი — მათ და ჩვენებს. დიდხანს ვერ გავუძლებდით. კიდევ კარგი, დამხმარე ძალა მოვიდა — სამი БТР და БМП. ჩვენ გაგვცეს. ვის შეიძლებოდა ცოდნოდა, როდის გავდიოდით ცვლაზე და რომ არ გვექნებოდა ჯავშანი?“



**29 მარტი. 2000 წელი. სოფ. ჟანი-ვედენო, ჩეჩნეთის ვედენოს რაიონი.**
ხატაბი და გელაევი ჩაუსაფრდნენ ორ „ურალს“ და ორ ბეტეერს, რომლებშიც იმყოფებოდა პერმის 41 ომონელი და შინაგანი ჯარების 8 მებრძოლი. ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 17 კაცი. 8 მებრძოლი ტყვედ ჩავარდა. ბოევიკებმა შესთავაზეს, რომ ამ მებრძოლებს გაცვლიდნენ ჩეჩენი გოგონას მკვლელობისთვის დაპატიმრებულ პოლკოვნიკ-ტანკისტზე, მაგრამ მეთაურობამ უარი თქვა. ტყვეები დახვრიტეს და ახლა სთავაზობენ გვამების გაცვლას ბოევიკებზე.

ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალები თავდასხმის ორგანიზატორთა ხელში ჩასაგდებად წარემართათ, სამხედრო და მილიციის მეთაურობამ კვლავ ურთიერთობის გარკვევა დაიწყო. შსს-მ განაცხადა, რომ ყველაფერში ჯარია დამნაშავე, რომელმაც ვერ უზრუნველყო კოლონის დაცვა. სამხედროები კი ამბობენ, რომ ომონს თავად უნდა უზრუნველეყო დაცვა და საერთოდ გაეფრთხილებინა, რომ „ახორციელებდა რაიონში გადაადგილებას“.

ბოლო ერთ თვეში ჩეჩენმა ბოევიკებმა რუსეთის ფედერალური ძალების რამდენიმე ქვედანაყოფი გაანადგურეს. ამა წლის 1 მარტს ფსკოვის მედესანტეები დაიღუპნენ. 2 მარტს პოდმოსკოვიეს ომონის რაზმი ამოხოცეს; 29 მარტს — პერმელი მილიციელები... ფსკოვსა და პერმში სამგლოვიარო მუსიკა ჟღერდა. რუსი გენერლები კი ირწმუნებიან, რომ ჩეჩენ ბოევიკთა მთავარი ძალები განადგურებულია და მალე შეიარაღებულ წინააღმდეგობებს ბოლო მოეღებაო. ჩეჩნები პროფესიულად მოქმედებენ: პოზიციებზე წინასწარ აიარაღებენ მთავარ ძალებს და დამცველ ჯგუფებსაც. რუსეთის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები ისევე, როგორც ერთი თვის წინათ, ახლაც იმავეს იმეორებენ — არასაკმარისი იყო ცენტრალიზებული მმართველობა, თანამდებობის პირებმა დავალებები არ შეასრულესო.

რაც მთავარია, ტრაგედიის ადგილის მახლობლად განლაგებულმა მედესანტეებმა თურმე, კარგად იცოდნენ, რომ გზას ჩეჩნები აკონტროლებდნენ. არმიის გენერლებმა ყველაფერი ომონის ხელმძღვანელობას გადააბრალეს, რომლებმაც დაზვერვის გარეშე გაგზავნეს ბრძოლის ველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლონა. მოხელეები ირწმუნებიან, ტრაგედია არ მოხდებოდა, ჰაერიდან დაცვა რომ ყოფილიყოო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა რამდენიმე ათეულ ოფიცერთან ერთად ისევე, როგორც თებერვალში, მოინახულა ტრაგედიის ადგილები. იგი აპირებდა მკაცრად დაესაჯა ისინი, ვისი მიზეზითაც გაუშვეს კოლონა მხოლოდ ერთი БТР-ის ამარა, დაზვერვისა და საჰაერო დაცვის გარეშე. რასაკვირველია, დამნაშავე კი მოიძებნება, მაგრამ ამ განმეორებითი ტრაგედიის ჭეშმარიტი მიზეზი მაინც უცნობი დარჩა.

გენერლებს ეშინიათ ომს პარტიზანული უწოდონ, რადგანაც კარგად იციან, რომ პარტიზანულ ომს ვერასოდეს მოიგებენ. ისინი კვლავ ირწმუნებიან, მთების ამწვანებამდე გავანადგურებთ ჩეჩნეთის რაზმებსო, მაგრამ რატომღაც ეს ამწვანება კარგა ხნით გადაიდო; ჯერ ითქვა, აპრილის დასაწყისში მოვრჩებით ყველაფერსო, ახლა ამბობენ, — მაისის დასაწყისშიო... მთები კი ჩეჩნეთში საცაა ამწვანდება... ხეები აყვავდება... მერე ახალ დაპირებებს გავიგონებთ, რომ მტერს შემოდგომის წვიმებამდე გავანადგურებთო... მთებში თოვლის წამოსვლამდეო...

სამხედროები და პოლიტიკოსები ვერ ეუბნებიან ქვეყანას, რომ ეს ანტიტერორისტული ოპერაცია კი არა, სეპარატისტებთან სრულმასშტაბიანი ომია... ომი, რომელიც მომავალში კიდევ ბევრ მსხვერპლს მოითხოვს და დიდხანსაც გაგრძელდება.

ჩეჩნეთში ფედერალთა ქმედების შეუთანხმებლობა უკვე საარაკოდაც იქცა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ რჩევას სამხედროებს აძლევს ომისაგან ყველაზე შორს მდგომი ადამიანი — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი . „ეს მეთოდი, როცა ნადგურდება პირველი და უკანასკნელი მანქანა, კოლონა კი სამიზნედ იქცევა, ბოევიკებმა არაერთხელ გამოიყენეს, — თქვა მან, — და რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი ტრაგედიები, აუცილებელია უზრუნველვყოთ საჰაერო ან საბრძოლო გამცილებელი ფედერალური ძალების სამხედრო მოსამსახურეთათვის“.



იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ მოსკოვმა შეაჩერა ჩეჩნეთიდან სამხედრო ნაწილების გაყვანა, დავასკვნით — რუსეთის ხელისუფლება, როგორც იქნა მიხვდა, რომ მდგომარეობა ძალზე სერიოზულია. ახლახან ტამანის დივიზიის ბაზაზე შეიქმნა ახალი სამხედრო პოლკი, რომელიც მუდმივად იდგება რესპუბლიკაში. გაიყვანეს მხოლოდ ოპერაციის ხელმძღვანელი გენერლები, რომლებმაც ათასობით ჩვენი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირეს. მათ მაღალი თანამდებობები ჩამოურიგეს. ომი რომ გამარჯვებით დასრულებულიყო, გამართლებული იქნებოდა; მაგრამ ამჟამად ომმა რთულ სტადიაში გადაინაცვლა და გამოდის, რომ ომის მთელი სიმძიმე სხვა მხარეს ინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, როცა ჩეჩნეთში ბოევიკების შემოტევას ელოდნენ, ფედერალური დაჯგუფებების ხელმძღვანელებმა სხვადასხვა მიზეზთა გამო დატოვეს თავიანთი ჯარები.

გენერლებს რა ამოძრავებთ, გასაგებია, მაგრამ რატომ არაფერს ამბობს უმაღლესი მთავარსარდალი ვლადიმირ პუტინი? ჩეჩნეთის ომმა პუტინს საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაამარჯვებინა. გენერლებმაც იციან, რომ პუტინი ვალშია მათ წინაშე. ამიტომ ჩეჩნური ჭაობიდან ამოყვანით იგი ვალს დაუბრუნებს გენერლებს და თავის თავსაც მათი ერთგულებით უზრუნველყოფს. ვალმოხდილ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამ გენერლების ერთგულებას დაიმსახურებს. თავის დროზე ელცინსაც ეგონა, მხარს დამიჭერენ „ავღანელებიო“, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს ბირთვს წარმოადგენდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

ერთი რამ ნათელი გახდა: ჩეჩნეთის ომში გამარჯვებულნი დარჩნენ გენერლები, რომლებიც ჩინ-მედლებითა და თანამდებობებით დაჯილდოვდნენ და ვლადიმირ პუტინი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი გახდა.

***ვლასტი №14***
***იტოგი №15***

# გული მოღალატესაც კი სტკივა

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურამ ბრალდება წაუყენა პოლკოვნიკ ალ. სავჩენკოს, რომელსაც შატოიდან გამოჰყავდა დაჭრილი ჩეჩენი მეომრები და ამაში ფულს იღებდა. სავჩენკო შატოის ცენტრალურ ბაზარში დააკავეს. — სატვირთო მანქანით 3 დაჭრილი არაბი და 3 ჩეჩენი გადაჰყავდა. შეიარაღებულმა არაბებმა ფედერალებს წინააღმდეგობა გაუწიეს. პოლკოვნიკის გარდა დაპატიმრებულია მძღოლიც — ეფრეიტორი ვ. დეკინი. ძნელი სათქმელია, რას მიუსჯიან სავჩენკოს. ოფიცრები, რომლებიც მას კარგად იცნობენ, ამბობენ, რომ ფული გულის ოპერაციის გასაკეთებლად სჭირდებოდაო. ძნელი სათქმელია რამდენს მიუსჯიან პოლკოვნიკს, მაგრამ რუსეთის ფედერალური ჯარის გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილე ვ. მანილოვმა განაცხადა — სავჩენკო არა მარტო არამზადა და გამცემია, ამასთან სულელიც ყოფილა — ბანდიტებმა მას ყალბი დოლარები მიაჩეჩეს.

***კომერსანტი №65***

# რაც მე ნამდვილად არ მინდა, ეს არის რუსეთის გარიცხვა ევროსაბჭოდან

ა. ბაბიცკი

საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ თანამედროვე მსოფლიოში იზოლაციონიზმი უპერსპექტივო და სასაცილოა. საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარი გარიცხვის შემთხვევაში ჩვენ სრული უკონტროლობის ქვეშ აღმოვჩნდებით და თუ ეს მოსკოველებზე ჯერ არანაირად არ აისახება, ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის იგი საბედისწერო იქნება. ჩვენ უნდა დავრჩეთ ევროსაბჭოს სივრცეში, რათა ჩვენთან ჩამოვიდნენ დამკვირვებლები, რადგან ის, რაც ჩეჩნეთში ხდება, იყოს განხილვის ობიექტი. არავინ აყენებს ეჭვქვეშ ფედერალთა უფლებას წინააღმდეგობა გაუწიონ ბანდიტურ ფორმირებებს. მაგრამ მსოფლიოს და მათ შორის ჩვენს ქვეყანას (სანამ განხორციელდება სწორედ ამგვარი თანმიმდევრობა) აქვს უფლება იცოდეს, როგორ ხდება ეს სინამდვილეში.

არავითარი გარიცხვა არ ყოფილა. მეტიც, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის აღმასრულებელი ორგანოები, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, მისკენ არ მიისწრაფვიან. მაგრამ თუ რუსეთის ზოგიერთი პოლიტიკოსი ისე მოიქცევა, როგორც ახლა იქცევა, ბაძავს რა ჩვენს სტრასბურგულ დელეგაციას, — ისინი მიაღწევენ რუსეთის გარიცხვას ევროსაბჭოდან და როგორც არ უნდა შეეცადონ, რომ ყველაფერი ჟურნალისტებს და „იაბლოკოელებს“ დააბრალონ — ეს მათი დამსახურება იქნება.

***სობესედნიკი №14***

# ტეტ-ა-ტეტ — კორეულად

ამა წლის 12 ივნისს (რაიმე მოულოდნელი თუ არ მოხდა) ერთმანეთს შეხვდება ორი კიმი: სამხრეთ კორეის პრეზიდენტი, 74 წლის კიმ დე ჩჟუნი და ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, 58 წლის კიმ ჩენ ირი, რომელმაც უარი თქვა პრეზიდენტობაზე. მან „სამუდამო პრეზიდენტობის“ მისია დააკისრა მამას — კიმ ირ სენს. ამ სენსაციურმა ამბავმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაპყრო კორეის ნახევარკუნძულს, რომელიც „ცივი ომის“ უკანასკნელ კერას წარმოადგენს. ლიდერთა ბედიღბალიც ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. კიმ დე ჩჟუნის პოლიტიკური ბიოგრაფია დრამატული და დეტექტიური სიუჟეტებითაა სავსე. კიმ დე ჩჟუნს უიღბლობა თან სდევდა. გამოსცადა პატიმრობა, გადასახლება, მისი სიცოცხლე ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა. თითქმის 30 წელი ცდილობდა პრეზიდენტი გამხდარიყო. სამჯერ დამარცხდა და მაინც, 1997 წელს იგი ცისფერი სისხლის მამამთავარი გახდა.

სრულიად განსხვავებულია კიმ ჩენ ირის გზა ოლიმპოსკენ. ოფიციალური ვერსიით, იგი ჩრდილოეთ კორეაში დაიბადა. არაოფიციალურით კი სოფელ ვიატსკაში (ხაბაროვსკის მახლობლად) და პატარას რუსული სახელი — იური დაარქვეს. ხელისუფლების იერარქიულ კიბეზე სვლა კორეის ცკ შრომითი პარტიიდან დაიწყო და 1997 წელს პარტიის გენერალური მდივანი გახდა. ფხენიანში არ არის მიღებული ლიდერთა ცხოვრების დეტალების გამომზეურება, მხოლოდ ეპითეტებით ამკობენ მათ. მაგალითად, კიმ ჩენ ირს პრესა „ზეცით მოვლენილ მხედართმთავარს“ უწოდებს. ამას წინათ ახალი ტიტული მოუგონეს — „აღორძინების ადამიანი“. საერთოდ კი, მის ცხოვრებაში ბევრი რამ საიდუმლოებით არის მოცული.

რის შესახებ ისაუბრებს ორი კიმი? ალბათ, მაინც მთავარი თემა ეკონომიკა იქნება.

***იზვესტია №66***

# ქოჩრანი სახიფათო გზას ადგას

ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში, ჯონ ქოჩრანის სახელი დღეს თავგანწირვის სინონიმად ქცეულა. ეს არც არის გასაკვირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი ხომ ნიგერიის ექს-დიქტატორის სანი აბაჩას ოჯახურ კლანს დაუპირისპირდა. ეს კი არცთუ უსაფრთხო საქმეა. აბაჩების კლანი, მიუხედავად დიქტატორის სიკვდილისა, ყოვლისშემძლედ ითვლება ნიგერიაში. პირველი დარტყმა ქოჩრანმა სანი აბაჩას უფროს ვაჟს, მოჰამედს მიაყენა — კორუფციაში დასდო ბრალი. მისი ძებნა გამოაცხადა და საბუთები უცხოელ დიპლომატებს, გაეროსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს დაეგზავნა. შემდეგი სამიზნე შუათანა ვაჟი აღმოჩნდა — ქოჩრანმა მას მძიმე ბრალდებები წაუყენა — დიქტატორის სიცოცხლეში სახელმწიფო ანგარიშების მართვა და 1996 წელს სანი აბაჩას მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგის კუდირატ აბიოლას მკვლელობაში მონაწილეობა. ქოჩრანს არც აბაჩას ქალიშვილი გამორჩენია მხედველობიდან. მის ტურისტულ კომპანიას თავისი ხელქვეითები „მიუსია“ და დახურვის პირას მიიყვანა. ექს-დიქტატორის უმცროს, ექვსი წლის ვაჟს კი ქვეყნიდან გასვლა აუკრძალა — ეს უკანასკნელი სპეციალურ ორთოპედიულ მკურნალობას საჭიროებს. როგორც ჩანს, ქოჩრანი აბაჩათა გვარის „სერიოზული პრობლემაა“. ის აბაჩებს დიქტატორის გარდაცვალების მეორე დღიდანვე დაუპირისპირდა. თავდაპირველად, აბაჩას ცოლი, მარიამი დააპატიმრა კამერუნის საზღვარზე იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი მეუღლის მიდიოდა სალოცავად და თან ფულით გატენილი 38 ჩანთა მიჰქონდა.

***ნიუ ზუიკი***

# ღარიბთა — სამიტი



„ჯგუფი-77“ (G-77) შეიქმნა 1964 წელს და ეს სახელი ეწოდა მასში შემავალი ქვეყნების რაოდენობის მიხედვით. იგი აერთიანებს ჩვენი პლანეტის ულარიბეს ქვეყნებს. ჰავანის სამიტზე ჩამოვიდა ამ ჯგუფის წევრი 133 ქვეყნის 66 წარმომადგენელი. თათბირის მონაწილეები ანგარიშს წარუდგენენ „დიდ შვიდეულს“ და სხვა მდიდარ ქვეყნებს.

ჰავანის საერთაშორისო აეროპორტში კუბის ხელმძღვანელი ფიდელ კასტრო დახვდა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს. სამიტს დაესწრება პალესტინის მეთაური იასირ არაფატი და მალაიზიის პრემიერ-მინისტრი მაჰათირ მოჰამადი.

შეხვედრას არაოფიციალურად „სამხრეთის სამიტი“ უწოდა. „სამხრეთთან დიალოგის დროს ჩრდილოეთმა უნდა გაითვალისწინოს სამხრეთელების ინტერესები“, — განაცხადა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა. დღეს პლანეტის მდიდრები მოსახლეობის 20%-ია და 82-ჯერ მეტს იღებენ, ვიდრე დანარჩენი 80%, — ამბობენ სამიტის მონაწილენი.

„G-77“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ერთობლივ დეკლარაციაში ვაჭრობასა და მრავალრიცხოვან სტანდარტებს შორის კავშირს (იგულისხმება განვითარებადი ქვეყნებიდან საქონლის შეტანა) და ეკოლოგიურ სტანდარტებს განიხილავენ, როგორც „პროტექციონიზმის ახალ ფორმას“. „G-77“ მიმართავს მთელ მსოფლიოს, ყურადღება მიექცეს აფრიკის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. დეკლარაცია უარყოფს აშშ-ის და დასავლელი მოკავშირეების „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ კანონიერებას იუგოსლავიაში 1999 წელს. სექტემბრის „ათასწლეულის სამიტში“ მონაწილეობას მიიღებენ გაეროს ყველა წევრი-სახელმწიფოს ლიდერები, „G-77“ იმედოვნებს, რომ მათი ერთობლივი ძალისხმევა დაეხმარება განვითარებად ქვეყნების პოზიციების დაახლოებაში.

***კომერსანტი №63***

# მხიჩოლავი უსუ

იაპონიის ჩრდილოეთით, კუნძულ ჰოკაიდოზე ამოიფრქვია ვულკანი უსუ. ამ ქვეყნისთვის უცხო არ გახლავთ ბუნებრივი კატაკლიზმები და მზად დაუხვდა კიდეც მას. მთავრობამ ვულკანის ახლომახლო მცხოვრები 10.000 ადამიანის ევაკუაცია რამდენიმე საათში შეძლო. შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 ათასკაციანი საგანგებო დანაყოფი, რომელსაც სპეციალური მომზადება აქვთ გავლილი, ადგილზე უზრუნველყოფს ევაკუაციასა და საჭმლის დარიგებას. ვულკანი უსუ, რომელიც 1663 წლიდან უკვე მეშვიდედ ამოიფრქვა — 2.700 მეტრის სიმაღლეზე ისვრის ფერფლს ცაში. მტვერმა დაფარა არემარე, ახლომდებარე ტბის პირას გაშენებული თანამედროვე კურორტი, მანქანები და სახლები. თვითონ ტბა კი შავ ჭაობად იქცა. ექსპერტები აცხადებენ, რომ შესაძლოა, ლავის ამოფრქვევა მოხდეს და ვულკანთან მდებარე პატარა ქალაქს აბუტას არსებობა შეწყვიტოს. ქალაქის მცხოვრებნი, რომლებიც უსაფრთხო ადგილას არიან გახიზნულნი, ხელისუფლებას ქალაქის გადარჩენას სთხოვენ. მთავრობის წარმომადგენლის თქმით, „ჩვენ უსუსურები ვართ სტიქიასთან, ისღა დაგვრჩენია, ყველაფრის დასრულებას დაველოდოთ“.

***ნიუ ზუიკი***

## ოთხი ოჯახის საბძანებელი

ათი წლის წინ ნიკარაგუაში პირველად ჩატარდა თავისუფალი არჩევნები. მსოფლიო საზოგადოებრიობამ ნიკარაგუელებს ზარ-ზეიმით მიულოცა ხუნტაზე გამარჯვება. თავად ნიკარაგუელებს კი დიდად არაფრად ჩაუგდიათ ეს მოვლენა — რა მოხდა ამისთანა, ხელისუფლების სათავეში ორტეგების ოჯახი ჩამოროს ოჯახმა შეცვალაო. ნიკარაგუის მართვა ოჯახური საქმე იყო ათი წლის წინათაც და ასი წლის წინათაც. ახლაც ასეა.

ორმოც წელზე მეტხანს — 1937-1979 წლებში, ნიკარაგუას სომოსის ოჯახი მართავდა. 15-20 წელიწადში ერთხელ ერთ პრეზიდენტ სომოსას მეორე პრეზიდენტი სომოსა ცვლიდა. კლანის მესამე წარმომადგენელმა, ანასტასიო სომოსამ ვერ შეძლო ხელისუფლების ნათესავისთვის გადაცემა. სსრკ-ისა და სუკ-ის დახმარებით ბანანის წყნარ რესპუბლიკაში რევოლუცია მოხდა. ხელისუფლება სანდინოს სახელეულის „გამათავისუფლებელ ფრონტს" ჩაუვარდა ხელში. სანდინისტთა იდეოლოგიური ბაზა სოციალიზმი და ანტიამერიკანიზმი გახლდათ. რევოლუციას სათავეში ედგა ეროვნული აღორძინების ხუნტა, რომელშიც 5 ადამიანი შედიოდა. 2 მათგანი გვარად იყო ორტეგა.

დიქტატურასთან ბრძოლა ორტეგათა საოჯახო ტრადიცია გახლდათ. მამა ანტისამთავრობო შეიარაღებული ფორმირების წევრი იყო, დედა — 14 წლისა ჩასვეს ციხეში იმის გამო, რომ ნიკარაგუის სპეცსამსახურების აზრით, შეყვარებულისგან პოლიტიკური ხასიათის დაშიფრულ წერილებს იღებდა. შვილები დედის კვალს გაჰყვნენ. ტერაქტებში მონაწილეობა ჩვეულ ამბად გაიხადეს. სომოსას ოჯახის დამხობის შემდეგ ქვეყანას სათავეში ძმები ორტეგები ჩაუდგნენ.

დანიელო ორტეგა საავედრა მთავრობის მეთაური გახდა და რევოლუციური რეფორმები დაიწყო, მისი ძმა — უმბერტო კი თავდაცვის მინისტრი. ათწლიანი მმართველობის პერიოდში ძმებმა ბევრს მიაღწიეს — მთლიანად გაანადგურეს ეკონომიკა, შემოიღეს სასურსათო ბარათები. ვალები ასტრონომიულად გაიზარდა. ხელისუფლებას ხელიდან არ უშვებდნენ, ზურგს უკან საბჭოთა კავშირი ედგათ. 1989 წელს, კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ ძმები მიხვდნენ, რომ საბჭოთა კავშირიდან ტანკებს უფასოდ აღარ მიიღებდნენ. ახალი დრო მოვიდა და სანდინისტებმაც „გარდაქმნა" დაიწყეს: ანტიამერიკული ჰიმნი ბეთჰოვენის საზეიმო ოდით შეცვალეს, გამოიმუშავეს ახალი პოლიტიკური პლატფორმა. ეს იყო მეწარმეების მხარდამჭერი პროგრამა. იმიტომ, რომ რევოლუციური დიქტატურიდან მრავალპარტიულ დემოკრატიაზე გადასვლისას ბევრი სანდინისტი გამდიდრდა, ბევრმა მიიღო მიწის ნაკვეთი. ათასობით პარტიული ფუნქციონერი იმას არ დასჯერდა, რასაც აძლევდნენ, ამიტომ ქურდობა დაიწყეს, გაზიდეს ყველაფერი, რისი მოპარვაც კი შეიძლებოდა. ყველაზე მოხერხებულებს შვეიცარიის ბანკში ანგარიშიც კი ჰქონდათ გახსნილი. ეკონომიკური რეფორმების შემდეგ სანდინისტებმა არჩევნები გამოაცხადეს და წააგეს. თუმცა ყველაფერი წყნარად მოხდა — ორტეგას ოჯახმა ხელისუფლება დატოვა. თუმცა ერთი ძმა აქამდე თავის ყოფილ რეზიდენციაში ცხოვრობს, რომელიც 20 წლის წინ უნდა დაეტოვებინა და დიდი ქონების პატრონიც არის. არც მეორე ძმა ჩამორჩება, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს დატოვებისას განაცხადა, — სულელი კი არ ვარ, პენსიაზე ველოსიპედით გავიდეო.

ექს-პრეზიდენტის მშვიდი ცხოვრება მხოლოდ ერთხელ შეაშფოთა სკანდალმა — მისმა გერმა — ახალგაზრდა ქალმა ზოილამერკა ნარვის მურლიომ სენსაციური განცხადება გააკეთა — 11 წლისა ვიყავი, მამინაცვალმა რომ გამაუპატიურა. ამ განცხადებას საშინელი სკანდალი მოჰყვა. ორტეგა, რა თქმა უნდა, უარობდა, მაგრამ თანაპარტიელებმა მაინც გარიცხეს პარტიიდან. სასამართლომდე საქმე არ მისულა — ორტეგა ხომ პარლამენტარი იყო, ხელშეუხებლობის იმუნიტეტი არავის მოუხსნია.

1990 წელს ნიკარაგუის ახალ პრეზიდენტად აირჩიეს ცნობილი დისიდენტის, პოპულარული გაზეთ „პრესის" მთავარი რედაქტორის პედრო ხოაკინ ჩამოროს ქვრივი — ვიოლეტა ჩამორო. სწორედ გაზეთი დაეხმარა ქალბატონ ჩამოროს პრეზიდენტად გახდომაში. პრეზიდენტობისა და მთავარი რედაქტორის პოსტების შეუთავსებლობის გამო „პრესა" მის ქალიშვილს გადაეცა. სიძე — ანტონიო ლაკაიო ჟურნალისტი არ არის, ამიტომ ჩამორომ იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა. 1996 წელს ახალი არჩევნები დაინიშნა. ვიოლეტა ჩამოროს, კანონმდებლობის თანახმად, აღარ შეეძლო არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ არც სიძეს მისცეს კანდიდატობის ნება.


ვიოლეტა ჩამორო სიძესთან ერთად

ახლა ნიკარაგუის პრეზიდენტი არნოლდ ალემანია. მისი ძმები და ძმისწული წყალმომარაგების, სოცუზრუნველყოფისა და განათლების დეპარტამენტებს ხელმძღვანელობენ, ქალიშვილი და და კი — თეატრების დირექტორები არიან. მეორე ძმისწული მანაგუას საერთაშორისო აეროპორტის დირექტორია. ამას წინათ 54 წლის პრეზიდენტმა განაცხადა, — ათი წელია ქვრივი ვარ, ახლა ცოლი უნდა შევირთოო. მისი საცოლე მასზე 23 წლით უმცროსია და განათლების სამინისტროში მუშაობს. საქმრომ გვარიანი ხელფასი დაუნიშნა, სასიმამრო კი ნიკარაგუის კონსულია ნიუ-იორკში. როცა პოლიტიკური ოპონენტები უკიჟინებენ, — ყველგან შენი ნათესავები რატომ დასვიო, არნოლდ ალემანი პასუხობს, — ნათესავებს ხომ უფრო ვენდობი, ვიდრე უცნობებსო. რაც შეეხება უბრალო ნიკარაგუელებს, ისინი მმართველი კლანის პატარ-პატარა შეცოდებებს არად დაგიდევენ, ოღონდ სისხლის ღვრა ნუ იქნება, როგორც ეს სანდინისტების დროს იყო.

*ვლასტი №7*

**გვინდა ვიცნობდეთ მსოფლიო რუკას... ანუ, გვიამბეთ ქვეყნებზე, მათ თავისებურებებზე, რა იცით, იქნებ სადმე მოგვიწიოს გამგზავრება...**

*მკითხველთა ჯგუფი ზუგდიდიდან*

## თეთრ ადამიანთა ქვეყანა




უძველესი დროიდან კორეელებს ძალიან უყვარდათ თეთრი ფერის სამოსი. თეთრით იმოსებოდნენ არისტოკრატებიც, გლეხებიც, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც. ამიტომ უცხოელები კორეას „თეთრ ადამიანთა ქვეყანას" უწოდებდნენ.

დღეს მსოფლიო კორეას იცნობს, როგორც ტელევიზორ SAMSUNG-ის, კომპიუტერ LG-ის, ავტომობილ KIA-სა და THEKVOND-ის — საბრძოლო ხელოვნების სამშობლოს. სინამდვილეში კი ეს ქვეყანა გაცილებით საინტერესოა.

თავად კორეელები თავიანთ სამშობლოს, რომელიც მკაცრი ციმბირის მეზობელია, „დილის ნამის ქვეყანას" უწოდებენ. აქ ზამთარი ცივი და მშრალი იცის, ზოგჯერ თოვს კიდეც, ზაფხულში კი ძალიან ცხელა, მუსონის სეზონის დროს, ივნისის დამლევს, გაუთავებლად წვიმს. შემოდგომა და გაზაფხული ხანმოკლე და მშრალი იცის.

კორეული პეიზაჟი ძალიან თვალწარმტაცია. იგი მთაგორიანი ქვეყანაა, ყველაზე მაღალი მთა ხალასანია. მისი სიმაღლეა 1.950 მ. თანამედროვე კორეელები მონღოლური ტომების შთამომავალნი არიან, რომლებიც კორეის ნახევარკუნძულზე ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ ნეოლითის ხანაში. კორეის პირველი სახელმწიფო — ძველი ჩოსონი ჩვ. ერამდე 2333 წელს აღმოცენდა. მითების თანახმად, მისი დამაარსებელი იყო ღმერთკაცი ტანგუნი, რომელიც 1.500 წელიწადი მართავდა ქვეყანას, რის შემდეგაც ტახტზე უარი თქვა და მთის ღმერთად იქცა.

XV ს.-მდე კორეელებს არ ჰქონიათ საკუთარი დამწერლობა და ჩინურ იეროგლიფებს იყენებდნენ. შრიფტის გამოყენება, რომელიც რამდენიმე ათასი იეროგლიფისგან შედგებოდა, კორეაში 1234 წელს დაიწყეს, გერმანიაში გუტენბერგის შრიფტის გამოყენებამდე 200 წლით ადრე. 1446 წელს მეფე სეჩუონმა და მისმა პალატამ შექმნეს კორეული ანბანი. იგი 10 ხმოვნისა და 14 თანხმოვნისგან შედგებოდა და გამოირჩეოდა სიმარტოვით. ამიტომაც კორეაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის მცოდნეა. XX ს.-ის დამდეგამდე კორეული მარტივი ალფავიტით უფრო ნაკლებგანათლებული ქალები სარგებლობდნენ, მამაკაცებს კი იეროგლიფები უნდა სცოდნოდათ.

სეჩუონის ეპოქაში კორეელებს საკუთარი კალენდარიც ჰქონდათ და მზის საათიც, აგრეთვე ქარის სიჩქარის განმსაზღვრელი ხელსაწყოც. ძალიან განვითარებული იყო ასტრონიმია: ციურ სხეულებზე დაკვირვების შედეგებს იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში.

კორეელები კიდევ ერთი გამოგონებით ამაყობენ — ეს არის კორუქსონი, „გემი-კუ", რომლის კორპუსი მავთულხლართიანი რკინის ფურცლებითაა დაფარული. ჯავშნოსნის ეს წინამორბედი, რომელიც XV ს.-ში გამოიგონა გენერალმა ლი სუნ სინმა, უსაქმოდ არ მდგარა, კორეელები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს ან გარეშე მტრებს — ჩინელებს, მანჯურიელებს, იაპონელებს.

მეზობლებთან მრავალსაუკუნოვანი ომების შემდეგ კორეამ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ XV-XX ს.ს.-ებში ცივილიზაციის მაგისტრალური გზის მიღმა დარჩა, არ მიიღო დასავლური იდეები და არც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ნაყოფი, ამის შემდეგ 1910 წელს კორეა უფრო განვითარებულმა იაპონიამ დაიპყრო, რომელიც ფლობდა ევროპული ტექნიკისა და სამხედრო განვითარების მიღწევებს.

იაპონური ოკუპაცია 1945 წლამდე გრძელდებოდა, როცა კორეა საბჭოთა და ამერიკის ჯარმა გაათავისუფლა. მალე მოკავშირეები მოწინააღმდეგეებად იქცნენ და კორეაც, გერმანიის მსგავსად, საბჭოთა და ამერიკულ ზონებად დაიყო. კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, მისი დედაქალაქია ფჰენიანი, სამხრეთით კი — კორეის რესპუბლიკა, დედაქალაქით — სეული. კორეის რესპუბლიკაში გადატრიალებათა შედეგად, 1950-1953 წლებში სამხედრო დიქტატორული რეჟიმი დამყარდა. დემოკრატიული გზით 1993 წელს პრეზიდენტად აირჩიეს კამ ენ სამი. 1992 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა კორეის რესპუბლიკის დღევანდელი პრეზიდენტი კიმ დე ჩჟუნი.

კორეის რესპუბლიკაში 45 მლნ ადამიანი ცხოვრობს. კორეელები მისდევენ ბუდიზმს, კათოლიციზმს, პროტესტანტობას. აქ ბუდისტურ ტაძრებს პროტესტანტული სჭარბობს, რაც იმით აიხსნება, რომ პროტესტანტმა მღვდლებმა დიდი როლი ითამაშეს ევროპული განათლების გავრცელებაში და ეხმარებოდნენ კორეელებს იაპონური ოკუპაციის ჟამს.

*კომერსანტი №8*

## კივის, მაორის და კოვბოების მხარე

ამერიკის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ შეადგინა იმ ქვეყნების რეიტინგი, სადაც მომავალ ასწლეულში მეტ-ნაკლებად მიმზიდველი იქნება ცხოვრება და 26 პარამეტრის მიხედვით შეაფასა: კლიმატის, მოსახლეობის სიხშირის, რასობრივი და ეროვნული შუღლის, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის, მსოფლიოში უვიზოდ გადაადგილების შესაძლებლობის, ბავშვთა სიკვდილიანობის დონისა და ა.შ. მიხედვით. რეიტინგში ახალმა ზელანდიამ პირველი ადგილი დაიკავა.

ახალი ზელანდია ათასზე მეტი წლის წინ აღმოაჩინეს პოლინეზიიდან მოსულმა მაორის ტომებმა. ისინი იყვნენ ქვეყნის პირველი აბორიგენები. ევროპელებიდან ახალ ზელანდიაში 1642 წელს პირველი ჩავიდა ჰოლანდიელი აბელ ტასმანი. მეორე იყო ინგლისელი ჯეიმს კუკი, შემდგომ მისი სახელი ეწოდა ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ და სამხრეთ კუნძულების გამყოფ სრუტეს.

ახალი ზელანდია მდებარეობს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ეს ძალიან ლამაზი ქვეყანაა. სამხრეთ კუნძულის ღირსშესანიშნაობად ითვლება სამხრეთის ალპები თავისი 300 მეტრიანი 19 მწვერვალით. ჩრდილოეთ კუნძულზე არის მოქმედი ვულკანები, ცხელი წყაროები და გეიზერები. ორივე კუნძული მდიდარია ტბებით. მათი საერთო ფართობი უტოლდება იაპონიის, დიდი ბრიტანეთის და იტალიიის ფართობებს, მაგრამ მოსახლეობა მხოლოდ 3,7 მილიონია. აქედან ნახევარი მილიონი მაორია. 1840 წელს, კოლონიზატორებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მაორების ბელადებმა დიდ ბრიტანეთთან მოაწერეს ხელი ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმადაც ისინი თანხმობას აცხადებდნენ ბრიტანეთის მმართველობაზე, ამის სანაცვლოდ კი, სამეფო მაორებს მიწებისა და ტყეების ფლობის უფლებას აძლევდა. შეეძლოთ შეექმნათ თევზჭერის საწარმოები და მათი ყოფილიყო „განძეული", რომელსაც მაორებისთვის სულიერი და კულტურული ღირებულება ჰქონდა. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ახალ ზელანდიაში ევროპელები გადმოსახლდნენ და ბრიტანეთის არმიასა და მაორებს შორის შეიარაღებული კონფლიქტები გახშირდა. ამჟამად, ახალი ზელანდიის მთავრობა მაორების უფლებებს იცავს. მაორების ენა ქვეყანაში მეორე ოფიციალურ ენად ითვლება, მას პარლამენტი და სასამართლო აღიარებს.

თუმცა გასული საუკუნის შუა წლებში კუნძულზე აღმოაჩინეს ოქრო, ნაციონალური კეთილდღეობის რეალური საწინდარი არის საძოვრები და მეცხოველეობა. 1882 წელს დიდ ბრიტანეთში პირველად იქნა ზღვით ჩატანილი გაყინული ხორცი. ახლა, ახალი ზელანდიის ფირმები მთელ მსოფლიოში 1,3 მილიონ ტ რძის პროდუქტებს ყიდიან, რაც საერთო მსოფლიო ექსპორტის 30%-ს შეადგენს.

ახალი ზელანდიის სიმბოლო გახლავთ ჩიტი კივი. ეს ახალზელანდიელების ზედმეტი სახელიცაა და ხილის სახელწოდებაც, რომლის



ექსპორტირებაც ახალზელანდიურ ვაშლთან ერთად მთელ მსოფლიოში ხდება. ქვეყანაში განვითარებულია აგრეთვე სატყეო მრეწველობა და მეთევზეობა, სასუქის, მინის, ფოლადის, ალუმინის წარმოება. დიდ შემოსავალს იძლევა ტურიზმიც. ყოველწლიურად აქ შვებულებას 1,5 მილიონი უცხოელი ატარებს. ქვეყნის დედაქალაქია ველინგტონი. ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალია. „ახალზელანდიელთა 3/4 საკუთარი სახლის მფლობელია, თითქმის ყველას ჰყავს საკუთარი მანქანა. საშუალო ხელფასი არის 2.000-2.500 ახალზელანდიური დოლარი (აშშ 65 ცენტი). სამედიცინო მომსახურება და საშუალო განათლება უფასოა. სამაგიეროდ, ძვირად ფასობს უმაღლესი განათლება: წელიწადში 7-12 ათასი ახალზელანდიური დოლარი.

ახალი ზელანდია ბრიტანეთის გაერთიანებაში შემავალი დამოუკიდებელი საპარლამენტო დემოკრატიული ქვეყანაა. სახელმწიფოს ფორმალური თავკაცი არის — დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზავეტა , ვის ინტერესებსაც იცავს გენერალ-გუბერნატორი. 1898 წელს ახალი ზელანდიის მთავრობამ პირველმა შემოიღო ასაკოვანთათვის სახელმწიფო პენსია. ხოლო XX საუკუნის 30-იან წლებში ახალ ზელანდიაში პირველად შეიქმნა ყოვლისმომცველი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. იგი ითვალისწინებს ავადმყოფების, უმუშევრების, დიდი ოჯახების ყოველმხრივ დახმარებას. ისე რომ, ახალ ზელანდიაში საცხოვრებლად მართლაც კარგი პირობებია და მან სამართლიანად მოიპოვა ლიდერობა.

*კურიერი №14*

## კარნავალი, კარნავალი



ბრაზილიურ კარნავალზე უამრავი რამ დაწერილა. კარნავალი — მხოლოდ მხატვრულ-ეთნოგრაფიული ფესტივალი როდია, არამედ ეროვნული მასშტაბის მოვლენაცაა, ბრაზილიური მენტალიტეტის განუყოფელი ნაწილი.

რიო-დე-ჟანეიროს ქუჩები კარნავალისას იმპროვიზებულ საცეკვაო მოედნებად, როგორც ბრაზილიელები უწოდებენ, სამბოდრომებად გადაიქცევა ხოლმე. ტროტუარებზე მაყურებელთა ტრიბუნებია ჩამწკრივებული. მუსიკითაა გაჟღენთილი ყოველი კუთხე-კუნჭული. მუსიკოსები მთელი წელი მეცადინეობენ. სამი კვირის მანძილზე კარნავალი მთელ საინფორმაციო სივრცეს იკავებს. სასტუმროები ტურისტებითაა სავსე. წლეულს სახელმწიფო ტურისტულმა სააგენტომ საკარნავალო პროგრამაში 10 მლნ დოლარი დააბანდა. ტრიბუნებზე ქვეყნის საუკეთესო ხალხი ზის, თვით პარლამენტარებმაც კი გადადეს კანონპროექტები. კიდევ ერთი კოლორიტული წვრილმანი: დღესასწაულის მონაწილეთათვის 10 მლნ პრეზერვატივი მოიმარაგეს — თითქმის შიშველი მოცეკვავე ქალების ცქერა მამაკაცებზე ნოკაუტის ტოლფას შთაბეჭდილებას ახდენს. რიოს ეროტიკული ტონუსი ამ პერიოდში მკვეთრად მაღლდება.

ბრაზილიის პრეზიდენტმა ფერნანდო ენრიკე კარდოზუმ სიტყვით მიმართა მოსახლეობას და მოუწოდა, — საჭესთან მთვრალები ნუ დასხდებითო. ოფიციალური განცხადებით გამოვიდა კათოლიკური ეკლესიაც. იგი საზოგადოდ კარნავალის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ არც ღვთის სათნო საქმედ მიაჩნია. ზოგიერთისთვის ეს დღესასწაული „მდაბიო წარმოშობისაა", ბრაზილიაში ზანგმა მონებმა შემოიტანეს და განათლებულ თეთრ კაცს იქ არაფერი ესაქმებაო. კარნავალი ოფიციალური ცერემონიით იხსნება — მუნიციპალურ სასახლეში რიოს პრეფექტი საზეიმოდ გადასცემს ქალაქის გასაღებს კარნავალის მეფე მობუს. წლევანდელი კარნავალი განსაკუთრებით ფერადოვანი და მასშტაბური იყო — იგი ბრაზილიის აღმოჩენის 500 წლისთავს მიეძღვნა. კარნავალში სამბას რამდენიმე ე.წ. სკოლა მონაწილეობდა. პარადში მონაწილეობდნენ ცნობილი მსახიობები და სპორტსმენებიც. ენთუზიაზმისა და მუსიკალურობის გარდა, ამტანობაცაა საჭირო. საკარნავალო კოსტიუმი — ე.წ. „ფანტაზია" — 10-15 კგ-საც აღწევს. უფრო მძიმე დღეში არიან სხვა „სამბისტები" — ზოგიერთი მამაკაცის კოსტიუმი 80 კგ-მდეა. შემთხვევითი არ არის, რომ კარნავალამდე ბევრი სპორტდარბაზებში ვარჯიშობს. პრინცესებისა და მეფეებისთვის კი — კარნავალი ნიშნავს კვირაობით მკაცრ დიეტას, ზოგჯერ კი პლასტიკურ ქირურგთან ვიზიტსაც კი. სამბას უმაღლესი ლიგის 14 სკოლა ორ ღამეს ცეკვავს. სამბოდრომი მხოლოდ დილისთვის ცარიელდება.

ამ დღესასწაულის მიღმა დრამაც იმალება. ჟიურიმ უნდა შეაჯამოს შედეგები და გამარჯვებულები გამოავლინოს. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ფიცხ გულშემატკივარს „განაჩენი" უსამართლობად ეჩვენება და ჟიურის „სამბას" „ნამდვილი მეფის" დაჩაგვრაში სდებენ ბრალს. ამჯერად გამარჯვება სკოლა „იმპერატრიზ ლეოპოლდინენსს" ერგო. მეორე ადგილზე გავიდა სკოლა „ბეიჟა ფლორი". ბოლო ორი ადგილის მფლობელნი გლოვობდნენ — მომავალში ისინი რანგით დაბალ სკოლათა ჯგუფში გამოვლენ. კარნავალი არა მარტო სანახაობაა, არამედ მკაცრად რეგლამენტირებული კონკურენცია. რომ გაიმარჯვო, საჭიროა შემოქმედებითი ფანტაზიის მაქსიმუმი, ლაღი არტისტიზმი და აუცილებლად გუნდური სული, რაც ათასობით ადამიანს გაერთიანებასა და თავდადებას აიძულებს საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად. მაგრამ ყველაფერს აქვს ამქვეყნად დასასრული — კარნავალსაც. გამოფხიზლებულმა ქვეყანამ დანახარჯის დათვლა დაიწყო — წლეულს პროგნოზი შედარებით კეთილსაიმედო გამოდგა.

საკარნავალო მსვლელობის დაღლილი „მეფეები" და „დედოფლები" თავიანთ საქმეებს დაუბრუნდნენ. საკარნავალო მონარქის, მეფე მობუს სამფლობელო ერთი წლით დამშვიდდა. მაგრამ ყველასათვის ერთი რამ კი აშკარაა: სამბა ბრაზილიასავით მარადიულია.

*ეხო პლანეტი №13*

# მკაცრი სახით და სულში ბეღურით...



*მოამზადა*
*ლელა ჯიყაშვილმა*

ზოგ ადამიანს ადვილად შეიცნობ და „წაიკითხავ“, რადგან ყველა ნაკლი თუ ღირსება ზედაპირზე აქვს ამოტანილი... ზოგიც, შეიძლება წიგნივით იშლებოდეს, მაგრამ ყოველი ფურცლის წაკითხვის შემდეგ მიგახვედრებს, რომ რაც იცი მის შესახებ, არაფერია... ფურცლების რაოდენობა კი უსაზღვროა... მის შეცნობასაც სასრული არ უჩანს. მე სწორედ ასეთი მგონია რეჟისორი **თემურ ბაბლუანი...**

მასთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მხოლოდ იმას მივხვდი, რომ რაც მოვისმინე და გავიგე მის შესახებ — ზღვაში წვეთია. უდავოდ კი ერთი რამ ვიგრძენი — ის არის ხელოვანი მკაცრი სახით და სულში ნათელით...



მაგრამ ყველაფერი სადღაც იწყება...

ბატონ თემურის წარმომავლობაზე, გულზვიად სვანეთზე ვისაუბრეთ.

— ბაბლუანები ახლა ქვემო სვანეთში, სოფელ უკლეშში ცხოვრობენ. ეს სოფელი ჩოლურის თემს ეკუთვნის. ჩვენი გვარი აქ ზემო სვანეთიდან არის გადმოსული. ადრე მესტიის ახლო სოფელ ხეშკილში უცხოვრიათ და ბარვანები ყოფილან. იქ მტრობის ნიადაგზე თითქმის მთლიანად ამოუწყვეტიათ ისინი. გადარჩენილა მხოლოდ ბიძა და ძმისწული — ჩაგა. ჰყოლიათ ქვემო სვანი რძალი, რომელიც ფეხმძიმედ ყოფილა. ისინი ერთად გამოქცეულან, ჩოლურში დასახლებულან... ბიჭიც შესძენია ამ ქალს. ყოფილა ვიღაც ბაბლო ბარვანი... მისი შთამომავლები არიან ბაბლუანები... ჩვენი გვარი ახლაც ასე იწყებს ლოცვას: „ხეშკილის წმიდაო გიორგი...“ — იმ ადგილის და იმ სალოცავის ხსენებით, რომელსაც ოდითგანვე ეკუთვნოდნენ.

**— თქვენ ამბობთ: ბედნიერი ვარ, რომ სვანეთში დავიბადეო...**

— მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ აუარებელ კარგ თვისებას, ღირსებას ვხედავ სვანებში, რაც ჩემს მოწიწებას იწვევს... და თუ მეც იმათგანი ვარ, მეამაყება.

ჩოლურელები და საერთოდ, სვანები თავმოყვარე და კეთილშობილი ხალხია. დიდი სითბო და სიყვარული იციან... არსად მინახავს ასეთი თავდადება ერთმანეთის მიმართ, მათ რომ სჩვევიათ: ერთი მარხილი თივა რომ მოიტანო ჩვენს სოფელში, დაახლოებით ოცი ისეთი ადგილი უნდა გამოიარო, სადაც შეიძლება გადაიჩეხო და დაიღუპო. ეს ხომ ფსიქიკაზე მოქმედებს. ამიტომ არის, რომ სვანები ძალიან ამტანი და ძლიერი ხალხია.

7 წლის ვიყავი, სვანეთიდან რომ წამოვედით. მახსოვს, ძალიან არ მინდოდა იქაურობის დატოვება. მყავდა კარგი ძაღლი, საყვარელი ძროხა, რომელსაც ირემა ერქვა: ჭრელი წიწილა... ისეთი ლამაზი წიწილა არავის ჰყავდა მთელ სოფელში. ბავშვები გავიყვანდით ხოლმე ვარიებს შემაღლებულ ადგილზე და გადავაფრენდით. ჩემი ჭრელი წიწილა ყველაზე შორს დაფრინდებოდა. ერთი სიტყვით, ჩემთვის არწივივით იყო... გული დამწყდა, იქიდან რომ წამოვედით, მაგრამ მე ვინ მეკითხებოდა... ჩემთვის რომ ეკითხათ, ახლაც იქ ვიქნებოდი...

**— ალბათ საოცრად ლამაზი მოგონებები გამოგყვათ ბავშვობიდან...**

— მახსოვს, ჩოლურში, 4 წლისამ პირველი ფილმი რომ ვნახე... იყო ძალიან კარგი კაცი — არსენ ჩარკვიანი... ის სურათებს იღებდა და შემდეგ ბეჭდავდა იმდროინდელ პრესაში... აი, იმ არსენმა დაიწყო კინოს გაშვება. ან კედელზე უშვებდნენ, ან თეთრ ნაჭერს ჩამოჰკიდებდნენ... მახსოვს ის კადრებიც კი: ქალი მოდიოდა, ჩემთვის უცნაურად ეცვა... გამოდიოდა ძაღლი, ქალი იხრებოდა და ეფერებოდა. ძალიან მიკვირდა, რომ ასეთი რამე შეიძლებოდა კედელზე მომხდარიყო. ბავშვები მერე იმ კედელს ხელით ვსინჯავდით...

მამაჩემი ექიმი იყო — ძალიან წესიერი და საქმისთვის თავდადებული კაცი. ხეობაში სხვა ექიმი არ ჰყავდათ და მამაჩემს აკითხავდა ყველა დახმარებისთვის. მისთვის არ არსებობდა დღე, ღამე, ზამთარი, ყინვა, ქარბუქი. თუ მოაკითხავდა ავადმყოფის პატრონი, აუცილებლად გაჰყვებოდა. ჰყავდა დიდი ცხენი — მარღია. ამ ცხენზე მეც შემსვამდა. დიდი პალტო ეცვა, შემომახვევდა ამ პალტოს ისე, რომ იქიდან მხოლოდ თავი მქონდა გამოყოფილი... წინ ავადმყოფის პატრონი მიდიოდა ან ცხენით, ან ფეხით... უკან ჩვენ მივყვებოდით. ირგვლივ ირწეოდა მთები, გზები. რატომღაც, ყოველთვის მოვალედ ვთვლიდი თავს, თუ მამაჩემი წავიდოდა ვინმეს დასახმარებლად, გავყოლოდი.

ჩემს ბავშვობაში სვანეთში ყაჩაღები იყვნენ. ისინი ხალხს არ ერჩოდნენ. მათ მთავრობა სდევნიდა. ჩაბარებით არ ბარდებოდნენ და იყვნენ ასე... მახსოვს, ერთხელ, ღამით მოაკითხეს მამაჩემს. მეც გავყევი ავადმყოფთან. თურმე ვიღაც ყაჩაღი მილიციასთან შეტაკების დროს დაუჭრიათ. სწორედ მასთან მიჰყავდათ ექიმი... ვიარეთ, ვიარეთ, მახსოვს, ძალიან ბევრი ვიარეთ. ავედით სადღაც კლდეებში. გამოქვაბულში ცეცხლი ენთოთ. ზამთარი იყო. მახსოვს, ყინულის ლოლუები მთლიანად ფარავდა გამოქვაბულს. გამოტეხილი იყო შესასვლელი. ზემოთ კიდევ იყო გამოტეხილი ყინული, იქიდან კვამლი გამოდიოდა. საოცრად ლამაზი იყო ღამით დანახული, შიგნიდან განათებული, გარედან ყინულით მოსილი გამოქვაბული... მამაჩემმა მოუარა ავადმყოფს.

ყაჩაღები სვანები იყვნენ. ჩვენ სულ ერთმანეთის ნათესავები ვართ, და იქაც, რა თქმა უნდა, ჩვენი ახლობლებიც ერივნენ. მათ მამა რაღაცაზე ეკამათებოდა. მე ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. თურმე ჩემს დატოვებას სთხოვდნენ... გენდობით, ძალიან გვიყვარხართ, მაგრამ ბავშვი მაინც აქ დაგვიტოვეთო. ავადმყოფი მძიმედ იყო დაჭრილი. ექიმის ხელი კიდევ დასჭირდებოდა... მამაჩემმა მკითხა, — დარჩები? ხომ არ შეგეშინდებაო? შეწუხებული სახე ჰქონდა. ვიგრძენი, უნდოდა, დავთანხმებოდი. სულ არ მინდოდა დარჩენა, მაგრამ მაინც ვუთხარი: დავრჩები, რა მოხდა მერე, არ მეშინია-მეთქი... მამა მარტო დაბრუნდა შინ და ოჯახში თქვა, ვითომ სხვა სოფელში მამიდებთან დამტოვა. 10 დღე ვიყავი ყაჩაღებთან. ისინი იყვნენ თბილი, მოსიყვარულე, კეთილი ხალხი. მივლიდნენ, თან მყვებოდნენ. ასეთი პატივისცემა ცხოვრებაში აღარ მინახავს. მიყვებოდნენ ზღაპრებს, მართობდნენ... ერთი კარამელის კანფეტი ჰქონდათ და გასანთლული ძაფით პატარებად მიჭრიდნენ, რომ გამოეზოგათ ჩემთვის. მშვენივრად ვიყავი. უკან წამოსვლა აღარ მინდოდა. მამაჩემი ორ დღეში ერთხელ ამოდიოდა, დაჭრილს უვლიდა. ის მალე გამოჯანმრთელდა. აი, მაშინ უსაყვედურა მამაჩემმა, რომ არ ენდვნენ...

ეს მოხდა ზამთარში. გაზაფხულზე კი ერთი მათგანი დაიჭირეს. შეიტყუეს, მისთვის მამაჩემს უმკურნალია. ამის შესახებ კი, რა თქმა უნდა, არ განუცხადებია. დაიბარეს მამაჩემი რაიონში და მეც, მასთან ერთად, როგორც მოწმე. მივედით შინსახკომში. რატომ არ განაცხადეო, — ჰკითხეს. მამა თავს იმართლებდა: ზამთარი იყო, გზები — ჩაკეტილი, თანაც ჩემი საქმე მკურნალობაა, თქვენი — კაცის დაჭერაო... შინსახკომის უფროსმა მე ცალკე დამკითხა. ყაჩაღებთან იყავიო? ვუპასუხე: რა ვიცი, სად ვიყავი, ნათესავებში დავდიოდი-მეთქი. გამოქვაბულში არ ყოფილხაროო? რა ვიცი, შეიძლება ვიყავი, იქ ბევრი გამოქვაბული იყო-მეთქი. ბავშვური ჭკუით მივხვდი რაღაცას, ვიგრძენი, არ უნდა მეთქვა არაფერი. უცებ ამ კაცმა ნაგანი ამოიღო და კბილებში დამატაკა: თუ არ მეტყვი სიმართლეს, მოგკლავო. არ ველოდი ამას და მართალი გითხრათ, შემეშინდა, მაგრამ ის წუთი რომ გავიდა და არ მომკლა, საერთოდ აღარაფრის შემშინებია და ხმაც აღარ ამომიღია. მერე გარეთ ჩვენი ნათესავები მოგროვდნენ. ატყდა ერთი ამბავი. ბოლოს და ბოლოს, გამოგვიშვეს.

ამის მერე გავიდა წლები... ერთი ამხანაგი მყავდა, კარგი ბიჭი იყო და ახლაც კარგი კაცია. ერთ ზაფხულს, ასე 15 წლის წინ, ვიღაცამ მოიტანა ამბავი, მამა გარდაეცვალაო. წავედით გასვენებაში. ვუყურებ გარდაცვლილის სურათს და მეცნობა. დადგა გამოსვენების დრო. მხარზე მქონდა შედგმული სასახლე, სხვებთან ერთად მივასვენებდით უკანასკნელ გზაზე და ვფიქრობდი: რა არის ცხოვრება... ეს ის კაცი იყო, ნაგანით რომ მაშინებდა — შინსახკომის უფროსი... ჩემს ამხანაგს არასოდეს უხსენებია, რომ მამამისი ოდესმე სვანეთში მუშაობდა.

მერე, როცა უკვე თბილისში ვცხოვრობდით, ხშირად დავდიოდი სვანეთში. X კლასში კი ისე მომიხდა, რომ სასწავლებლადაც იქ გადავედი. გული ყოველთვის მიმიწევდა იქით. ბებია მელოდა, ბაბუაჩემის ძმები — არაჩვეულებრივად კარგი ხალხი — იქ მეგულებოდა. ძალიან ჭკვიანი ქალი იყო ბებიაჩემი სონიჩკა. როცა სვანეთში რაიმე სადავო საკითხი წამოიჭრება ან მომდურავთა შერიგებაა საჭირო, ირჩევენ მედიატორებს, მათ ეძახიან მორავს, მორავ მარეს. იშვიათია მედიატორი ქალი. ძალიან ღირსეული და ჭკვიანი უნდა იყოს, რომ ეს საქმე დაავალონ. ბებიაჩემი იყო ერთ-ერთი კარგი მედიატორი ქალი... ადამიანი ხომ თვითონ უნდა იყოს სულით უმწიკვლო, რომ ნება ჰქონდეს, სხვისი ავი და კარგი გაარჩიოს, შეუბღალავი სახელი უნდა ჰქონდეს, კაცსაც და მით უმეტეს, ქალს.

**— სკოლაში როგორ სწავლობდით?**

— სხვათა შორის, ყოველთვის კარგად ვსწავლობდი.

**— ამბობენ, ყოფაქცევაში არასოდეს კარგი შეფასება არ ჰქონიაო...**

— რა ვიცი... ყოველთვის ისე ვერ მოიქცევი, როგორც ვიღაცას უნდა. შეიძლება უბრალოდ შეგეშალოს.

**— მუსიკალური განათლებაც მიიღეთ?**

— მუსიკაზე დედაჩემს დავყავდი. მამას ძალიან უნდოდა, რომ ფორტეპიანოზე დაკვრა მესწავლა. მატარებდნენ მე-9 მუსიკალურ სკოლაში. არ ვიცი, რატომ უნდოდათ ასე ძალიან, მუსიკალური დამემთავრებინა... არავითარი ნიჭი არ გამომიჩენია, მაგრამ მაინც ვიარე. მახსოვს, დამამთავრებელ გამოცდაზე, დავიწყე დაკვრა თუ არა, გამაჩერეს, მეორე პიესაზე გადავედი, ისევ გამაჩერეს. კარგია, კარგიაო, — ეცინებოდათ... მომცეს სკოლის დამთავრების დიპლომი, ეს იყო და ეს.

**— მაგრამ თქვენ ძალიან ლამაზი მელოდიების ავტორი ბრძანდებით. ყველასთვის ცნობილია მელოდია ფილმიდან „უძინართა მზე“, რომელიც თითქმის გახალხურდა.**

— ყველა ჩემს ფილმში ჩემი მელოდიებია. ეს არაფერს ნიშნავს, მელოდია შეიძლება მოიგონოს ისეთმა კაცმა, ვინც საერთოდ არ იცის ნოტები. მაგას მუსიკალურ განათლებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. როცა ფიქრობ, რომ აი, ეს ამბავი უნდა გადავიღოო, განიცდი, მელოდია თავისით მოდის. ვიდრე მელოდია არ მოვა, ე.ი. არ გაქვს კარგად გააზრებული ფილმი.

**— ამბობენ, ხშირად ღამით უკრავთ...**

— ხანდახან ვუკრავ, განწყობილების მიხედვით... ოჯახში არ არიან აღფრთოვანებულები ჩემი მუსიკალური მონაცემებით. თუ არაფერს დავუკრავ, მადლობელი არიან.

**— თქვენი ბოლო ფილმის შემდეგ ჩნდება კითხვა: მამასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გქონდათ?**

— ჩვეულებრივი დამოკიდებულება მქონდა. თბილი კაცი იყო, არასოდეს უარს არ მეუბნებოდა არაფერზე, არც მიწყრებოდა. მიზეზს თუ მივცემდი, დედაჩემი მიბრაზდებოდა. მამა ვერაფერში ხედავდა ცუდს, ყოველთვის ამბობდა: რა მოხდა მერეო, მე და ის სრულიად განსხვავებული ხასიათების ვიყავით. მამა უკომფლიქტო კაცი იყო. მიაჩნდა, რომ ადამიანს ყოველთვის შეუძლია მეორე ადამიანს გაუგოს. არ თვლიდა, რომ ერთი აუცილებლად უნდა იყოს მართალი, მეორე მტყუანი... თუნდაც სულ პატარა სიმართლეს თუ იგრძნობდა, მისთვის უდიდეს მნიშვნელობას შეიძენდა. ასეთი ადამიანები კიდევ სხვანაირად აღიზიანებენ ხალხს, ვიღაცამ შეიძლება ისეც ჩათვალოს, რომ ასეთ კაცს ადვილად



**თემურ ბაბლუანი მაია პლისეცკაიასთან ერთად**

დაჩაგრავს, რადგან მისგან პასუხს არ ელის, არც აგრესიას. შენს სინდისზეა, ასეთ კაცს როგორ მოექცევი. მამა როცა აგრესიას წააწყდებოდა, იქით ეცოდებოდა: ნახე, რა დღეშია, ჭკუა როგორ აქვს მოწყობილიო! ჩემთვის ეს გაუგებარი იყო... ასე ცხოვრება კი — შეუძლებელი. იყო მამაჩემისნაირი, იოლი არ არის. თუ რამეს მიზნად დაისახავდა, ერთი ნაბიჯით არ დაიხევდა უკან, არ ულალატებდა. დიდ პატივისცემას ვგრძნობდი მამის მიმართ, ყოველთვის მის მხარეს ვიყავი. მას ჩემთვის გაუგებარი, მაგრამ დიდი სიმართლე ჰქონდა.

**— როგორ გადაწყვიტეთ, რომ კინორეჟისორი გამხდარიყავით?**

— ადრე იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, თავი დავანებე, შემდეგში ხელოვნებათმცოდნეობაზე, არც ის ფაკულტეტი დამიმთავრებია. მაშინ მოწყობა ძნელი იყო საერთოდ, მაგრამ მე ძალიან ადვილად ვაბარებდი მისაღებ გამოცდებს და ასევე იოლად ვანებებდი კიდეც თავს სწავლას. მესამედ უკვე კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავირიცხე და ბოლოს და ბოლოს, დავამთავრე კიდეც... სხვათა შორის, კურსიდან ამის მიტოვებაც და ყაზახეთში წასვლა მინდოდა და... სრულიად შემთხვევით მოხდა, რომ დავრჩი...

**— პირველი როლი საკმაოდ ადრეულ ასაკში გითამაშიათ...**

— 17 წლისამ ვითამაშე „ღიმილის ბიჭებში“ მალხაზის როლი... რომელსაც ძალიან უნდოდა სვანეთში წასულიყო, რომ გეოლოგი გამხდარიყო. მოკლედ, სულელური აზრები ჰქონდა. „ღიმილის ბიჭებს“ რომ ვიღებდით, ჩემთვის ყველაფერი ახალი იყო, ყველაფერი მაინტერესებდა. იმ დრომ ცნობისმოყვარეობაში გაიარა. სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა რეზო ჩხეიძესთან ბოლო პერიოდში გართულდა. ისე, მისი უსაზღვროდ მადლობელი ვარ... მისგან ვისწავლე, რას ნიშნავს კინოს გადაღება... ძირითადი, ყველაფერი „ღიმილის ბიჭების“ გადაღებისას ვისწავლე...

**— მურტალოს როლი ისე შეასრულეთ „კუკარაჩაში“, რომ ბოროტმოქმედის სრულყოფილი სახე შექმენით.**

— ამ როლმა ნერვების მოშლის მეტი არაფერი მომიტანა. საშინელებაა, ქუჩაში რომ მიდიხარ და ყველა გიყურებს. მე ის მიყვარს, იქით რომ ვაკვირდები ხალხს.

**— „ბეღურების გადაფრენა“ თქვენი სადიპლომო ნამუშევარი, პირველი ფილმი იყო, არა?**

— „ბეღურების გადაფრენა“ V კურსზე გადავიღე, ამიტომ მერე სადიპლომო არ გადამიღია. მანამდე გადავიღე ფილმი „მოტაცება“. ძალიან მიყვარდა ეს ფილმი. უნდა გადაგვეღო 5 წუთიანი, გამომივიდა 40 წუთიანი სურათი, რომელმაც მაშინ ძალიან კარგად გაიჟღერა. მთავარ როლს იქ ჩემი მეგობარი თემურ ბიჭიაშვილი, ძალიან კარგი, ნიჭიერი კაცი თამაშობდა. აი, ის, „ბეღურების გადაფრენაში“ „მალიარის“ როლს რომ ასრულებს. მინდა ვნახო „მოტაცება“, გავასუფთავო და იქნებ გავუშვა...

**— ფილმი ქალის მოტაცებას ეხებოდა?**

— ეს იყო ამბავი, როგორ უყვარს ერთ ქუჩის ბიჭს გოგო. როცა საპასუხო გრძნობას ვერ მიიღებს, ბიჭი გადაწყვეტს, მოიტაცოს... მოსატაცებლად რომ მივა, გოგო მძინარე დახვდება... ვერ გააღვიძებს... წამოვა უკან და თოჯინას წამოიღებს. სულ ეს არის...

**— თქვენს ყოველ ფილმში „მოტაცებაში“, „ბეღურების გადაფრენაში“, „ძმაში“, „უძინართა მზეში“ მკაცრი, უხეში პერსონაჟები არიან, რომლებსაც სულში ბეღურები უზით...**

— ისინი უბრალოდ გარემოს პასუხობენ, რეაქცია აქვთ იმ აგრესიულ პირობებზე, ცხოვრება რომ უქმნით.

**— ასე შეიძლება თქვენზეც ითქვას...**

— არ ვიცი...

**— მამაკაცისთვის ყველაზე დიდ ღირსებად რა მიგაჩნიათ?**

— კაცი თავის თავს უნდა სცემდეს პატივს. წესიერი ადამიანი, რასაც ათი კაცის წინაშე არ გააკეთებს, მარტოც არ იზამს... თავის თავში აფასებს ღირსებას. ვისაც ეს თვისება არ აქვს, ვერც მეგობრობას შეძლებს.

**— როგორი მანდილოსანი მოგწონთ? თითქოს ჩვენი ეპოქა საქმიანი, მარჩენალი ქალების უპირატესობას აღიარებს...**

— ვის რაში სჭირდება საქმიანი და მარჩენალი ქალი? ღმერთისგან ქალს მინიჭებული აქვს დედობის ფუნქცია და მოვალეობა და თუ ის შეძლებს, ბედნიერი იყოს ამით, მშვენიერი იქნება. რით არის მომხიბვლელი მოკრივე ქალი? როცა ისეთ რამეს იკისრებს ქალი, რაც მისი საქმე არ არის, უბედურებაა. თვითონაც ვერ იქნება ბედნიერი, თორემ სხვას ხომ ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს... ქალი ოჯახის სული და გულია. რაც უფრო თავმოყვარეა კაცი, უფრო მეტად უჭირს, რომ ქალს, მით უმეტეს, მისთვის საყვარელ ქალს, უამბოს თავის პრობლემებზე. მეუღლემ თუ დედამ ეს უნდა იგრძნოს... ეს არის ქალის ღირსება.

**— თუ გახსოვთ, პირველი მოწონება, თუ გატაცება, თუნდაც არარეალური?**

— ბავშვობაში „ავარა“ ვნახე... მახსოვს, ძალიან მომეწონა რიტა. რაჯის უსაზღვრო პატივისცემა მქონდა და ამ მოწონებისა შემრცხვა...

**— ახლა რაზე მუშაობთ?**

— ვიღებ ფილმს „აბრეშუმის გზა“. ძალიან მაინტერესებს მასზე მუშაობა, არა მარტო მე, ბუბა ხოტივარსაც, ნანა ჯორჯაძესაც. ადრე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ტრასეკაზე... არადა აბრეშუმის გზა არის, ფაქტობრივად, ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ საქართველომ ფუნქცია შეიძინოს, გამდიდრდეს, მისი სახელმწიფოებრიობა ხელშეუხებელი გახდეს... ათი წლის წინ ჩვენ კატასტროფის წინაშე ვიდექით. ჩვენ რომ სახელმწიფოებრივად გადავრჩით, შევარდნაძის დამსახურებაა. ჩამოვიდა თუ არა, იურიდიულად გააფორმა საზღვრები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მართალია, დღეს აფხაზეთში არ ვართ, მაგრამ იმას თუ ფიქრობს ვინმე, რომ შეიძლებოდა საერთოდ არაფერი აღარ ყოფილიყო. სოციალური კეთილდღეობა საჭიროა მხოლოდ მყარი სახელმწიფოს არსებობის შემდეგ.

**— მხატვრული ფილმის გადაღებას არ აპირებთ?**

— როგორ არ ვაპირებ. ორი სცენარი მაქვს დაწერილი, ორივე სვანებზე. უკვე მყავს პროდიუსერი, მიმდინარეობს მოლაპარაკება დაფინანსებაზე... „აბრეშუმის გზას“ დავასრულებთ და დავიწყებ გადაღებას.

**— დიდი ოჯახის უფროსი ბრძანდებით?**

— უფროსები ქალები არიან, მე ოჯახის წევრი ვარ... დიდი ოჯახი მაქვს: მეუღლე, ოთხი შვილი, ერთი შვილიშვილი. ჩემი ოჯახის წევრები არიან დედაჩემი, და და დისშვილი...

**— თქვენზე ამბობენ, უსაზღვროდ მზრუნველი მამააო...**

— ჩვეულებრივი ვარ, ყველა მამა მზრუნველია.

**— შვილიშვილთან ურთიერთობა გიყვართ? საერთოდ გიყვართ ბავშვები?**

— როგორ გითხრათ, „ლენინს უყვარდა ბავშვები“. მე განსაკუთრებული გართულება არა მაქვს. პასუხისმგებლობას ვგრძნობ... ჩემი შვილიშვილი ადრე ახლოს არ მიშვებდა — გამიშვი, მაწუხებ, ბაბუ, გადი იქით, შენ არ ხარ ლამაზიო, — მეუბნებოდა.

**— რატომ შეგაფასათ ასე მკაცრად?**

— მე მგინი, ობიექტურად შემაფასა, ეს დაუფასე და არც მწყენია.

...დაუნდობელია ცხოვრება... რომ გადარჩე და ნათელი სული გადაირჩინო, ხშირად გჭირდება მკაცრი, მრისხანე, პირქუში გარსით დაიფარო პატარა ბეღურები... ეს გამართლებულია, რადგან არსებულ ყველა ღირებულებაზე მეტად ფასეულია მათი ჟღურტული... ასე მგონია, ბატონი თემური მთელი არსებით და შემოქმედებით ამას ემსახურება...

# ჩვეულებრივი კვერცხის არაჩვეულებრივი შედეგები

კვერცხს ადამიანები ძველთაგანვე იყენებდნენ არა მარტო საკვებ პროდუქტად, არამედ სამკურნალოდაც.

ბავშვის სწრაფი ზრდისთვის სასარგებლოა დღეში 3-4-ჯერ 2 ჭიქა ცხელ რძეში ათქვეფილი ქათმის კვერცხის კოქტეილი.



ანგინისა და ცხვირხახის ანთებითი დაავადებებისას დალიეთ ახალი კვერცხის ცილა, ხველების დროს — დღეში რამდენჯერმე მიიღეთ საჩაროზე კოვზით კარაქის (2ს/კ), კვერცხის გულის (2ც), ფქვილის (1 საჩაროზე კოვზი) და თაფლის (2 საჩაროზე კოვზი) ნარევი. ყველასთვის ცნობილი გოგლიმოგლი კი ბრონქიტის დროს შესანიშნავი დამარბილებელი საშუალებაა.

კვერცხის ცილა სწრაფად აქვეითებს კუჭის მჟავიანობას და უფრო ეფექტურია გულძმარვისას, ვიდრე სოდა და სხვა რეკლამირებული საშუალება. თუ მონელების პროცესი შეფერხებული გაქვთ, ტკივილს სასწრაფოდ მოგიხსნით ოდნავ დამარილებული კვერცხის ცილა.

ცხელი რძისა და კვერცხის კოქტეილი მოგიხსნით თავის ტკივილსა და შაკიკის შეტევას, ამ კოქტეილს თუ ყოველდღე მიირთმევთ, ტკივილები საერთოდ გაგივლით.

ნევრალგიის დროს მოხარშეთ კვერცხი, ორად გაჭერით და იმ ადგილას დაიდეთ ცხლად, რომელსაც იტკიებთ. კვერცხი გაცივდება და ტკივილიც გაივლის.

ამოვარდნილობების, მყესების დაჭიმულობის დროს საუკეთესო საშუალებაა კვერცხის ცილის, ფქვილისა და 1 ს/კ სპირტისგან მომზადებული ბალზამი. წაისვით ბალზამი დაზიანებულ ადგილას და მაგრად გადაიხვიეთ.

ეგზემის დროს 1 კვერცხის გული აურიეთ 1 სუფრის კოვზ თაფლთან და წაისვით დაზიანებულ ადგილებზე. კანი თანდათან გადაგეწმინდებათ.

თუ მოიწამლეთ, საუკეთესო საშუალებაა კვერცხის ცილა. ბავშვებს შეიძლება ე.წ. ცილის წყალი მოუმზადოთ: 1 ჭიქა ცივ ანადუღარ წყალში გახსენით ცილა, დაშაქრეთ და ბავშვს ყლუპ-ყლუპით ასვით, ეს ნარევი კარგია გაღიზიანებული კუჭისა და ნაწლავების ჩასაცხრობად.

*კალეიდოსკოპი №13*

## ცისტიტის მკურნალობა

ცისტიტის მკურნალობის ეფექტური საშუალებაა სიმინდის ულვაშის, ლობიოს პარკისა და დათვის კენკრის ფოთლების ნახარში. თანაბრად აღებული ეს კომპონენტები ერთმანეთს შეურიეთ. 40 გ-ს დაასხით 1ლ მდუღარე და 30წთ გააჩერეთ, გაწურეთ და წამალი მზადაა. უნდა მიიღოთ მთელი დღის განმავლობაში 6-ჯერ, სრულ გამოჯანმრთელებამდე. წამლის სმა კიდევ რამდენიმე დღე გააგრძელეთ. თან დაიცავით უმარილო და რძის დიეტა, წოლითი რეჟიმი. ცისტიტი 2-4 დღეში გაივლის.

*პრიროდა №4*


ხალხური მედიცინა
მაქსიმალური გარანტია!!!
* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!!
მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის 87, კაბ. №11
☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97


## ოფლის სუნს ვებრძოლოთ ჩაის ნაყენით

ნიუ-იორკელმა ექიმმა როკ პოზიტანომ დაამტკიცა, რომ ვისაც ფეხზე უსიამოვნო სუნი ასდის, არასდიდებით არ უნდა მიისხუროს დეზოდორანტი. სუნის გასაქრობად არსებობს ძალიან მარტივი და მშვენიერი საშუალება. პაციენტებზე დაკვირვების შემდეგ ექიმი დარწმუნდა, რომ არაფერი სჯობს ჩაის ნაყენს. 2 პაკეტ ჩაის დაასხით 1 ლიტრი თბილი წყალი და ფეხები დაისველეთ. ჩაის შემადგენლობაში შემავალი ტანინი სპობს სუნს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №15*



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა
ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე
თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

ოპერაციის გარეშე
საგვარეულო მცენარეული ნაკრებით PLANTA ვმკურნალობ:
ჩიყვი (დიფუზური, კვანძოვან-კისტოზური); ჩირქოვანი გლანდები (ქრ. ტონზილიტი); ლიმფადენიტი (სხვადასხვა გართულებები); კისტა (ნებისმიერი ზომის); ფიბრომა (არაშორსწასული ფორმები); კანჭოვანი დაავადებები – მარილები; მასტოპათია; პოლიპები; პროსტატიტი; უნაყოფობა; შაკიკი; ფსორიაზი.
პრეპარატი შემოწმებულია თსსუ ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (დირექტორი: პროფესორი გ. დუმბაძე) თემა №12-10/06. 1994წ.
მის: ქავთარაძის 16 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“) ოთახი 431, ენვერ რამიშვილი (12-16 სთ-მდე)

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# „თეთრ ჭირად“ მონათლული ტუბერკულოზი



ტუბერკულოზი ქრონიკულად (ხანგრძლივად) მიმდინარე ბაქტერიული ინფექციაა, რომელსაც ტუბერკულოზის მიკრობაქტერია იწვევს. დაავადება უმეტესად ფილტვებში ლოკალიზდება, თუმცა პროცესში შესაძლოა სხვა ორგანოებიც ჩაერთოს. ეფექტური მკურნალობის გარეშე დაავადება თანდათან პროგრესირებს, რაც უმეტეს შემთხვევაში სიკვდილით მთავრდება.

### აი, თურმე რა...

ტუბერკულოზის არსებობა კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივობას უტოლდება. დაავადების მკურნალობის თავისებურებების შესახებ ჯერ კიდევ ჰიპოკრატე წერდა. მას „თეთრი ჭირის“ სახელითაც მოიხსენიებდნენ და ახალგაზრდა ადამიანების სიკვდილის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნევდნენ.

მკურნალობისა და კონტროლის სფეროში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, დაავადება დღესაც მნიშვნელოვან და გადაულახავ პრობლემად რჩება.

თავად განსაზღვრეთ! ტუბერკულოზის მიკობაქტერიით მსოფლიოს მოსახლეობის 1/3-ია ინფიცირებული.

ჩვენს პლანეტაზე ჯერჯერობით ვერც ერთმა სახელმწიფომ აღმოფხვრა ვერ მოახერხა მისი სრული აღმოფხვრა.

### პათოლოგიის განვითარების პირობები...

ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერია ადამიანიდან ადამიანს აეროგენული (ჰაერ-წვეთოვანი) გზით გადაეცემა (90-95%-ში). ამიტომაც, პათოლოგიური პროცესი ძირითადად ფილტვებში ლოკალიზდება. ნახველის წვეთით, ნერწყვით, მტვრის ნაწილაკით ფილტვებში შეღწეული მიკობაქტერია შემდეგ ახლომდებარე ლიმფურ ჯირკვლებში შეაღწევს. ის შესაძლოა (არა ყოველთვის) სისხლშიც მოხვდეს და მისი საშუალებით მთელ ორგანიზმში გავრცელდეს.

მნიშვნელოვანია დაავადების განვითარების 2 სტადიის დიფერენცირება: ინფიცირება — ადამიანების დიდ ნაწილს (90%-ს) აღენიშნება. თუმცალა, მათ დაავადება მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ უვითარდებათ.

დაავადებულ-ინფიცირებულთა 10%-ში დაავადება ამა თუ იმ ფორმით ვლინდება. ინფიცირებულ ადამიანში დაავადების განვითარების „ბიძგი“ — იმუნური სისტემის დეფიციტი, მისი არასრულფასოვანი „მუშაობაა“. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს:

— ასაკთან;

— არასრულფასოვან კვებასთან, შიმშილთან;

— შთამომავლობით განწყობასთან ანუ გენეტიკურ ფაქტორებთან;

— იმუნიტეტის დამაქვეითებელი პრეპარატების გამოყენებასთან;

— საცხოვრებელ პირობებთან;

— ისეთ დაავადებებთან, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი, ავთვისებიანი დაავადებები, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა და ა.შ.

### განვითარებული ცვლილებები...

დაავადების პროცესში სხვადასხვა ზომის ე.წ. გრანულომები ვითარდება. ეს ანთებითი კერებია. პროგრესირებისას ისინი რბილდება და ლღვება. შედეგად იშლება ფილტვის ქსოვილი და ღრუ (კავერნა) ფორმირდება, რომელიც მიკობაქტერიის რეზერვუარს წარმოადგენს.

მიკობაქტერიები შეიძლება ბრონქების საშუალებითაც გავრცელდნენ და ფილტვების სხვადასხვა ნაწილში ახალი პათოლოგიური ცვლილებები გამოიწვიონ. შემდეგ კი შესაძლოა ლიმფური სადინრისა და სისხლძარღვების საშუალებით მთელ ორგანიზმში მოითესონ.

ზოგჯერ ტუბერკულოზურ კერებში ცვლილებები ნაკლებად არის გამოხატული. ასეთი კერები გაიწოვება და ქსოვილის სტრუქტურა სრულიად აღდგება.

თუმცალა, შესაძლოა კერის რაღაც ნაწილი ჩაიკიროს — გამკვრივდეს, ან სულაც ნაწიბური განვითარდეს.

### როგორ გამოვიცნოთ...

ტუბერკულოზი ვლინდება რამდენიმე კლინიკური ფორმით და მას თავისებურებები, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები აღენიშნება. ეს კლინიკური ფორმები ერთმანეთისაგან მიმდინარეობით, დაავადების გამოსავლითა და პროგნოზით განსხვავდება.

ჩვენ გთავაზობთ ზოგადად, ტუბერკულოზური პროცესისათვის დამახასიათებელ სიმპტომებს:

— ძლიერი სისუსტე;

— ოფლიანობა (განსაკუთრებით ღამით) ზოგჯერ საჭირო ხდება წამოდგომა, საცვლებისა და თეთრეულის გამოცვლა.

— ხველა ნახველით (შესაძლოა სისხლის მინარევით), რომელიც ზოგჯერ შემაწუხებელ ხასიათს იღებს.

— სუბფებრილური ტემპერატურა — 37,0 — 37,2 გრადუსი;

— სწრაფი, უსაფუძვლო წონაში კლება;

— ზოგჯერ ტუბერკულოზი — ლარინგიტის (ხახის ანთება), ანგინის (ნუშისებრი ჯირკვლების ანთება), ფარინგიტის (ხორხის ანთება) სახითაც „ინიღბება“.

ზემოთ აღნიშნული თუნდაც ერთი სიმპტომის არსებობისას ექიმთან კონსულტაციას გირჩევდით.

გაითვალისწინეთ: პათოლოგია ზოგჯერ ხველისა და ტემპერატურული ცვლილების გარეშეც მიმდინარეობს.

### დიაგნოსტიკა...

ტუბერკულოზის დროულ დიაგნოსტიკას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დაავადების შესაფერისი, დროული მკურნალობის დაწყების თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შეფერხებისთვისაც.

თუკი არსებობს დაავადების ეჭვი, მნიშვნელოვანია შემდეგი გამოკვლევების ჩატარება:

— დიაგნოზი დადგენილად ითვლება, თუკი მიკობაქტერია შარდში ან ქსოვილში იქნა აღმოჩენილი.

— ინფორმატიულია ნახველის გამოკვლევა — მიკროსკოპით ან საკვებ ნიადაგზე დათესვით მიღებული შედეგები.

— მნიშვნელოვანია ფილტვის პირდაპირ, წინა პროექციაში ჩატარებული რენტგენოლოგიური გამოკვლევა;

— განსაკუთრებით ინფორმატიულია — კომპიუტერული ტომოგრაფია;

— არსებობს სპეციფიკური დიაგნოსტიკური ტესტებიც. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მანტუს სინჯია.

ინექცია წინა მხრის შუა მესამედში კეთდება და შედეგი 48-72სთ-ის შემდეგ ფასდება. რეაქცია უარყოფითია თუ შეშუპება და სიწითლე არ ვითარდება. მაგრამ თუკი ეს ნიშნები 10მმ-ზე მეტი ზომით ფორმირდება — პასუხი დადებითია და ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია.

### მკურნალობა

ტუბერკულოზს სხვადასხვა მეთოდით მკურნალობენ. მაგრამ პრიორიტეტი, ძირითადი მნიშვნელობა, ქიმიური პრეპარატებით მკურნალობას ენიჭება.

ის განსაკუთრებით ეფექტურია — აქტიური ტუბერკულოზის დროს მკურნალობა 3-4 პრეპარატის კომბინაციით ტარდება. კურსი, როგორც წესი, 6-8 თვეს მოიცავს.

მკურნალობის დამთავრების შემდეგ რეციდივების (დაავადების განმეორების) განვითარების სიხშირის მიხედვით მკურნალობის ეფექტურობაზე მსჯელობენ. რეციდივები უფრო ხშირად პირველი 2 წლის განმავლობაში ვითარდება. ამიტომაც, ამ დროის მანძილზე განკურნებულ პირთა მეთვალყურეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ზოგჯერ ტუბერკულოზის მძიმე მიმდინარეობისას აუცილებელი ხდება გლუკოკორტიკოიდების ჩართვა — პრედნიზოლონი და ა.შ.

ქიმიოთერაპიის (არაეფექტურობის) შემთხვევაში დგება საკითხი — ქირურგიული ჩარევის შესახებ. თუმცალა, ოპერაციამდე აუცილებელია პათოლოგიური პროცესის მაქსიმალური სტაბილიზაცია.

*მაია მუხიგული*

# ძეგლი ავუგოთ კარტოფილს!

ამ სასარგებლო კულტურას კაცობრიობა ათობით მილიონ ჰა-ს უთმობს. მისი ბოლქვები ყველგანაა: ჰოლანდიაში — ზღვის დონეზე დაბლა, რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლეზე — ჰიმალაებში, ეგზოტიკურ ავსტრალიასა და ცხელ აფრიკაში, რუსეთში კი კარტოფილმა პოლარულ წრესაც გადააბიჯა. „სვით კარტოფილის წვენი და სამუდამოდ გათავისუფლდებით ყველა სნეულებისგან!“ — გვარწმუნებენ ჩინელი მეცნიერები.

კარტოფილი „ბუნებრივი აფთიაქია“, შთანთქავს ორგანიზმში წყლის ჭარბ რაოდენობას, ქოლესტერინს, გამოდევნის ტოქსიკურ ნივთიერებებს.



უმი კარტოფილის წვენი ძალზე სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტის, კუჭის წყლულოვანი, ჰიპერტონიული დაავადებების დროს, ასევე მათთვის, ვისაც თირკმლები და ღვიძლი აწუხებს.

რაც მთავარია, კარტოფილის მეშვეობით კიბოს მკურნალობას ცდილობენ. მის წვენში ბევრი მატონიზირებელი ნივთიერებაა, ასევე ვიტამინი C, რაც დამღუპველად მოქმედებს კიბოს უჯრედებზე.

საქვეყნოდ ცნობილი ექიმი უოკერი კიდევ უფრო აფართოებს დაავადებათა ნუსხას და ამ ბუნებრივი წამლის გამოყენების ხერხებს. უმი კარტოფილის წვენი, — ამბობს იგი, — სასარგებლოა კანიდან ლაქების მოსაცილებლად. ეს მასში კალიუმის, გოგირდის, ფოსფორისა და ქლორის დიდი შემცველობით აიხსნება.

უმი კარტოფილის წვენი შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს და განსაკუთრებით მარგებელია სტაფილოს წვენთან ერთად. იგივე კარტოფილი, ნიახურის წვენთან არეული, აწესრიგებს საჭმლის მონელებას, შველის ჩიყვსა და იშიაზს.

არ უნდა დაგვავიწყდეს კარტოფილის დიეტური ღირსებებიც: იოლად ასათვისებელი ნახშირწყლები, კარგად ბალანსირებული მინერალური შემადგენლობა შესაძლებლობას იძლევა ეს პროდუქტი კარდიოლოგიურმა ავადმყოფებმაც იხმარონ. განსაკუთრებით კარგ ეფექტს იძლევა 3-4 დღიანი დიეტა, რომელიც 1ლ რძის, 1კგ მოხარშული კარტოფილისა და 100გრ შაქრისგან შედგება. ეს დიეტა რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც გულის დაავადებასთან ერთად ჭარბი წონაც აწუხებს, ასევე შაქრიანი დიაბეტი ან რძესთან შეუგუებლობა.

15 დღიანი „კარტოფილის დიეტით“ (შემწვარი ან მოხარშული) ადამიანი 3-5 კგ იკლებს. ოღონდ, აუცილებელია კერძს მიაყოლოს ბოსტნეულის სალათი და დღეში 3 ლ წყალი დალიოს.

კარტოფილის წვენი კარგია ანგინის, ფარინგიტის, ტონზილიტის დროს პირში გამოსავლებად. ცხელი მოხარშული კარტოფილი გამოიყენება ინჰალაციებისა და კომპრესებისთვის. კანის დაავადებების დროს, ფურუნკულოზისა და ჩირქგროვების შემთხვევებში კარგ ეფექტს იძლევა გახეხილი უმი კარტოფილი.

თუ გაწუხებთ გასტრიტი, დისპეფსია, გულძმარვა, მეტეორიზმი კარგი იქნება დილით, უზმოზე მიირთვათ უმი კარტოფილის ერთი ჭიქა წვენი. დალევთ თუ არა, ჩაწექით ნახევარი საათით. 1 სთ-ის შემდეგ ისაუზმეთ. გაიმეორეთ ათი დღის მანძილზე. შეისვენეთ ათი დღე და კვლავ გაიმეორეთ 10 დღიანი მკურნალობა.

ერთჯერადი ულუფის მოსამზადებლად 2-3 დიდი კარტოფილი დაგჭირდებათ. სამედიცინო თვალსაზრისით, უპირატესობას ვარდისფერ ჯიშებს ანიჭებენ. კარგად გარეცხეთ ბოლქვები და ამოჭერით დაზიანებული ადგილები. შემდეგ გაწურეთ.

შედეგს მალე იგრძნობთ, ოღონდ იმ პირობით, თუ დიეტის დროს რაციონიდან გამორიცხავთ ხორცისა და თევზის პროდუქტებს.

*კალეიდოსკოპი №12*



*მოამზადა*

*მათე კბილაძემ*

# გიორგი დემეტრაძე: ლობანოვსკის საიდუმლო რომ ვიცოდე, მეორე ლობანოვსკი ვიქნებოდი

*მას შემდეგ, რაც კიევის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზური დაკარგა, ამ გუნდისა და მის მოთამაშეთა მიმართ ინტერესი თითქოს განელდა. მიუხედავად ამისა, ქართველი გულშემატკივრისათვის მაინც საინტერესო უნდა იყოს ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებში მოთამაშე ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის, გიორგი დემეტრაძის შთაბეჭდილებები კიევის „დინამოზე“, ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებულ პირველ შეხვედრებზე, საქართველოს*



*ნაკრებზე. დემეტრაძესთან ვრცელი ინტერვიუ რუსულმა „სპორტ ექსპრესმა“ დაბეჭდა, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც „კვირის პალიტრაში“ შემოგთავაზებთ:*

**— კიევში ჩამოსვლისთანავე ანდრეი შევჩენკოს შემცვლელად გთვლიდნენ.**

— ერთის მხრივ, სასიამოვნოა, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდს გადარებენ. მიუხედავად ამისა, მისი მიბაძვა არასოდეს მიცდია, არა თავმოყვარეობის შელახვის გამო, უბრალოდ მინდა, თამაშის საკუთარი სტილი მქონდეს და არავის ვბაძავდე. იდეალური ფეხბურთელის ნიმუშად კი მხოლოდ დიეგო მარადონას აღვიქვამ, თუმცა მის პიროვნებაზე ვერაფერს ვიტყვი.

**— რას გვეტყვით პირველ კიევურ შთაბეჭდილებებზე?**

— ლობანოვსკის გუნდზე ადრეც ბევრი მქონდა გაგონილი, პირველ რიგში კახი კალაძისაგან. დარწმუნებული ვიყავი, რომ სათამაშოდ სუპერკლუბში გადავიდოდი, მოხარული ვარ — პროგნოზებში არ შევმცდარვარ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვერ მოვხვდით, ცუდად არ გვითამაშია, გადამწყვეტი როლი უიღბლობამ ითამაშა. ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს. ბედნიერი ვიყავი, როცა „ბაიერნის“ კარში ჩემი პირველი ოფიციალური გოლი გავიტანე ახალ კლუბში, ფსიქოლოგიური ბარიერიც მომეხსნა.

**— გაზაევთან ვარჯიში ალბათ უფრო ადვილი იყო...**

— ადვილს ვერ ვიტყვი, მაგრამ ვლადიკავკაზში სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. „დინამოს“ ვარჯიშების შემდეგ ლაბორატორიაში თითოეული ფეხბურთელის ყველა მოძრაობა დაწვრილებით იშიფრება. თუმცა ბურთთან შეხების დროს მოთამაშე ციფრებსა და შედეგებზე არ ფიქრობს, უბრალოდ თამაშობს, როგორც შეუძლია, თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად კი მწვრთნელის მიერ სწორი დასკვნების გამოტანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**— რას ნიშნავს თქვენთვის ლობანოვსკის სკოლა?**

— მის გუნდში თამაში უდიდესი პატივია. ლობანოვსკის მიერ ჩატარებული ყველა ვარჯიში ფეხბურთელისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია. მეკითხებიან, რატომ ხდება ისე, რომ ლობანოვსკი ხედავს იმას, რაც სხვა მწვრთნელებისათვის შეუმჩნეველიაო — ეს რომ ვიცოდე, მეორე ლობანოვსკი ვიქნებოდი.

**— რამდენადაც ცნობილია, კიევში ჩამოსვლამდე მილანის „ინტერიც“ გეპატიჟებოდათ.**

— „ინტერთან“ ბევრი საკითხი იყო გასარკვევი, თან კიეველები უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ, თუმცა პირობები თანაბარიც რომ ყოფილიყო, მაინც „დინამოში“ ვამჯობინებდი თამაშს. ევროპის უძლიერეს კლუბებში მოსახვედრად, დიდი გამოცდილების შეძენაა საჭირო. კიევის „დინამო“ კი ერთგვარი ტრამპლინია ევროპისაკენ. ამის მაგალითად ანდრეი შევჩენკოს მოყვანაც შეიძლება.

**— საქართველოს ნაკრებში თამაში ფინანსური თვალსაზრისით არცთუ მომგებიანია, სიამოვნებას თუ განიჭებთ ეროვნულ ნაკრებში გამოსვლა?**

— რა თქმა უნდა, თუმცა მთავარი შედეგია. სამწუხაროდ ევროპის ჩემპიონატის საგზური ვერ მოვიპოვეთ, რაც იოჰან ბოსკამპის „დამსახურებაა“. მასსა და მოთამაშეებს შორის ყოველთვის გაუგებრობა იყო. სასიხარულოა ეროვნულ გუნდში ყიფიანი და ძოძუაშვილი რომ მოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო შესარჩევ ეტაპზე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს, მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის იმედს არ ვკარგავთ. ჯერ მხოლოდ ღმერთმა იცის, გაგვიმართლებს თუ არა.

# უიღბლო

## რონალდოს კარიერა დასრულდა?

დრამა, ტრაგედია — ასეთი სათაურები იყო გამოტანილი ხუთშაბათს მოწინავე იტალიური გაზეთების პირველ გვერდებზე, „ლაციოსა“ და მილანის „ინტერის“ მატჩის მეორე დღეს. რომში გამართული შეხვედრა თავისებურად სიმბოლური უნდა გამხდარიყო მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელის — რონალდოსათვის, რომელმაც ერთი კვირის წინ ვაჟის მამობა იზეიმა და ოთხშაბათს, ექვსთვიანი შესვენების შემდეგ, აპირებდა, ფეხბურთში დაბრუნება ეზეიმა.

რონალდომ, რომელმაც რომაული მატჩის 64-ე წუთზე რუმინელი მუტუ შეცვალა, სულ რაღაც 5-6 წუთი დაჰყო მინდორზე და საკაცით გასაყვანი შეიქნა. ამ მომენტამდე ორი წუთით ადრე, ბრაზილიელი თავისი საფირმო ფინტის შესრულებისას, მოულოდნელად მოწყვეტილი დაეცა: იმწამსვე ნათელი გახდა, რომ ისევ საშინელი ტრავმა მიიღო, მარჯვენა მუხლზე იტაცა ხელი და ტკივილისაგან ღრიალებდა. მოედანზე შევარდნილმა მედპერსონალმა ფეხბურთელს ტკივილი ვერ გაუყუჩა. 40.000-მა მაყურებელმა მხურვალე ოვაციებით გააცილა მოედნიდან საკაცეზე მგმინავი რონალდო.



„ინტერის“ ვარსკვლავმა შესაძლოა ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენის ბედი გაიზიაროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვან ბასტენის კარიერა უმძიმესმა ტრავმამ მაშინ დაასრულა, როდესაც „მფრინავი ჰოლანდიელი“ 29 წლის იყო, რონალდო კი მხოლოდ 23 წლისაა. მატჩის შემდეგ „ინტერის“ პრეზიდენტს მასიმო მორატის და გუნდის მწვრთნელს მარჩელო ლიპის, დანა პირს არ უხსნიდა. „იმედია, ეს ტრავმა რონალდოს კარიერის დასრულების ფასად არ დაუჯდება“ — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ლიპიმ. ამ დროს რონალდო გასახდელში ტიროდა.

მეორე დილას, მორატის საკუთარი თვითმფრინავით რონალდო პარიზში გადაფრინდა. პროფესორ სალიანის კლინიკაში პირველადი დიაგნოზი დაადასტურეს — მარჯვენა მუხლის მყესების დაწყვეტა. სალიანის არ დაუკონკრეტებია, მოასწავებს თუ არა ეს ტრავმა ფეხბურთელის კარიერის დასრულებას და განმარტა, რომ მსგავს სიტუაციებში მკურნალობას რამდენიმე თვე სჭირდება. თავად რონალდომ საოპერაციო მაგიდაზე დაწოლის წინ განაცხადა — „მე მჯერა ექიმების, მე დავბრუნდები!“

# ქვების წვიმა ბათუმში

პარასკევს ბათუმში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა „ვიტ ჯორჯიასა“ და „ბათუმს“ შორის, რომელიც თბილისელებმა 1:0 მოიგეს. აქ გასაკვირი არაფერია და არც საქართველოს ჩემპიონატის მატჩებია იმდენად საინტერესო, განსახილველად რომ ღირდეს — უფრო საინტერესო თამაშის შემდეგ მოხდა. ბათუმელმა გულშემატკივრებმა წაგება მსაჯს დააბრალეს. ჯერ იყო, და მსაჯთა ოთახის ფანჯრები დალეწეს ქვებით, შემდეგ სტუმართა ავტობუსს მიდგნენ და „ქვების წვიმა“ დაუშინეს. საბედნიეროდ, ავტობუსში მყოფებმა იატაკზე დაწოლა მოასწრეს, ავტობუსი გვარიანად დაილეწა. სტუმრებმა ქობულეთამდე ჩააღწიეს, შემდეგ სხვა ავტობუსში გადასხდნენ, თუმცა 5-6 საათი მოუხდათ ლოდინი, ვიდრე ახალ ავტობუსს იშოვიდნენ. ესღა აკლდა ქართულ ფეხბურთს! ფედერაცია მომხდარზე იმსჯელებს და ალბათ სათანადო დასკვნებსაც გამოიტანს.

ამ წაგებით „ბათუმი“ „ა“ ზონაში მე-4 ადგილზე დაქვეითდა. პირველზე კვლავ ქუთაისის „ტორპედოა“ 31 ქულით, რომელმაც პარასკევს შინ „დილას“ 4:1 მოუგო, ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება თბილისის „დინამო“, ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა „სიონს“ სძლია 3:0, 26-26 ქულა აქვთ „ბათუმსა“ და „ვიტ ჯორჯიას“.



# ლენოქს ლუისს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს

ლენოქს ლუისმა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული დაკარგა. გაგიკვირდებათ, — მას ხომ ამ ტიტულის მოპოვების შემდეგ არც ერთი ბრძოლა არ გაუმართავს? საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიო კრივის ასოციაციის ხელმძღვანელობამ (WBA), რომელიც ფაქტობრივად განაგებს პროფესიონალურ კრივს, ბრიტანელს თავისი ორგანიზაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოართვა. ლუისი, რომელმაც თავად ევანდერ ჰოლიფილდი დაამარცხა, უძლური აღმოჩნდა ამერიკის მართლმსაჯულების წინააღმდეგ, რომელმაც დაამტკიცა, რომ ბრიტანელ მოკრივეს უფლება არ ჰქონდა 29 აპრილისათვის დაენიშნა ბრძოლა კრივის ამომავალ ვარსკვლავთან — ამერიკელ მაიკლ გრანტთან.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ლუისის ტიტულის ჩამორთმევა მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული საკრივო პრომოუტერის დონ კინგის დამსახურებაა. სწორედ მან მიმართა ერთი თვის წინ სასამართლოს. კინგი ლენოქს ლუისს ადანაშაულებდა იმაში, რომ ბრიტანელს გრანტთან შეხვედრის უფლება არ ჰქონდა. ფორმალურად კინგი მართალიც იყო: ორგანიზაციის რეგლამენტის მიხედვით, ჩემპიონი ვალდებულია თავისი ტიტული დაიცვას იმ მოკრივესთან ბრძოლაში, რომელსაც ჩემპიონის შემდეგ ყველაზე მაღალი ადგილი უჭირავს რეიტინგში. WBA-ს ვერსიით კი „ოქროს ქამრის“ პირველი პრეტენდენტი არა მაიკლ გრანტი, არამედ მეორე ამერიკელი — ჯონ რუისი გახლავთ.

ლენოქს ლუისს უკვე მოწერილი აქვს ხელი კონტრაქტზე მაიკლ გრანტის მენეჯერებთან. კონტრაქტის მიხედვით, ბრძოლა 29 აპრილს უნდა გაიმართოს ნიუ-იორკის „მედისონ სქვერ გარდენში“. ამ ჩხუბის საფასურად ლუისი 10 მილიონ დოლარს მიიღებს, გრანტი კი — 6 მილიონით ნაკლებს. მიუხედავად იმისა, რომ გრანტი მხოლოდ მეხუთე ადგილზეა WBA-ს რეიტინგში, ლუისი მაინც დაჟინებით მოითხოვს მასთან შეხვედრას და ყოველივეს ასე ხსნის: „რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს კინგმა, ყველასათვის ნათელია, რომ მსოფლიოში ჩემს შემდეგ უძლიერესი მძიმეწონოსანი სწორედ მაიკლ გრანტია და არა რუისი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩემპიონის ტიტულს ჩამომართმევენ, გრანტთან ბრძოლას არავითარ შემთხვევაში არ ჩავშლი. გულშემატკივართა აზრი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, ბევრად მეტი, ვიდრე დონ კინგის და მისი თანამზრახველებისა“ — ასეთი განცხადება გააკეთა ბრიტანელმა სასამართლოზე.

მაიკლ გრანტი მართლაც ყველაზე ღირსეული მეტოქეა ლუისისათვის. ამას ისიც მოწმობს, რომ ახალგაზრდა ამერიკელს 31 ბრძოლიდან 31 გამარჯვება აქვს, მათგან უმრავლესობა — ნოკაუტით. ლუისისა და გრანტის ბრძოლა ბევრად საინტერესოა, ვიდრე ლუის-რუისის ჩხუბი. სასამართლომ მსოფლიო ჩემპიონის მტკიცებულებანი არასაკმარისად მიიჩნია და დონ კინგისათვის მისაღები განაჩენი გამოიტანა — ლუისმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა, თანაც რინგზე გაუსვლელად. ინგლისელის მენეჯერმა ფრენკ მელონმა განაცხადა, რომ სასამართლოში აპელაციას შეიტანს, მაგრამ საეჭვოა, საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდეს.

რა მიზნით მიმართა დონ კინგმა ამ ზომებს და ვის აძლევდა ხელს ლენოქს ლუისის ტიტულის დაკარგვა? ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ გადაწყვეტილებით გვარიანად იხეირა, ევანდერ ჰოლიფილდი გახლავთ. მას შემდეგ, რაც გასული წლის ნოემბერში, იგი ლენოქს ლუისმა გალახა, ყველას ეგონა, რომ „მოხუცი ამერიკელი“ ვეღარასოდეს შეძლებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლას. ახლა კი, იმისდა გამო, რომ ლუის — გრანტის შეხვედრა WBA-მ სარეიტინგო ბრძოლის რანგში გადაიყვანა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლად ოფიციალურად ჰოლიფილდ — რუისის შერკინება გამოცხადდა, რომელიც ივნისში უნდა გაიმართოს. რუისის დამარცხება კი „მოხუცს“ არ უნდა გაუჭირდეს. რას იზამ, ამერიკელები ვერ ეგუებიან მსოფლიო კრივის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს დაკარგვას.

# თურქი გულშემატკივრები ინგლისში ვერ ჩავლენ

სტამბოლის „გალათასარაის“ აეკრძალა გულშემატკივართა წაყვანა ინგლისში „ლიდს იუნაიტედისა“ და „გალათასარაის“ უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩზე დასასწრებად. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უეფამ პარასკევს გამართულ თათბირზე.

მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ სტამბოლში ლიდსის ორი გულშემატკივარი მოკლეს, რამაც განმეორებით შეხვედრას უდიდესი ინტრიგა შესძინა. თურქები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ საპასუხო მატჩზე თავიანთი ფანებიც თან წაეყვანათ, რაზეც კატეგორიულ წინააღმდეგობას გამოთქვამდა „ლიდს იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა. მიზეზი გასაგებია — თურქთა უსაფრთხოების გარანტიის მისაცემად, ინგლისის მთავრობას ჯარი უნდა გამოეყენებინა და არც არავინ იცოდა, რამდენად საიმედო იქნებოდა ეს გარანტია. ამის გამო, თურქები შეხვედრის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებასაც მოითხოვდნენ, რაც ინგლისელებმა არასერიოზულად აღიქვეს და ამაზე არც არავის უმსჯელია. ერთი სიტყვით, უეფამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო — თურქები ლიდსში მხარდამჭერთა გარეშე ითამაშებენ, არის იმის საშიშროებაც, რომ თურქი გულშემატკივრები კლუბისაგან დამოუკიდებლად ჩავიდნენ ინგლისში. ამის საწინააღმდეგოდ უეფამ თურქეთის მოქალაქეებისათვის მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა აკრძალა.

ამასობაში თურქეთის პოლიციამ დააპატიმრა ინგლისელთა მკვლელობაში ოთხი ეჭვმიტანილი. წინასწარი ვერდიქტით მათ 24-დან 30 წლამდე პატიმრობა ელით.

# სკიბეს კრაუსიც მიაყოლეს

დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელობამ კლუბის მთავარი მწვრთნელის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბერნდ კრაუსი, რომლის ხელმძღვანელობითაც გერმანიის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა უკანასკნელი 7 შეხვედრიდან ვერც ერთი ვერ მოიგო. საერთოდ „ბორუსია“ წელს უსუსტესად გამოდის. კრაუსმა რამდენიმე თვის წინ მიხაელ სკიბე შეცვალა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირიდან გავარდნა არ აპატიეს. „ბორუსიას“ დირექტორატმა ამჯერად 65 წლის გერმანელ სპეციალისტს უდო ლატეკს უხმო. ლატეკმა სხვადასხვა კლუბებს 14-ჯერ მოაგებინა ბუნდესლიგის ჩემპიონატი. მის გუნდებს კი სხვადასხვა დროს სამივე ევროპული თასი აქვთ მოგებული.

# [illegible]

სლოვენიელმა სამთო მოთხილამურემ დავო კარნიჩარმა თავზე ხელი აიღო და თხილამურებით ევერესტიდან დაშვება განიზრახა, თანაც შეუჩერებლად. წინასწარი გათვლების თანახმად 8.850 მეტრის გასავლელად მოთხილამურეს დაახლოებით ოთხი საათი დასჭირდება. ოთხი საათი თხილამურებზე დგომა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიდან დაშვებისას კი არა, ჩვეულებრივ შემთხვევაშიც კი ურთულესი საქმეა.

საინტერესოა, რომ კარნიჩარს ადრეც ჰქონდა ევერესტიდან თხილამურებით დაშვების მცდელობა. ოთხი წლის წინ სპორტსმენი, რომელიც ვერტმფრენით აიყვანეს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, თხილამურებით დაეშვა და კინაღამ თავ-პირი დაიმტვრია. თოვლსა და ყინულებში ჩავარდნილ კარნიჩარს რამდენიმე საათი ეძებდნენ. ამ ხნის განმავლობაში მოთხილამურეს ფეხზე ორი თითი მოეყინა და მოსაჭრელი გაუხდა. სლოვენიელი ბედს არ ეპუება და რეკორდის დამყარებას აპრილის ბოლოს აპირებს.

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. კa1!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს სვლაში.

ჰ. ვენნიკი



# ალ კაპონე — დანაშაულებრივი სამყაროს მეფე

## კაპონესა და მაქსვიგენის დუელი

უილიამ მაქსვიგენი თავისი სიცოცხლის მიზნად მიიჩნევდა ალ კაპონეს განადგურებას. მას სულის სიღრმემდე აწუხებდა ხელისუფალთა უილაჯობა. პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწე კარგად იცნობდა ჩიკაგოს დამნაშავეთა სამყაროს. სკოლაში იმ ბიჭებთან ერთად სწავლობდა, რომლებიც ახლა მაკდონელების ბანდის წევრები იყვნენ. პრისტონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მაქსვიგენი ჩიკაგოში დაბრუნდა და ბანდიტებთან ულმობელი ბრძოლა გააჩაღა. ალ კაპონეს საქმეების ძიება 1922 წლიდან დაიწყო და გრძნობდა, რომ მალე მიზანს მიაღწევდა.

კაპონეს პროკურატურაში თავისი ხალხი ჰყავდა. როცა პალმ-აილენდში დაბრუნდა, გააფრთხილეს, — პროკურორის თანაშემწე გითვალთვალებსო. ალმა ეს ისედაც იცოდა. მაქსვიგენი ინტერვიუებში არ მალავდა, რომ ალ კაპონე თვალში ჰყავდა ამოღებული. ალბათ მის ფსიქიკაზე ზემოქმედების მოხდენა უნდოდა, რომ კაპონეს რაიმე შეშლოდა და ხაფანგში გაბმულიყო. პროკურორის თანაშემწეს დავიწყებოდა, რომ კუთხეში მიმწყვდეული მხეცი თავის დასახსნელად არაფერზე დაიხევდა უკან. როცა ერთი იატაკქვეშა ბარის მფლობელმა კაპონე გააფრთხილა, — მაქსვიგენი ძმები მაკდონელების კომპანიაში ვნახეო, კაპონე შეძრწუნდა, რადგან კარგად ახსოვდა, როგორ „გაფცქვნა“ მაკდონელები საზავო ხელშეკრულების დადებისას. ისინი უთუოდ მოინდომებდნენ სამაგიეროს გადახდას. დიდმა ალმა დიდხანს იფიქრა და ბოლოს ჯეკ მაკგორს, ტონი აკარდოს, ფრედ გეტცს, კლოდ მედოქსს და ტონი კაპეციოს უხმო. ხუთივე მკვლელი ბოსს ეახლა.

— ბიჭებო, სამუშაო მაქვს თქვენთვის, — ცოტა არ იყოს, გაუბედავად თქვა ალმა, რადგან იცოდა, მაინცდამაინც სწორად არ იქცეოდა; ბოლოს და ბოლოს, ერთი-ორი ათეული ადამიანის მოკვლა და ფედერალური პროკურორის თანაშემწის გაგორება ერთი და იგივე არ იყო.

მკვლელები გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ბოსს. მას ამგვარი ბრძანების გაცემის დროს ყოველთვის გულგრილი სახე ჰქონდა, ახლა კი ორჭოფობდა. ეტყობა, საქმე სერიოზულად იყო.

— ბიჭებო, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ასეთი ჯერ არავინ „გაგვისაღებია“, — თქვა ალმა.

— ვინ არის კლიენტი? — იკითხა ფრედმა.

კაპონემ მშვიდად წარმოთქვა, — მაქსვიგენი.

მკვლელები ჩუმად იყვნენ, ნათქვამმა შთაბეჭდილება მოახდინა. უცებ ჯეკ მაკგორმა თქვა:

— მართალია, ბოს, დიდი ხანია მოსაშორებელია. მაგის ცოცხლად დატოვება არ შეიძლება. ბევრ უსიამოვნებას შეგვამთხვევს.

— საშიში საქმეა, მაგრამ თუ კარგად მოვემზადებით... — ფრთხილად თქვა გეტცმა.

— რას ბოდავ, მთელმა ქალაქმა იცის, რომ ალს ემტერება. პოლიციელები მაშინვე ჩვენ აგვიყვანენ, — ჩაერია მედოქსი.

აკარდომ შეუტია, — საქმე მაგაზე თუ მიდგა, მაქსვიგენს ვისთან არ აქვს მტრობა? მაშინ მთელი ჩიკაგო უნდა დაიჭირონ!

— როცა ეს მოხდება, მე საერთოდ არ ვიქნები ქალაქში, — აიჩეჩა მხრები კაპონემ. ნათქვამმა მკვლელები მიახვედრა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო ანუ მაქსვიგენი უკვე მკვდარი გახლდათ. დიდი ალი კაპეციოს მიუბრუნდა:

— ტონი, რას იტყვი?

— თუ გასასაღებელია, გავასაღოთ.

— დრო გჭირდებათ მოსამზადებლად...

— ორი კვირა გვეყოფა, ალ.

— მაშ დაიწყეთ. ყოველი თქვენგანი 40 „ნაჭერს“ მიიღებს, — შეაგულიანა დიდმა ალმა ბანდიტები. მათაც, როცა ჰონორარის რაოდენობა შეიტყვეს, უმალ ხელი აიღეს ყოყმანზე. ალ კაპონეს 5 საუკეთესო მკვლელი ჩვეულ საქმეს შეუდგა.

1926 წლის 27 მაისის საღამოს მაქსვიგენი ვესტ-რუზველთ-სთრითზე გამოჩნდა. თან ძმები მაკდონელები და ძმები დაფები ახლდნენ.

— ნეტავ რა უნდა მაკდონელებისა და დაფების კომპანიაში? თანაც ჩვენს ტერიტორიაზე. მგონი, მშვენიერი საბაბია. წავალ, დანარჩენებსაც დავუძახებ, — გადაულაპარაკა აკარდომ კაპეციოს.

თხუთმეტ წუთში ხუთივემ თავი მოიყარა. მაკგორმა მათ შესთავაზა, — ეს ძმები მაქსვიგენთან ერთად ავაორთქლოთო.

აკარდო შეეწინააღმდეგა:

— ალმა მხოლოდ მაქსვიგენი შეგვიკვეთა.

— არა მგონია, ალს ეწყინოს, — შეაგულიანა მაკგორმა ამფსონები.

აკარდოს ალარაფერი უთქვამს. ხუთივენი შავ ლიმუზინში ჩასხდნენ და ნელა დაიძრნენ ადგილიდან. პირველი სამიზნე, რა თქმა უნდა, მაქსვიგენი იყო. მის გვერდით მდგომი ძმები დაფებიც მოცელეს. მაკდონელები ცოტა მოშორებით იდგნენ და ავტომობილს ამოეფარნენ. მკვლელებს მეტი დრო აღარ ჰქონდათ და იქაურობა დატოვეს.

როგორც კი საფრთხემ ჩაიარა, მაკდონელებიც გაქრნენ, რომ პოლიციელებთან საქმე არ ჰქონოდათ. ორივე ძმამ საღამოს ჩიკაგო დატოვა.

ჩიკაგოს მცხოვრებნი აღშფოთებულები იყვნენ. თუკი ასეთი დიდი მოხელეების დახოცვისა არ ეშინიათ ბანდიტებს, რას უნდა ველოდეთ ჩვენ, უბრალო მოქალაქეებიო, — ეს კითხვა უტრიალებდა თითოეულ მათგანს.

...პროკურორმა ჯონსონმა ალ კაპონეს დაპატიმრების ბრძანება გასცა. პოლიციამ სასტუმრო „გოტორნს“ მიაკითხა, სადაც ის ცხოვრობდა, მაგრამ რა თქმა უნდა, ვერსად იპოვა. პოლიციამ ბანდის წევრების დაჭერა დაიწყო. ორი დღის შემდეგ პროკურორ ჯონსონს განგსტერულ მოდაზე ჩაცმული გამხდარი ახალგაზრდა კაცი მიუყვანეს. იგი ალ კაპონეს მძღოლი და მცველი ფრენკ რიო გამოდგა.

— მისტერ ჯონსონ, ჩემი ბოსის დავალებით მოვედი.



ალ კაპონე (შუაში) ადვოკატებთან ერთად

— რა დაგავალათ ასეთი? — ჰკითხა პროკურორმა.

— მისტერ კაპონე ძალზე შეწუხებულია.

— ნუთუ მართლა? — ირონიულად იკითხა პროკურორმა. ფრენკმა ირონია არ შეიმჩნია და განაგრძო:

— ბატონო პროკურორო, მისტერ კაპონეს არავითარი კავშირი არა აქვს ამ საქმესთან და მზად არის ამის დასამტკიცებლად. ხომ მოგეხსენებათ, უკანასკნელ ხანს ვისთან მეგობრობდა მისტერ მაქსვიგენი? სწორედ ამ საქმეზე უნდოდა თქვენთან ლაპარაკი მისტერ კაპონეს. თუ გნებავთ, თქვენს შეხვედრას დაკითხვა დაარქვით. მისტერ კაპონეს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, — შემპარავი ხმით უთხრა რიომ პროკურორს, რომელსაც გაოცებისგან ლამის ენა ჩაუვარდა.

— აჰა, მაშასადამე, კაპონე ჩიკაგოშია? — იკითხა პროკურორმა.

— მისტერ ჯონსონ, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, — მიუგო ფრენკ რიომ.

პროკურორი ჩაფიქრდა: კაპონე ქალაქშია და გულარხეინად უგზავნის მას — ფედერალურ პროკურორს — თავის ხალხს და რალაცების შეთავაზებას ბედავს. პოლიცია კი ვერ პოულობს. თავსლაფის დასხმაა სწორედ. როცა საქმეს უფრო ღრმად, გულდინჯად ჩაუფიქრდა, პროკურორი მიხვდა, რომ კაპონეს წინადადება მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზა იყო. ჯონსონი საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მაქსვიგენის მკვლელობაში ალ კაპონეს მონაწილეობის სამხილს ვერასოდეს მოიძიებდა. მაშ რა ელოდა ამ შემთხვევაში? — სამსახურიდან მოხსნა.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ პროკურორმა იკითხა, — სად შემიძლია კაპონეს ნახვა?

...შეჯავშნული „კადილაკი“ ილინოისისა და ინდიანას შტატების საზღვარზე იდგა, დიდი ალი მზად იყო მეზობელ შტატში გასაქცევად თუ ჯონსონი მის დაპატიმრებას იფიქრებდა. ზუსტად დანიშნულ დროს გზაზე პროკურორის „შევროლე“ გამოჩნდა, ორი პოლიციელი ახლდა. ფორმიანების დანახვაზე ჯეკ მაკგორმა და ფრედ გეტცმა იარაღზე იტაცეს ხელი.

— ხომ არ გაგიჟდით! — შეუყვირა კაპონემ.

მოლაპარაკების თანახმად, პოლიციელები გვერდზე გავიდნენ. ალ კაპონე პროკურორის მანქანაში ჩაჯდა.

— გისმენთ, — მიმართა გაღიზიანებულმა პროკურორმა, რომელსაც ნერვები აუშალა კაპონეს უტიფარმა გამომეტყველებამ.

ნეაპოლელმა თავმდაბლურად მიუგო, — მისტერ ჯონსონ, მე გისმენთ, მკითხეთ, რაც გნებავთ.

— თქვენ უნდა დაასახელოთ მკვლელი, — მკაცრად განუცხადა პროკურორმა, — არ იფიქროთ, რომ ამ ამბავმა ისე ჩაიაროს.

— დაიცათ, დაიცათ! კი მაგრამ, რატომ ფიქრობთ, რომ მე ამასთან რაიმე კავშირი მაქვს? არ მომიკლავს მაქსვიგენი, გასაგებია? — იღრიალა ალ კაპონემ.

— დავუშვათ, ასე იყო. მაშ ვინ მოკლა?

— ვინ გგონივართ, რაებს მეკითხებით? ვალდებული არ ვარ, გიპასუხოთ. ჩემი საქმეა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება და დავამტკიცებ კიდეც. მკვლელის მოძებნა კი თქვენი საქმეა, ამაში ხომ ფულს გაძლევენ!

— როგორ დაამტკიცებთ, რომ თქვენ არ მოგიკლავთ?

— რატომ უნდა მომეკლა? მაქსვიგენი კარგი ბიჭი იყო. მე რას მიშლიდა? სიკვდილის წინა დღეს შემომიარა, შემომთავაზა, — ვიმეგობროთო.

— ტყუილია, — მოუჭრა პროკურორმა.

— ნუ დაიჯერებთ, ეს თქვენი საქმეა. ჩემმა მცველებმაც ნახეს და ჩემი კანტორის თანამშრომლებმაც. დაკითხეთ, გეტყვიან ყველაფერს.

— მეტყვიან, აბა რა! თუ თქვენ დაარიგებთ, იმასაც კი იტყვიან, რომ პრეზიდენტმაც გამოგიარათ ერთი ჭიქა ვისკის დასალევად.

— დამიჯერეთ, მართალს გეუბნებით. მამამისთან ერთი ბოთლი სასმელიც გავატანე. მისი სიკვდილი რომ მნდომოდა, აღარ გავუშვებდი, მაგრამ ყველამ ნახა, რომ საღ-სალამათი გავიდა. რაც შეეხება მკვლელობას, — დიდი ალი ჩურჩულზე გადავიდა, — ბილი დამთანხმდა, რომ ჩემთვის იმუშავებდა. კარგად გადავუხადე, ჭკვიანი ბიჭი იყო. ამისთანებისთვის ფული არ მენანება. ეტყობა, ირლანდიელებმა გაიგეს და მოიშორეს... მაგრამ ეს ჩვენ შორის დარჩეს.

კაპონეს ნათქვამით აღშფოთებულმა პროკურორმა მკაცრად იკითხა:

— თუ დამნაშავე არ ხართ, რატომ იმალებით?

— ამას რა დიდი გამოცნობა უნდა? — ირონიულად ჩაიცინა განგსტერმა, — ყველა ფიქრობს, რომ მე მოვკალი. თქვენი რომელიმე შტერი პოლიციელი სადმე ჩამისაფრდება და მერე განაცხადებს, — შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს მოვკალიო.



ცნობილი განგსტერის, შულცის აღსასრული

— ტყუილია, ტყუილი!

— თუ ვტყუი, დამიმტკიცეთ, — ამ სიტყვებით კაპონემ პროკურორის მანქანა დატოვა.

გადიოდა დრო. ბევრი ჩიკაგოელი ხვდებოდა, რომ დააკლდათ ალ კაპონე, მასთან ხომ მარტო მკვლელობები არ იყო დაკავშირებული. ქალაქს სჭირდებოდა ღამის კლუბები, ტოტალიზატორი, გოგონები, სასმელი. ალ კაპონე იყო ყველაფრის თავკაცი. პოლიციელებმაც ყურები ჩამოყარეს, მათაც მოაკლდათ განგსტერის ფულები...

ორი კვირის შემდეგ ალ კაპონე ჩიკაგოში დაბრუნდა. ფული, ვისაც საჭირო იყო, იმას გადასცეს და გართობის ინდუსტრია ისევ ამუშავდა: გინდა — დალიე, გინდა — ითამაშე, გინდა გოგონებში გაერთე.

ჩიკაგო ცხოვრების ჩვეულ წესს დაუბრუნდა...

## ტყვია მოღალატისთვის

მილიონერთა გაუმაძღრობა ცნობილი ფაქტია, არავინ იცის, რატომ, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ფულით სავსე ტომრად ქცეულ ადამიანთა სიძუნწე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ამ ავადმყოფურ სიხარბეს ვერც ვინმე ფრენკ აიალე ასცდა. ძალიან მდიდარი კაცი იყო, მაგრამ კიდევ მეტი უნდოდა. დიდი ფულის სწრაფად შოვნის სურვილმა ალ კაპონესთან მიიყვანა. ეს იყო 1926 წლის დასაწყისი, როცა დიდმა ალმა თავის იმპერიას ახალი ტერიტორიები შეჰმატა და გაცილებით მეტი სპირტიანი სასმელი დასჭირდა. ბანდის მიერ დეტროიტში წარმოებული „პეპლ განგი“ მოთხოვნას ველარ აკმაყოფილებდა და ალი „რომის ბულვარის“ შემქმნელებთან მისასვლელ გზებს ეძებდა. ამ „ბულვარის“ ხელშეწყობით ამერიკაში მილიონობით სხვადასხვა სახის სპირტიანი სასმელი შემოდიოდა. კაპონემ აიალეს შუაკაცობაში 25% შესთავაზა და მისი საშუალებით ბილ მაკოეს, ცნობილ კონტრაბანდისტს დაუკავშირდა. პირობის თანახმად, ფრენკის ხალხს კაპონეს ფულით უნდა შეეძინა და ჩიკაგოდან ჩამოსულ მანქანებში ჩაეტვირთა ლონგ-აილენდში გემებით მიტანილი სპირტიანი სასმელი. შემდეგ მანქანებს ჩიკაგომდე უკვე კაპონეს ხალხი გააცილებდა.

გაუმაძღარ ფრენკ აიალეს არ ეყო გარიგებით მიღებული 25% და იფიქრა, — სპირტიანი სასმლით სავსე მანქანებს აუცილებლად ვინმე დაესხმება თავს და რაღა სხვებმა ისარგებლონ, სჯობს, ჩემს ჯიბეში ჩავიდესო. რა თქმა უნდა, ეს დიდად სარისკო საქმე იყო, მაგრამ მას თამამად შეეძლო თავი ემართლებინა, — ჩემი ხალხი დამოუკიდებლად მოქმედებდა, მე არაფერი ვიცოდიო.

1927 წლის თებერვლის ერთ დღეს „უცნობები“ თავს დაესხნენ ბადრაგს, რომელიც ჩიკაგოში აცილებდა ტვირთს. მძღოლები დახოცეს, მანქანები კი გაიტაცეს. ფრენკ აიალემ სწრაფად გაყიდა მოტაცებული სასმელი და ჯიბეში ნახევარი მილიონი დოლარი ჩაიდო. ორი კვირის შემდეგ იმავე სცენარის მიხედვით იგივე გამეორდა.

კაპონე სერიოზულად შეშფოთდა, თითქმის მილიონი დოლარი დაკარგა, ხალხი დაუხოცეს. აიალე ჰპირდებოდა, — აუცილებლად ვიპოვი თავდამსხმელებს და ჰუდსონში დავახრჩობინებო, მაგრამ კაპონემ იაზრა, რომ ფრენკი აცუცურაკებდა და მისი შემოწმება განიზრახა. აიალეს ბანდაში ძველი მეგობარი ჰყავდა — ჯეიმს დი ამატო. მას დაუკავშირდა და სთხოვა, ჩიკაგოში ისე ჩამოდი, ფრენკმა ვერაფერი შეიტყოსო. ამატო მიხვდა, რომ ფულის შოვნის შანსი გაუჩნდა და მაშინვე ეახლა. ალ კაპონემ თავიდან არ გაუმხილა, რატომ მოიწვია.

— ჩემი სტუმარი ხარ, ეს ქალაქი მე მეკუთვნის. გაერთე, მოილხინე, ყველა რესტორნის მმართველი გაფრთხილებულია, დანახარჯს ჩემს ანგარიშზე ჩაწერენო, — უთხრა.

დი ამატომ ჩიკაგოს გასართობი ადგილები მოიარა. კაპონემ რამდენიმე დღის შემდეგ ჰკითხა, — როგორი დრო გაატარეო. ჯეიმსმა მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის. კაპონემ თვალებში ჩახედა:

— ჯეიმს, ხომ იცი, რომ არასოდეს ვივიწყებ მათ, ვინც სამსახური გამიწია?

— ვიცი, ალ, შენ კარგი მეგობარი ხარ. რით შემიძლია დაგეხმარო?

— ჯეიმს, შენს ბოსთან კარგა ხანია, ვმეგობრობ, მაგრამ მითხარი, რა შეიძლება ვუწოდო კაცს, რომელიც მეგობრებს ატყუებს?

დი ამატო ჩუმად იყო.

— მაშინ მე გეტყვი, — განაგრძო კაპონემ, — ასეთი კაცი ნაძირალაა. ჯეიმს, თუ გააკეთებ, რასაც დაგავალებ, საქმის მოწილე გახდები. ნიუ-იორკში მჭირდება სანდო კაცი. მგონი, ვიპოვე ასეთი...

დი ამატო ყოყმანობდა. დონ ფრენკის ზურგს უკან კაპონეს სასარგებლოდ მუშაობა ცეცხლთან თამაშს ჰგავდა. მაგრამ კაპონემ ზუსტად გათვალა, — აიალეს ოჯახში დი ამატო მხოლოდ უბრალო მსროლელი იყო და თუ კაპონე მას ნიუ-იორკში თავის წარმომადგენლად აქცევდა, რანგი ემატებოდა და „კაპო“ ხდებოდა, დროთა განმავლობაში შეეძლო, საკუთარი იმპერია დაეარსებინა.

— ჯეიმს, ხომ გახსოვს, რას ამბობენ ჩვენს სამშობლოში: „თუ ორმა იცის, საიდუმლო შეინახება, მაგრამ თუ მესამემაც იცის — ე.ი. ყველამ იცისო.“ ეს საქმე მხოლოდ მე და შენ ვიცით. უნდა გამიგო, ვინ ესხმის თავს ჩემს მანქანებს და, რაც მთავარია, ვინ დგას ამის უკან.

დი ამატო გაფითრდა, — გავიგე, ალ, ყველაფერს გავაკეთებ.

1927 წლის 9 ივნისს დი ამატომ კაპონეს დაურეკა მის რეზიდენციაში — ოტელ „გოტორნში“. აღელვებული იყო. კაპონეს ეჭვი გამართლდა, — ფრენკ აიალე მართლაც სიცილიელისთვის ულირს საქმეს ეწეოდა.

— ალ, მართალი ხარ, წუხელ თავს დაესხით შენს სპირტიან მანქანებს.

— ვინ გასცა ბრძანება?

— ფრენკმა.

კაპონე დიდხანს დუმდა, მერე თავისი ბიჭები შეჰყარა და გამოუცხადა, — სამუშაო მაქვს თქვენთვისო.

1927 წლის 1 ივლისს ფრენკ აიალე მშვენიერ გუნებაზე იყო, წინა დღეს მილიონერთა სათამაშო „ლინკოლნი“ შეიძინა. ნელა მიუყვებოდა მეცხრე ავენიუს. უცებ, გაუცნობიერებელი შიში მოეძალა, გაზს ფეხი დააჭირა, უნდოდა, „საეჭვო „ბიუიკს“ გაქცეოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მანქანები ორმოცდამეცხრე ქუჩაზე გავარდნენ, რომელიც თითქმის ცარიელი იყო. ფრენკი მიხვდა, რომ აღსასრულის დღე დაუდგა...

ეს იყო ისტორიული მოვლენა ნიუ-იორკის დამნაშავეთა სამყაროში, ქალაქის ქუჩაში ავტომატით პირველად დაცხრილეს ადამიანი.

...მაფიამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ფრენკი. მის კუბოს 110 შავი ლიმუზინი და 300-ზე მეტი სხვა მანქანა აცილებდა. იგი 50 ათას დოლარად ღირებულ ვერცხლის კუბოში იწვა. მინის სახურავს ალ კაპონეს მიერ გაგზავნილი გვირგვინი ამშვენებდა, აბრეშუმის ბაბთაზე ეწერა: „შენთვის შურს ვიძიებთ“.


ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

და შტამპების

ფირმების რეგისტრაცია აუდიტი

რუსთაველის 22

☎99-86-09; 38-37-89

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:

- ბოტკინით დაავადებულებს;
- ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
- პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
- ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
- ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
- ფრჩხილების ჩაზრუნება;
- თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
- ტროფიკული წყლული, წითელი ქარი.

ეფექტი გარანტირებულია ! დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია

ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.

მის: ალმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“.

იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (საღ.)

**მოულოდნელად დაირხა ხმა, ანატოლი სობჩაკმა ქალის მკლავებში დალია სულიო...**

**ქართველი საზოგადოებრიობის თვალში ანატოლი სობჩაკი ყოველთვის იყო პატიოსნების, რაინდობის, ინტელიგენტობის განსახიერება. ამიტომ აღშფოთების გარეშე ვერ წავიკითხეთ „ექსპრეს-გაზეტაში" გამოქვეყნებული სტატია, რომელიც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის არაფერია წმინდა და შეუბღალავი.**



# კიდევ ერთი ვერსია

## მოწმეები ჩვენებებს ურევენ

ანატოლი სობჩაკის უკანასკნელი დღეები და, მით უმეტეს, უკანასკნელი საათები საიდუმლოებითაა მოცული და ბევრს მოსვენებას უკარგავს. ეს არც არის გასაკვირი — ის ძალიან ლამაზი, სიმპათიური და ჭკვიანი ადამიანი იყო. ოფიციალური წყაროები მეტად სიტყვაძუნწობენ...

2000 წლის 17 თებერვალს ანატოლი ალექსანდროვიჩი კალინინგრადის ოლქში ჩავიდა ადგილობრივ გუბერნატორთან, ლეონიდ გორბენკოსთან შესახვედრად და სამი დღის შემდეგ, ღამით, გარდაიცვალა სასტუმრო „რუსში", კალინინგრადიდან 60 კმ-ის დაშორებით, ქალაქ სვეტლოგორსკში.

ეს ფაქტია. ყველაფერი დანარჩენი — ბურუსითაა მოცული, სიკვდილის მიზეზიც კი. სამედიცინო დასკვნას არ ამხელენ. ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები სატელევიზიო გადაცემებსა და საგაზეთო ინტერვიუებში სხვადასხვა დიაგნოზს ასახელებენ: იშემიური დაავადება, ინფარქტი, სტენოკარდია, მწვავე კორონალური უკმარისობა, თრომბი... საერთო აზრი თითქოს არც კი არსებობს.

საეჭვოა, იმ ხალხის ან მონაწილეების ჩვენებებიც, რომლებმაც სობჩაკი ან მკვდარი ნახეს, ან ცოცხალს მიუსწრეს და „სასწრაფო" გამოიძახეს. ზუსტად არც ის იციან, თუ პირველად ვინ აღმოაჩინა. გაზეთის ფურცლებზე გუბერნატორი ლეონიდ გორბენკო ყველას არწმუნებდა, — მე უკანასკნელმა ვნახე ჩემი სტუმარი. წავახშმევს ნომერში მივაცილე, გამოვემშვიდობე და მანქანით შინ წავედიო. სობჩაკი წუხდა, რატომ არ მირეკავს მეუღლეო. სობჩაკის ქვრივმა, ლუდმილა ნარუსოვამ „ექსპრეს-გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში კი პირიქით აღნიშნა, — თითქოს რაღაც წინათგრძნობა მქონდა, ქმარს ყოველ ათ წუთში ვურეკავდი მობილური ტელეფონითო. ანატოლი ასეთმა ზედმეტმა ყურადღებამ გააღიზიანა კიდეც — სხვების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ, ხომ არ ეჭვიანობო.

ნარუსოვას თქმით, მკვდარი სობჩაკი აღმოაჩინა კონტრ-ადმირალმა მელნიკოვმა. ტელევიზიით კი მეორე ვერსიაც გამოითქვა, რომ მიცვალებული მისმა მცველებმა თუ სასტუმროს ადმინისტრატორებმა ნახეს. მაგრამ ვერავინ შეძლო იმის ახსნა, თუ რა უნდოდათ კონტრ-ადმირალსა და ადმინისტრატორს სობჩაკის ნომერში და, რაც მთავარია, ვინ გამოიძახა „სასწრაფო დახმარება?"

## „ვიაგრის" კვალი არ აღმოჩნდა

ანატოლი სობჩაკის გვამის გაკვეთას ხელმძღვანელობდა სასამართლო მედიცინის ბიუროს განყოფილების უფროსი ევგენი იაშკოვი, რომელიც დილას სასწრაფოდ მოიყვანეს. პროზექტურა ალყაშემორტყმული იყო მილიციის მიერ, შიგნით კი იყვნენ მხოლოდ სობჩაკის მეუღლე (რომელიც დილის რეისით ჩამოფრინდა) და ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრ საკანოვი.

კალინინგრადის პრესის ცნობით, როცა ლუდმილა ნარუსოვამ ექსპერტიზის დასკვნა წაიკითხა, აუკრძალა იაშკოვს და მის კოლეგებს ჟურნალისტებისთვის დასკვნის გაცნობა. ასეთივე თხოვნით მიმართა მოსკოვს.

ქვრივის გულჩათხრობილობამ ჟურნალისტებს სალაღლელი აუშალა. იქვე იშვა ფანტასტიკური ვერსიები, რომლებიც ინტერნეტით გაავრცელეს. თუკი მათ დავუჯერებთ, სობჩაკი გულს არასდროს შეუწუხებია, უბრალოდ, ყველა გააცურა და ამ მიზეზით გამოძიებას პარიზში დაემალა. არც ინფარქტი ჰქონია. ეს ზუსტად აჩვენა სწორედ გაკვეთამ და ამის დამალვას ცდილობდა მისი მეუღლე. თითქოს სობჩაკი მოკლეს მისმა მოშურნეებმა, მტრებმა და მდევნელებმა — ზესაიდუმლო საწამლავით „საქლისტოქსინით".

ამ ვერსიის გაგრძელებას ხელი შეუშალა სობჩაკის ქვრივის უარმა ხელმეორე გაკვეთის თაობაზე, ხოლო ზოგმა ახალმა ცნობამ და დეტალებმა „საზოგადოებრივი გამოძიება" სხვა მხრით შეატრიალა. „სანდო" წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ სპეცსამსახურმა მიმართა კალინინგრადელ მედიკოსებს მოულოდნელი თხოვნით — კიდევ ერთხელ გაესინჯათ სობჩაკის სისხლი და შეემოწმებინათ, აღმოჩნდა თუ არა მასში „ვიაგრა". პასუხი უარყოფითი იყო. სისხლში არ შეინიშნებოდა მამაკაცის პოტენციის გამაძლიერებელი პრეპარატის კვალი. მაინც რას ნიშნავდა ამ სამსახურების ასეთი დაინტერესება? „ვიაგრას" ხომ პროფილაქტიკისთვის კი არა, უშუალოდ სექსის წინ ხმარობენ.

## მეძავი შოკში ჩავარდა

ამბობენ, სობჩაკი და გუბერნატორი გორბენკო საუნაში კარგად ილხენდნენ — ამ ორმა კაცმა 4 ბოთლი არაყი დალიაო. თუკი ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ გასაგებია ქვრივის საქციელი, რადგან სობჩაკის სისხლში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ალკოჰოლი, მართლაც არასასურველი ინფორმაციაა პრესისთვის.

ასე გამოდის, რომ ნარუსოვა ქმარს სასტუმროში კი არა, აბანოში ურეკავდა, ხელს უშლიდა დასვენებაში; შემდეგ კი, ეტყობა, ქალთან ერთად დაბრუნდა სასტუმროში. არ იფიქროთ, რომ ფარვანამ გამოიჭირა — საპატიო სტუმრისთვის ყველაფერი დაგეგმილი იყო.

როგორც ჩანს, სობჩაკმა მობილური გამორთო. ნარუსოვას თქმით, გარკვეული დროის განმავლობაში მან ვერ მოახერხა ქმარს დაკავშირებოდა. უკვე ღამის 2 საათი იყო.

ასე გვიან ნორმალური ადამიანები ერთმანეთთან უმიზეზოდ სტუმრად არ დადიან. ამიტომაც დაუჯერებელია, რომ ასეთ დროს ან კონტრ-ადმირალი, ანდა მცველი ესტუმრა სობჩაკს ნომერში. ვინ იცოდა, რომ სობჩაკს იმ დროს არ ეძინა? იგი სიკვდილის მომენტში მარტო რომ ყოფილიყო, მაშინ მის გვამს მხოლოდ დილით აღმოაჩენდნენ.

ლოგიკურად ჟღერს, რომ სწორედ სობჩაკთან ერთად მყოფმა ქალმა დაინახა, რომ იგი კვდებოდა, სასწრაფოდ ჩაიცვა და გაიქცა მცველების დასაძახებლად ანდა ექიმი გამოიძახა; მაგრამ როგორც ვარაუდობენ, ერთიც და მეორეც მაშინვე არ გაუკეთებია, რადგან ძალიან შეშინდა და შოკში ჩავარდა. „სასწრაფო" მხოლოდ 40 წუთის შემდეგ მოვიდა, როცა ანატოლი სობჩაკის გადარჩენა აღარავის შეეძლო.

ეს ამბავი ამოატივტივა კალინინგრადის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა, რომელიც ამავე დროს ქალაქის საბჭოს დეპუტატიცაა. ის ირწმუნება, რომ პირადად იცნობს სობჩაკის „გოგოს", შეხვდა მას და ესაუბრა. მაგრამ მის გვარს საიდუმლოდ ინახავს და არც საკუთარის გამომზეურება უნდა.

სხვა წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ქალი დაჰკითხეს სამართალდამცავებმა. ამბობენ, რომ არსებობს დაკითხვის ოქმები სობჩაკის უკანასკნელი წუთების შესახებ.

ანატოლი ალექსანდროვიჩი ლამაზად მოკვდა. ის ხომ ნამდვილი მამაკაცი იყო, — ამბობენ ისინი, ვისაც ამ ოქმებზე ხელი მიუწვდება.

*ექსპრეს-გაზეტა №13*

# ჩახოხბილი და „გენაცვალე" დენევისებურად



მოსკოვში ერთ-ერთ ქართულ რესტორანს „გენაცვალე" ჰქვია. აქაურ მზარეულთა ნახელავი ძალზე მოსწონს მუშტარს და ამიტომ ხშირად მოდიან სავახშმოდ არა მარტო მოსკოველები, არამედ რუსეთის დედაქალაქის სახელგანთქმული სტუმრებიც.

ფრანგი კინოვარსკვლავი კატრინ დენევი მოსკოვში ჩამოსვლისას უსათუოდ ეწვევა ხოლმე „გენაცვალეს". მსახიობს გასინჯული აქვს ყველა კერძი, რომელიც რესტორანში მზადდება — მოგეხსენებათ, ქართული სამზარეულო მეტად მრავალფეროვანი და მდიდარია.

ქართული კერძები გემრიელია და სასარგებლო ჯანმრთელობისთვის. მას უხვად კაზმავენ ვიტამინებით მდიდარი სხვადასხვა მწვანილით, ბოსტნეულით, აგრეთვე ბუნებრივი პროდუქტებით, რომლებიც ხელს უწყობენ სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში და ნივთიერებათა ცვლას. კატრინ დენევი სწორედ ამ თვისებების გამო აფასებს ქართულ სამზარეულოს. თურმე ფრანგ ვარსკვლავს თავადაც ჰყვარებია კერძების მომზადება. იგი ახლობლებს ხშირად უმასპინძლდება კულინარიული საოცრებებით. კატრინს ძალიან მოსწონს ქართული ჩახოხბილი, რომლის რეცეპტიც მას ჩააწერინა „გენაცვალეს" მზარეულთუხუცესმა. ეს კერძი ასე მზადდება:

აქნილი ქათამი შებრაწეთ, დაუმატეთ ალყაალყა დაჭრილი ბლომად ხახვი, დაკეპილი მწიფე პომიდორი, ქათმის ბულიონი ან წყალი, ცოტა ძმარი, ქინძი და რეჰანი, დანაყილი ნიორი, შავი პილპილი და მარილი. 15-20 წუთი შუშეთ და ცხლად მიიტანეთ სუფრაზე.

სხვათა შორის, კატრინ დენევი მოხიბლულია ქართული სიმღერების მრავალხმოვანებითა და მშვენიერებით. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: კატრინი აპირებს პარიზში რესტორან „გენაცვალეს" გახსნას.

*ექსპრეს-გაზეტა №15*

# გადასაცვანი კინოთეატრი

პატარა ტელევიზორს თავისი უპირატესობა აქვს: თუ არ გსურთ ლოგინიდან თავის წამოწევა, დაწოლამდე დაიდგით იგი ცოტა ახლოს და უყურეთ, რამდენიც გინდათ. დიდ ტელევიზორში გამოსახულება უკეთ ჩანს და ამით ყველაფერია ნათქვამი. კომპანია Sony-მ შესანიშნავად მოახერხა ამ პლუსების შერწყმა. ფოტოზე აღბეჭდილი მოწყობილობა Sony Classtron-A 35 შედგება ორი პაწაწინა თხევადკრისტალური ეკრანის, სტერეოსაყურისების, კვების ბლოკისა და TSC-ის ფორმატის სიგნალის შესასვლელისგან. ვიდეოსათვალე ქმნის სრულ ილუზიას, რომ ფილმს 52 დიუმის (დაახლოებით 130 სმ) დიაგონალის მქონე ეკრანზე უყურებთ, ამავე დროს დიდ ტელევიზორთან შედარებით ნაკლებ ადგილს იჭერს. ათჯერ ნაკლებიც ღირს (დაახლოებით 500 დოლარი).



*იტოგი №14*

# რომაელებმა კოლუმბს გაუსწრეს

დალასელი ანთროპოლოგი რომან ხრისტოვი ამტკიცებს, რომ ძველი რომაელები კოლუმბზე ადრე ეწვივნენ ამერიკას. ამაზე მეტყველებს 1993 წელს მეხიკოს მიდამოებში ნაპოვნი ტერაკოტის სტატუეტის თავი. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ის ინახებოდა მეხიკოს ისტორიული მუზეუმის საცავებში.

ხრისტოვის აზრით, სტატუეტი განეკუთვნება ბერძნულ-რომაულ კულტურას და დღესდღეობით ერთადერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ წინარე ისტორიულ პერიოდში რომაელმა ზღვაოსნებმა ამერიკის კონტინენტი მოინახულეს.

2000 წლის დასაწყისში ხრისტოვის რევოლუციური მტკიცება მოულოდნელად დადასტურდა. ტერაკოტის თავზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ცეცხლის კვალი. ნიმუში გამოსაკვლევად გაგზავნეს ჰაიდელბერგის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში. გერმანელმა მეცნიერებმა შეისწავლეს შეტრუსული ფრაგმენტები და რადიოწყალბადის მეთოდის გამოყენებით დაადგინეს, რომ ხანძარი, რომელმაც შეტრუსა სტატუეტი, 1800 წელზე მეტი ხნის წინ მოხდა. ამასთან ერთად, სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ტერაკოტის სკულპტურა შექმნა რომაელმა მოქანდაკემ 200 წლით ადრე ჩვენს ერამდე. ტერაკოტის სტატუეტის ნამდვილობა არც ერთ არქეოლოგს არ ეეჭვება. ისღა დარჩა გასარკვევი, როგორ მოხვდა რომაული სტატუეტი ამერიკის კონტინენტზე.

*ნიუ-საიენტისტი №38*

# იპოვეს ალექსანდრე მაკედონელის საფლავი



დრეზდენის ახლოს, ფრაიბერგში ერთი განძის მაძიებელი ცხოვრობს, რომელიც განძს ნიჩბით კი არა, კომპიუტერით, ისტორიული დოკუმენტებით, რუკებით, გეგმებით და ზუსტი ხელსაწყოებით ეძებს.

სამთო აკადემიის პროფესორი ბერნჰარდ ფორკმანი დიდხანს ეძებდა ალექსანდრე მაკედონელის გაუჩინარებულ უძვირფასეს განძეულს. ისტორიულ დოკუმენტებში მისი აღწერილობა მკითხველზე გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მაკედონელის იმპერია მისი სიკვდილის შემდეგ დაიშალა, უმდიდრესი განძეული კი უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. პროფესორი ფორკმანი მიიჩნევს, რომ მისი დიდი ნაწილი დამპყრობელთან ერთად უნდა იყოს დაფლული — ამიტომ თავდაპირველად უნდა მოინახოს მისი საფლავი.

ალექსანდრე მაკედონელი უეცრად გარდაიცვალა ციებით, 32 წლის ასაკში. მსოფლიოს მბრძანებელი მისსავე დაარსებულ ქალაქ ალექსანდრიაში დაკრძალეს. გადმოცემით, იგი ბაჯაღლო ოქროს კუბოში ჩაასვენეს. სარკოფაგი ალებასტრის დიდ ძვალთშესალაგში დადგეს. მბრძანებელთან ერთად დამარხეს 3.000 აქლემი და იმდენი ოქრო და ძვირფასეულობა, რამდენის წამოღებაც შეძლეს სპარსეთიდან, ეგვიპტიდან და სხვა დაპყრობილ-გაძარცვული ქალაქებიდან. მხოლოდ ოქროს სარკოფაგი, ალბათ, რამდენიმე ტონას უნდა იწონიდეს.

პროფესორი ფორკმანი თვალებს არ უჯერებდა: „ექვსი მეტრის სიღრმეზე წავაწყდი მასიურ ვერტიკალურ კედლებს, სავარაუდოდ, ქვის ფილებისას. გაზომვებით დადგინდა მათი ზომა და ფორმა. შესაძლოა, ეს მაკედონელის საფლავი იყოს!"

ყველა უძველესი რუკა ადასტურებს: სწორედ ამ ადგილას უნდა იყოს დიდი მხედართმთავრის საფლავი.

უახლოეს მომავალში, მითითებულ ადგილას დაიწყება არქეოლოგიური გათხრები.

*კალეიდოსკოპი №12*



**თარაზულად:** 6. ესპანეთი, ხომალდი; 7. ჭიანჭველა, სამზარეულო; 9. კოშკი, ბაბილონი; 10. ტომარა, ფიცარი; 12. თვითმფრინავი, საფეხური; 14. თავისუფლება, ყმა; 15. ქურქი, ჩიტი; 18. ოხრახუში, ტყემალი; 19. მინსკი, ზავი; 23. ყოჩი, ბანდა; 24. ბალეტი, „დაისი"; 26. ბადე, ჩალმა; 29. ფეხბურთი, ლელო; 30. გამოცანა, ნახატი; 31. „კარმენი", ვერდი; 32. კომბაინი, თოხი.

**შვეულად:** 1. სალათი, არაყანი; 2. ნანგი, კობრა; 3. თეირანი, ეგვიპტე; 4. ირისი, გუგა; 5. მკვლელობა, მიზანი; 8. მეჯლისი, ქორწილი; 11. საცობი, ძარღვი; 13. ვაშლი, გარგარი, 16. ბელორუსია, კიევი; 17. ტუნდრა, ბალახი; 20. ქირურგი, ბავშვი; 21. გჭრიტი, ქათამი; 22. გემი, არტილერია; 25. ფიფქი, ყინული; 27. ქონება, დივიდენდი; 28. ტყავი, ხე.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. კომბოსტო; 8. ნეიტრონი; 10. დიეზი; 11. ილლია; 12. ედელვაისი; 15. ბლანკი; 18. ვეშაპი; 19. კარიესი; 20. ბალახი; 21. ბახუსი; 23. გლისერი; 26. ავრორა; 27. იპრიტი; 31. მერიდიანი; 33. კრუხი; 34. გენუა; 35. ოზურგეთი; 36. კონვერტი.

**შვეულად:** 1. ბოტიჩელი, 2. აბაზი; 3. სტენდი; 4. დეფისი; 5. პრაღა; 6. ანტილოპა; 9. ლავაში; 13. სკაფანდრი; 14. ტელესკოპი; 16. მარხილი; 17. ესკადრა; 22. ავგაროზი; 24. სტუდია; 25. სტატუეტი; 28. მეჩეთი; 29. ანალოგე; 30. ოხერი; 32. მედეა.

ქსელი
დღეს სისწრაფით
ელვის
თქვენ
გთავაზობთ მრავალ
სერვისს

SIM-ბარათი 18 ლარი + ავანსი 50 ლარი = ჩართვა 68 ლარი

მოკლე შეტყობინებები

ხმოვანი ფოსტა

საერთაშორისო როუმინგი

მონაცემთა გადაცემა ფაქსი




928 და 928 111
საინფორმაციო სამსახური

თქვენი ქსელი
ჯეოსელი

GSM

# ვისაც ჩვენ არ ვებრალებით...

შეკვდავი წიგნი „ქართლის ცხოვრება“, ერთ-ერთი საუნჯე ქართული კულტურისა, პირუთვნელად მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს თავგადასავალს საუკუნეთა მანძილზე, აღწერს ქვეყნის ცხოვრებაში დატრიალებულ შავ დღეებსაც და სინათლის ციალსაც, ხან მწვერვალებზე აგვტყორცნის და ხანაც უძირო უფსკრულისაკენ მიგვაქანებს, ქება-დიდებას არ ზოგავს ღირსეულ თავკაცთა შესამკობად და მკაცრად განიკითხავს ცოდვილთ, ცალკეული პიროვნება იქნება თუ მთელი საზოგადოება, სათნოებისათვის რომ შეუქცევია ზურგი და ხარკს უხდის უზნეობასა და ბოროტებას.

„ქართლის ცხოვრება“ ბეჯითად აღნუსხავს ისტორიის გრძელსა და მძიმე გზაზე მოხვეჭილ გამარჯვებებსა და საბედისწერო მარცხსაც, ვაებას და შვებას, ქართველთა სიკეთესაც და სიავესაც.

მაგრამ ამქვეყნად, ალბათ, არაფერი შექმნილა უზადო და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მატიანეც ვერ გახდებოდა გამონაკლისი.

## მეხსიერება ხალხისა

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“.

ილიას ჩივილის სწორხაზოვნად გაგება, რა თქმა უნდა, არ ეგების. ქართველ მეფეთა საწინააღმდეგო რა ექნებოდა ქართველი ხალხის წინამძღოლად დაბადებულ კაცს! სხვას რომ თავი დავანებოთ, საუცხოო წერილები უძღვნა დავით აღმაშენებლისა და ლუარსაბ მეორის ხსოვნას, ხოლო დიმიტრი თავდადებულის გმირობას გატაცებით უმღერა თავის პოემაში. მეფეთა ძრახვა, რასაკვირველია, გულშიც არ გაუვლია, მაგრამ მხოლოდ მათი ცხოვრების აღწერილობით შემოზღუდვა მატიანის თვალსაჩინო ნაკლად მიაჩნდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ხალხის ცხოვრებას რატომ ვერა ვხედავთო, ხალხის განუზომელი წვლილი ომსა თუ შრომაში ჯეროვნად რატომ არ აუსახავთო — აი, ეს აწუხებდა სამშობლოს წარსულისა და აწმყოს ბრძენ გამკითხველს.

გაივლის თითქმის ერთი საუკუნე და ახალგაზრდა ქართველი მწერალი შეეხმიანება თავისი დიდებული წინაპრის ნაფიქრალს. გურამ რჩეულიშვილს საკუთარი თვალით დანახულსა და გონებით წარმოდგენილთან ერთად, ალბათ, ილიას გულისტკივილიც შთააგონებდა, როდესაც „უსახელო უფლისციხელს“ წერდა. ამ ნაწარმოების გმირი — უენო და წერა-კითხვის უცოდინარი კაცი იმათი სიმბოლური გამოხატულებაა, ვინც დავიწყებიათ და გამორჩენიათ მემატიანეებს. ბედის უკუღმართობით მტრის ხელთ ჩავარდნილი, ბუნდოვნადღა რომ ახსოვს თავისი წარმომავლობა, თავგანწირული სიმამაცის ფასად ახერხებს, რომ დაცემას გადაარჩინოს ალყაშემორტყმული უფლისციხე. მხურვალედ უხდიან მადლობას. ეკითხებიან ვინაობას, ის კი უენოა. სთხოვენ დაწეროს თავისი სახელი, მან კი წერა არ იცის და გმირი რჩება უცნობ ჯარისკაცად. ხოლო მატიანე გვამცნობს: „წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერსა და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა“.

XX საუკუნის ქართველმა მწერალმა ამ ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევით, მოთხრობაც რომ შეიძლება უწოდო, სცადა გაერღვია ალყა იმ ხანგრძლივი დუმილისა, რომლითაც ხალხის უბრალო შვილები საკმაოდ ხშირად არიან გარშემორტყმულნი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე. უცნობი ჯარისკაცები ჩვენი წარსულისა, უენონი და უსახელონი, თავიანთი სასახელო საქმეებით როდი ჩამოუვარდებიან ხოტბაშესხმულ დიდგვაროვან მოღვაწეებს, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ჩრდილში მოქცეულან, მატიანე არ სწყალობს მათ და ძალზე იშვიათად თუ გვაუწყებს მდაბიორთა სახელებსა და ნამოქმედარს.

სამაგიეროდ, ხალხის ნიჭი ზოგჯერაც გაეჯიბრება ხოლმე მატიანეს და არანაკლები მგზნებარებით გადმოგვცემს დაჩაგრულ-დავიწყებულ გმირთა ღვაწლსაც. ერთი მელექსის პოეტური შთაგონების შედეგად დაბადებული შედევრი თაობიდან თაობას გადაეცემა. მომდევნო დროთა მელექსენი და მთქმელები კიდევ უფრო ამდიდრებენ, ხვეწენ, ხანდახან ახალი მოტივებიც შეაქვთ და ჩვენს თვალწინ წარმოჩნდება ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი, სადაც სათანადო ადგილს იჭერენ მემატიანეთაგან დავიწყებული გმირები. მარტოოდენ მატიანით რომ გვცოდნოდა ჩვენი წარსული, ალბათ, ასევე „უსახელო უფლისციხელად“ დარჩებოდა, ვთქვათ, ერთ-ერთი გამოჩენილი გმირი ბახტრიონის აჯანყებისა (1659 წ.) ზეზვა გაფრინდაული.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ნიკო ხიზანიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენი მატიანე არ იხსენიებს ზეზვას, მაგრამ ხალხის მახსოვრობა უფრო დიდი მატიანეა და ეს არ უნდა დავივიწყოთ“.

ხოლო ივანე ბუქურაული, რომელსაც ზეზვა გაფრინდაულზე შექმნილი ლექსები ჩაუწერია თუშეთში, თავის მხრივ სავსებით სამართლიანად დასძენდა: „ქართული მატიანე არას მოგვითხრობს ამაზე, მაგრამ ეს გასაკვირელი არ არის, რადგანაც ქართველი მემატიანენი, როგორც საზოგადოდ სხვა ხალხისა, მხოლოდ მეფეებზე და თავადაზნაურებზე წერდნენ, დანარჩენებს ყურადღებას იშვიათად აქცევდნენ“.

## ბახტრიონს სხედან თათრები

რას მოგვითხრობენ საისტორიო წყაროები ბახტრიონის აჯანყების შესახებ?

XV საუკუნის შუა წლები იდგა. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად წარსულს ჩაბარდა ქართლ-კახეთის „გათათრების“ შაჰ-აბასისეული პროექტი, მაგრამ სეფიანთა ირანის სამეფო კარზე უკვე სხვა გეზი აელოთ. სანუკვარი მიზნის მიღწევას მშვიდობიანი გზით ლამობდნენ.

სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, ვინმე ალავერდი-ხანს დაევალა, რომ კახეთს ჩაეყვანა 15 ათასი ოჯახი თურქმანთა ტომისა, თავიანთი ცხენ-აქლემებითა და წვრილფეხა საქონლით, საქართველოში აეგო სამი მტკიცე და მაგარი ციხე და მეციხოვნენი ჩაეყ-



ენებინა. სახელმწიფო ხაზინამ გარკვეული თანხა გულუხვად გაიღო ამ ციხეების ასაგებად, რომელთაც უწოდეს შაჰაბადი, ისლამაბადი და ნოსრათაბადი. თურქმანთა ოჯახებს, ცხადია, მიწა-წყალიც უწყალობეს კახეთში დასასახლებლად (მეფე კახეთისა, დაბერებული და საბოლოოდ დამარცხებული თეიმურაზ პირველი იმერეთში იყო გახიზნული, ხოლო მის სამკვიდროს ყიზილბაშები დაეპატრონენ).

სპარსელი ისტორიკოსი გვაუწყებს: „რადგანაც განსხვავება სარწმუნოებათა შორის და ურჯულოთა პირისპირ შეხვედრა ისლამთან უსათუოდ მთავრდება წინააღმდეგობითა და უთანხმოებით და რადგანაც ელებს იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ, ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა. თუშებმა, რომელთაც მაღალი მთები, ხშირი ტყეები და უგზოობა ფარავდა, ბოროტმოქმედება და მზაკვრობა დაიწყეს“.

სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, თუშებს აქეზებდა სეფიანთა ხელისუფლებაზე განაწყენებული ზაალ ერისთავი.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბახტრიონის აჯანყების უშუალო საბაბი გამხდარა კახეთს გზად მიმავალი ხუცესის შეპყრობა ყიზილბაშთა მიერ: „შეკრეს ხუცესი იგი მძლავრებითა და შეამთხვიეს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური და განუტევეს“.

საბრალო ხუცესი წასულა დუშეთში ზაალ ერისთავთან და შეუჩივლია: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელი, გააოხრეს სრულიად კახეთი ურჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი... და აწ ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი“.

ზაალ ერისთავი დიდად შეწუხებულა და აჯანყების სამზადისს შესდგომია. მან შემოიფიცა შალვა და ელიზბარ ერისთავები ქსნისა, ბიძინა ჩოლოყაშვილი, იხმო ქარველი მთიელნი და გაერთიანებულ ჯარს სათავეში ჩაუყენა თავისი ვაჟი ზურაბი. ჯერ ბახტრიონის ციხეს დაესხნენ თავს, ციხის გარნიზონი ამოჟლიტეს, მერე ალავერდის ციხეს მიადგნენ და იქაც გაიმარჯვეს.

ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „ამოწყვიტეს დედაწულითურთ და აკვანში, რომელნიც ყრმანი იწვნენ, ისინიცა დახოცნეს“.

ქართული თუ უცხოური საისტორიო წყაროები ერთხელაც არ ახსენებენ ზეზვა გაფრინდაულს, რომელსაც ხალხური ლექსი ამგვარ ხოტბას ასხამს:

„ჭირსაც მავხპარავ ზეზვასა, გაფრინდაულის შვილსაო! საც ომში დაეტანების, მარცხენ-მარჯვენა ჭრისაო, სადაც არ სტანავ ზეზვაი, ლაშქარი ცუდად დისაო“.

თუშური თქმულების მიხედვით, ყიზილბაშთა უკუღმართი ჟინის მსხვერპლი გამხდარა ალვანში პურის საყიდლად ჩასული თუში. შეურაცხყოფილი რომ დაბრუნებულა თუშეთში, ქალის ტანისამოსი ჩაუცვამს და მანდილოსნებში ჩამჯდარა. თუშების ამაყი გული ამგვარ შერცხვენას ვერ აიტანდაო, — გვამცნობს თქმულება.

„ქართლის ცხოვრებასა“ თუ თუშურ ზეპირსიტყვიერებაში მოთხრობილი ეპიზოდი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ყურადღების ღირსია აჯანყების ეკონომიკური წანამძღვარიც, რაც ხაზგასმულია კიდეც ხალხურ ლექსებში:

„ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო, ახმეტას გავსჭრით ვენახსა, შიგ დავასახლებთ ელსაო“.

ფშავ-ხევსურეთში ჯარის შესაყრელად ჩასული ზეზვა გაფრინდაული იქაურებს ასე აცნობს საქმის ვითარებას: „თათრის ჯარი დგას კახეთში, ხალხი ვერ გადის ველზედა. აქლემის ქარავნები ძოვს ჩვენი ცხვრის საძოვრებზედა“.

დანიშნულ დროს თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარი შეიკრიბა ნაქერალის მთაზე. ცხენები უკუღმა დაჭედეს, რომ კვალი აერიათ თათრებისათვის. ლაშქარი შუაზე გაიყო. ერთი ნაწილი დაიძრა პანკისისაკენ, ბახტრიონის ასაღებად და მეორეს კი ალავერდი უნდა აეღო.

გზადაგზა თუშთა ბელადმა ზეზვამ რამდენიმე პალო გააკეთა და ჩოხის კალთაში ჩაალაგა. მიუახლოვდნენ ციხეს. გუშაგებს ჩასძინებოდათ. ზეზვამ ჩაასო კედელში პალო, შედგა ფეხი, ჩაასო მეორე პალო — შედგა მეორე ფეხი. მერე ჩაასო მესამე, მეოთხე და ავიდა ციხის კედელზე. გადახტა შიგნით, ამოხოცა გუშაგნი და გაუღო კარი ლაშქარს. თათრის თავს ნამდვილი ღვთის რისხვა დადგაო. მტერსა და მოყვარეს ველარ არჩევდნენ.

გულგახეთქილნი გარბოდნენ ალავერდისაკენ და იქიდან კი მათი მოძმენი გამორბოდნენ, ბახტრიონს შევაფაროთ თავიო. ალვანის მინდორში შეიყარნენ, ქართველებმა შუაში მოიმწყვდიეს მტერი და შეიქნა ულვთო, უწყალო ჟლეტა ოკუპანტებისა.

ხალხურ პოეზიას შთამბეჭდავი სტრიქონებით აუმეტყველებია ზეზვას საარაკო გმირობა: „ხმალს აქებს გაფრინდაული: თორმეტი მოვკალ ამითა, ავავსე დიდი მინდორი თათრის ხოჯაის ძვალითა, მგელს დავაცვითე კბილები, ტურას ლოყები ჭამითა“.

## ვაჟას კალამმაც აამეტყველა

ხალხის მეხსიერებაში სამარადისოდ აღბეჭდილი სახე ზეზვა გაფრინდაულისა კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“, სადაც იგივე ამბავია მოთხრობილი, რაც „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ მოქმედი პირნი სხვანი არიან. ვაჟა-ფშაველამ ხალხის წიაღიდან გამოსული გმირები გამოიყვანა თავისი პოემის პერსონაჟებად. ამასთან დაკავშირებით ოთარ ჩხეიძე შენიშნავს: „ვაჟამ „ქართლის ცხოვრებას“ სულაც აუქცია გვერდი, ვითომც არც წაეკითხოს, არც გაეგონოს, ვითომც არც არსებულიყოს, გამოიყენა მხოლოდ ხალხური თქმულებანი“.

ისტორიული უსამართლობის გამოსწორება განიზრახა იმ დიდებულმა კაცმა, რომელიც თავად არაერთხელ გამხდარა უსამართლობის მსხვერპლი როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც.

მემატიანეთაგან დავიწყებულნი გააცოცხლა, დადუმებულნი აამეტყველა და ჩაბნელებული კუთხე ბახტრიონის აჯანყებისა თავისი ღვთაებრივი კალმით გაანათა.

„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ სისხლით, ხორცით და რჯულითა, მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ, გაუტეხელნო გულითა!“ — ამგვარი ვედრებით მიმართავს ყიზილბაშთაგან მრავალგზის აოხრებული და უცხო ტომთა ჩამოთესლებით შევიწროებული კახეთი თავისუფალი მთის შვილებს, იმ მხარის მკვიდრთ, რომელიც, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, „არც ერთი მბრძანებლის მიერ არ ყოფილა დაპყრობილი არასოდეს“ და რომლის მაღალი ციხეების დამორჩილება სამოთხეში დამკვიდრებული შაჰ-აბას პირველის „ქვეყანათა დამპყრობელ ხმალმაც“ ვერ მოახერხაო.

ბახტრიონის გმირთა ჩამოთვლისას ვკითხულობთ, რომ თუშთაგან ყველაზე მეტად მათმა წინამძღოლმა ისახელა თავი ციხის აღებისას: „ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი, მთელის თუშების დარია. არა ყოფილა გაზრდილი, მომცრო სდგომიყო ტანია“.

პოეტმა სრულიადაც არ მიიჩნია სახელოვანი გმირის დამცირებად მისი ტანმორჩილობა.

ბახტრიონის აჯანყების დროს ზეზვა გაფრინდაული ახალგაზრდა აღარ ყოფილა. ფშაველთა წინამძღოლი ლუხუმი ასე მიმართავს მას: „კაცო, შენც დაბერებულხარ, გაგხშირებია ჭაღარა“, და პასუხად ესმის, სულ ომებსა და ლაშქრობაში ყოფნამ დამაბერაო, ძაღლ-უმადურად გდებამ და ყრმობიდანვე იარაღასხმულმა ცხოვრებამ გამაჭაღარავაო.

ვაჟასეული ზეზვა არ გამოირჩევა გულჩვილობით. როდესაც ლუხუმს ესაუბრება გარდასულ ბრძოლებზე, გულმშვიდად და სიბრალულის გარეშე იხსენებს, თუ როგორ გაგორდა მოკლული ლეკის თავი მიწაზე და ტუჩები ისე უწკაპუნებდა, თითქოს სარეკელას წისქვილზე რაკუნი გაჰქონდაო. მერე საყვედურით ეუბნება ლუხუმს: ურჯულო შეგებრალა და თვალში ცრემლი მოგადგაო. მე კი ეგენი არასოდეს მებრალებიანო.

ზეზვას თავისი სამშობლოს მოსისხლე მტერთან ბრძოლა, ცხადია, რაინდულ ტურნირად არ მიაჩნია და ვაჟა-ფშაველა ათქმევინებს იმ სიტყვებს, დევიზად რომ გამოადგებოდათ ქვეყნისათვის თავდადებულ, მრავალგზის ომგადახდილ გმირებს: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალოთ რისადა? სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა!“

„ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ ავტორს ეგებ გაუჭირდა კიდეც ამ სტრიქონების დაწერა, მაგრამ თვალწინ ედგა არა თავისი მაღალი სულის ძალისხმევით შექმნილი უბადლო პერსონაჟები, არამედ რეალურად არსებული პიროვნება — ზეზვა გაფრინდაული, დაუნდობელი მებრძოლი, როგორიც ეკადრებოდა დაუნდობელ მტერს. დიდებული პოეტის კალამს მართავდა სამშობლოსათვის დღენიადაგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაჭაღარავებული გმირი — ღვიძლი შვილი სვეგამწარებული ქვეყნისა და ულმობელი ეპოქისა.

## გმირები ყოველთვის ცოცხალნი არიან

ხალხურ პოეზიას შემოუნახავს ერთი საგულისხმო მოწმობა ზეზვას სახელის უკვდავებისა:

1914 წლის ზაფხულია. იწყება პირველი მსოფლიო ომი და ფრიად შეშფოთებული რუს-ხელმწიფე („რომანოვების გვარისა“) პეტერბურგიდან ტელეგრამებს გზავნის იმპერიის ყველა კუთხეში, რათა თავი მოუყაროს ჯარს. ბუნებრივია, რომ კავკასიასაც სთხოვს შველას: „რას ფიქრობთ, თუშნო, ხევსურნო? ახლა ომობის ხანია!“

თუშ-ფშავ-ხევსურნი სასწრაფოდ ეხმაურებიან ხელმწიფის მოწოდებას. არხოტიდან მოდიან ოჩიაურები და გაბურნი, საომრად ემზადება სახელგანთქმული კობა ცისკარაული. თუშეთიდან მოემართება „ქორ-შევარდნების ჯარი“. ხმლითა და თოფით აღჭურვილნი ქარივით მოჰქრიან დუშეთისაკენ, სადაც ტარდება მობილიზაცია.

ბესარიონ გაბური საერთო გულისწადილს გამოთქვამს: ომში წასვლა თუ გველირსა, სხვა რაღა გვინდაო? არხოტიონნი ომისა ხამნი არა ვართ, ქისტებსა და ჩვენ სულ ომი გვაქვსო. ომში განა ყველა დავიხოცებით, ვისაც სიკვდილი არ გვიწერია, ცოცხლები დავრჩებითო.

ბებერი მინდია კი ასე მიმართავს ახალგაზრდებს: ნუ გასტყდებით! ომში წასვლა ვაჟკაცს ქორწილში წასვლა უნდა ეგონოსო.

ოღონდ ეგ არის გულსატკენი, რომ ზეზვა გაფრინდაული აკლიათ თვალში!

„ნანობენ გაფრინდაულსა; ზეზვა აღარა გვტანია“... ზეზვას არყოფნას დარდობენ. გეგონება, რომ აგერ გუშინ ტრიალებდა მათ შორის. იფიქრებ, სადღაც ახლომახლო ეგულებათო. ვითომდა ორნახევარ საუკუნეს არ გაუვლია მისი სიკვდილის მერე.

დასახელებული ლექსი ხევსურთა მიერ არის თქმული. „მელექსეს ვერას გაიგებთ, საერთოდ ნაუბარია“, ამბობს ლექსის ჩამწერი (და, ალბათ, მთავარი დამწერი) ბესარიონ გაბური და მინაწერში გვიზუსტებს, რომ ეს ლექსი, მისივე მონაწილეობით, გამოუთქვამთ თოთია ოჩიაურს, წვრილა წიკლაურს, ივანე არაბულსა და აბა გიგაურს — 1914 წლის 21 ივლისს.

შემთხვევითი როდია, რომ გიორგი ლეონიძემ 1942 წელს ქართველ მებრძოლთათვის დაწერილსა და დაბეჭდილ ნაშრომში („ქართველი გმირები“) ერთ-ერთი ნარკვევი სწორედ ზეზვა გაფრინდაულის საბრძოლო თავგადასავალს მიუძღვნა და უხვად დაიმოწმა ლექსები ქართული ფოლკლორიდან, ზეზვას გმირობას რომ გადმოგვცემენ.

გიორგი ლეონიძე ასკვნიდა: „გმირები ყოველთვის ცოცხალი არიან. მათი ჯილდო — უკვდავებაა. მაგრამ სამშობლოს ძნელბედობის დღეებში ისინი განსაკუთრებული შარავანდედით წარმოდგებიან ჩვენს თვალწინ, შთაგვბერვენ ვაჟკაცურ სულს და სამშობლოს დაცვისათვის მოგვიწოდებენ“.

ზეზვა გაფრინდაულმა ხალხური პოეზიის წყალობით უკვდავება მოიხვეჭა. მისი სახელი დავიწყების უფსკრულში არ ჩანთქმულა. და როდესაც შეჭირვების ჟამი დგებოდა, ისიც, რჩეულ თვისტომთა დარად, წარსულს დაეთხოვებოდა და ცოცხლებს ამოუდგებოდა მხარში გასამხნევებლად და შესაწევნად.

**თამაზ ნატროშვილი**

ქაღალდი
პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფუისცეებში
და ხუეონებში
☎ 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

სანაპიროს 2ა, ტელ.: 98 24 98, 37 64 46

## №15 (184) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 625 მკითხველი გამოეხმაურა. 17 ბარათი არასწორად იყო შევსებული. ცხადია, არასწორად შევსებულად ითვლება ის ბარათებიც, რომელთა ავტორებმაც ყველა გრაფა ნულით შეაფასეს. 222-მა ქალმა და 386-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რას ელით ახალი პრეზიდენტისაგან?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენს მკითხველებს სჯერათ, რომ პრეზიდენტი დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებს კორუფციას და აუცილებლად დაამარცხებს მას (ყოველ შემთხვევაში, რესპონდენტთა უმრავლესობა, პირველ რიგში, სწორედ ამას ელის „ახალი" პრეზიდენტისაგან). **5,92** საშუალო ქულით „კორუფციის დაძლევა" პირველ ადგილზეა. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით კი პირველ ადგილზე „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა". მკითხველთა 31%-მა დაუწერა მაქსიმალური — 8 ქულა. 5,51 საშუალო ქულით იგი მეორე ადგილზეა. ასევე, მოუთმენლად ელიან ჩვენი მკითხველები „ეკონომიკის აღორძინებასაც".

ოცდაოთხსაათიან ელექტროენერგიას, საზღვარგარეთიდან ფინანსურ დახმარებებსა და 1991-92 წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესების შეფასებას, აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლებად ელოდებიან ჩვენი რესპონდენტები.

ამომრჩევლის მოლოდინი ასეთია. თუმცა, საკითხავია, მოლოდინია ეს თუ მათი დიდი სურვილი... რამდენად გაამართლებს მათ იმედებს საქართველოს პრეზიდენტი, ამას მომავალი გვიჩვენებს.




საპრიზოს ზუსტად სამი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა: ჩვენი გამარჯვებულები არიან: 48 წლის **ვახტანგ კოზესაშვილი,** 65 წლის **ზურაბ კაკუშაძე** და 55 წლის **ნანა ხელაშვილი** (სამივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 18 აპრილს, 17 საათზე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 541 რესპონდენტი მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„ყველაზე მეტად რომელი ტელეწამყვანი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას?"**

მკითხველთა დაახლოებით 1%-ს გაუჭირდა კონკრეტული პასუხის გაცემა; 3%-მა განაცხადა, რომ არც ერთი ტელეწამყვანი არ იმსახურებს მათ კეთილგანწყობას.

## №16 (185) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

*საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ უპასუხოთ დამატებით კითხვას.

№16 (185) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 19 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 20 აპრილის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №16 (185) —

**კვირის პალიტრა**

**თქვენი აზრით, რომელი განსაზღვრება შეეფერება ყველაზე მეტად „კვირის პალიტრას"** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

№16(185) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | განსაზღვრება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ობიექტური | |
| 2 | მრავალფეროვანი | |
| 3 | პოპულარული | |
| 4 | დახვეწილი | |
| 5 | ჩვეულებრივი | |
| 6 | საინტერესო | |
| 7 | კეთილგანწყობილი | |
| 8 | მოსაწყენი | |
| 9 | ორიგინალური | |

**დამატებითი კითხვა**

**მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში?**

| დიახ | არა |
|---|---|
| | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

გთავაზობთ იმ ტელეწამყვანთა პირველ ათეულს, რომელთა მიმართაც კეთილგანწყობილია მკითხველი:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ეკა ბერიძე | 18,2% |
| 2. | ნიკა ტაბატაძე | 10,1% |
| 3. | ნათია ლაზაშვილი | 7,8% |
| 4. | აკაკი გოგიჩაიშვილი | 6,7% |
| 5. | კოკა ყანდიაშვილი | 6,1% |
| 6. | გიორგი ხანაია | 5,4% |
| 7. | დავით კიკალიშვილი | 3,1% |
| 8. | ნატო ონიანი | 3,0% |
| 9. | სერგი გვარჯალაძე | 1,8% |
| 10. | მარკ რივკინი | 1,5% |

როგორც ვხედავთ, ათეულში მხოლოდ სერგი გვარჯალაძეა ერთადერთი, რომელიც საინფორმაციო გადაცემის წამყვანი არ გახლავთ.

გამოკითხულ მამაკაცებთან პირველი სამეული ასეთია: 1. ეკა ბერიძე; 2. ნიკა ტაბატაძე; 3. აკაკი გოგიჩაიშვილი. ქალებთან კი ეკა ბერიძემ და ნიკა ტაბატაძემ ზუსტად ერთნაირი ქულები დააგროვეს. მესამე ადგილზე აქ ნათია ლაზაშვილია.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

### ფოტოგრაფი



*გიორგი აბდალაძე*

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)


ედუარდ შევარდნაძე




*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 165 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**ზ.ჟ.** — მიდი, მიდი, ხათუნ-ჯან, თოვლი გავადნოთ, ია ამოვიყვანოთ და ქალბატონ ნანულის მივართვათ, ედუარდს გაუხარდება.

(მ/ფ „კოჯრის ტყის სიზმრები")

***ზურაბ მაზმანოვი, გორი***

ახლად არჩეულ პრეზიდენტს მიესალმებიან მოცეკვავე ოფოფები.

(ქართული მულტფილმის მიხედვით)

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***
***ლია ბედოშვილი, მცხეთა***

**ხ.გ.** — რამდენჯერ გაგაფრთხილე, როცა მთვრალი ხარ, კანცელარიისკენ არც გამოიხედო-მეთქი.

**ზ.ჟ.** — მაინც ჩემი გოგონა ხაარ...

***ტ. ლალიაშვილი, თბილისი***

საცეკვაოდ ხომ გვაქვს საქმე, ედუ ბაბუ პირველია,

საარჩევნო უბნებთან ხომ ყველგან კიო გვიყენია,

ხმის მიმცემი არვინ ჩანდეს, ურნებს მაინც გვიტენიან.

***პაატა ძანძავა, გალი***

თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ და იტყვით: „სალოლ აბდალაძეს, როგორ შეიპარა და გადაიღო ზურას ბაირამობის სურათიო", — მაგრამ ამაოდ, ორი წუთის შემდეგ მათ სუფრაზე ბოთლი არ დარჩა, აბდალაძის თავზე რომ არ გადამტვრეულიყო.

***სანდრა, რუსთავი***

ქართული სტრიპტიზი „შალახოს" თანხლებით.

***გოგა***

**ხ.გ.** — ზურა, შემომხედე, როგორი ვარ?

**ზ.ჟ.** — მთლად კლაუდია შიფერი ვერა ხარ, მაგრამ, ლუიზა შაკიაშვილს კი სჯობიხარ.

***მურმან გიგანი, თბილისი***

„ჟუანგალა და გოგორა"

***ზ.გ.***

**ზ.ჟ.** — Дали!

**ხ.გ.** — Что дали?

**ზ.ჟ.** — 26-Б дали, такая гидравлика, с ума сойдёшь. ტრალალა-ლალალა-ლალალა.

***მერაბ ნეფარიძე, თბილისი***

**ხ.გ.** — ეს არის სექს-ბომბა ვარო?!

**ზ.ჟ.** — „ზატო" მუშტი მაქვს მაგარი!

***ლ.რ. თბილისი***

„ცანგალა **(ხ.გ.)** და გოგონა **(ჟ.ზ.)**"

***ედუარდო შევარდენიშვილი, ლანჩხუთი***

ანა-ბანა, ანა-ბანა,
ვის ჰყავს ბაბუ ჩვენისთანა,
ხუთი წელი ვიგრიალებთ,
დაუკარით განდა-განა.

***არსენ იაშვილი, ქუთაისი***

თქვენ იცეკვებთ, სხვა იმღერებს, სოფელიც აშენდება.

***„ვარდო პუშკინის ბაღიდან".***

(კადრის მიღმა ჭალარა მედოლე უკრავს)

**ზ.ჟ.** — დავლურს ვუვლით დაკვეთით
არც ტაშზე და არც ფულზე,
ვცეკვავთ მთელი ცხოვრება
ერთი კაცის დაკრულზე!!!

***სოსო ჩაჩანიძე***

**ხ.გ.** — მიდი, ზური, ახლა მაისური გაიძვრე, ხომ წააგე „დურაკაში".

**ზ.ჟ.** — რას ამბობ, ხათო, მე კი არა პატიაშვილმა წააგო „დურაკაში"

***ზაზა კომლაძე, თბილისი***

## იცით თუ არა, რომ...

* * *

მთვარის მოცულობა წყნარი ოკეანის მოცულობის ტოლია.

* * *

კაცობრიობის ისტორიაში ყველა ცნობილი ბოროტმოქმედი ულვაშს ატარებდა.

* * *

ხელის თითებს შორის ყველაზე მგრძნობიარე საჩვენებელი თითია.



* * *

მილიონერი ყვება:

— მე და ჩემი ცოლი ამერიკაში რომ ჩამოვედით, ჯიბეში ორად-ორი ცენტი მეგდო... ვიყიდეთ ორი ჭუჭყიანი ვაშლი, გავწმინდეთ და ოთხ ცენტად გავყიდეთ. მერე ოთხი ჭუჭყიანი ვაშლი გავყიდეთ რვა ცენტად... ვიყიდეთ რვა ჭუჭყიანი და გავყიდეთ...

— ასე დააგროვეთ ამხელა კაპიტალი?

— არა... მერე ბებიაჩემი გარდაიცვალა და ორი მილიონი დამიტოვა.



— იუბილეზე არ დაგვაიწყებენ ნეტა?!

## კაბა — საოცრება



გაუგებარია, ვის ვინ ატარებს — პატარძალი კაბას თუ კაბა პატარძალს. ალბათ, ეს ყველაზე უზარმაზარი კაბაა მსოფლიოში, რომლითაც ოდესმე მისულან საკურთხეველთან.

კაბის შესაკერად დაიხარჯა 150 კვმ მაქმანი, სიგრძე კი (უფრო სწორად, სიმაღლე) — 4 მეტრია.

როგორ შეძლო პატარძალმა ამ კაბის ტარება, დიზაინერებს გასაიდუმლოებული აქვთ.

**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

**25/IV 17.⁰⁰–19.⁰⁰სთ-მდე**

**29/IV 21.⁰⁰–23.⁰⁰სთ-მდე**


## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**


„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *ქუთაისი, წყალტუბო, რუსთავი, მცხეთა, დუშეთი, ჟინვალი, კასპი, გორი, ქარელი; ხაშური; სურამი; ზესტაფონი; თერჯოლა, სამტრედია, ხონი, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, გურჯაანი, თელავი, წნორი, ახმეტა, -* ***არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (16) უფასო განცხადების ქვითარი

**სიტყვა და საქმე**

განცხადების ტექსტი ____________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)***

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№16 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 20 აპრილს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



შეადგინა რამაზ ალანიამ



## ყიყაფოთიზმები

სხვას ორმოს ნუ უთხრი, თორემ ორმოს მთხრელი გამოხვალ.

***ირმა, ხაშური***

სჯობს გვიან, ვიდრე... არავის.

***მარკოზი, თბილისი***

კამეჩთან მოჭიდავე თხას
რქები მთელი არ დარჩება,
ბაბუსთან მოჭიდავეებს
ლაყე კვერცხი არ ასცდებათ!

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54 **რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".